

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია



Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
Georgian National Academy of Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
Georgian National Academy of Sciences

ANTHROPOLOGY AND ETHNOLOGY OF CAUCASUS

PROCEEDING OF INTERNATIONAL CONFERENCE
DEDICATED TO THE 90 TH ANNIVERSARY OF
ACADEMICIAN MALKAZ ABDUSHELISHVILI

Tbilisi
2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია

საერთაშორისო კონფერენციის მასალები
ეძღვნება აკადემიკოს მალხაზ აბდუშელიშვილის
დაბადებიდან 90 წლისთავს

თბილისი
2016

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია" ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ანთროპოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის მალხაზ აბდუშელიშვილის დაბადებიდან 90 წლისთვის

რედაქლეტია:

ლიანა ბიტაძე
ნუნუ მინდაძე
შორენა ლალიაშვილი
დავით ჭითანავა
ანა რუაძე

The International Scientific Conference on "Anthropology and Ethnology of Caucasus" is dedicated to the 90th birthday Malkhaz Abdushelishvili – a famous Georgian anthropologist, the Academician of Georgian Academy Sciences and honored worker of Georgian Science


EDITORIAL BOARD:

Liana Bitadze
Nino Mindadze
Shorena Laliashvili
David Chitanava
Anna Ruadze

ავტორთა სტილი დაცულია
Authors' style preserved

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016

ISBN 978-9941-13-555-2



მაღნაზ აბდუშელიშვილი

(1926-1998)

1950 წელს ხევისურეთში ჩაწერილი მასალა ხალხური მედიცინის შესახებ

ხალხური მედიცინის შესწავლას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა და დღესაც ეთმობა ეთნოლოგიაში. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული ამ საკითხს სერიოზული ყურადღება ექცევა. ამ მხრივ აღსანიშნავია ზ. ჭიჭინაძის, თ. სახოკიას, ივ. ჯავახიშვილის, ს. მაკალათიას, ვ. ბარდაველიძის და სხვათა ნაშრომები. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცულია ქართველ მეცნიერთა მიერ მოპოვებული ხალხურ მედიცინასთან დაკავშირებული მასალა. დღეს ეთნოლოგთა მთელი ჯგუფი ნ. მინდაძის ხელმძღვანელობით თავს უყრის და იკვლევს ხალხურ სამედიცინო ცოდნას. ხალხური მედიცინის შესწავლისათვის არ აუვლია გვერდი არც სამედიცინო საზოგადოებას. ექიმთა ნაშრომები მნიშვნელოვანია ამ სფეროში ჩატარებული კვლევებისათვის, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ბუნებრივი საშუალებების სამკურნალოდ გამოყენება მეტად აქტუალური გახდა. ამ მხრივ საინტერესოა 1950 წელს ჩაწერილი ერთი მასალა, რომელიც იმხანად ახალგაზრდა ექიმს ნამი ალავერდაშვილს ეკუთვნის. იგი დაინტერესებული იყო ხალხური მედიცინის საკითხებით, 1950 წელს თან ახლდა ხევისურეთში ვერა ბარდაველიძეს და მისი მითითებების შესაბამისად ჩაიწერა მასალა, რომელიც ხალხური მედიცინის სხვადასხვა საკითხებს შეეხებოდა. ჩანაწერები ძირითადად ისეთ თემებს მოიცავს, როგორცაა შელოცვები (სვირსვილის, სატკბურას, წითელი ქარის, თვალის და სხვ.), ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული მასალა, ნაღრძობის, დაუეუილობის, მოტეხილობის, ჭრილობის მკურნალობა და ამისათვის საჭირო იარაღები. მოტანილია სხვადასხვა დაავადებების დროს რეკომენდებული სამკურნალო მცენარეების და მათგან დამზადებული წამლების აღწერილობა, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მოხმარებისათვის და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მასალა არ არის დიდი მოცულობისა, ვფიქრობთ მისი გაცნობა მაინც საინტერესოს იქნება ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

მასალა ჩაწერილია 1950 წლის აგვისტოში ბარისახოში, ჩირდილში, ბოქჩვილოსა და როშკაში.

შეიძლება ითქვას, რომ ჩანაწერებში ყველაზე მეტია მასალა ტრავმების შესახებ. ესაა მასალა ჭრილობების, დაჩირქებული იარების, ნაკლებად ნაღრძობის და მოტეხილობის შესახებ. ძირითადად ესაა მასალა ცალკეული მცენარეების ან მათი ნაკრების, აგრეთვე მალამოს სახით გამოსაყენებელი საშუალებების შესახებ, სადაც მცენარეულ კომპონენტებთან ერთად გამოიყენება მაგალითად ერბო ან კარაქი, თაფლი და ა.შ. აქვეა ცომთხელი, თაფლი, ცვილი და სხვ.

ჭრილობებისათვის გამოიყენება ისეთი მცენარეები, როგორცაა ცხრაძარღვა, სამყურა, ბაღბა, კლდისდუმა, ხარისძირა, პიტნა და ა.შ. აგრეთვე უცეცხლო თაფლი, ფუტკრის სანთელი, დუმა, ჭიან ბამბა, ქუმლის ცომი, ერბო ან კარაქი, შაბი და სხვ.

უპირველეს ყოვლისა ხდებოდა ჭრილობის დამუშავება არყით. შემდეგ ადებდნენ სამყურას, ცხრაძარღვას (მრავალძარღვას), ბაღბას, ხარისძირას, პიტნას, თამბაქოს ფოთოლს და სხვ. ეს საშუალებები მოსაშუშებლად, ჭრილობის დაჩირქების საწინააღმდეგო საშუალებებად ითვლება. შესახორცებლად ხმარობდნენ ერბოს ან კარაქს. ერბოთი ან კარაქით აკეთებდნენ მალამოს, შიგ ურევდნენ მრავალძარღვას და ისე ხმარობდნენ. ჭრილობაზე ადებდნენ აგრეთვე ძალიან თხლად აჭრილ დუმას. იყენებდნენ ერთად გაპოხილ თაფლის სანთელს და ერბოს. შესახორცებლად ხმარობდნენ დამწვარ ხახვს, აგრეთვე ჭიან ბამბას. ჭრილობა თუ დასივდებოდა, დასაცხრობად დაასველებ-

დნენ ბაღბას, დაადებდნენ და შეუხვევდნენ (ბაღბას დაუქუილობის დროსაც ხმარობდნენ. ჯერ მოხარშავდნენ, შემდეგ დაუქუივდნენ და ისე დაიდებდნენ). გავრცელებული იყო ჭრილობის თაფლით გაპოხვა, ხმარობდნენ ცვილსაც. ამზადებდნენ ცომთხელს, ქუმლის ცომთხელს. ამისათვის აუცილებელი იყო წმინდა ხორბლის ფქვილი, არ შეიძლებოდა მაგალითად სიმინდის ფქვილი. აღნიშნულია, რომ ერბოსაც და თაფლსაც უფრო კიდურებზე ჭრილობის დროს ხმარობდნენ და არა მაგალითად თავზე. თუ მაშინვე დაიდებდნენ ჭრილობაზე, სანამ სისხლი მოდიოდა, იგი იოლად ხორცდებოდა.

“ხელს რომ გაიჭრის კაცი, ნაჭრეზე დაადებენ სამყურას დაცოხნილ ფოთლებს და ცხრაძარღვას დაცოხნილ ფოთოლს, შეახვევენ და რამდენიმე დღეში გაიკურნების.” “ჭრილობაზე როცა ცუდ ხორცია, შაბს დაფშვნით, დავერით და ცუდ ხორც მააცილებს”.

სიმსივნის დასაცხრობ და ჩირქის ერთ ადგილას თავმოსაყრელ საშუალებად დასახელებულია აგრეთვე თაფლის სანთელი და შიგ ჩათლილი ტყვია. თუ ჭრილობა დაჩირქებული (დაბაყლებული) იყო, მას ამოწმინდავდნენ ლითონისაგან დამზადებული ხოწით (ხვეწით). ხორცს გადაწვედნენ და ძვალსაც გაფხეკდნენ, ჭრილობას ამოასუფთავებდნენ და შემდეგ უფრო ადვილად ხორცდებოდა.

ჩირქის გამოსატანად და ჭრილობის დასაპირავად ამოთხრიდნენ ხარისძირას, დაბეგავდნენ, აურევდნენ ქერის ფქვილში, მოზილავენ ცივ წყალში და დაადებდნენ – ჩირქს ერთ ადგილას მოაგროვებდა და შემდეგ “დაპირავდა”.

დაუქუილობის დროს დანაყავდნენ ნიორს და კანაფის თესლს, ერთმანეთში არეულს, წაუსვამდნენ ტილოზე, დაადებდნენ დაუქუილზე და შეუხვევდნენ. ხმარობდნენ აგრეთვე ბაღბას, როგორც უკვე აღნიშნული იყო. ხარშავდნენ რქეში შაღნის ძირს, დაუქუილზე ადებდნენ და დილა-საღამოს უცვლიდნენ.

მოტეხილობისას მიმართავდნენ იმობილიზაციას. გათლიდნენ ხის ფიცრებს, ორი მხრიდან მიაკრავდნენ და მაგრად შეკრავდნენ. “თუ პირები (ძვლის) ერთმანეთს მიემცხვანნეს (შეეხო), ერთმანეთს დადუღდებიან და მაშინ შეხორცდება”. მოტეხილობას რაც შეიძლება სწრაფად უნდა შევლა, “თორემ ძვალი გაგრილდების და მაშინ ხანი უნდა, თუ არა და მალე დადუღდების ერთმანეთზე”.

ნაღრძობზე ახალი კალმახის დადება დასახელებული. კარგი იყო, თუ დაზარალებულს ისეთ ადამიანს მიუყვანდნენ, ვინც იცოდა ნაღრძობის სახსარში ჩაგდება. ამის მცოდნედ აღუა არაბულია დასახელებული.

საინტერესოა ნამსუნთთან (ანუ რომელიმე ქვეწარმავლის შხამით მოწამლულ ბალახთან) დაკავშირებული მასალა. ადამიანი თუ ხელით შეეხო ასეთ ბალახს, მუწუკებს დააყრის. იმის გამოსაცნობად, თუ რომელი ქვეწარმავლის შხამითაა მოწამლული, აიღებდნენ სანთელს, გაათბობდნენ, გაათხელებდნენ და დაადებდნენ მოშხამულზე. ითვლებოდა, რომ აღიბეჭდებოდა იმის გამოსახულება, რომლის მიერაც იყო მოწამლული (მაგალითად გველი, ხელიკი და სხვ.).

ნამსუნთის შემთხვევაში ხმარობდნენ ხოხნოტას. ხოხნოტა ადრე გაზაფხულზე მოდის და მთელი ზაფხულის განმავლობაშია, უკეთესია ზრდის პერიოდში, გადაბერებად. “ველზე რომ დაიძინო და ბაყაყმა ან გველმა გადაუაროს ან უკბინოს, ხოხნოტა უნდა დაუქუო, წაუსვა და მორჩების”. “თიბვისას ხელზე რომ ბუწუკა გამოგაყრის, ხოხნოტას დავეშვნით, გავისვამთ და ის მოარჩენს.” “ხოხნოტას თესლს დაღვევდნენ (ფოთოლიც შეიძლება, მაგრამ თესლი ჯობია) და დაიდებენ. დილა-საღამოს გამოუცვლიან, ასე აკეთებენ, სანამ არ მორჩება”. შეიძლება ხოხნოტას დაფშვნა, დაბეგვა და ისე დადება გამონაყარზე.

აქვეა მასალა გველის ნაკბენის შესახებ. ამ შემთხვევაში ითვლებოდა, რომ კარგია აბედას დაწვა და დადება. “აბედა ტყეში წიფელამ იცის. აბედი ხის სოკოა. უნდა იყოს მოხარშული ნაცარწყალში. კვესს ვეძახით, იმას უსვამენ, აინთება და თუ გველმა კბილი თუ შხამი ჩატოვა ნაკბენში, იმას შევლის”.

საერთოდ მუწუკზე ერთმანეთში არეულ ერბოს და ნაცარს ისვამდნენ. კარგია კარაქის წასმაც. ასევე მიღებული იყო თაფლის წასმაც – ისვამდნენ, სანამ არ მორჩე-

ბოდა. ხმარობდნენ უოლისტარსაც: “უოლისტარს დასწომთ, დაგყროთ მუწუკზე და მოარჩენს”.

დამწვრობისათვის ბებერას (ობობის) ქსელია დასახელებული: თუ ბავშვმა ხელი დაიწვა, ბებერას ქსელს აიღებენ, დაადებენ და ის უშველისო.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩანაწერებში გაციების დროს საჭირო საშუალებებს. გაციებას ხამაზდსაც ეძახდნენ. მისთვის დამახასიათებლად ითვლებოდა ცემინება, სიცხე, აგრეთვე შემცივნებაც, ხველება, ყელის ტკივილი.

გაციების დროს კარგი იყო ცხელი წყლის აბაზანები. ავადმყოფს ფეხებს ცხელ წყალში ჩააყოფინებდნენ, ზოგჯერ დღეში ორჯერ ან სამჯერ, თავს თბილად შეუხვევდნენ. თუ სიცხე ჰქონდა და ცუდად იყო, შუბლზე ცივ ტილოს დაადებდნენ.

ტუხტის ძირს ამოთხრიდნენ, დაბეგავდნენ, შემდეგ წყალში ახელდნენ. ავადმყოფი ამ წყალში უნდა გაებანათ და სიცხეს გარეთ გამოიტანდა.

პიტნას აღულებულ წყალში ჩაყრიდნენ და ავადმყოფს ცხელს ასმევდნენ, ერთბაშად რამდენიმე ჭიქას დღეში რამდენჯერმე. გაციებისას კარგი იყო სვე და კლდის ქონდარა. სვის ფოთოლს და ყვავილს ხარშავდნენ და ნახარშს წყლის მაგივრად აძლევდნენ. ზაფხულში კლდის ქონდარას აგროვებდნენ ზამთრისათვის. მასაც ხარშავდნენ და წყლის მაგივრად ასმევდნენ ავადმყოფს. გაციებისას კარგი იყო ცაცხვის ყვავილის ნახარშიც. ხარშავდნენ ხოხნოტას და პიტნას – ჩაყრიდნენ აღულებულ წყალში ჩაფშენტილს, შემდეგ მოუკიდებდნენ ფქვილს, ჩაახამდნენ ცოტა რძეს, ძალიან დიდხანს აღულებდნენ, ცოტა რომ განელდებოდა, დააღვეინებდნენ ავადმყოფს, თბილად დაახურავდნენ და მორჩებოდა. მოზრდილებისათვის იცოდნენ ნივრის და არყის ნაზავის დამზადება - ბავშვებს ამ ნაზავს არ აძლევდნენ. იცოდნენ თამბაქოს ფოთლის ღეჭვა. როცა თამბაქო დაღებოდა და წვეს გამოუშვებდა, ნერწყვს გადაყლაპავდნენ.

ხველების დროს უოლის ტარს მოხარშავდნენ და ნახარშს წყალს დალევდნენ თითო ჭიქას დღეში სამჯერ. ხარშავდნენ აგრეთვე ღოღოს ფოთოლს და წვეს სვამდნენ, ვინაიდან ცუდი დასალევი იყო და ბევრს ვერ დალევდი, პატარა ჭიქით ღებულობდნენ დღეში სამჯერ. ხველების დროს კარგი იყო ცხელი რძის დალევა. ამავე მიზნით ჭამდნენ ბოლოკს, საჭამადში (ერთად მოხარშული ფქვილი და წყალი) ურევდნენ პიტნას. კარგი იყო მოხარშული მიწის ვაშლის ჭამა.

ყელის ტკივილის დროს, როდესაც ავადმყოფს ყელი შესიებული და დაჩირქებული ჰქონდა, ამზადებდნენ ქუმლის ცომს, ცომთხელს და ყელზე დაადებდნენ.

რაც შეეხება ციებ-ცხელებას, ამ დროს იცოდნენ ცაცხვის ყვავილის ნახარშის დამზადება. წვეს პატარა ჭიქით, ცოტ-ცოტას ასმევდნენ ავადმყოფს, ორჯერ-სამჯერ დღეში. ამ დროს ხმარობდნენ დედალი ცხრაძარღვას ფოთლებს (ეს ფოთლები მრგვალია), კარგად გარეცხავდნენ, დანაყავდნენ და წვეს უზმოზე დააღვეინებდნენ.

საკმაო ადგილი უჭირავს იმ საშუალებების ჩამონათვალს, რომლებიც მიღებული იყო კუჭ-ნაწლავის ტკივილის დროს.

თუ ბავშვს მუცელი ასტკივდებოდა, კურდღლის ტყავს დაადებდნენ მუცელზე და ეს შეელოდა. ბავშვისათვის შეიძლებოდა ნიორი ტყავზე ან ნაჭერზე დაეწურათ და მეორე მხრიდან დაედოთ მუცელზე. შეიძლებოდა ცოტა ნიორი გაეჟეჟათ და ბავშვისთვის ისე მიეცათ.

მოზრდილთათვის ნიორს ჩაყრიდნენ ჯამში, ჩაუქვავდნენ ერთ ჭიქა არაყში და ისე დალევდნენ. ამ ნაზავს თბილსაც სვამდნენ ცოტ-ცოტას, რადგანაც ცუდი დასალევი იყო.

ხოხნოტას მუცლის ტკივილის დროსაც ხმარობდნენ. ზაფხულში დაკრეფილ, გამხმარ და ზამთრისთვის შენახულ ხოხნოტას ძირს დაფხვნიდნენ, აურევდნენ არაყში, შეათბობდნენ და სვამდნენ. თუ არ უშველიდა, ისევ გაიმეორებდნენ. შეიძლებოდა მხოლოდ ხოხნოტას ძირის ნახარშის დალევაც. კუჭის ტკივილის დროს კარგი იყო თაფლიც – ერთ მიღებაზე სამი კოვზი. შეიძლებოდა დღეში რამდენჯერმე, მაგრამ შედარებით დიდი ინტერვალებით. კუჭის ტკივილის დროს ჯამში ჩაუქვავდნენ ნიორს, შეუ-

რევდენ ჯერ თაფლს, შემდეგ კი გაცხელებულ არაყს და დაღვედნენ დღეში სამჯერ-
ოთხჯერ, სანამ ტკივილი არ გადაუვლიდათ.

ცხრაძარღვას ღეროებს კუჭის ტკივილის დროსაც ხმარობდნენ – კარგად გა-
რეცხავდნენ, მოხარშავდნენ და სვამდნენ.

თამბაქოს ღეჭვა და ნერწყვის გადაყლაპვა კუჭის ტკივილის დროსაც იცოდნენ.
გარდა ამისა კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს ჭამდნენ მოხალულ ხავიწს ერბოს-
თან.

შედარებით მცირერიცხოვანია მასალა ღვიძლის მეურნალობის, თვალის ტკივი-
ლის, კბილის ტკივილის, მეჭეჭის მოშორების შესახებ და ა.შ.

ღვიძლის ტკივილის დროს მამალი ცხრაძარღვას გრძელ ფოთლებს და ყვავილს
გარეცხავდნენ, მოადუღებდნენ და უზმოზე 1 ჭიქას სვამდნენ. ამ შემთხვევაშიც იცოდ-
ნენ თამბაქოს დაღეჭვა, რაც ტკივილს შეელოდა.

კბილის ტკივილის დროს იხმარებოდა ხარის ძირა, არაყი, შაბი და სხვ.

ჯობლიბოს და თვალის ტკივილისას წაისვამდნენ მწერის ქონს, იცოდნენ თამბა-
ქოს წასმაც.

მეურნალობის მაგიურ-რელიგიური საშუალებები წარმოდგენილია შელოცვების
სახით.

ჩაწერილია რამდენიმე სახის შელოცვა. სირსვილის, სატკბურას (დოყვის), წითე-
ლი ქარის, თვალის, მადახურას ლოცვები:

სვირსვილთა ლოცვა: 1) “მგელი ება ხარად, გველი აპაურადა; გასკდა მგელი,
გაწყდა გველი, სვირსვილთ გადმოუვარდა ძირით. ფუი, გაქრას, განიავდას.” 2) “სვირ-
სვილი ხნევედა ყანასავ, უღაგოს აღაგსავ, მგელი ება ხარადავ, გველი აპაურადავ.
გაწყდა გველივ, გასქდა მგელივ, სვირსვილს გადმოუვარდა ძირივ”. (შელოცვა მეორ-
დებოდა სამჯერ).

სატკბურას ლოცვა (დოყვი): “სატკბურა შამაშიოდა დამბადებელსა ღმერთსაო:
“უფალო ამიშვი – არ ავიშობავ, რისათვის არ ამიშობავ. იმიტომ არ ავიშობავ, შწვივ,
ხფვივ, ყმაწვილებს გადევდებოვ ველის ყვავილივითავ, ქერის ქატოსავითავ”. (სავარაუ-
დოდ შელოცვა არასრულია და დასასრული აკლია).

წითელი ქარის შელოცვა : 1) “გილოცავავ შაგილოცავავ წითელი ქარისასავ, ყვი-
თელ ქარისასავ, პირქვეთ მარულისასავ, გამე თორე გამაგიყვანავ შავი ცხენის ჭკივი-
ლითავ, შავი ბატკნის ბლავილითავ”.

2) “ჯვარი გეწერასავ ცხრაჯერ ცხრის ანგელოზის დაწერილივ, მლოცავივ მე
ორავ, მარგლივ ღმერთივ, ქრისტის დედაივ მარიემივ, ლოცვაივ ჩემ მოგონილ არ
ასავ, ქრისტის დედის მარიემის მაგონილივ, მოვიდოდავ წითელი ქარივ მაყვიროდა ხა-
რივითავ, მაგოგევდავ დათვივითავ, მაგოგევდავ მაჩვივითავ. შამაყვარავ ქრისტე ღმერ-
თივ, სად მიხლავ წითელ ქაროვ? შაოლავ კაცის ტანშიავ, გავღნაყ გალოსავ, გავ-
ღლოკ ტვინასავ. არ შაგიშევ კაცის ტანშიავ, არ გაგანაყიებ გალოსავ, არ გაგალოკი-
ებ ტვინასავ, აკიდებ აღმასავ, ჩაღმ ჩაგაგდებ ხევ ბნელთავ, არ მაგდიოდასავ ცხენის
ჭკივილივ, ქათმის ყვილივ, მასწავლევ რაივ შენი წამალივ? დაენდევოვ ცასავ-რვალ-
სავ, დედის ძუძუსავ, მამის ხონჯარსავ, ჩემი წამალივ ირმის ღვედივ, ენდროს მცქვეთი-
ავ, წითელ შაქარივ, წითლის ფურის ზისცვარივ, პირიმზე ბალახივ. ჯვარი გეწერა-
სავ ცხრაჯერ ცხრის ანგელოზის დაწერილივ წმიდის გიორგის დაწერილივ.”

თვალის ლოცვა: 1) “გილოცავავ შაგილოცავავ თვალისასავ, გულისასავ, ზენაუ-
რისასავ, ქვენაურისასავ, მიღმაურისასავ, მოღმაურისასავ, თვალჭრელისასავ, თმათეთრი-
სასავ, თვალყვითლისასავ, თმა ყვითლისასავ, თვალშავისასავ, თმა შავისასავ, ჯვარი გე-
წერასავ, ვინცა არ დაგწერას ჯვარივ, ნუ დაწერასავ ჯვარივ სულ ამავსავ მიწა შავსავ
სიკვდილის დღესავ, მავიდავ თეთრი ცხენი, იჯდავ ბედავ თეთრი მხედარივ, დაავ ზავ
ეკლის ცეცხლივ, გამავიდავ წითელ გველივ, გამაიყოლავ წითელ შხამივ, ხკრავეპირზე-
დავ შენდ ავი თვალ გულით შამამხედავსავ გულს ლახვარივ, თვალში ნაცარივ, პირში
ხანჯარივ, ჯვარი გეწერასავ” (რასაც მოსდევდა ნახშირის გასმა). 2) “შაგილოცავ თვა-
ლისასავ, გულისასავ, მთისასავ, ბარისასავ, შავი შავგრემალისასავ, თეთრსა კბილსა ბრო-

ლისასა, მაღიოდეს ცხრანი დანი ცხრა ოქროს კაბიანი, მაღიოდეს ცხრანი ძმანი ცხრანი ოქროს საზმნიანი, ჯიბას ედვა სამართებელი, ტანჭრელი, პირზე ფოლადი, გავშკრი გავხკაფავთავ უფერს თვალასავ, უფერს გულსავ, ჩავაგდებთ ისეთს ალაგსავ, ხმა ძაღლისა გიგონასავ ხმა სარეკებისაი, რაიავ თვალის წამალი ფაფარი...

პური იფქლისაი მუხლი მაქცისაივ, ფუი ჯვარ გეწერას, გაქრას, განიავდას გაზაფხულის თოლივითავ, ეგრემც გერგებისავ ლოცვაივ, როგორც დედა შეიღსერგებისავ. ლოცვაი ჩემ მაგონილ არ ასავ. ქრისტის დედის მარიემის მაგონილიავ.”

მაძახურას დაწყველა (შეწყველა): როდესაც მაძახურა დაუძახებს, მისთვის ხმის გაცემა არ შეიძლება და ასე დასწყველიან: რომენი ხარ რომთამც გახვალ შეიღსამც მაძახს ნულარ მოხვალ, გადაფრინდი ეზოზედა, გადიმტვრიე თეძოზედა”.

საინტერესოა აქვე ჩაწერილი შესავალი-ფორმულა, რომლითაც, მთხრობელის სიტყვით, იწყებოდა ყველა ლოცვა: “აჰა... სახელო ღვთისაო მაძახსაო და ძისაო, ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა. ღმერთო შენ დასწერე ჯვარი შენი წყალობის ჯვარიო, რამ შეგაშინაო, შავგერემანი იყვაო, ჭრელთვალა იყვაო, შავთვალა იყვაო, შინაური იყვაო, გარეთული იყვაო, შენ შამშინებულსაო თვალში ნაცარიო, გულში ლახვარიო, ნუ გაყიდა ხარიო შინაურმა შავაშინაო, თვალში ქატო, პირში წყალი, ფუი, ფუი, გაჰქრას განიავდას. ტრედი შაჯდა ქანდარაზედაო, გული ჩაჯდა გულის ადგილას; გულო გულის ადგილსა ჩაჯე თავის ადგილსა, გულო გულის ადგილსა ჩაჯე თავის ადგილსა, გულო გულის ადგილსა ჩაჯე თავის ადგილსა”

ეს იგივე შეშინებულის შელოცვაა, რომელიც ცალკეც იხმარება, თუმცა მისი სხვადასხვა შელოცვების წინ წარმოთქმაც არაა ლოგიკას მოკლებული. ავადმყოფობის დროს ადამიანს უპირველეს ყოვლისა დამშვიდება სჭირდება, რაც არ უნდა სჭირდეს მას. ეს სასიკეთო გავლენას ახდენს მასზე.

გარკვეული ადგილი ეთმობა მასალას ბავშვთა ინფექციური დაავადებების ანუ სახადის, ხთის ვალის შესახებ. ჩამოთვლილია ამ დროს ოჯახში აკრძალული სხვადასხვა სახის ქმედებები. იცოდნენ ჭრელი ქსოვილის, ხალიჩის გაფენა, ყორეზე ჭრელი თავშალის გადაფენა. სასიკეთო იყო ფანდურზე დაკვრა. ჩეცხლის დანთება შეიძლებოდა, მაგრამ კერძი არ უნდა გადმოსულიყო. წითელიანის გვერდით ან ახლო-მახლო ხუცესი არ (ვერ) იხუცებდა. აცხობდნენ პატარა დაჭრელებულ პურებს, ავადმყოფს გვერდზე დაუდგამდნენ, შემდეგ კი წაიღებდნენ. აკრძალული იყო საკლავის დაკვლა – წითელა გაცხარდება, გამწარდება და ამ დროს შეიძლება ბევრი შემთხვევა სიკვდილით დამთავრდეს.

ჩანაწერებში მოკლედ აღწერილია აგრეთვე ქალის სამრელოში ყოფნისა და მშობიარობის პერიოდიც.

ასეთია მოკლედ ეს ჩანაწერები, რომლებიც, ჩვენის აზრით, მათი მცირე მოცულობის მიუხედავად, მაინც საინტერესოა და იმსახურებს ყურადღებას.

Alaverdashvili K. T.

*Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology of
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
ketinoalaverdashvili@gmail.com*

Ethnographic data on folk medicine attested in Khevsureti in 1950

Summary

The study of folk medicine always had an important place in ethnology and in that sense Georgia is not an exception. Starting from 19th century this problem has been seriously treated and from that point of view, the explorations of Z. Chichinadze, T. Sakhokia, Iv. Javakhishvili,

S. Makalatia, V. Bardavelidze are of special interest. Ethnographic data on folk medicine gathered by the Georgian scientists are kept at the archive of the Institute of History and Ethnology.

Today the group of ethnologists guided by N. Mindadze are gathering and examining the folk knowledge. The study of folk medicine was (and is) also popular among the medical society.

The works of medical practitioners are important for the investigations in this sphere, especially today, when the use of natural products during the medical treatment became very popular.

From that point of view the data gathered in 1950 by a young medical practitioner – Nami Alaverdashvili – is of relevant interest. Interested in folk medicine she accompanied V. Bardavelidze in Khevsureti in 1950 and by her guidance gathered ethnographic data: on folk medicine including such themes as spells against different diseases (Svirvilli, satkbura, tsitelikari, evil eye, etc.), on the infectious diseases of children, injuries, bruises, bone fractures, wounds and the tools that were needed for the treatment.

In these reports one can find descriptions of plants and medicines recommended for various diseases which were useful for inner and outer uses, etc. Despite the fact that the gathered data is not vast, it will be useful to learn the offered ethnographic data especially for those who are involved in such questions.

Ethnographic data was written down in 1950, in Barisakho, Chirdili, Bokchvilo and Roshka.

სალომე ბახია-ოქრუაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივ.ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო
salomebakhia@gmail.com

ადათობრივი სამართალი ოსთა ტრადიციულ კულტურაში

შუასაუკუნეებსა და გვიანშუასაუკუნეებში ოსური ხალხური სამართლის ძირითად წყაროს ადათი, ჩვეულებითი სამართალი და შარიათი (მუსლიმებში) წარმოადგენდა. ოსურ სათემო ყოფაში სასამართლო წარმოებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან, იმ დროისათვის, სისხლ-მესისხლეობამ და შურისძიებამ ყველა პატრონიმიათავის საკუთარი ციხე-სახლისა და თავდაცვითი კოშკის ტყვე გახადა. ისინი შურისძიების შიშით გამომწვევდნენ იყვნენ კოშკებში, ხოლო მათი მეურნეობა ეცემოდა და იშლებოდა. “კბილი, კბილის წილ“, ამ მოკლე გამონათქვამის უკან მკვლელობათა გაუთავებელი ქმედებები იგულისხმებოდა. XIX საუკუნის დასაწყისში რუსი გენერლები გაზეუბნებსა და ჟურნალებში მუდმივად ჩიოდნენ ოსთა ამ “ბარბაროსული“ ჩვეულების შესახებ. მ. კოვალევსკიც ფიქრობდა, რომ შურისძიების ჩვეულებამ საკმაოდ დააზარალა და მძიმე შედეგები მოუტანა ოსებს. ამ ჩვეულების გამო, ხშირად მთელი ოჯახისა და პატრონიმიის სრულწლოვანი მამაკაცები იხოცებოდნენ, ხოლო მცირეწლოვან ყმაწვილებს იტაცებდნენ, მონებად აქცევდნენ ან მონების ბაზარზე ჰყიდდნენ. თუ მამაკაცი, მკვლელობის ჩადენის შემდეგ გაქცევით შველოდა თავს, იგი სახლსა და ცოლს უშიშრად ტოვებდა, რადგან იცოდა მათ არაფერი ემუქრებოდათ. თუმცა, ეს საქციელი ოსებისათვის მოსაწონი არ იყო. ქალი შურისძიების აქტში მონაწილეობას პირდაპირ არ იღებდა, მაგრამ საკმაოდ აქტიურ როლს ასრულებდა მის გადვივებაში. დედები საკუთარ შვილებსა და ქმრებს აქეზებდნენ, რომ ისინი სუსტი და უვარგისნი აღმოჩნდნენ, რადგან “წმინა ვალი“ – შურისძიება სწრაფად არ შეასრულეს. ხშირად, ახალგაზრდა ცოლები ქმრებს საწოლში მოვალეობის შესრულებაზე უარს ეუბნებოდნენ, სანამ სამაგიერო მკვლელობას არ ჩაიდენდნენ, ე.ი. შურს არ იძიებდნენ. შურისძიება მარტო მკვლელზე არ ვრცელდებოდა, პატრონიმიის ყველა მამაკაც წევრს, შვიდი წლის ზემოთ საშიშროება ელოდა. ამავე დროს, შურისმაძიებლებიც მარტო მოკლულის მამა, ძმა ან სისხლით ნათესავი, არამედ, მათ შორის დედის ძმა და მისი შვილიც შეიძლება ყოფილიყო. ოსეთში ცდილობდნენ მკვლელის ნათესავებისათვის მეტი ზიანი მიეყენებინათ, ამიტომ მოხუცის სიკვდილს ახალგაზრდა კაცის სიკვდილით იხდიდნენ.

შურისძიების აქტი ოსეთში სხვადასხვა რიტუალური ქმედებებით იყო დახუნძლული. მოკლულის ნეშტთან შურისმაძიებელი, მოკლულის სისხლით პირისახეს დაისვრიდა და ფიცს დებდა, რომ ოჯახში მანამ არ შევიდოდა დასაძინებლად, სანამ შურს არ იძიებდა. ამასთან, იგი ტოვებდა ოჯახს და ტყეში იწვებდა ცხოვრებას, პირს არ იპარსავდა, შავი ტანსაცმლით დადიოდა. შურისძიების შემდეგ, იგი პირველი, გარდაცვლილს სასაფლაოზე ატყობინებდა, რომ მისთვის უკვე შური იძია.

XIX საუკუნეში შურისძიებამ იმდენად საშიში გამოხატულება მიიღო, რომ მოსახლეობა იძულებული გახდა, მის აღსაკვეთად სხვა გზები ეპოვნა. XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის იგი მატერიალურმა კომპენსაციამ შეცვალა. მართალია, ზოგისათვის ამ წესის მიღება ჯერ კიდევ მიუღებელი იყო, მაგრამ ეს ჩვეულება უკვე ოსებში ფეხს მყარად იკიდებდა. ამიერიდან ოსურ სათემო ყოფაში სასამართლო წარმოებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. გარდა სისხლ-მესისხლეობისა სასამართლო კონფლიქტურ სიტუაციებს – ადამიანის დაჭრას, დასახინრებას, საკუთრების მიტაცებას, ქურდობას, განზრახ ცეცხლის გაჩენას, სტუმრისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას, კერძო ჯაჭვის ჩამოხსნას, მის გადაგდებას და სხვა დანაშაულს განიხილავდა.

ყველა ჩამოთვლილი საკითხი შუამავლების, მედიატორული ინსტიტუტის განსახილველი იყო და არც ერთი იურიდიული საკითხი ახლო, სისხლით ნათესაური წრის მონაწილეობის გარეშე არ იწარმოებოდა. ნათესავები მონაწილეობას, როგორც დაზარალებულის, ისე

დამნაშავის მხარეზეც იღებდნენ. სისხლით ნათესავების მხარში დგომა ყველა ნაბიჯზე იგრძნობოდა, მით უმეტეს შურისძიების თავიდან აცილების შემთხვევაში. მკვლელის ახლო ნათესავები, პატრონიმის წევრები მიდიოდნენ და ქუდმოხდილები, დაზარალებულ მხარესთან მუხლებზე დგებოდნენ. ისინი მოკლულის პატრონიმის უხუცესებს დაპირისპირებულ მხარეებს შორის შემორიგების საშუალების დაშვებას სთხოვდნენ. ამ პროცესს ისინი რამდენიმეჯერ იმეორებდნენ. მოკლულის ნათესავები, ბოლოს, ხალხის ნებას ემორჩილებოდნენ და შერიგებაზე თანხმობას იძლეოდნენ. შეთანხმების სხვა საშუალებაც არსებობდა – დაპირისპირებული მხარეები, ჩვეულებრივ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ იკრიბებოდნენ. ეს ადგილი სოფლის გარეთ უნდა ყოფილიყო. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთისთვის შემწხვეველი უნდა დარჩენილიყვნენ და დაშორიშორებულეს, მოლაპარაკების დროს ხმამაღლა საუბრისა და კამათის საშუალება უნდა მისცემოდათ. მათი შუამავლები (“მინავარ ლაგთა“) ორი კაცის შემადგენლობით გადაწყვეტილებებს მოწინააღმდეგეებს აცნობდნენ. დამნაშავის ნათესავები დაზარალებული მხარის დარწმუნებას ცდილობდნენ, რომ მოწინააღმდეგეებს შორის შერიგების პროცესი დაწყებულიყო.

შემდეგი ეტაპი, შუამავალი, მედიატორი მოსამართლეების (“თარხონ ლაგთა“) არჩევის პროცესი იყო. მედიატორებად ბრძენ, ავტორიტეტულ, პატიოსან, სიმართლის დამცველ პიროვნებებს ირჩევდნენ, რომლებიც 50-60 წელზე ახალგაზრდები არ უნდა ყოფილიყვნენ. სასურველი იყო გამოცდილების უკვე მქონე პირების არჩევა. შუამავალი მოსამართლეების რიცხვი შეთანხმების შედეგად წყდებოდა, მაგრამ დაზარალებულ მხარეს ერთი მოსამართლით მეტის არჩევის უფლება ჰქონდა, რომელსაც ყოველთვის იყენებდნენ. ორივე მხარეს შეეძლო დასახელებულ რომელიმე მოსამართლეზე აცილება მიეცათ. მაშინ, მხარეები ახალ მედიატორს წარადგენდნენ. მოსამართლეთა შემადგენლობას ორივე მოწინააღმდეგე მხარის სანქცია ესაჭიროებოდა დასამტკიცებლად. თუ შუამავალთა პიროვნებები ორივე მხარეს აკმაყოფილებდა, მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა უკვე მათი ფიცის დადების პროცესს ენიჭებოდა. დაფიცება სალოცავში ხდებოდა. დაფიცებისას ყველა მედიატორი ვალდებული იყო იღებდა, რომ სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანდა, საქმეში სიფრთხილესა და წინდახედულებას გამოიჩინა.

შუამავალი მოსამართლეები არ არსებობდა, ყველა საქმეს თავისი მოსამართლე ჰყავდა. თუმცა, ერთი და იმავე პიროვნების რამდენჯერმე სხვადასხვა დროს არჩევა შესაძლებელი იყო. ასეთი მედიატორები ხეობებში შემდეგ ცნობილი ხდებოდნენ. მედიატორების ძირითადი ფუნქცია სამედიატორო ანუ საშუამავლო საქმის განხილვას წარმოადგენდა. ისინი ვალდებული იყვნენ დაპირისპირებული მხარეები მოერიგებინათ, რომ სისხლი არ დაღვრილიყო.

სასამართლოს გამართვამდე ორივე მხარე გამოკითხვებით ცდილობდა საქმის გაცნობას. ისინი სპეციალურად მიდიოდნენ ნიხასზე და უხუცესი არანათესავების თუ ნათესავების წყალობით დანაშაულის შესახებ ცნობებს მოიპოვებდნენ. ოსეთში სამართლის დადგენის სამი საშუალება არსებობდა – “კომმოგ“ – ფაქტებით დადასტურება; “ავდისან“ – მოწმის ჩვენება; „არდ“ – ფიცით დადასტურება. ოსებს სიტყვა „არდ“ (ფიცი) საშინელებად მიაჩნდათ, რადგან სიცრუისათვის დეთაება სასჯელს მოუვლენდა.

სასამართლო პროცესი, ღია ცის ქვეშ, ასევე ნეიტრალურ ტერიტორიაზე იმართებოდა. სამართალწარმოება ორივე მხარის დაზარალებულისა და დამნაშავის მოსმენით იწყებოდა, რომელსაც მოწმეების გამოსვლა (თუკი ასეთი არსებობდა), ფაქტების წარმოჩენა მოსდევდა. პროცესზე ორივე მხარის მედიატორები მჭერმეტყველურად გამოდიოდნენ, საჭირო მასალას სიტყვიერად დამაჯერებლობას არ აკლებდნენ. კამათი და დიალოგი მოსამართლეებს შორის ხმამაღლა მიმდინარეობდა, მაგრამ ისინი ზომიერებას არ კარგავდნენ. კამათი და დიალოგი ხშირად რამდენიმე დღე გრძელდებოდა. თუ საკითხი საქონლის გატაცებას ან ოჯახის შეურაცხყოფას ეხებოდა, მოსამართლეები უფრო მკაცრი იყვნენ, ვიდრე მრუშობაში ეჭვიმტანილი მამაკაცის საქმის გარჩევისას. მ. კოვალევსკის მასალებით არც ერთ ოსურ ხეობაში მამაკაცის მხრიდან მრუშობა მძიმე დანაშაულად არ ითვლებოდა და ამიტომ, მათ მსუბუქად სჯიდნენ. თუ საკითხი რამდენიმე ჭრილობის მიყენებას, სხეულის გარკვეული ნაწილის დამახინჯებას ეხებოდა, ამ

ჭრილობებს ამოწმებდნენ, შემდეგ აერთიანებდნენ და დამნაშავეს პასუხსაც ერთიანად სთხოვდნენ. ყველაზე მძიმე დანაშაულად, ცხადია, მკვლელობა ითვლებოდა, შემთხვევითი და გამიზნული რომ არც ყოფილიყო. ხალხური სამართალი ყურადღებას მხოლოდ მიყენებულ ზარალზე ე.ი. სიცოცხლის შეწყვეტაზე ამახვილებდა, მაგრამ მიზეზებს არ ითვალისწინებდა. ამიტომ შემთხვევითობით თუ გამიზნულად დაღუპული ადამიანის მკვლეელი ერთნაირად ისჯებოდა.

განაჩენის გამოტანისას მოსამართლეები წინდახედულებას იჩენდნენ და გადაწყვეტილებას სწრაფად არ იღებდნენ. საქმის კარგად შესწავლის, ფიქრისა და განსჯის შემდეგ ცდილობდნენ განაჩენის გამოტანას. თუ ჭეშმარიტება თავიდანვე კარგად ჩანდა, განაჩენის გამოტანა ადვილი იყო და თან ხალხის უკმაყოფილებასაც არ იწვევდა. მაგრამ თუ საქმეს მოწმეები არ ჰყავდა, ხოლო დამნაშავე შეუპოვრად უარყოფდა თავის დანაშაულს საქმეში, მაშინ მოსამართლეები უფრო რთულ პროცესზე გადადიოდნენ. შემდეგი ეტაპი სალოცავში ან სასაფლაოზე (იმის მიხედვით საქმე საქონლის დატაცებას, სხვა ქმედებას, ან ადამიანის მკვლელობას ეხებოდა) დაფიცების აქტი იყო. ამით ეჭვიმტანილს საშუალებას აძლევდნენ თავი ემართლებინა ან დანაშაული ელიარებინა. ყველა დაფიცების აქტში მონაწილეობას სისხლით ნათესავეები იღებდნენ. ნათესავეები იმ შემთხვევაში მონაწილეობდნენ დაფიცების ცერემონიაში, თუ ისინი დარწმუნებული იყვნენ ნათესავის სიმართლეში. მათ იცოდნენ, რომ ცრუ ფიცს შურისძიება, დევნა, გაკიცხვა და ზოგჯერ საკუთარი კარმიდამოს მიტოვებაც შეიძლება მოჰყოლოდა. რელიგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე მოსახლეობას სალოცავში ფიცის დადება სახიფათოდ მიაჩნდათ, რადგან სიცრუის გამო ღვთაების მთელი რისხვა მათ დაატყდებოდა თავს. მით უმეტეს, საშიში სასაფლაოზე “ლაუზგანანის” დღესასწაულზე დადებული ფიცის შედეგი იყო. თუ საქმე ადამიანის სიკვდილს ეხებოდა და მოწმე არ არსებობდა, “ლაუზგანანის” დღესასწაული, როდესაც სასაფლაოზე მთელი სოფელი იკრიბებოდა მიცვალებულების მოსახსენიებლად, დაფიცების რიტუალისათვის კარგი გამოცდა იყო. ამიტომ, ბრალდებული ამ გამოცდას თუ კარგად ჩააბარებდა ე.ი. კვლავ შეუპოვრად გაიმეორებდა თავის უდანაშაულობის შესახებ, მისი სჯეროდათ და მას დევნისაგან ათავისუფლებდნენ. ხშირად, მკვლელობის საქმის გარჩევას “ლაუზგანანის” დღესასწაულამდე გადადებდნენ, რომ სიმართლე ადვილად გამოაშკარავებულიყო.

მოსამართლეები მოწმეებს ცეცხლით, წყლით, რკინით, საწამლაკით, აღმოდებულ მგლის ძვლებზე გადასვლის პროცესით უწყობდნენ გამოცდას. თუ ადამიანი ყველა ამას გადაურჩებოდა მოსამართლეებს მათი სჯეროდათ.

სამართალწარმოების ერთ-ერთ სახედ დაზარალებულის ნათესავეების მოთხოვნა ითვლებოდა, მკვლელობაში ბრალდებული თუ მართალი იყო მოკლული ნათესავის წინ, თოფის გასროლის მანძილზე უნდა დამდგარიყო. ამ შემთხვევაში მოსამართლეები კენჭს უყრიდნენ თუ რომელ ნათესავს უნდა ესროლა თოფი. ეს უფლება როგორც კარგ, ისე ცუდ მსროლელსაც შეიძლებოდა შეხვედროდა. თუ ადამიანი ცოცხალი დარჩებოდა იგი შურისძიებისაგან თავისუფლდებოდა. მაგრამ, ეს საშუალება ნაკლებ გამოიყენებოდა, რადგან ასეთ პირდაპირ მკვლელობის ჩადენას ყველა ერიდებოდა. თანაც მას ისევ შურისძიების ჩვეულება მოსდევდა.

ყველა სახის სხვისი ქონების მიტაცება, განზრახ ხანძრის გაჩენა, საკუთრების დაზიანება და ა.შ. ერთად ფასდებოდა და ქურდობის კვალიფიკაცია ეძლეოდა. ამიტომ, ყველა ქმედება ერთნაირად ისჯებოდა. ნაქურდალს ოსები ჩამოართმევდნენ, ნახანძრალსა და დაზიანებულს ანაზღაურებინებდნენ. ზარალს დამნაშავის ოჯახი და მის ახლობლები ზღვაავდნენ. თუ ოსი ქურდს საკუთარ სახლში დაიჭერდა მისი, მხოლოდ დაუნდობლად ცემა შეეძლო. მას არ მოკლავდა, რადგან ქმედებას შურისძიება და სისხლის საფასურის გადახდა მოჰყვებოდა.

დასჯის სისტემის საშუალება, თავდაპირველად, იგივე ზარალის მიყენება ითვლებოდა ე.ი. ქურდობას ქურდობით და მკვლელობას მკვლელობით პასუხობდნენ. მაგრამ მალე მატერიალურმა ანაზღაურებამ ეს სისტემა შეცვალა. თუმცა, ეს არც ისე იოლი საქმე იყო. სისხლ-მემისხლეობაში შურისძიება “სისხლის ფასით” “ტუგა“-თი იყო ასანაზღაურებელი. ალაგირის ხეობაში მამაკაცის სისხლი 324-დან 360-მდე ძროხად ფა-

სობდა. ამას, ცხენი უნაგირით და ორი დღის სანახავი მიწა ემატებოდა. ქურთათშიც და დიგორშიც სისხლის ფასი (“ტუგა“) იგივე იყო. დიგორში ამ გადასახადს 15 მონა ორივე სქესისა ემატებოდა. თაგაურის ხეობაში სისხლის ფასი 240 ხარად და 8 მონად (ორივე სქესის) ფასობდა. ქალის მკვლელობის დროს ყველა ხეობაში ფასი ნახევრდებოდა. ფასის დადგენისა და მოლაპარაკების შედეგად ტუგა სხვა საჭირო და გამოსადეგი ნივთებითაც იცვლებოდა – ჯაჭვის პერანგით, იარაღით, ხმლითა და ფარით, საისრეთი და ა.შ. ყველა დანაშაულის საფასურის გადაცემის წინ გამასპინძლება აუცილებელი იყო, რომლის საფასური ტუგაში შედიოდა. მკვლელის ნათესავები დაზარალებულის ნათესავებს იწვევდნენ და უმასპინძლებოდნენ, რომლის დროსაც მთელი რიგი რიტუალური ქცევის წესები სრულდებოდა. შუამავლები ყურადღებას ანახლავდნენ პროცესსაც აქცევდნენ. მატერიალური ანახლავების დასაფარად დამნაშავეს (მკვლელის შემთხვევაში) ერთ წელს აძლევდნენ. ვალის გადახდა ამ პერიოდში უნდა დამთავრებულიყო. გადახდაზე უარის თქმა მთელი პატრონიმისთვის სამარცხვინო საქციელს წარმოადგენდა და იგი თემში გაკიცხვის საგანი ხდებოდა. მატერიალური ანახლავება, მკვლელის ოჯახისათვის ძნელი იყო, ამიტომ კომპენსაცია კომპოზიციური სისტემით სისხლით ნათესაობაზე, პატრონიმიაზე ნაწილდებოდა. რაც უფრო ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდა მკვლელთან ოჯახს, მით მეტი გადასახადი ჰქონდა და რაც უფრო შორი ნათესავი იყო, გადასახადი უმცირდებოდა. ე.ი. ნათესავების გადასახადი ნათესაური სიშორე-სიახლოვის მიხედვით ეკისრებოდათ. მსგავსი კომპოზიციური სისტემა მოქმედებდა სისხლის ფასის, ტუგის მიღების დროსაც. ტუგი დაზარალებულ პატრონიმიაშიც ნათესაური სიშორე-სიახლოვის მიხედვით ნაწილდებოდა. ხშირად, მიუხედავად დახმარებისა, დამნაშავეს ოჯახი სრულიად უსახსროდ რჩებოდა. პატრონიმის შიგნით პასუხისმგებლობა მარტო დახმარებით არ განისაზღვრებოდა ისინი ყელანი, მით უმეტეს, უფროსები პატრონიმის წევრების საქციელზე პასუხს აგებდნენ.

როგორც წესი ოსეთში ნათესავები მხოლოდ მონებს არ ჰყავდათ. ამიტომ, ფ. ლეონტოვიჩის ნაშრომში ვკითხულობთ: “უნათესაო, უთვისტომო ადამიანი, როგორიც არის მონა, შურისძიების გარეშე რჩება და მას არც სისხლის ფასს გადაუხდის ვინმე“. ამიტომ, მონის მოკვლისათვის არავინ ისჯება, იგი პატრონის საკუთრებაა და მისი მოკვლით პატრონი მხოლოდ ნივთის საფასურს იღებს, ფ. ლეონტოვიჩის ადათთა კრებულში ვკითხულობთ, რომ “მონა, იგივე გურზიაკი, მფლობელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოკლას, იმისთვის ის არ დაისჯება“.

ადამიანის მკვლელობისათვის XIX საუკუნის ბოლოს დასჯის ისეთი ფორმაც მოქმედებდა, როგორც ქონების კონფისკაცია და მოკვეთა, საზოგადოებიდან განდევნა იყო. თანდათან, მუსლიმმა ოსებმა სამართალწარმოება, მოსამართლეებისა და მოწმეების დაფიცების პროცესი შარათის დღესასწაულებს დაუკავშირეს, რომელშიაც მოლაც იღებდა მონაწილეობას.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სისხლ-მესისხლეობის დროს, მედიატორების მიერ სისხლის ფასის გადახდასთან ერთად, მკვლელის ოჯახი ვალდებული ხდებოდა, მოკლულის ახლო ოჯახიდან მცირეწლოვანი ბავშვი ან უკვე მოზრდილი პიროვნება ეშვილა. მკვლელი მოკლულის საფლავზე მიდიოდა, სადაც იგი თავის თავს მიცვალებულს მიუძღვნიდა. ამ ჩვეულებას “ფალტისტ“ ეწოდებოდა. ასეთი შვილების დროს ძუძუთი კვების სიმულაცია (თუ იგი ძუძუთი ბავშვი არ იყო) ტარდებოდა. შვილად ასაყვანი ქალის ძუძუზე კბილს დაადგამდა და იტყოდა „ამ დღიდან მე შენი შვილი ვარ, ხოლო შენ დედა“. ქალიც ასე პასუხობდა – „მე შენი დედა ვარ, შენ ჩემი შვილი“. შვილად აყვანილი მკვლელის ძმა მისი მშობლებისათვის “ათალიკი“ ხდებოდა.

საქართველოში, დვალეთსა და მთიან რაიონებში ჩამოსახლებულ ოსებში, რომ ადათი და სამართალწარმოება XVIII საუკუნეშიც ჯერ კიდევ არ იყო შეცვლილი, ამას ვახუშტი ბაგრატიონი ადასტურებდა. ამ დროისათვის, დვალეთში მცხოვრებ ოსებში იგი თარეშის და სისხლ-მესისხლეობის ინსტიტუტის გავრცელებაზე გვამცნობს: “რამეთუ უკეთუ მოკლა ერთმან, არა დასცხრების მეორე იგი გუარი შვილით შვილამდე, უკუნისამდე“... „თუ მოკლავს მკვლელი მოკლულსა მათთვის გუარსა ჩასძახებს საფლავ“

სა შინა მოგვალე მკვლელი შენი და რწამთ ესე საცხონებლად მისად... “ოვსი... შეირთავს ორ სამ ცოლს, ანუ ალაგებს კოშკსა, ანუ მოკლავს კაცსა და უკეთუ მძლევენ ექმნას მესისხლე თვისი, შევაღს კოშკსა შინა და არღარა გამოვალს სიკუდილამდე“. როგორც ვხედავთ, XVII საუკუნიდან დვალეთში და მთა ქართლში დამკვიდრებულ ოსებს XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეცვლილი სისხლ-მესისხლეობისა და შურისძიების ჩვეულება. თუმცა, XVIII საუკუნიდან მთიდან სამხრეთისაკენ მიგრირებულმა ოსებმა მალე აითვისეს შურისძიების ნაცვლად კომპენსაციის გადახდა. დაჭრისა და დასახინრების დროს, ადგილობრივი წესებით, სიმსუბუქე, სიმძიმის, ჭრილობის სიღრმისა თუ გააკაწრის მიხედვით დაწესდა საფასურის გადახდა. მ. კოვალევსკიმ ამ ცვლილებებს ყურადღება მიაქცია. დასჯის ასეთი მეთოდი მხოლოდ საქართველოში დასახლებულ ოსებში იყო გავრცელებული, რაც საქართველოს პოლიტიკური ვითარებით, კერძოდ კი, საქართველოს ოსების სამართალში, ვახტანგ მეფის კანონების გავლენით ივარაუდებოდა. თუ ოსეთში არ არჩევდნენ – შეურაცხყოფას, სახელის გატყვევას, ოჯახის ან პატრონიმის საფლავის წაბილწვას, ქურდობის და სხვა საქართველოს ოსებში ყველა ქმედებას ერთმანეთისაგან არჩევდნენ. აქედან გამომდინარე, ყველა ქმედება თავისებურად ისჯებოდა. ოსეთში ორი, სამი და მეტ ცოლიანობა არ ისჯებოდა და ნომილუსის გარდა მამაკაცს უფლება ჰქონდა “გურზიაკების“ სახით საყვარლები გაეჩინა. საქართველოში სამხრეთით ჩამოწეული ოსები, ქართველი ქალების ტყვედ აყვანას ვერ ბედავდნენ, თანდათან რელიგიურად ქრისტიანებიც ხდებოდნენ, ამიტომ, რამდენიმე ცოლის ერთად ყოლის ჩვეულებასაც კარგავდნენ. ეს ჩვეულება თანდათან სრულიად ქრებოდა. საქართველოს ოსი ქალი უფრო თავისუფალი გახდა, მას თავის დაცვის უფრო მეტი საშუალება გაუჩნდა იურიდიული თვალსაზრისით. ქმარს არ შეეძლო ცოლის მოკვლა, თუ გინდ იგი დამნაშავე ყოფილიყო. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ქრისტიან ოსებში ცოლს უკვე თავისი საკუთრება გააჩნდა. ეს საკუთრება ქმარს მისივე თანხმობით შეეძლო გამოეყენებინა, მაგრამ თუ ცოლი გაყრას მოინდომებდა, მას ეს ქონება უკლებლივ გადაეცემოდა. მრუშობა, რომელიც დაუსჯელი იყო ოსეთში, საქართველოს ოსებში დასჯადი გახდა. ქმრიან ქალთან სექსუალურ ცხოვრებაში შესვლა სამარცხვინო ფაქტად აღიქმებოდა. მამაკაცი თუ მრუშობის ფაქტზე წაასწრებდა ქალს, იგი მას ცხვირს, თმებს აჭრიდა და სახლიდან აგდებდა. ეს ჩვეულებითი სამართალით იყო გათვალისწინებული. საქართველოს ოსებში სისხლის სამართლის ფასის გადახდის, დაფიცების და სხვა მომენტები ქრისტიანულ სალოცავებსა და ქრისტიანულ დღესასწაულებს უკავშირდებოდა.

მ. კოვალევსკის სამართალწარმოების ერთი საინტერესო მაგალითი აქვს გამოყენებული, რომელსაც ქართველებსა (რაჭველებსა) და ოსებს შორის ჰქონდა ადგილი. ოსებმა რაჭაში რაჭველებს მიწის საკმაოდ დიდ ნაკვეთზე დავა დაუწვეეს, რომ იგი ოსების იყო. დიდი დავის შემდეგ ორივე მხარე ამტკიცებდა, რომ მიწა მისი იყო. რაჭველებმა მოიფიქრეს, შეაგროვეს იქ მცხოვრები მოსახლეობა. შემდეგ სადაო ნაკვეთზე ჩაარჭვეს ხის ბოძი, ზედ ქუდი ჩამოაცვეს. შემდეგ ლოცვით, ვედრებით რიტუალი ჩაატარეს და სიცრუის მთქმელი დაწვევდნენ. ქართველებმა ოსებს მიმართეს, რომ თუ ისინი ქუდს ბოძიდან მოხსნიდნენ მათ უფლებას, ამ მიწაზე აღიარებდნენ. ოსებს, თავისთავად ცხადია, მიწა მართლაც ესაჭიროებოდათ, მაგრამ უხმოდ წავიდნენ და მიწაზე პრეტენზია აღარ განუცხადებიათ. ასე დამთავრდა სასამართლო განაჩენის შესრულება.

ამრიგად, როგორც ჩანს, ოსეთიდან საქართველოში ჩამოსახლებული მოსახლეობის ქართველებთან ურთიერთობა, ტრადიციული კულტურების შერევა, თანდათან ჩვეულებით სამართალსა და სამართალწარმოებაზეც ახდენდა გავლენას.

ლიტერატურა:

1. ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ., 1969.
2. გ. ჩიქოვანი. ნიხასის ადგილი ოსთა საზოგადოებრივ ყოფაში ნართული ეპოსის მიხედვით, საისტორიო კრებული, IV, თბ., 1973.

3. Гаглойти З.Д. Очерки по этнографии осетин, Тб., 1974.
4. Гаглойти З.Д. Семейно-родственные коллективы у осетин, КЭС, т. V₂, Тб., 1979.
5. Яновский А. Голицын, Норденстренг Т.А., Кундухов, Адагы осетин, Кавказ. Адагы горских народов, Нальчик, 2010.
6. Калоев Б.А. Осетины. М., 1967.
7. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Владикавказ, 1995.
8. Леонтович Ф.И., Адагы кавказских горцев, вып. II, Одесса, 1883.
9. Магометов А.Х. Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968.

Salome Bakhia-Okrushvili

Iv. Javakishvili Institute of History and Ethnology of

Iv. Javakishvili Tbilisi State University, Georgia

salomebakhia@gmail.com

Customary Law in Ossetian Traditional Culture

Summary

In recent centuries, until the second half of the 20th century the main source of Ossetian traditional law was the custom or the customary law, and later Sharia (in Muslims). In old days, Ossetians regulated all the aspects of life by the moral rules of behavior. Population voluntarily followed the rules of moral behavior because they expressed their common opinion. Gradually, in the course of centuries the norms of behavior took the form of customary laws. Also, the social norms in Ossetian traditional culture formulated the legal forms. From the very beginning, the customary laws were headed by the wise and respected elder authorities. Before that they already played an important role in public life, especially in resolving the blood feud and revenge issues. Blood feud and revenge lasted for generations involving vast kin groups. The community Council of Elders were obliged to seek a way to prevent that. With their effort the blood feud and revenge were changed by material compensation. The law was firmly established among Ossetians, though some of them never accepted it.

Conflict issues (human wounding, mutilation, theft of property, woman abduction, arson and so forth) were considered by the trusted intermediaries - the mediator institute. In selection of the intermediaries the both conflicting parties took part. All the legal issues were considered with participation of kin groups of the conflicting parties and not without them. The "blood price" was determined and the price payment guaranteed reconciliation and further peace of two conflicting genera.

When the conflicting parties reached the agreement on reconciliation the trial was held on a neutral territory in the open air outside the village. It was the matter of mutual agreement to select the intermediaries and to determine their number. The offended party was allowed to select one more judge. The following three methods were used to establish the truth: confirmation of the facts; eyewitness testimony; oath confirmation.

The amount of "blood price" depended on the type of murder, weapon, brutality; the social status of the murdered was also taken into consideration. Mediators paid attention to the payment process and the agreed time of payment. Refusal of payment was considered to be a shameful behavior and used to be the subject of criticism in the community.

Payment of the material compensation was difficult for the family of the murderer. Therefore, a composite system of payment was used distributing the compensation amount among the blood-relatives according to their close and remote kinship. Such a composite system was used for receiving the "blood price" – the received compensation was distributed among the relatives in the same order.

Thus, in the traditional law the liability was imposed on the kin groups for every moment of behavior of each member. The means of punishment was material compensation.

მალხაზ აბდუშელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ფიზიკური ანთროპოლოგიის ფუძემდებელს, აკადემიკოს მალხაზ აბდუშელიშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

მალხაზ აბდუშელიშვილი დაიბადა 1926 წლის 28 თებერვალს თბილისში, მამა – გრიგოლ აბდუშელიშვილი ექიმი იყო. დედა - ფსიქოლოგი. 1945 წელს დაამთავრა მე-18 საშუალო სკოლა, რომელიც ვერაზე მდებარეობდა დღევანდელი ფილარმონიის პირდაპირ. იმავე წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში ანთროპოლოგიის განხრით. მას წილად ხვდა დიდი მეცნიერების და პიროვნებების – ალექსანდრე ნათიშვილისა და გიორგი დებეცის მოწაფე ყოფილიყო. მას ეს ყოველთვის ახსოვდა და დიდ ძალას და შემართებას მატებდა. საკანდიდატო დისერტაცია მიუძღვნა სამთავროს სამაროვანს, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია საქართველოში (К палеоантропологии Самтаврского могильника /поздний бронзовый и собственно железный периоды. Автореферат на соискание ученой степени кандидата биологических наук. М., МГУ, 1951).

50- ან წლებში იწყება ქართველების ანთროპოლოგიური შესწავლის ახალი ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია ალექსანდრე ნათიშვილისა და მალხაზ აბდუშელიშვილის სახელებთან. პირველივე საველე სეზონში შესწავლილი იყო 15 ეთნოტერიტორიული ჯგუფი კვლევის შედეგად გამოაქვს დასკვნა, რომ ქართველები სომხებთან, ასირიელებთან და მცირეაზიელ ბერძნებთან წინააზიური ჯგუფების შემადგენლობაში შედიან (ნათიშვილი, აბდუშელიშვილი 1953, გვ. 21). 50 წლები მალხაზ აბდუშელიშვილის ცხოვრებაში იყო ძალიან აქტიური, საინტერესო პერიოდი, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი მის მეცნიერულ მოღვაწეობას. მოკლე დროში ერთიანი პროგრამის საფუძველზე, რომელიც შეთანხმებული იყო გიორგი დებეცთან, შესწავლილი იქნა კავკასიის 118 ეთნოტერიტორიული ჯგუფი. ამ დროს კავკასიაში მუშაობდა კიდევ ერთი ჯგუფი დადესტანსა და აზერბაიჯანში, რომელსაც გ. დებეცი ხელმძღვანელობდა. საქართველო და დანარჩენი კავკასია მთლიანად მალხაზ აბდუშელიშვილის (კეფალოსკოპია) და გივი ჯანბერიძის (კეფალომეტრია) შესწავლილია. ეს მასალები კავკასიის ხალხთა ორიგინალური კლასიფიკაციის საფუძველი გახდა, რაც განხილული იყო მალხაზ აბდუშელიშვილის სადოქტორო დისერტაციაში (Антропология древнего и современного населения Грузии. Автореферат на соискание ученой степени доктора исторических наук. 1963) და ამავე სახელწოდების მონოგრაფიაში (Абдушелишвили, 1964). მალხაზ აბდუშელიშვილის სამეცნიერო ნაშრომებს შორის ორ ათეულზე მეტი მონოგრაფიული ხასიათისაა. მისი მოღვაწეობის ძირითად სფეროს წარმოადგენდა ეთნიკური, ისტორიული ანთროპოლოგია, როგორც თავად უწოდებდა, ანუ ქართველი ხალხის კავკასიისა და ინდოეთის ხალხების ანთროპოლოგიური ისტორია.

მ. აბდუშელიშვილი წარმატებით იკვლევდა როგორც ძველი, ისე თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებებს, რაც მას საკვლევი ხალხების, უძველესი დროიდან დღემდე წარმოშობისა და ჩამოყალიბების შესწავლის საშუალებას აძლევდა.

ბუნებრივია, რომ მ. აბდუშელიშვილის შრომების უმეტესობა ეხება საქართველოს მოსახლეობას. საქართველოს უძველესი მოსახლეობისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან უნდა აღინიშნოს: “ანთროპოლოგიური მასალები საქართველოს უძველესი ისტორიისათვის” (1975), “ანთროპოლოგიური მასალები საქართველოს ფეოდალური ხანის ისტო-

რიისათვის. სტატიები, რომლებიც ეხებოდა საქართველოს რიგ სამაროვნებს (სამთავროს, 1954, 1960; სიონის; ნოქალაქევის, 1981; ვანის ქვაბების და ა. შ.). ამ ნაშრომებმა პირველად შეგვიქმნეს წარმოდგენა საქართველოს ძველი მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპების თავისებურებებზე და მათ ანთროპოლოგიურ ურთიერთობებზე უახლოეს და შედარებით დაშორებულ მეზობლებთან, აგრეთვე დადგენილიყო საქართველოს ძველი და თანამედროვე მოსახლეობის ჩამოყალიბებისა და ფორმირების დინამიკა და ტრანსფორმაციის მიმართულება.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამთავროს სამაროვანს. ეს ის სამაროვანია, საიდანაც დაედო დასაბამი კრანიოლოგიურ კოლექციას საქართველოდან ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოს. ამ სამაროვანზე პირველად მოპოვებულმა მასალამ ცხადყო, რომ მოსახლეობა რომელიც იმარხებოდა სამთავროში, დიდი დროის მანძილზე (ბრინჯაოდან მოყოლებული ადრეული შუასაუკუნეების ჩათვლით) არ იყო ერთგვაროვანი. გამოყოფილი იყო სამთავროს პირველი და სამთავროს მეორე ვარიანტები (1954). ნაშრომში სამთავროს მეორე ვარიანტის არსებობა მ. აბდუშელიშვილის აზრით, არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ეპოქალური ტრანსფორმაციის შედეგი. მან ორივე სამთავროს ვარიანტი მიაკუთვნა ევროპეიდულ რასას: პირველი – ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირულ შტოს, მეორე – სახეშეცვლილ “ევრო-აფრიკულ” ტიპს, რომელსაც ახასიათებს ზოგიერთი პროტო-ევროპეიდული ტიპისადმი დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ ამავე დროს, ალგეოლიალური პროგნოტიზმი არ ახასიათებს. მიუხედავად ვარიანტებს შორის აშკარა განსხვავებისა, ვარაუდობდა ამ ტიპების მქონე მოსახლეობას შორის მჭიდრო კავშირს ენოლითისა და უფრო ადრინდელ დროში.

არანაკლები მნიშვნელობისაა სხვა სამაროვნებიდან მოპოვებულ მასალებზე დაწერილი სტატიები თუ მონოგრაფიები. მაგალითად, სტატიაში დიდმის სამაროვანზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალების შესახებ (ბრინჯაოს ხანის I ეტაპი, ძვ.წ XIV ს.), გვიან ბრინჯაოს II ეტაპი (ძვ.წ. XIII-XII სს), ბრინჯაოდან რკინაზე (ძვ. წ. Xს.), რკინის ფართო ათვისების ხანა (ძვ.წ. IX-VII სს.), ადრეფეოდალური (IV-VI სს.). იგი წერს: “ახალი მასალების შესწავლამ გაზარდა მსგავსი ანთროპოლოგიური ტიპების არეალი არა მარტო დროში, არამედ სივრცეში: ეს უკვე გარკვეულ საფუძელს გვიქმნის, დაუშვათ მცხეთასა და დიდმის ველის უძველესი მოსახლეობის უშუალო გენეტიკური ურთიერთდამოკიდებულება გვიანი ბრინჯაოდან ადრეფეოდალურ ხანამდე“. ადრეფეოდალური ხანის ანთროპოლოგიური მასალები უკვე სრულიად გარკვევით ამჟღავნებენ მსგავსებას როგორც დიდმის ადრეულ სერიებთან, ისე სამთავროს სინქრონულ სერიებთან, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლეობის უწყვეტი თანმიმდევრობის მაჩვენებელია”. და ასკვნის: “დამოწმებულია ანთროპოლოგიური ტიპების გენეტიკური კავშირების ურთულესი მექანიზმი სივრცესა და დროში” (1954)

ელინისტური ხანის ანთროპოლოგიურმა მასალებმა ნოქალაქევიდან (სენაკის რ-ნი) მ. აბდუშელიშვილს საშუალება მისცა ადრე მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებული ანთროპოლოგიური ტიპის გავრცელების არეალი გაეფართოვებინა. აგრეთვე დადასტურდა, რომ ელინისტური ხანის მოსახლეობა საქართველოში ეკუთვნოდა ხმელთაშუაზღვისპირულ რასობრივ ტიპს და რომ ამ ტიპის პარალელების ძიებას სივრცეში, პირველ რიგში, მიუყავართ დასავლეთისა და სამხრეთისაკენ და არა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ (გვ. 217).

საქართველოს უძველესი მოსახლეობის ანთროპოლოგიური ისტორიის შესწავლამ მ. აბდუშელიშვილი მიიყვანა კავკასიის მოსახლეობის ასეთივე დეტალური შესწავლის აუცილებლობამდე. კავკასიის ძველი მოსახლეობის ანთროპოლოგიას მიეძღვნა მონოგრაფიები: “კავკასიის ძველი და თანამედროვე მოსახლეობის კრანიოლოგიისათვის” (1966), “კავკასიის მოსახლეობა ელინისტურ ხანაში” (1987). ამ ნაშრომებში პირველად დადგინდა უდიდესი სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე ფაქტი კავკასიის ტერიტორიაზე ძველი და თანამედროვე მოსახლეობის ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ. მან აგრეთვე გამოთქვა მნიშვნელოვანი დებულება იმის შესახებ, რომ პალეოანთროპოლოგიური ტიპების მორფოლოგიური სიახლოვე მატულობს მათი ქრონოლოგიური ასაკის მატებას-

თან ერთად, რაც თავის მხრივ მანიშნებელია იმისა, რომ ადგილობრივ პოპულაციებს შორის მსგავსება პირველადია, ხოლო დიფერენციაცია მათ შორის – მეორადი, ჩამოყალიბებული მოგვიანებით, ისტორიის შემდგომ პერიოდში.

შრომების მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენენ საქართველოს, კავკასიისა და ინდოეთის თანამედროვე მოსახლეობის შესწავლისადმი მიძღვნილი გამოკვლევები. უშუალოდ მ. აბდუშელიშვილის მიერ არიან გამოკვლეულნი: ქართველები (63 ჯგუფი), სომხები (17), ადიღეელები (5) აბაზები (2), ჩერქეზები (2), ყაბარდოელები (4), ოსები (4), აფხაზები (3), ებრაელები (3), ბერძნები (2), რუსები (2), ასურელები (2), ქურთები (1), ქისტები (1), აზერბაიჯანელები, ყარაჩაელები (1), ბალყარელები (1), ჩეჩნები (1), ინგუშები (1), ნოღაელები (1), ესტონელები (1) და აგრეთვე ინდოეთის მოსახლეობის 46 ეთნოგამური (ენდოკასტური) ჯგუფი.

Необходимо отметить также, что у современного населения происходят отчетливые негативные сдвиги в характеристиках физической крепости организма - мышечной силе и т.д. (Година Е.З., 2010; Malina R., 2004). Имеются данные о снижении костной массы у детей под влиянием гиподинамии (Rietsch K. et al., 2013). Фактор физической активности всегда был одним из ведущих в формировании здорового организма ребенка. В современном обществе влияние этого фактора на рост и развитие детей становится еще более очевидным. Преобладающие в настоящее время тенденции к гиподинамии и гипокинезии, на наш взгляд, приводят к уже отмеченному выше избытку вариантов телосложения на верхнем и нижнем полюсах распределения массы тела и индекса массы тела. В связи с этим возникает необходимость дальнейшего изучения влияния двигательной активности и профессиональных занятий спортом на физические параметры населения.

Изучение морфофункциональных особенностей спортсменов различной специализации представляет значительный интерес с точки зрения спортивной науки. Знание специфических особенностей организма спортсмена составляет основу для спортивного отбора. С этой точки зрения, анализ секулярных изменений комплексов морфофункциональных показателей у спортсменов позволяет оценить их устойчивость.

Цель настоящего исследования состоит в том, чтобы выявить изменения морфологических показателей спортсменов во времени и рассмотреть эти изменения, если таковые обнаружатся, в контексте общей направленности секулярного тренда.

Материалы и методы.

В качестве материала использованы данные обследования спортсменов трех специализаций – борцов, конькобежцев и волейболистов. В 2006-2007 гг. обследовали борцов вольного стиля средней весовой категории высокой спортивной квалификации КМС и МС (Година Е.З., Коломейчук А.А., 2010); в 2011-2013 гг. – спортсменов конькобежцев КМС и МС (Godina E., Vobarykin N., 2013). Возраст обследованных составил от 18 до 25 лет. Данные по монгольским волейболисткам предоставлены Гундегмаа Лхагвасурэн (Гундегмаа Л., 2009).

Программа обследования включала следующие показатели: высота антропометрических точек над полом; поперечные размеры тела; обхватные размеры; толщина кожно-жировых складок; масса тела; с помощью биоимпедансометрии определяли состав тела; на основе проведенных измерений рассчитывали продольные размеры тела, индекс массы тела (ИМТ = вес (кг)/ длина тела² (м²) и ряд других индексов. Все измерения проводились по стандартной методике принятой в НИИ антропологии МГУ (Бунак, 1941). Полученные данные сравнивали с результатами обследования предыдущих лет по литературным данным. Статистический анализ полученных результатов проводился с помощью пакета «STATISTICA 6.0». Достоверность различий определялась по t-критерию Стьюдента.

Результаты.

Борцы. При сравнении проведенных измерений с литературными данными (Мартиросов Э.Г., 1968) выявлено, что при незначительном увеличении длины тела (170,0 и 170,5 см соответственно), у современных борцов несколько увеличилась длина корпуса и уменьшилась длина ноги (Таблица 1). Отмечается некоторое увеличение обхватных размеров, за исключением обхвата голени, а также существенное увеличение веса тела, толщины жировых складок и абсолютной жировой массы.

Для **конькобежцев** (Табл. 1) выявлены следующие закономерности. При сравнении полученных данных с материалами прошлых лет (Гладышева А.А. с соавт., 1979) обнаружено существенное увеличение длины тела у современных спортсменов при одновременном увеличении длины ноги и уменьшении длины корпуса, уменьшение обхватных показателей, некоторое снижение веса тела и ИМТ.

Практически такие же результаты получены и для волейболисток. Как видно из Таблицы 2, у девушек волейболисток за последние пять лет значительно увеличилась длина тела (на 2,1 см), вес тела (на 3,7 кг) и несколько снизились значения обхвата груди (на 1,6 см) ($p < 0,001$). По индексу массы тела достоверных различий не обнаружено, хотя у волейболисток 2013 г. значение данного признака чуть больше (на 0,71 кг/м²), чем у девушек, обследованных ранее.

Таблица 1. Средние значения некоторых антропометрических признаков у борцов вольного стиля средней весовой категории и конькобежцев, обследованных в разные годы

Год обследования	Борцы		Конькобежцы	
	1968	2007	1979	2012
Признаки				
Длина тела, см	170,0	170,5	174,2*	177,7*
Длина корпуса, см	78,7	79,1	57,1*	54,0*
Длина ноги, см	92,4	91,3	90,5*	94,3*
Диаметр плеч, см	40,1	40,3	39,6	39,4
Диаметр таза, см	27,5	27,6	28,0	27,4
Обхват груди, см	96,4*	97,9*	89,5*	86,2*
Обхват плеча, см	32,4	33,8	31,3	30,4
Обхват бедра, см	57,3*	55,4*	57,9	56,1
Обхват голени, см	38,7	35,4	37,7	36,3
Жировая складка спины, мм	4,2*	8,9*	-	-
Жировая складка	4,0*	7,8*	-	-

	Борцы		Конькобежцы	
живота, мм				
Вес, кг	75,2	77,5	71,8	70,8
ИМТ, кг/м ²	26,3	26,5	23,7	22,4
Жировая масса, кг	7,9*	10,7*	6,2	6,9
Кистевая динамометрия (кг)	-	-	56,9*	40,6*

* – статистически достоверные различия ($p < 0,05$).

Таблица 2. Основные статистические параметры тотальных размеров тела волейболисток сборной команды Монголии, обследованных в разные годы

Год обследования	Длина тела (см)		Масса тела (кг)		Обхват груди (см)		ИМТ (кг/м ²)		Обхват груди/длина тела, %	
	X	S	X	S	X	S	X	S	X	S
2008	173,4	8,1	63,8	4,4	87,5	4,6	21,2	2,1	50,1	6,1
2013	175,5	5,4	67,5	9,8	85,9	5,3	21,9	2,5	48,6	5,3

Обсуждение результатов.

Как показывают результаты исследования, у изученных групп спортсменов выявлены противоположно направленные векторы секулярной изменчивости: если для борцов характерна тенденция к увеличению веса, обхватных размеров и показателей жировотложения при стабильном росте, то для представителей конькобежного спорта и волейболисток отмечено увеличение длины тела и снижение обхватных показателей, что в целом свидетельствует о тенденции к астенизации телосложения спортсменов. Таким образом, секулярные сдвиги в полной мере отражаются в изменении формы тела, как это отмечал Б.Богин (Bogin B., 1999).

Не менее интересны изменения в пропорциях тела. У спортсменов конькобежцев наблюдаются традиционные для секулярного тренда сдвиги, выражающиеся в увеличении длины ноги и укорочении длины корпуса (Bogin B., Varela Silva M.I.O., 2010). У борцов эти соотношения прямо противоположны: у современных спортсменов отмечено некоторое укорочение ноги и удлинение корпуса. Это подтверждает уже известные выводы об относительной коротконогости борцов (Мартыросов, 1968; Лутовинова и др., 1964). Такое строение представляется целесообразным для понижения общего центра тяжести, что в свою очередь ведет к большей устойчивости борцов.

Измерения жировых складок, проведенные с интервалом в несколько десятилетий, демонстрируют их достоверное увеличение у борцов, равно как и увеличение жирового компонента в целом. У конькобежцев абсолютная жировая масса также несколько увеличена, хотя и недостоверно. Можно заключить, что эти изменения лежат в русле глобальных тенденций, характерных для большей части современного человечества (Johnston F.E., 2002).

Изменения некоторых функциональных показателей, в частности, силы кистей рук, также согласуются с общими тенденциями, характерными для современного человечества (Malina R., 2004).

Заключение.

Таким образом, полученные данные свидетельствуют, с одной стороны, о широком распространении общих закономерностей, регулирующих морфологическую структуру современного населения, а с другой, - об устойчивости морфотипа спортсменов и усилении тенденций, связанных со спортивным отбором.

Библиография

- Бунак В.В. Антропометрия. М., 1941.
- Гладышева А.А., Подарь Г.К., Пушкин А.В., Данилов В.С. Особенности строения тела конькобежцев // Конькобежный спорт. Вып. первый, 1979. - С. 45–46.
- Година Е.З. Некоторые проблемы современной ауКСологии человека и пути их решения (по материалам исследований НИИ и Музея антропологии МГУ). // Вестник Московского университета. Серия XXIII. Антропология, 2010, №3 – С. 4-15
- Година Е.З. Секулярный тренд: итоги и перспективы.// Физиология человека, 2009, № 6. - С. 128–135
- Година Е.З., Коломейчук А.А. Новые исследования по спортивной морфологии борцов. // Сборник трудов ученых РГУФКСИТ. Материалы научной конференции профессорско-преподавательского и научного состава РГУФКСИТ (Москва, 24-26 февраля 2010 года). Москва, 2010. - С. 14-19.
- Гундэгмаа Л. Сравнительный анализ высоты прыжков монгольских студентов-волейболистов и зарубежных ровесников из стран Азии в зависимости от длины и массы тела // Теория и практика физической культуры, 2009, №2 - С. 61–64.
- Лутовинова Н. Ю., Уткина М. И., Чтецов В. П. Морфологическая характеристика некоторых групп спортсменов // Международный конгресс. - М., 1964. – с. 32 – 35.
- Мартыросов Э.Г. Морфофункциональная организация и спортивные достижения борцов высокой квалификации: Автореф. дис. ...канд. пед. наук. - М., 1968. - 22 с.
- Bogin V.A., Varela Silva M.I.O. Leg Length, Body Proportion, and Health: A Review with a Note on Beauty // International J. Environmental Research and Public Health, 2010. 7(3). - P. 1047–1075
- Bogin, V.A. 1999. Patterns of Human Growth. 2nd ed. Cambridge: Cambridge Univ. Press.
- Godina, E., Bobarykin, N. Secular trend in anthropometric measurements of athletes specializing in speed skating. // Book of Abstracts. 18th annual Congress of the ECSS, 26th - 29th June 2013, Barcelona – Spain. P. 389-390.
- Godina E.Z., Khomyakova I.A., Zadorozhnaya L.V. Secular changes in body dimensions and sexual maturation in children of Arkhangelsk city. // Anthropol. Anz. J. Biol. Clin. Anthropol., 2016 – 73 – P. 45–59
- Johnston, F.E. Social and economic influences on growth and secular trends. // Human Growth and Development , Ed. N. Cameron. Amsterdam, London, New York, Oxford, Paris, Tokyo, Boston, San Diego, San Francisco, Singapore, Sydney: Academic Press, 2002. – P. 197-212.
- Malina R.M. Secular trends in growth, maturation and physical performance: A review // Przegląd Antropologiczny – Anthropol. Review, 2004. Vol. 67. P. 3–31.
- Rietsch K., Godina E., Scheffler Ch. Decreased external skeletal robustness in schoolchildren - A global trend Ten year comparison of Russian and German data. // PLOS ONE/ www.plosone.org : 2013, vol. 8, Issue 7, e68195

Godina E.Z.

SECULAR TREND AND CHANGES OF BODY DIMENSIONS IN ATHLETES ***Institute and Museum of Anthropology, Lomonosov Moscow State University, Moscow, Russia***

BACKGROUND. Studies of secular changes in different populations remain one of the most important subject in human biology. Manifestations of a secular trend include changes in growth characteristics at different stages of ontogenesis, changes in body proportions, a tendency towards early onset of sexual maturation, and also changes in adult characteristics, such as final height and the time when it is being reached. While a lot of data is known for general populations, not many studies deal with the same subject for professional athletes.

AIM/OBJECTIVE: The aim of the present research is to study morphological characteristics of modern athletes and to compare them with similar parameters of athletes in previous generations.

MATERIALS AND METHODS. Athletes of several kinds of sports were investigated: freestyle wrestlers (middle weight class), skaters, volleyball players and fencers. The survey was conducted in accordance with bioethical procedure. The program included about 30 anthropometric characteristics measured according to the standard protocol (Bunak, 1941); evaluation of body mass components; calculation of several indices, including body mass index. Statistical analysis was performed with the Statistica 6.0 software. Obtained data were compared with those of the previous observations.

RESULTS demonstrate that in the groups of investigated athletes different vectors of secular changes were found. Thus, for free style wrestlers it was shown that for 50 years their average height did not change, while weight, body circumferences and fat mass increased. There were noticeable changes in body proportions: the trunk length increased in modern sportsmen and the leg length decreased.

Among skaters, volleyball players and fencers increase in height was noticed as well as the decrease in body circumferences, which may serve as an evidence of more leptosomic body build. In other words, secular changes are reflected not only in the values of body dimensions but also in body proportions and body shape.

CONCLUSIONS. It may be concluded that some of the demonstrated changes go in the same direction as in general population while other changes, like the trend towards shorter legs in modern wrestlers, could be connected with their typical morphological structure and adaptation to specific sports activity.

Key words: physical anthropology, secular trend, body dimensions, sports selection, **athletes**

6. ჩირგაძე, ლ. ნებიერიძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივ.ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო
nino.chirgadze@hotmail.com*

**სამედიცინო ანთროპოლოგიური კვლევის შედეგები ბავშვთა
დაავადებათა მკურნალობის ხალხური მეთოდების მაგალითზე**

ტრადიციული სამედიცინო სისტემა შეიძლება დაიყოს გარკვეულ დისციპლინებად: დაავადებათა ეტიოლოგია, მეანობა, გინეკოლოგია, თერაპია, ქირურგია, პედიატრია.

ჩვენი კვლევის ობიექტი ამჯერად ხალხური პედიატრია ანუ ბავშვთა და ბავშვებში გავრცელებულ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის ტრადიციებია, რომელსაც წარმოვადგენთ სამცხე-ჯავახეთისა და იმერეთის მაგალითზე.

ყოველი საზოგადოება ზრუნავს ჯანსაღი თაობის აღზრდაზე. საქართველოში ბავშვის მომავალზე ზრუნვა იწყებოდა ჯერ კიდევ საქორწინო წყვილთა შერჩევის დროს, ვგულისხმობთ ე.წ. გაკითხვის წესს. ეს წესი როგორც მთელ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთსა და იმერეთშიც ფართოდ იყო გავრცელებული და გულისხმობდა დასაქორწინებელი ქალ-ვაჟის ჯიშ-ჯილაგის ე.წ. წინაპართა ჯანმრთელობის შემოწმებას გამოკითხვით. ქალის “შეგულებისა“ და შეთვლიერების შემდეგ, იწყებდნენ მისი წინაპრების ჯანმრთელობის შემოწმებას. საქართველოს ყველა კუთხეში დიდი ყურადღება ექცეოდა როგორც ქალის, ისე ვაჟის ჯიშ-ჯილაგიანობის გარკვევას. აღნიშნულის შესწავლით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ვაჟის ოჯახი, რადგან მას კარგი ჯიშ-ჯილაგის მქონე ქალის რძლად მოყვანა როგორც ჯანსაღი თაობის მიღებისათვის, ისე სახელისათვის ჭირდებოდა (იველაშვილი: 1999: 38).

ჯანმრთელი ბავშვის დაბადებამდე ზრუნვით იყო განპირობებული მრავალი წესი, რომელსაც ქალი ფეხმძიმობამდე და ფეხმძიმობის დროს იცავდა. ახალგათხოვილ ქალს განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ. იგი არ უნდა გაციებულიყო, ფიზიკურად არ გადატვირთულიყო, უნდა დაეცვა გარკვეული დიეტა და ა.შ.

ბავშვის დაბადებისა და ჩვილობის პერიოდში განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭებოდა ბებიაქალს: იგი, გარდა იმისა, რომ ქალს ამშობიარებდა, ორმოცი დღის მანძილზე მას ესმარებოდა ბავშვის მოვლაში, ერთდროულად ასრულებდა როგორც მედიის, ექთნის, ისე //მიკროპედიატრის// ფუნქციას. იგი ასწავლიდა ახალბედა დედას ბავშვის მოვლის ტრადიციულ წესებს, აძლევდა რჩევებს, თავად უწვლიდა ახალშობილს, ბანდა, უცვლიდა საფენებს და სხვ. მის მოვალეობას წარმოადგენდა აგრეთვე, ახალშობილის მორიდება გარეშეებისაგან, რაც რა თქმა უნდა, ჩვილს გარე ინფექციებისგან იცავდა. როგორც ვთქვით, ხშირად ბებიაქალი მიკროპედიატრის ფუნქციასაც ითავსებდა, კერძოდ, ორმოც დღემდე და შემდეგაც, მის მოვალეობას წარმოადგენდა ბავშვის ავადმყოფობის დროს დიაგნოზის დასმა და მკურნალობა.

საყურადღებოა ახალშობილის ჰიგიენის დაცვის საშუალებანი. საკვლევი რეგიონებში ახალდაბადებულს ბებიაქალი ცივ წყალში “გაავლებდა“ და მარილს მოაყრიდა, იტყოდნენ, “მაგარი გამოვაო, ოფლიანი არ გამოვაო, სუნი არ ექნებაო, ძვლები გაუმაგრდებაო, მაგარი კბილები ექნებაო“. დაბადების მეორე დღიდან ბებია ბავშვს შაბით ან კვერცხის გულით განზავებულ წყალში აბანავებდა. დასაბანად ხმარობდნენ აგრეთვე სხვადასხვა მცენარის ნახარშს ან ნაყენს. ყველა ეს საშუალება ბავშვის ორგანიზმს ამაგრებდა და დამამაშვიდებლად მოქმედებდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბავშვის დედის რძით კვების თავისუფალი რეჟიმი. საკვლევი რეგიონებში ჩვილი ბავშვის ძირითად საზრდოს დედის რძე წარმოადგენდა, რომლითაც ის დაახლოებით ორ წლამდე იკვებებოდა. ბავშვს ძუძუს აწოვებდნენ დღეში რამდენჯერმე. დედის რძე ბავშვისათვის საუკეთესო საკვებად ითვლებოდა, იგივეს ვკითხულობთ ძველ სამედიცინო წიგნებში, მაგ., “...ყოვლისა კაცისაგან მისისა დედისა სძე უკეთ შეერგების ყრმასა...“ (წიგნი სააქიმო: 1936: 37).

საკვლევე რეგიონებში მოწმდება დაავადებათა კლასიფიცირება, რაც ითვალისწინებდა სნეულებათა ასაკობრივ კლასიფიკაციასაც, ანუ შეიძლება ცალკე “სპეციალობად” იქნას გამოყოფილი ბავშვთა დაავადებათა ხალხური მკურნალობის სისტემა, რაც აერთიანებს ბავშვებში გავრცელებულ დაავადებათა ხალხურ ეტიოლოგიას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას.

მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ჩანს, რომ მოსახლეობა განასხვავებდა უშუალოდ საბავშვო და ბავშვებში მეტად გავრცელებულ სნეულებებს. ამ უკანასკნელში აერთიანებდა - კანის, კუჭ-ნაწლავის, ყელ-ყურ-ცხვირის და სხვა სნეულებათა ბავშვებში გავრცელებულ ფორმებს. ხოლო საბავშვო სნეულებებში გულისხმობდა ბავშვებისათვის დამახასიათებელ სნეულებებს: “საყმაწვილოს“, რომელიც, იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში, როგორც ჩანს, ბავშვობის ასაკში გამოვლენილ სპეციფიკურ დაავადებათა (სპაზმოფილია, ეპილეფსია), თუ ამ დაავადებათა ზოგიერთი ფორმის კრებითი სახელია; რაქიტს, რომელიც იმერეთში ტერმინებით “ნაღობრადა“, “სიმჭლის სენი“(ნებიერიძე: 2006: 137), ხოლო სამცხე-ჯავახეთში “დაქელვა“ აღინიშნებოდა (ჩირგაძე: 2010: 62-63).

რაც შეეხება ბავშვებში გავრცელებულ კანის, კუჭ-ნაწლავის, ყელ-ყურ-ცხვირისა და სხვა სნეულებებს საკვლევე მოსახლეობაში ძირითადად ბუნებრივი საშუალებებით მკურნალობდნენ. გამოიყენებოდა სხვადასხვა მცენარეული, ცხოველური თუ ცხიმოვანი საშუალებები. ასე მაგალითად, სამკურნალო მცენარეებიდან ცნობილი იყო პიტნა [Mentha arvensis], ანწლი [Sambucus ebulus], მოცივი [Vaccinium murtillus], მარმიჭი [Vaccinium murtillus], მრავალძარღვა [Plantago major] და ა.შ. კანის დაავადებათა შემთხვევაში იყენებდნენ სხვადასხვა შემადგენლობის მალამოებს...

სამცხე-ჯავახეთსა და იმერეთში ბავშვთა დაავადებებში ხშირად დიფტერიას - “ხუნავსაც“ აერთიანებდნენ. ეს დაავადება დიდ ზიანს აყენებდა ბავშვებს და მას ხშირად სიკვდილიც მოსდევდა.

ხალხური დაკვირვებით, “ხუნავს“ ახასიათებდა ტემპერატურის მომატება, ყელის ძლიერი ტკივილი და დაჩირქება. “ხუნავი ცუდი ავადობაა, დაჩირქება იცის, ყელი შეიძლება გაეხვიტოს, ძნელად იბრუნებს, ბავშვი ვერ ისუნთქებს“ - გადმოგვცემს მთხრობელი (ჩირგაძე: 1988: 23).

ხუნავის სამკურნალოდ სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ. ეფექტური იყო ყელზე თბილი კომპრესების დადება. კომპრესებს შემდეგნაირად აკეთებდნენ, მაგ., სამცხე-ჯავახეთში გამოთბარ ერბოს ან “ბაქმაზს“ (თუთის სქლად მოღვლებული წვენი) თუთის ტყლაპზე წაუსვამდნენ ან დაშაქრულ დედის რძეს წაუსვამდნენ მატყლზე, ბავშვს შემოადებდნენ და შეუხვევდნენ. ყელზე შემოსადებად ხმარობდნენ აგრეთვე შაქარმოყრილ მოხარშულ თბილ ღვალს [Rumex alpinus]. იმერეთში კომპრესად იყენებდნენ ტყემლის ტყლაპს, კომბოსტოს [Brassica] ფოთოლს, არყიან ტილოს, ცხენის რძეს... თუ ბავშვს “სასა გადაეკეტებოდა“, სუნთქვა ეკვროდა, რაც ხშირად ბავშვის დაღუპვას მოასწავებდა, მაშინ იმერეთში აუცილებლად მიაჩნდათ ოპერაციული ჩარევა, მოიყვანდნენ სოფლის დალაქს, რომელიც უბრალო მაკრატელს ან ლანცეტის მაგვარ პატარა დანას - ნესტარს წინასწარ არყით დაამუშავებდა, პატარა ენასა და შეშუპებულ გლანდებს დაუსერავდა ავადმყოფს და ამით შვეებას აძლევდა (ნებიერიძე: 2004: 61).

საყმაწვილო, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ბავშვთა დაავადებათა კატეგორიას განეკუთვნება. საყმაწვილო ხალხური განმარტებით, არის ავადმყოფობა, რომელიც ემართებათ ჩვილი ასაკიდან უმეტესად 7-8 წლამდე. გავრცელებული იყო უფრო თეთრ ბავშვებში. საყმაწვილოს გამომწვევ მიზეზად აღნიშნულ რეგიონებში მიაჩნდათ “ავი სული“- “ავი ქარი“ და “ცუდი“, “გლახა“ - “ემმაკების ჰაერი“. ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი იყო: სიცხე, უმადობა, სიგამხდრე, გამონაყარი, სიღურჯე, კრუნჩხვები, “თვალების გამრუდება“ (სიელმე).

თანამედროვე სამედიცინო მონაცემების მიხედვით, საყმაწვილო ტუბერკულოზის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა ბავშვებში (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: 1986). საყმაწვილოს ახასიათებს ორგანიზმის კვების მოშლა და მიდრეკილება სხვადასხვა

ორგანოს ქრონიკული ანთებებისადმი. გამოწვეულია აგრეთვე, ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობის შედეგად, მაღალი ტემპერატურის დროს ახასიათებს კრუნჩხვები.

პროფილაქტიკის მიზნით საყვავილოსაგან დასაცავად საკვლევ რეგიონებში განსაკუთრებით თეთრ ბავშვებს აძლევდნენ კატაპარიას [Valeriana officinalis] ნაყენს. დასტურდება შელოცვებით მკურნალობა, რაც განსაკუთრებით ეფექტური იყო წამლებით მკურნალობის ფონზე. კომპლექსური მკურნალობა, სადაც გათვალისწინებული იყო დამამშვიდებელი (კატაპარია) და სხვა სახის მცენარეებითა თუ მინარაღური ნივთიერებებით მკურნალობა, გულისხმობდა ფსიქოთერაპიულ ზემოქმედებასაც, რაც დადებითად მოქმედებდა საყვავილოს შემთხვევაში.

საკვლევ რეგიონებში ყველაზე მეტად გავრცელებულ და საშიშ დაავადებებს ბავშვთა ინფექციური სნეულებანი ე.წ. “სახადები“ წარმოადგენდა, რომელთაც “ბატონებს“, იშვითად “ანგელოზებს“ უწოდებდნენ. ბატონები, ხალხური გადმოცემით, 7 სნეულებას აერთიანებდა: ყვავილს, წითელას, ქუნთრუმას, ყვიანახველას, ყბაყურას, ჩუტყვავილას, წითურას.

ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული უნდა ყოფილიყო ყვავილი, წითელა, ყვიანახველა, და რადგან სწორედ ამ დაავადებებიდან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები უფრო გვხვდება საქართველოში და უფრო მრავალფეროვანია. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ შესაძლებელია მსგავსი სიმპტომების გამო ყვავილი და ჩუტყვავილა, ასევე წითელა და წითურა, უწინ ერთი კატეგორიის დაავადებებად განიხილებოდა და მათთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებიც მსგავსი იყო.

სახადებთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთსა და იმერეთში ისევე, როგორც მთელ საქართველოში მდიდარი რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებებია დადასტურებული, რაც ამ დაავადებათა განსაკუთრებული ბუნებითა და ხასიათით იყო განპირობებული.

აღნიშნული რეგიონების მოსახლეობისათვის კარგად იყო ცნობილი ზემოაღნიშნულ დაავადებათა ძირითადი თვისება - ორგანიზმისათვის იმუნიტეტის გამომუშავების უნარი, რაზედაც მიუთითებს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოწოდებული მასალა, ასევე ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა აღმნიშვნელი ერთ-ერთი ტერმინი - სახადი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის სამცხე-ჯავახეთსა და იმერეთშიც გვხვდება.

საკვლევმა მოსახლეობამ საუკუნეების მანძილზე ემპირიული დაკვირვების შედეგად საკმაოდ მდიდარი ცოდნა დააგროვა აღნიშნულ დაავადებათა შესახებ და ამ ცოდნაზე დაყრდნობით, მათი გავრცელების წინააღმდეგ თუ მკურნალობის მიზნით, სხვადასხვა რაციონალურ ზომებს მიმართავდა.

სამცხე-ჯავახეთში მოპოვებული მონაცემებით, ბატონები “ღმერთის კარზე“ ცხოვრობდნენ, ისინი ღვთისგან იყვნენ გამოგზავნილები. ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა დამართოდა სახადი და ამით ღმერთის წინაშე ვალი მოეხადა. ამ ბოლო ხანებში იმერეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალითაც ბატონები ღვთიურ სნეულებებად მიაჩნდათ. ისინი საპატიო სტუმრები იყვნენ, რომელთა მოსვლასაც სიხარულით უნდა შეგებებოდნენ.

ყველაზე მძიმე დაავადებად მიჩნეული იყო ყვავილი. საყურადღებოა, რომ სამცხე-ჯავახეთში ამსახველი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ყვავილის საწინააღმდეგო აცრას ხარისხირაშილების გვარის წარმომადგენლებიც აკეთებდნენ. დაავადებული ხარის ან ძროხის გამონაყარიდან გამოიღებდნენ შიგთავსს დანით, იმავე დანით ბავშვს ცერსა და საჩვენებელ თითს შუა კანს ჯვრის ფორმით გაუსერავდნენ. აცრის ჩატარების შემთხვევაში ყვავილი არ უნდა შეხვედროდა, თუ შეხვდებოდა მსუბუქად უნდა მოეხადა. ცნობილი იყო გვარამაძეების, ლომაძეების, ხმალაძეების გვარებიც, რომლებიც აღნიშნულ პრაქტიკას ეწეოდნენ (ჩირგაძე: 2010: 80-81).

აღნიშნულ რეგიონებში სახადებით დაავადებულთა მოვლის საინტერესო წესები არსებობს, რომლებიც ერმანეთისგან არ განსხვავდებოდა. ავადმოფი ბავშვი იწვა სუფთა ოთახში, ის მშვიდად უნდა ყოფილიყო და მას დედა ან ბებია მოუვლიდა. მას ალერსიანად ექცეოდნენ, ცდილობდნენ მისი ყოველი სურვილის ასრულებას. ბავშვს არიდებდნენ

ხორციან, მლაშე, ცხარე საკვებს და მსუბუქი და ტკბილი საჭმლით კვებადნენ, ძირითადად რძის ნაწარმი. იკრძალებოდა გამონაყრის მოფხანა, მობანა და სხვა. ბავშვის ოთახი მორთული იყო ყვავილებით, წითელი ან სხვა ფერადი ჩითის ნაჭრებით. ოჯახში იკრძალებოდა ჩხუბი, ტირილი, ხმაური. ბატონებისა და ავადმყოფის გართობის მიზნით სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ. დაუკრავდნენ ჩონგურზე, ფანდურზე, იცეკვებდნენ და “ი-ავნანას“ იმღერებდნენ.

ხალხური პედიატრიის საკითხების განხილვამ იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ტრადიციული ქართული მედიცინის ბევრი საინტერესო მხარე წარმოაჩინა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული რეგიონების მოსახლეობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დაავადებათა პროფილაქტიკას. ჯანსაღი თაობის აღზრდაზე ზრუნვას ბავშვის დაბადებამდე იწყებდა.

საყურადღებოა, აგრეთვე, ის გარემოება, რომ ახალშობილის მოვლის ტრადიციული წეს-ჩვეულებები, უპირველეს-ყოვლისა, ჩვილის ჯანმრთელობაზე ზრუნვას ითვალისწინებდა, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბავშვის დედის რძით კვების თავისუფალი რეჟიმი, ჰიგიენის დაცვის საშუალებები (მარილის მოყრა, ცივ წყალში გავლება...), რაც ხელს უწყობდა ბავშვის საკვებით დაკმაყოფილებას, ნერვული სისტემის სიმშვიდეს და ორგანიზმის გაკაშვებას.

საკვლევ რეგიონებში, ტრადიციული მედიცინის, ისევე როგორც საერთოდ ქართული ხალხური მედიცინის მიღწევად უნდა ჩაითვალოს - დაავადებათა კლასიფიცირება, სხვადასხვა, ძირითადად თანამედროვე მედიცინაში აღიარებული პრონციპების საფუძველზე, რაც ითვალისწინებდა სწეულებათა ასაკობრივ კლასიფიკაციასაც.

მოსახლეობის სწორ დაკვირვებაზე მიგვანიშნებს ავადმყოფი ბავშვების მოვლის ტრადიციები ინფექციური დაავადებების ე.წ. სახადების დროს, რომელიც მშვიდ და სასიამოვნო გარემოს უქმნიდა ბავშვს; აგრეთვე წოლითი რეჟიმი, მსუბუქი დიეტა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამცხე-ჯავახეთში დადასტურებული ყვავილის აცრის ხალხური მეთოდის შესახებ, რაც ალბათ ამცირებდა ეპიდემიის გავრცელების რიცხვს (მინდაძე: 2000: 256-257).

ზემოთ მოტანილი მასალის საუძველზე ისიც ითქვას, რომ ბავშვებში გავრცელებულ სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობას მცენარეებით, ცხოველური თუ მინერალური ნივთიერებებით, დადებითი სამკურნალო ეფექტი ჰქონდა, რასაც განაპირობებდა მათი სამკურნალო თვისებები. ბევრი ხალხური საშუალება თანამედროვე მედიცინის მიერ აპრობირებულია და მიზანშეწონილად არის მიჩნეული.

ნერვული სისტემის გაღიზიანებით ცნობილი დაავადების საყმაწვილოს მაგიურ-რელიგიური საშუალებებით - შელოცვებითა და სხვადასხვა რიტუალებით მკურნალობის პრაქტიკა ავადმყოფზე დადებითად მოქმედებდა. ავადმყოფის სიმშვიდეს განაპირობებდა ასევე სახადით დაავადებული ბავშვის მოვლის ხალხური წესები.

სამცხე-ჯავახეთსა და იმერეთში დადასტურებული ბავშვთა დაავადებათა მკურნალობის ხალხური წესები, ავადმყოფის მოვლის ტრადიციები საინტერესოა გამოყენებითი სამედიცინო ანთროპოლოგიის თვალსაზრისით და სათანადო აპრობირების შემდეგ, საფუძველზე დასაშვებია დაინერგოს თანამედროვე მედიცინაში.

ლიტერატურა:

- იველაშვილი თ., საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში, თბ., 1999
- წიგნი სააქიმოი, თბ., 1936
- ნებიერიძე ლ., პედიატრიის ხალხური ტრადიციები (იმერეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 2006
- ჩირგაძე ნ., სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული კულტურა, თბ., 2010
- ჩირგაძე ნ., სამეცნიერო მივლინების მასალები, ახალციხის რაიონი, 1988
- ნებიერიძე ლ., სამეცნიერო მივლინების მასალები, ზესტაფონის რაიონი, 2004

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986
მინდაძე ნ., ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა, (სადოქტორო დისერტაცია),
თბ., 2000

N.Chirgadze, L.Nebieridze

*Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology of
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
nino_chirgadze@hotmail.com*

Results of medicinal anthropologic researches on the example of folk methods of pediatric diseases

Summary

Consideration of folk pediatric issues on the base of ethnographic data of Imereti and Samtskhe Javakheti revealed many interesting issues connected with traditional Georgian medicine.

First of all it should be stated that population of the above referred regions attributes great significance to prevention of diseases and care for healthy generation is started before a child is born.

It should be emphasized also that traditions and rituals of care for a newborn, first of all provided care of health of a newborn; with this is view. great significance was paid to feeding of a child with mother's milk in free regime; means for observance of hygienic rules (pouring of salt, washing/bathing in cold water...) which contributed to due nutrition of a child, calmness of nervous system and strengthening of a body.

In the regions under the study classification of diseases made mainly on the base of the principles acknowledged by modern medicine, which considered classification of diseases according to age too, should be considered the achievement of traditional medicine, and generally of Georgian folk-medicine.

Traditions of handling and care for ill children suffering from infectious diseases, e.g. diseases such as "obligatory" diseases, speak of adequate observations of the population, which used to create serene and pleasant environment, as well as bed-regime, light diet; Here we have to note folk method of vaccination for smallpox in Samtskhe Javakheti, which probably reduced number of victims of spreading of this epidemics.

On the base of the above stated we have to emphasize also that treatment of diseases spread in children by means of various herbs, animal or mineral substances, had positive effect and that it was conditioned by their therapeutic properties.

Many folk medicinal means are approved in modern medicine and are considered as expedient.

Practice of treatment of children suffering from nervous system irritation, scrofula, by religious means – exorcism and various rituals made positive effect on a sick person and soothedhim.

There were also folk traditions for care of children suffering from heavy diseases (plague) Folk traditions of treatment of pediatric diseases evidenced in Samtskhe-Javakheti and Imereti and traditions of handling and care of sick children are interesting with the applied medicinal anthropology point of view and it may well be that after corresponding approbation they will be inculcated in modern medicine.

ასტრო-ენათმეცნიერების საფუძვლები

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის იმ დროს უკვე კარგად ცნობილმა მეცნიერმა ინგლისელმა სერ ჯოზეფ ნორმან ლოკერმა წამოაყენა იდეა გამოეყენებინათ მზის გარშემო დედამიწის ბრუნვის სიბრტყის მიმართ დედამიწის ღერძის დახრის კუთხის ცვალებადობა ასტრონომიულად ორიენტირებული უძველესი ობიექტების (სტოუნხენჯი, “გოლანის სტოუნხენჯი“, პირამიდები და ა.შ.) დათარიღებისთვის, რადგან ღერძის ეს გადახრა დედამიწაზე მზის ამოსვლის წერტილის კუთხურ გადახრას იწვევდა. დედამიწაზე მზის ამოსვლის კუთხის ცვლა ნაგებობათა ორიენტირებას, ხანდახან კი მათ კორექტირებას განსაზღვრავდა. ნაგებობებს ისე აგებდა უძველესი ცივილიზაცია, რომ მზის (მისთვის სასურველი მნათობის) პირველი სხივი მთელი წლის განმავლობაში კარიბჭეში შემოსულიყო. ამდენადაც, იგივე კარიბჭის ორი უკიდურესი წერტილი განსაზღვრავდა ამ ნაგებობის საკრალური ადგილიდან მზის (მნათობის) “ხედვის კუთხეს“. ლოკერი “მიხვდა, რომ მიაგნო არა მხოლოდ ასტრონომიის ფესვებს, არამედ მათემატიკისასაც. არქეოლოგიური ძეგლების ასტრონომიულ ასპექტებში მან უკვე დაინახა წარსულის ინტელექტუალური სამყაროს ზღაპრული გასაღები, რასაც შეეძლო რელიგიის არსი და პირველისტორია გაეხსნა“ (ლარიჩევ, 1986).

არქეოლოგიამ ეს შედეგები არაერთმნიშვნელოვნად მიიღო. იდეასთან გაუცხოება თითქმის სამ ათეულზე მეტ წელს გაგრძელდა. დრომ დაადასტურა, რომ, როგორც პირამიდების, ისე სტოუნხენჯის შემთხვევაში ლოკერი მართალი აღმოჩნდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიძლია სკეპტიკოსთა წინააღმდეგობა და მეცნიერების მიმართულება, “ასტრო-არქეოლოგია“ ჩამოყალიბდა.

მზის ამოსვლის წერტილის დადგენაზე დამყარებულმა ამ იდეამ “უდიდეს აღმოჩენათა“ გვერდით დაიკავა ადგილი და უკვე შემდეგ, წარმატებით იქნა გამოყენებული არტურ პოზნანსკისა და როლფ მიულერის მიერ უძველეს საკულტო ნაგებობათა დათარიღების-თვის.

ასევე, სრულიად მოულოდნელად შეიქმნა საჭიროება ძველი ქართულის კვლევისთვის შექმნილიყო მეცნიერების ახალი დარგი, რომელსაც ასტრო-ენათმეცნიერება (ტერმინი ჩვენი შემოტანილია – ავტ.) შეიძლება ვუწოდოთ; რადგან ჰემატრიის მოხმარებული რიცხვული ინფორმაცია, რომელიც ძველი ქართულის შესაქმნას უმთავრესი მსოფლმხედველობრივ-სარწმუნოებრივი ლექსიკის მიღების-თვის გამოიყენებოდა, იგივე პრინციპით მოიპოვებოდა, როგორც ეს ასტრო-არქეოლოგიაში ხდება. იგი იმ კულტის შესატყვისი მნათობის პარამეტრების გაზომვით მიიღებოდა, რომელი კულტის თაყვანი-სცემაშიც მოიხმარებოდა. რადგან ცაზე მნათობთა სურათი (პარამეტრები) იცვლება და მისი ცვალებადობის “გრაფიკის“ დადგენა შესაძლებელია, ჩნდება შანსი ძველი ქართულის ამა თუ იმ სიტყვის შემოტანის პერიოდი ისევე დავათარილოთ, როგორც ამას ასტრო-არქეოლოგია აკეთებს. მეცნიერების დარგს, რომელიც სწავლობს უძველეს სარწმუნოებრივ ლექსიკაში დაფარულ მნათობთა რიცხვულ პარამეტრებს და მასზე დაყრდნობით ადგენს ამ სიტყვის შესაქმნის პერიოდს ასტრო-ენათმეცნიერება ვუწოდეთ.

უმთავრესი მნათობთა ამ პარამეტრებიდან, რომელმაც ეჭვმიუტანლად დაასაბუთა ქართული ჰემატრიაში რიცხვული ინფორმაციის მოპოვების საფუძველი, ისევე ასტრო-არქეოლოგიის მსგავსად დედამიწაზე მზის ნახევარ-წლიური გადახ-

რის კუთხეა (ასეთი კუთხური გადახრის ილუზია იქმნება მზეზე დედამიწიდან დაკვირვებისას).

მზის გადახრის კუთხის და წლიურად (ნახევარწლიურად) განვლილი გზის (რკალის) გრადუსული ზომა აჩენს, არა მხოლოდ ლექსიკის (პირველ რიგში კი, კალენდარული ქართული სიტყვების), არამედ ანბანის დათარიღების შანსს. ასე დიდია ასტრო-ენათმეცნიერების შესაძლებლობები და დიაპაზონი. სერ ნორმან ჯოზეფ ლოკერის დროს თუ წარმოდგენელი იყო, რომ ასტრონომიული ინფორმაცია საკულტო ნაგებობებისა თუ ტაძრის არქიტექტურაში იქნებოდა, დღეს ისიც წარმოდგენელია, რომ იგივე ინფორმაცია სიტყვებში, ქართულ კალენდარულ სიტყვებშია ჩადებული. ბუნებრივია, სამეტყველო ენა, ლექსიკა იცვლებოდა, მაგრამ ცვლილებები ნაკლებად ეხებოდა უმთავრეს მსოფლმხედველობრივ და სარწმუნოებრივ ლექსიკას. ეთნომეცნიერება სათუთად უგლიდა და უფროთხილდებოდა მას, ეს ხომ ღმერთების სახელები, მათი თაყვანისცემის ლექსიკა იყო!

ასტრო-ენათმეცნიერების რიცხვული მექანიზმი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ჰემატრია, ან მატერიალურ ძეგლში ამ ცოდნის არსებობა. და იგი ცვლის აქამდე არსებულ პირველისტორიას. მისი ნიშნები არის არაქართულ ჰემატრიებში, მაგ.: ებრაელთა ღმერთის – “იაღოვა“-ს რიცხვი პრეცესიის ტოლია, ან ბერძნული ანბანის სახელდება “ალფა“ მათი ქორონიკონების შესატყვისია (ეს ახ.წ.ად. 780 წელია), მაგრამ ასტრო-ინფორმაციას იმ სიღრმითა და ხარისხით, რაც ქართულშია ბადალი არ მოეპოვება. როგორც კვლევებმა აჩვენა, არქეოლოგიურ ძეგლებსა და ლექსიკაში ინფორმაცია ერთგვაროვანია, რაც ნიშნავს, რომ ეს ცოდნის დაფიქსირების პარალელური პროცესია. ე. ი. პირამიდას, სტოუნენჯსა და ძველი ქართულის მსოფლმხედველობრივად უმთავრეს ლექსიკაში გამოყენებულია ერთი და იგივე ასტრონომიული ინფორმაცია, ანუ თანამედროვე ასტრო-არქეოლოგიასა და ასტრო-ენათმეცნიერებას ერთი შემოქმედი ჰყავდა. სწორედ ამიტომ, რომ სამხრეთ კავკასიურ სივრცეში მიგნებულია არაერთი მეგალითური ნაგებობა, რომლებიც უძველეს ასტრონომიულ ფუნქციას ასრულებდნენ, მნათობებზე დაკვირვებისა და მათი პარამეტრების გაზომვაში გამოიყენებოდნენ. ეს საშუალებას გვაძლევს მივწვდეთ იბერიული რასის შორეულ ისტორიას და მასზე წარმოდგენა შევიქმნათ.

ზემონახსენები დედამიწაზე მზის კუთხური გადახრის ილუზიის ასტრონომიული მექანიზმი ასეთია:

დედამიწაზე მზის ამოსვლის წერტილი მოძრაობს რაღაც (გრადუსის, წრის ნაწილის) დიაპაზონზე, რკალზე და წლის განმავლობაში, ამ სვლაგებს სრულად ორჯერ გადის. იმ დროს კაცობრიობას მზის სხვა პარამეტრი, რომელიც ხსენებული ჰემატრიის ფარგლებში შეიძლება ყოფილიყო, ხელთ არ ჰქონდა. დედამიწიდან მზის ამოსვლის დღევანდელი ასტრონომიული სურათის ცვალებადობა წლის განმავლობაში ამგვარად წარმოგვიდგება: დეკემბრის ბოლოს, ზამთრის მზებუდობისას მზე დედამიწის ეკვატორიდან სამხრეთით – $23,5^{\circ}$ განედზეა და სამხრეთით მეტს აღარ გადაადგილდება. ამის შემდეგ იგი ეკვატორისკენ მოძრაობს. მარტის ბოლოს, გაზაფხულის ბუნიობისას იგი ეკვატორზე დგას, ზენიტშია, ანუ გადახრა 00 -ია. განაგრძობს რა, ჩრდილოეთისკენ მოძრაობას ივნისის ბოლოს, ზაფხულის მზებუდობისას, იგი ჩრდილო ნახევარსფეროს $23,5^{\circ}$ აღწევს. **ამრიგად, ნახევარ წელიწადში დეკემბრიდან ივნისამდე მზემ მთელი გადახრის დიაპაზონი გაიარა: $23,5^{\circ} + 23,5^{\circ} = 47^{\circ}$.** აქ მზე კოსმოსურ მარყუჟს კრავს და უკუმიიქცევა სამხრეთისკენ. სექტემბრის ბოლოს, შემოდგომის დღედამ-ტოლობა – ბუნიობისას, იგი ისევ ეკვატორზეა, ხოლო დეკემბრის ბოლოს სამხრეთ ნახევარსფეროს $23,5^{\circ}$ უწევს. **ე. ი. გა-**

დახრის დიაპაზონს წლის განმავლობაში ორჯერ გადის: $47^{\circ} + 47^{\circ} = 94^{\circ}$ (გასვიანი, 2006) „Наблюдаемое по мере смены времён года перемещение солнца с севера на юг и обратно обусловлено наклоном земной оси (вращение вокруг которой приводит к смене дня и ночи) относительно плоскости орбиты Земли (эклиптики), по которой она вращается вокруг Солнца. Наблюдателю с Земли кажется, что в этом небесном танце солнце совершает возвратно-поступательное движение (хотя на самом деле движется наша планета: при приближении к самой удалённой точке оно замедляется, останавливается и, как будто передумав, начинает движение в обратном направлении, затем пересекает небесный экватор, достигает противоположной дальней точки, останавливается и снова меняет направление“ (სიგნინ, 2006).

უძველესი ცივილიზაციის შესწავლისთვის ეს უმნიშვნელოვანესი ინფორმაციაა, რადგან იგი, ისე როგორც წინარექრისტიანული ქართული ცივილიზაცია, ამ ცოდნას ფლობდა და იყენებდა. ამ ასტრონომიულ ფაქტორზე უფრო მეტიც შეიძლება ითქვას. მზის ეკვატორიდან გადახრის მაქსიმალური კუთხე, რკალი ათასწლეულებში მუდმივი არ რჩებოდა. ცნობილია, რომ იგი ცვლადი სიდიდეა, ასტრონომების მიერ მისი ცვლილების “გრაფიკი“ დროში დღეს დადგენილია. თუკი წელიწადში მზებუდობის ორ წერტილს შორის რკალი დროში მუდმივი არ რჩება, იმისდა მიხედვით, როდის გავზომავთ მას და ჩავიტანთ სიტყვაში, შეგვიძლია შემდეგ დაგათარიღოთ ამ სიტყვის შემოტანის დრო; ის, თუ როდისაა “გადაღებული ეს სურათი“; ე.ი. როდის იქნა ის სიტყვაში გატანილი.

დღეისთვის ცნობილია გადახრის მთელი სურათი:

ძვ.წ.აღ. 4000 – 1000 წლები – დედამიწის ღერძიდან გადახრა $24,0^{\circ} - 23,8^{\circ}$, მზის წლიური გადახრის დიაპაზონი, დაახლოებით – 48° .

ძვ.წ.აღ. 1000 – დღემდე – დედამიწის ღერძიდან გადახრა $23,7 - 23,5^{\circ}$, მზის წლიური გადახრის დიაპაზონი, დაახლოებით – 47° , მზის წლიურად განვლილი კუთხური გზა, დაახლოებით 94° .

მართალია, იმ დროისათვის ასტრონომოსთა პრიმიტიული დამხმარე ვიზუალური საშუალებები გაზომვის დიდ შესაძლებლობებს არ იძლეოდა, მაგრამ სერ ნორმან ლოკერის მეთოდის წარმატებებმა ეჭვიმუტანლად დაგვარწმუნა, რომ ძველი ცივილიზაცია დედამიწაზე მზის ამოსვლის წერტილის კუთხური გადახრის დიაპაზონს ნამდვილად ზომავდა.

ძველ ქართულ სიტყვებში არსებული კალენდრების რიცხვული მექანიზმები, მათი განვითარების სრული, თანმიმდევრული სურათი, ძირითად მნათობთა პარამეტრებზე, მათი ასტრონომიული თვისებების გათვალისწინებით ჰემატრიულად შექმნილი ლექსიკა, ქმნის კიდევ ქართული ასტრო-ენათმეცნიერების საფუძვლებს.

ასტრო-ენათმეცნიერებაში ძირითადად იმ მექანიზმს მივყევთ, რაც იმავე პერიოდის გრანდიოზულ ნაგებობებშია გამოყენებული. იმავე პირამიდებში სამშენებლო კონსტრუქციების პარამეტრებისა და ქართულის მსოფლმხედველობრივად უმთავრეს ლექსიკაში გამოყენებული ჰემატრიული რიცხვების თანხვედრა სისტემურია (ცინცაძე, 2015).

პირამიდებსა თუ სტოუხენჯში (“გოლანის სტოუხენჯშიც“) მზის ამოსვლის რკალური გადახრის გაზომვის პრინციპი – პირველი სხივის ფიქსაციაზე და ნახევარწელში მის გადაადგილებაზე დამყარებული. იგივე ჩანს ქართულ კალენდარულ ლექსიკაში. მზის პირველი სხივი ერთი უკიდურესი წერტილიდან (ბუდობა) მეორე უკიდურესობამდე ნახევარ წელში გადაადგილდება და შემდეგ

ნახევარ წელში იგივე გზას უკუ მიმართულებით იმეორებს. ზემოხსენებულ ნაგებობების ცენტრიდან (ან კარებისკენ გამჭოლი ხედვის ცენტრიდან) მზის პირველი სხივი მუდმივად ჩანს; და იგი ერთი ბოლოდან მეორესთან მისვლას ნახევარ წელს ანდომებს. ამიტომ იქნა შემოტანილი დროის ნახევარწლიური აღრიცხვა.

როცა (ძვ.წ.ად. 1000 წლის შემდეგ) მზის ამოსვლის კუთხური გადახრა 470-ია, ე.ი. მზე მთელი წელი ამ 470-იან არეში ამოდის, ამ ადგილს “მზარე” – მზით განათებული ადგილი (ძვ. ქართული ენის ლექსიკონი) დაარქვეს.

მზ-არე – აქ „მზ“ – გადახრის რკალის ჩაწერაა: მ – 40, ზ – 7, ერთად – $40 + 7 = 47$ – „მზ“, ხოლო “არე” – ადგილია, რომელშიც ჩანს მზე.

შემდეგში “მზარე“-დან მივიღეთ “მზუარე” (მზვარე).

ის, რაც სტოუხენჯის, პირამიდის კარიბჭეში ფიქსირდებოდა, იგივე ჩაიდო სიტყვაში, ქართულ (ქალდეურ) სიტყვაში.

ეს ასტრო-ენათმეცნიერების ქართული საფუძვლის ნათელი მაგალითია.

კიდევ ერთი საოცრად ბევრისმთქმელი მაგალითი:

ძვ.წ.ად. 1000 წლამდე მზის ამოსვლის რკალური გადახრის კუთხე, ანუ ნახევარწელში გადახრა 48 (გრადუსი, წრის ნაწილია), და იგივე, 48-ა – მზის მოძრაავი კალენდრის რიცხვული მექანიზმის მომცველი სიტყვა “წელი“-ს ჰემატრია-
აც – $\text{წ}(31) \text{ ე}(5) \text{ ლ}(12)$ -ი,

$$31 + 5 + 12 = 48.$$

გამოდის, რომ სიტყვა და მზის მოძრაავი კალენდარი “წელი“ ძვ.წ.ად. 1000 წელზე ადრეულია. მზის მოძრაავი კალენდარი ეგვიპტეში მე-4 ათასწლეულიდან იცოდნენ.

ძვ.წ.ად. 1000 წლის შემდეგ მზის ამოსვლის რკალური გადახრა მიახლოებით 47⁰ ხდება, და იგივე ხდება ლაზური “წანა“-ს (ზოგადქართულად “წელის“ მნიშვნელობით) ჰემატრია –

$$\text{წ}(31) \text{ ა}(1) \text{ ნ}(14) \text{ ა}(1),$$

$$31 + 1 + 14 + 1 = 47,$$

ამის შემდეგ კაცობრიობა დროის წლიურ აღრიცხვაზე გადადის, ანუ მზის პირველი სხივის წლიურად გავლილი გზა ხდება საინტერესო, იგი $2 \times 47 = 94^0$, შესაბამისად 94 ხდება სიტყვა “წელიწადი“-ს, მზის უზუსტესი ქართული კალენდრის ჰემატრიაც –

$$\text{წ}(31) \text{ ე}(5) \text{ ლ}(12) \text{ ი}(10) \text{ წ}(31) \text{ ა}(1) \text{ დ}(4) \text{ -ი},$$

$$31 + 5 + 12 + 10 + 31 + 1 + 4 = 94.$$

ეს კალენდარი, როგორც უმაღლესი ჭეშმარიტება, შემოუძღვა წინ იესო ქრისტეს მოძღვრებას (ამ საკითხზე დეტალურად იხ. ცინცაძე, 2015.) ამ სიტყვაში დაფარულ მზის კალენდარს სიზუსტეში ანალოგი არ მოეპოვება, იგივეა მასში არსებული და ამ სიზუსტესთან შესაბამისობაში მოსული სარწმუნოებრივი ინფორმაცია.

გავაგრძელოთ კალენდარული განვითარების ეტაპები.

“სიტყვა-სასწაული“, რომელიც ჰემატრიულ შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ, და ინფორმაციის დაშიფვრის სირთულის თვალსაზრისით ბადალი ძნელად მოეპოვება, უშუალოდ აკავშირებს ერთმანეთთან ქართულ კალენდარსა და სარწმუნოებას. ეს მრავალაზრობრივი დატვირთვის სიტყვაა – “მოქცევა“. თავის მრავალფეროვან სემანტიკურ სივრცეში იგი ნიშნავს სარწმუნოებას, რწმენას, **გაქრისტიანებას**, ადამიანის ჭეშმარიტებისკენ შემოტრიალებას და წელთაღრიცხვის ერთგვარ სათვალავს (ციკლებს), რაც მთავარია, ნიშნავს **წელიწადსაც**.

მისი რიცხვული შიგთავსიც, ზუსტად იმეორებს წლიურად მზის გადახრის ჯამურ კუთხეს:

$$\begin{aligned} & მ(13) \text{ } \text{ო}(16) \text{ } \text{ქ}(24) \text{ } \text{ც}(29) \text{ } \text{ე}(5) \text{ } \text{ვ}(6) \text{ } \text{ა}(1), \\ & 13 + 16 + 24 + 29 + 5 + 6 + 1 = 94, \end{aligned}$$

მაგრამ ჰემატრიულად აქ კიდევ არანაკლებ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. იგულისხმება, ის დაშიფრული გზავნილი, რასაც ეს სიტყვა, მისი ფარული რიცხვით იძლევა:

$$(1 + 2 + \dots + 13) + (1 + 2 + \dots + 16) + (1 + 2 + \dots + 24) + (1 + 2 + \dots + 29) + (1 + 2 + \dots + 5) + (1 + 2 + \dots + 6) + 1 = 999 (!).$$

999 – ღმერთის, მზე ღმერთის, უმაღლესი ღვთაებრიობის რიცხვი. ამ სიტყვის ჰემატრიით იგი პირდაპირ ებმის კალენდარს (წელიწადი).

იგივე 94-ია სიტყვა „აღმოსავლ(ეთ)“-ის ჰემატრიაც, რადგან მზის პირველი სხივი იქედან ამოდის –

$$\begin{aligned} & \text{ა}(1) \text{ } \text{ღ}(25) \text{ } \text{მ}(13) \text{ } \text{ო}(16) \text{ } \text{ს}(20) \text{ } \text{) } \text{1}(1) \text{ } \text{ვ}(6) \text{ } \text{ღ}(12) \text{ } \text{(ეთი)}, \\ & 1 + 25 + 13 + 16 + 20 + 1 + 6 + 12 = 94, \end{aligned}$$

სვანურად აღმოსავლეთი გამოითქმის, როგორც – „მიჟლე(ა)წად“, ეს სიტყვაც მზის უზუსტეს ქართულ კალენდარს მოიცავს და მისი ჰემატრიაც 94-ია –

$$\begin{aligned} & \text{მ}(13) \text{ } \text{ო}(10) \text{ } \text{ქ}(18) \text{ } \text{ღ}(12) \text{ } \text{ე}(5) \text{ } \text{წ}(31) \text{ } \text{ა}(1) \text{ } \text{ღ}(4), \\ & 13 + 10 + 18 + 12 + 5 + 31 + 1 + 4 = 94. \end{aligned}$$

უფრო მეტიც, სიტყვა “მიჟლაწად“ კომპოზიტია და მზის მოძრაობის მთელ ასტრონომიულ სურათს გვაძლევს: მიჟ – მზე (სვ.), ლა – წრე, ქართული ანბანით (ლა – 31 ანბანური ჩაწერით, და 31 ასო “წილი“ ე.წ. წრის რიცხვი “პი“-ა), წად – საერთოქართველური ფუძე წასვლის, მოძრაობის მნიშვნელობით.

ე.ი. მიჟლაწად – სემანტიკურად, აღმოსავლეთიდან ამოსული მზის წრიული სვლაა. და სვლაა 940-იანი კუთხით მზის გზაზე.

მექანიზმი მუდმივია, თავისი არსის მიუხედავად, ყველა ქართველურ ენაში კალენდარული ლექსიკის შექმნისას დედამიწაზე მზის ამოსვლის რკალური გადახრის კუთხეა ჰემატრიულად გამოყენებული. როცა ქართველურ ენებში არსებული თითქმის ყველა სიტყვა (წელი, წელიწადი, წანა (ისევ წელის მნიშვნელობით), მოქცევა (ისევ წელიწადის მნიშვნელობით) მზის ამოსვლის წერტილის გადახრის კუთხის გრადუსულ ზომას იმეორებს ჰემატრიულად, ეს უკვე ფაქტია იმის, რომ ჩვენს ხელთ წინარექართული ცოდნაა. ცდომილება ამ შემთხვევაში მხოლოდ 10⁶-ის ტოლია, ე.ი. მილიონ შემთხვევაში ერთი.

წლის აღმნიშვნელ სიტყვათა ჰემატრია გამიზნული გზავნილია და სწორედ მზის ამოსვლის წერტილის გადახრის კუთხეს იძლევა.

ასტრო-ენათმეცნიერებაში პირამიდების თანადროული ინფორმაცია ჩანს. მისი საფუძვლები პირამიდებისა და სტოუხენჯის პარალელურად იგივე ცოდნის კერის შექმნილია, ვინაც ეს ხელთუქმნელი ძეგლები აღმართა.

ასტრო-ენათმეცნიერების შესაძლებლობები მრავალფეროვანია. მისი რამდენიმე სახესხვაობაა გამოსაყოფი. შეგვიძლია მათი დაყოფა სირთულის, ასტრონომიული ინფორმაციის მოცემის და ა.შ. მიხედვით:

„...еще пять-шесть тысяч лет тому назад шумеры знали: именно Солнце, а не Земля, является центром нашей системы... Шумеры могли предсказывать солнечные затмения, различные фазы Луны и траектории движения планет... Кроме того, их "наследство" включает деление окружности на 360 градусов“ („სახარა“, ინტერნეტ-გამოცემა).

ამას აღასტურებს ასტრონომიული ობიექტის პარამეტრისა და უძველესი, მზა სტრუქტურის კომპოზიტები: განუმარტოთ სიტყვა “არე“. სულხან-საბას მი-

ხედვით “ესე არს უქვემორესი ჰაერი ქვეყანისა მახლობლად...” იგივე სიტყვა “არე” შემერსაც აქვს და ისევე ადგილს, წრეს, რგოლს მიზნის გარშემო, სპირალსაც კი აღნიშნავს. იგი ასევე ნიშნავდა ბრწყინვასაც. ამდენად, “არე” მზა სტრუქტურაა. იმის გათვალისწინებით, რომ „ლას“ ანბანში წრეა, თანაც მზის გარშემო დედამიწის შესრულებული წრე, **ლას-არე, ის არე ხდება, რომელსაც დედამიწა მზის გარშემო წრეზე მოძრაობისას შემოფარგლავს (წლის განმავლობაში)**. დღევანდელი გაგებით მზის გარშემო შექმნილ სივრცულ ელიფსოიდს მაშინ “ლას-არე” ერქვა. **მცირე ასტრონომიული განსხვავების მიუხედავად, ეს მზის სისტემაა. ლას-არე ოდინდელი მზის სისტემის სახელად უნდა აღვიქვათ. სარწმუნოებაში მისგან მიიღება სახელი – “ლას-არე”.**

ბ. ცარგვალის 1⁰-ით შემობრუნებას დედამიწის მიმართ 72 წელი სჭირდება, ამ მოვლენის გაზომვა, ან მასზე დაკვირვება, საკმაოდ რთულია, რადგან იგი დროში გაწელილია. ეს მიგნება ერთ-ერთი უდიდესი მიგნება იყო ასტრონომიისა და საერთოდ, კაცობრიობის ისტორიაში. ცარგვალის ბრუნვას პრეცესია ეწოდება. ითვლება, რომ პრეცესია ძვ.წ.ად. 130 წელს აღმოაჩინა ჰიპარქმა, მაგრამ ძალიან მაღალი ალბათობით, ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ბერძენთაგან გნომონის, ასტროლაბის ან “პითაგორას თეორემის“ ავტორობა.

„уже получил признание тот факт, что шумеры знали о цикле прецессии.“ („სახარა“, ინტერნეტ გამოცემა) როგორც ითქვა, ამ ცოდნის გამოძახილი ებრაულ ჰემატრიაში აღმოჩნდა და მისი კვლევის შედეგები ნათლად ამტკიცებს პრეცესიიდან 72-ის წარმომავლობას. 72 – ებრაული ღმერთის (იაჰვე/იეღოვას, „მე ვარ, რომელი ვარ“) რიცხვი გახდება: **„72 является тайным числом Иеговы“...**

Почему же во всех этих историях фигурирует число 72, на наш взгляд единственное приемлемое объяснение может дать явление прецессии, поскольку именно этим числом выражается количество лет, по прошествии которых Земля сдвигается на один градус (სიტჩინ, 2006).

ამ დროს 72 – პრეცესიის რიცხვი, ანბანური ჩაწერისას ასე იწერებოდა: **“ობი” (ო – 70, ბ – 2; 70 + 2 = 72, “ობ“-ი).**

წარმართულ იბერიაში “ობი” ტაროსის ღვთაება იყო, ითვლებოდა, რომ იგი განსაზღვრავს ამინდს. ივ. ჯავახიშვილი სეტყვა-ავდრის ღვთაების თავდაპირველ სახელად “ობი“-ს (“ვობი“, “ვები“) მიიჩნევს (ჯავახიშვილი, 1960). სრულიად ნათელია, ეს ღვთაება პრეცესიის ჰემატრიის ასოითი ჩაწერიდან იღებს სათავეს, რადგან პრეცესიის 72-წლიანი დრო – თითქოს ობის მოკიდების, დროში დაძველების სემანტიკური გაგრძელებაა. სიტყვა “ობი“ განიმარტება ასე: ტენიანმა ადგილმან, ან საჭმელმან ხანიერმა თეთრი ბიძგი მოიკიდოს (ს.ს.). ძველ იბერიაში ტაროსის ორიოდ ღვთაებაა დაძებნილი “ელ-ია“, “ობი“ და ორივეს ანბანურ-ჰემატრიული წარმოშობა აშკარაა. იგივე სქემაა მეორდება მზეს სახელის წარმოქმნის დროსაც.

თუკი აქამდე ძირითადად ჰემატრია ხდებოდა სარწმუნოებრივ-კალენდარული სიტყვის საფუძველი, ახლა რიცხვული ჩაწერა პირდაპირ ღვთაების სახელად გვევლინება და თვისობრივად სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგენს ქართულ წარმართულ ღმერთთა პანთეონს. “ობი“ ტაროსის ღვთაება მას შემდეგ გახდა, რაც ასე ანბანურად ჩაიწერა 72 – პრეცესიის რიცხვი. (კავკასიურ ენებში აღმოჩენილი “ვები“ და “ვობი“ მისი დამახინჯებული ვერსიებია).

იმდენად დიდი იყო ქურუმთა კასტაში ჰემატრიის სარწმუნოებრივი მნიშვნელობა, რომ ასტრონომიული პროცესის (პრეცესიის) რიცხვის ასოთი ჩაწერა ღვთაების სახელი გახდა (ობი)! ეს დასკვნა ქურუმთა ენის ხასიათის გასაგებად უმნიშვნელოვანესია.

ფარულად ანბანი (ქართული) არსებობს და ასტრონომიული ინფორმაციის, რიცხვების ასოთი ჩანაწერები ღვთაების სახელად გვევლინებიან!

სხვაგვარად სრულიად წარმოუდგენელია ასეთი მრავალმხრივი და ზუსტი დამთხვევა. “ობა“ (ობი) უძველესი რელიგიური დღესასწაულია და იმართებოდა სექტემბრის კენტ რიცხვებში (ხევში, სოფ. კარკუნაში). ხატში ანთებდნენ სანთელს, სწირავდნენ ცხვარს წმ. ობს, რათა მის შვილებს – 365 წმ. გიორგის – ხალხისთვის ბედნიერება და სიკეთე მიეცა. (“მოხვეური ლექსიკონი“) ცხადია, წარმატობისდრო-ინდელი ტაროსის ღვთაების რელიგიური რიტუალის კვალია მიკვლეული. ცარგვალის ბრუნვა, 72-წლიანი პრეცესია, განსაზღვრავდა სწორედ ამინდს, 365 დღის ტაროსს და მას სცემდნენ თაყვანს.

როგორც ჩანს, ესეც კავკასიიდან გატანილი ცოდნაა, უბრალოდ, მას თავის დროზე ობი ერქვა. მერე ეს ცოდნა გადაიტანეს ბერძნებმა და პრეცესია უწოდეს, ამ დროს პრეცესია განყენებული სიტყვაა, და არანაირად არ უკავშირდება თვითონ პროცესს, ხოლო ობი ქართული ანბანის მიხედვით 72-ის ჩაწერაა, რაც ადგენს კიდევაც მის ავტორს.

ბოლოს მოგვაქვს ასტრო-ენათმეცნიერული ერთი მეტად ტევადი მაგალითი, იგი ვენერას უკავშირდება. ვენერას, როგორც ოდიტანვე სარწმუნოებრივად ერთ-ერთი ცენტრალური მნათობი ასტრონომიული პარამეტრები გამორჩეულად ადგილს იჭერს ქრიატიანულ რელიგიაში. ვენერას დაზუსტებული პერიოდი 1151 მზის წელია. ეს იმ დროისთვის უდიდესი ცოდნა ძველ ბაბილონს (ე.ი. ქალდეას), არათუ ჰქონდა, არამედ მისი დადგენაც კი ქალდეველ ქურუმთა კასტას მიეწერება. “ციურ მოვლენათა პერიოდულობა ახალბაბილონ-ურ პერიოდზე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი (ვან-დერ-ვარდენ, 1990). სწორედ ვენერას დაზუსტებული პერიოდის რიცხვზე იგება წინარექართული და შემდეგ მართლმადიდებლური რელიგიის რამდენიმე უმთავრესი სიტყვა:

წელიწადი – მზის ქართული კალენდრის რიცხვული კონსტრუქციის, და თან მზის გადახრის 94-გრადუსიანი კუთხის მატარებელი სიტყვა, მისი ფარული რიცხვი, ვენერას პერიოდია –

$$\begin{aligned} & \text{წ(31) ე(5) ლ(12) ი(10) წ(31) ა(1) დ(4) -ი,} \\ & (1 + \dots + 31) + (1 + \dots + 5) + (1 + \dots + 12) + (1 + \dots + 10) + (1 + \dots + 31) + 1 \\ & + (1 + \dots + 4) = \mathbf{1151}; \end{aligned}$$

კუმრთხი – კვერთხი (ს.ს.), იგივე ფარული რიცხვით –

$$\begin{aligned} & \text{კ(11) უ(22) ზ(8) რ(19) თ(9) ხ(33) -ი,} \\ & (1 + \dots + 11) + (1 + \dots + 22) + (1 + \dots + 8) + (1 + \dots + 19) + (1 + \dots + 9) + (1 + \dots \\ & + 33) = \mathbf{1151}; \end{aligned}$$

რჯული – კანონი, სარწმუნოება, აღთქმა, მოძღვრება, სამართალი; მისი ჰემატრიული ფარული რიცხვიც იგივეა –

$$\begin{aligned} & \text{რ(19) ჯ(35) უ(22) ლ(12) -ი,} \\ & (1 + \dots + 19) + (1 + \dots + 35) + (1 + \dots + 22) + (1 + \dots + 12) = \mathbf{1151}; \end{aligned}$$

იგივე რიცხვს იძლევა და ისიც ფარულად „წმინდა გიორგი“ –

$$\begin{aligned} & \text{წ(31) მ(13) ი(10) ნ(14) დ(4) ა(1) გ(3) ი(10) ო(16) რ(19) გ(3) -ი,} \\ & (1 + \dots + 31) + (1 + \dots + 13) + (1 + \dots + 10) + (1 + \dots + 14) + (1 + \dots + 4) + 1 + (1 \\ & + 2 + 3) + (1 + \dots + 10) + (1 + \dots + 16) + (1 + \dots + 19) + (1 + 2 + 3) = \mathbf{1151}. \end{aligned}$$

ოთხივე სარწმუნოებრივად უმნიშვნელოვანეს ქართულ სიტყვას ერთი და იგივე ფარული რიცხვი აქვს (და ეს შემთხვევითია? როცა ფარული რიცხვი, სულ მცირე 3000 განსხვავებულ მნიშვნელობას იღებს.)

პლანეტა ვენერა პირველად მხოლოდ ძვ.წ.ად. 1000 წლის შემდეგ ჩნდება ძველბაბილონურ ასტრონომიულ ნაშრომებში. გამოდის, რომ ძვ.წ.ად. 1000 წლის შემდეგაა შექმნილი ყველა ზემოგანხილული სიტყვა. ერთადერთი, რასაც ეს შეზღუდვა არ შეიძლება ეხებოდეს “კუერთხი“-ს თავსართი “კუ“-ა. იგი შეიძლება უფრო ადრინდელი იყოს და ასეც ჩანს. ამ არგუმენტით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ მზის უზუსტესი ქართული სიტყვიერი კალენდარი – “წელიწადი“ ძვ.წ.ად. 1000 წლის შემდეგ იქმნება.

ასტრო-ენათმეცნიერება მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს, მაგრამ პირველი ცდებიც კარგად წარმოაჩენს უძველესი ცოდნის შესაძლებლობებსა და არნახულ თვალსაწიერს.

ლიტერატურა

1. გასვიანი ა. „სამყაროული მოძრაობა“, 2006, გვ. 30-32.
2. ვან-დერ-ვარდენ ბ. „ასტრონომიის დაბადება“, 1990, გვ. 112.
3. ლარიხევი ვ. „დროის ბორბალი“, 1986.
4. „სახარა“, ინტერნეტ-გამოცემა.
5. სახარა“, ინტერნეტ გამოცემა, გვ. 5.
6. სიტჩინი ზ. „კოსმიური კოდი“, 2006, გვ. 5, <http://lib.aldebaran.ru//>.
7. ცინცაძე ა. „ქართული ჰემატრია“, 2015.
8. ჯავახიშვილი ივ., ტ. 1, გვ. 119, 181.
9. ჰუკ ა. „ბიბლიური სასწაულების უტყუარობა“

Aliko Cincdze
Georgian Technical University

The basics of the astrolinguistics

Summary

Thinking results, existing in the society, are important to understand Georgian culture, including knowledge of ideological and religious basics that are explained in the astrolinguistics.

„ეკოგამიის“ წარმოშობა და მისი როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში

ადამიანის განვითარების სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების და პროგრესირებადი საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობების გასარკვევად მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ქორწინების და სქესთა შორის ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს. იმას, თუ როგორ გახდა ადამიანი ბიოლოგიური გაერთიანებიდან ფორმირებად სოციალურ ორგანიზმად.

ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას ვაჩვენოთ ეკოგამიის სოციალური როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რომელმაც, ჩვენი აზრით, პირველყოფილი ჯოგიდან ე. წ. „ნეოლითური ცხოვრების“ წესისაკენ გადასვლას შეუწყო ხელი. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის შედეგად გამოვლენილი მასალები გვაძლევს იმის დამაჯერებლად თქმის საშუალებას, რომ ეკოგამიის წესის დაკანონებას საზოგადოების და კულტურის ამ „უეცარ ცვლილებაში“ უმთავრესი როლი უნდა შეესრულებინა. ამავე დროს, მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ეკოგამიის როლის განსაზღვრა დღევანდელი საზოგადოებისათვის, როგორც გენეტიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით. ვფიქრობთ, საკითხი აქტუალურია მით უფრო დღეს, როდესაც გარკვეული საზოგადოებები ცდილობენ „ახალი კულტურული წესრიგის“ თავს მოხვევას საიდანაც მომდინარე საფრთხეები აშკარაა, რაც კაცობრიობას მომავალში ბევრ თავსატეხს გაუჩენს.

ყოველი ინდივიდი, პირველ რიგში წარმოადგენს საზოგადოების ნაწილს. საზოგადოებაში დანერგილი ურყევი წესები, რომელიც ბავშვობიდანვეა მასში ჩანერგილი იცავს პიროვნებას გარკვეული ამორალური ქმედებებისაგან, რომელიც მისი მორალური ნორმების დამცველს და ცენზორს წარმოადგენს. ამდენად, საზოგადოების გავლენა პიროვნებაზე პრაქტიკულად მდგომარეობს თანდაყოლილი იმპულსების დათრგუნვის ცდაში.

სექსუალურობის გაადამიანურება კაცობრიობამ ჯერ კიდევ ღრმა წარსულში დაიწყო. სწორედ ამ გაადამიანურებაში ვლინდება პიროვნება როგორც სოციალური ინდივიდი (*ბეჟია, 1980, გვ. 93*).

ევროპულ სოციოლოგიაში ჯერ კიდევ 70–80–იანი წლებიდან მოყოლებული ბევრი იწერებოდა ე. წ. „სექსუალურ რევოლუციაზე“, რაშიც გულისხმობენ ოჯახის დეზორგანიზაციას; ქორწინების როგორც სქესობრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ფუნქციების შესუსტებას; სქესობრივი ურთიერთობების ლიბერალიზაციას—ე. ი. სქესობრივი ურთიერთობების თავისუფლების ზრდას და სხვა. ამაში სავსებით მართებულია დანახული მთელი საზოგადოების კრიზისის ერთგვარი ასახვა, ახალგაზრდების პროტესტი საზოგადოების წინააღმდეგ (*ბეჟია, 1980, გვ. 94*).

ადამიანების ნებისმიერი საზოგადოება ცვლის თავისი ფიზიკური არსებობის პირობებს წესების ისეთი რთული კომპლექსებით, როგორებიცაა: ინცესტის აკრძალვა, ენდოგამია, ეგზოგამია, ქორწინების დაშვება ცალკეულ ნათესაებს შორის, პოლიგამია ან მონოგამია, ან მორალური, სოციალური, ესტეტიკური და ეკონომიკური ნორმების მეტ-ნაკლებად სისტემატიური გამოყენებით. ამდენად, ჩვენ მარტო ბუნებრივი პირობებით ვერ ავხსნით ადამიანთა რასების და ქვერასების ევოლუციას და აქ უნდა გავითვალისწინოთ ადამიანის მოღვაწეობის და ჩარევის ფაქტორი (*Леву-Строч, 1985, გვ. 312*).

ეკოგამიის წარმოშობის შესახებ მოსაზრებებს თუ გადავხედავთ, თითქოს ისე ჩანს, რომ საეჭვოა ოდესმე ერთ მიახლოებულ ჭეშმარიტებამდე მისვლა. რა თქმა უნდა წარმოშობის მიზეზების დადგენა მნიშვნელოვანი და სკვანძო საკითხთა რიგშია ეთნოლოგიური მეცნიერებისთვის, მაგრამ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე და კა-

ცობრიობის ისტორიის გარდამტეხი ეტაპების შესაცნობად უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენება ეგზოგამიის სოციალური და გენეტიკური როლის განსაზღვრა, როგორც პირველყოფილ საზოგადოებაში, ისე მის შემდგომ ფორმაციებსა თუ დღევანდელობაში.

მორგანმა პირველმა აღმოაჩინა გვარის განუყრელი კაშირი ეგზოგამიასთან და მისი (*Семенов, 1974, გვ. 49*) თეორია სისხლის აღრევის შესახებ, ეგზოგამიის მიზეზებს ეძებს ახლობლებს შორის ქორწინების აკრძალვით მავნე ტრადიციის აღკვეთის შეცნობაში, რომელიც შეიძლება შთამომავლობაზე ცუდად აისახოს. თუმცა, ა. ზოლოტარევი ამ მოსაზრებას მართებულად არ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ველურ ადამიანს არ შეუძლო ინბრიდინგის მავნეობის განსაზღვრა, რამდენადაც თანამედროვე მეცნიერებმაც კი ვერ გადაწყვიტეს ჯეროვნად ეს პრობლემა (*Золотарев, 1964, გვ. 56*).

ტერმინ ეგზოგამიის შემომღებმა მაკლენანმა მისი წარმოქმნა დაუკავშირა განვითარების გარკვეულ საფეხურზე ქალთა სქესის ბავშვების მკვლელობის ჩვეულებას, რომელიც იწვევდა ქალთა უკმარისობას გარკვეულ ორდებში. ამან მიგვიყვანა ქალთა მოტაცების ჩვეულებასთან, შემდგომ კი ეგზოგამიის წესთან (*Купнов, 1923, გვ. 69*).

მ. კოვალევსკის მოსაზრებით, ეგზოგამიის წარმოქმნა ნაკარნახევი იყო ადამიანების პიველადი კოლექტივის შიგნით კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით (*Ковалевский, 1886, გვ. 111*).

გ. შურცი დიდი საზოგადოებრივი კავშირების წარმოშობის საფუძვლად მიიჩნევს არა სქესობრივი ურთიერთობების რეგულირებას, არამედ თანატოლების, უმთავრესად ახალგაზრდა მამაკაცებს შორის ურთიერთსიმპატიებს (*Шурц, 1923, გვ. 127*).

კ. ლევი-სტროსი ნათესაობის სისტემის და სოციალური ორგანიზაციის ფორმების ერთ ჭრილში განხილვას, ზოგ შემთხვევაში მიზანშეწონილი არ მიიჩნევს (*Леву-Строс, 1985, გვ. 116*). მისივე თქმით, განხილულ ხალხებში შეუძლებელია პირველ პლანზე წამოიწიოს ეგზოგამიური ფრაგმენტები და კლასების სტრუქტურა, რომელთა რეალური როლი მეორეხარისხოვანია (*Леву-Строс, 1985, გვ. 117*). ვფიქრობთ, სოციალურ სტრუქტურის და ნათესაობის სისტემის გამიჯვნას არა აქვს არანაირი საფუძველი და თუ ჩვენ კვლევას ამ მიმართულებით წარვმართავთ, ჩვენი აზრით, მხოლოდ უაზრო და არაფრის მთქმელ თეორიულ დასკვნებს მივიღებთ.

კ. ლევი-სტროსმა ინდონეზიის ბორნოს ტომზე დაკვირვებით აღნიშნა, რომ ეგზოგამია გამოიწვია კლასებად დაყოფამ, რამდენადაც მათში ოთხი კლანიდან რომელიც დაყოფილია სამ ფენად, სწორედ რომ თითოეული ჯგუფის წოდებებს შორის ხდება ქორწინება (*Леву-Строс, 1985, გვ. 141-142*).

ი. ლოუიმ, ეგზოგამია განსაზღვრა, როგორც წმინდა გენეტიკური მიზეზებით გამოწვეული სქემა და წარმოშობადაც ყველგან იმ ერთი და იმავე მოვლენისაგან, სადაც ეს სქემა მოქმედებაშია მოყვანილი. ავტორი არ ითვალისწინებდა ისტორიულ-გეოგრაფიულ ფაქტორებს და ერთმანეთისაგან დაშორებული საზოგადოებების ანალოგიებს. მან ნათესაური კავშირების განსაზღვრისას მიუთითა ეკოლოგიის ზემოქმედების ხასიათზე. ასევე არიდებების გამომწვევი საოჯახო თავშეკავებულობისა და პატივისცემის მიმართებები განაცალკევა ინცესტის აკრძალვასთან (*Леву-Строс, 1985, გვ. 277*).

ს. ტოლსტოვმა ეგზოგამიის წარმოქმნა ახსნა მწარმოებლურ-სქესობრივი ტაბუს წარმოქმნასა და განვითარებასთან კავშირში. ამ უკანასკნელთა წარმოშობას ატორი მიაწერს ერთი მხრივ უწყესრიგო სქესობრივი ურთიერთობებში წინააღმდეგობების გამწვავებას, ხოლო მეორე მხრივ მწარმოებლური საქმიანობის განვითარებას წინაგვაროვნულ კოლექტივში (*Толстов, 1948, გვ. 37*).

გ. კუნოვმა ეგზოგამიის კვლევისას საკმაოდ თანმიმდევრული მოსაზრება წამოაყენა. მისი თქმით, მეზობლად მცხოვრებ ორ ენდოგამიურ ჯგუფებს შორის შემთხვევითი კავშირები არც თუ ისე იშვიათი უნდა ყოფილიყო. უკვე თაობებად დაყოფამდეც ეს გარემოება ენდოგამიურ ჯგუფს მოუტანდა ახალ სისხლს. მაგალითად, ორ ურდოს შორის მომხდარი ომის დროს გამარჯვებულები შოულებოდნენ ახალგაზრდა ქალებს და თან მიჰყავდათ, რომ მათგან გაეხადათ ცოლები ან არათავისუფალი მუშები. მამაკაცის

ეს მდგომარეობა, რომელსაც ის ფლობდა დაპყრობილი ან მოტაცებული ქალის მიმართ, არსებითად აძლიერებდა სხვა უცხო ქალებისადმი მის სურვილს, რომელიც, ავტორისავე აზრით, ეკზოგამიის დაჩქარების ერთ-ერთი ძლიერი განმაპირობებელი გახდა, მით უმეტეს, რომ თაობებად დაყოფის შემოღების შემდეგ ისედაც ვიწრო წრე თავისი ორდიდან, საიდანაც მას ცოლის შერჩევა შეეძლო, უფრო შევიწროებული გახდა (Кунов, 1923, გვ. 66-67).

ა. ზოლოტარევის კლევით, ეკზოგამიური დაყოფის შემოღება პირველყოფილ ჯგოფში უნდა მომდინარეობდეს მისი უმარტივესი ფორმებიდან, ასეთს კი წარმოადგენდა ჯგოფის ორ ეკზოგამიურ ნაწილად დაყოფა, რომელზეც პირველყოფილი მოთოლოგიაც გვიქმნის წარმოდგენებს, მასში ჩანს დუალური ორგანიზაცია, როგორც საზოგადოების დაყოფის უმარტივესი და პირველსაწყისი ფორმა. გვარების დაყოფა არა ორ, არამედ უფრო წვრილ სამ, ოთხ, ხუთ და მეტ ჯგუფებად, აიხსნება პირველსაწყისი ნაწილების გვიანდელი დაყოფის შედეგად რასაც იწვევს მოსახლეობის ზრდა და შესაბამისად საკვები პროდუქტების შეზღუდულობა (Золотарев, 1964, გვ.50-51). ძმის შვილებსა და დის შვილებს შორის საქორწინო კავშირების დაშვებას ავტორი ხსნის გვაროვნული ეკზოგამიით და მთელი რიგი მატერიალური მოსაზრებებით, ხოლო ამ კავშირების აკრძალვებს დუალური ორგანიზაციის შედეგად მიიჩნევს (Золотарев, 1964, გვ. 53). არის შემთხვევა, როდესაც ეკზოგამია არ გამორიცხავს საქორწინო ურთიერთობებს ძმისშვილებს შორის, თუმცა ეს ყველგან აკრძალულია პირველყოფილ ხალხთა შორის. ავტორი, დუალური ორგანიზაციიდან წარმოშობილად მიიჩნევს კროსკუზენულ ქორწინებას, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ კროსკუზენული ქორწინება დუალური ორგანიზაციის არმქონე პირველყოფილ ხალხებშიც არის გავრცელებული, სადაც გვაქვს რამოდენიმე გვარებად დაყოფა. ისიც ნათელია, რომ დუალური ორგანიზაციის წინარე თანაცხოვრების ფორმები მეცნიერებისათვის დღეს უცნობია და მორგანისეული პუნაღუა და სისხლითნათესაური ოჯახი არ შეიძლება მის წინამორბედ ფორმად მივიჩნიოთ (Золотарев, 1964, გვ.54-55).

ფრეზერმა ეკზოგამია მსოფლიოს მრავალ ხალხში გავრცელებული იმ ცრურწმენების ნაყოფად მიიჩნია, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ნათესავეებს შორის ქორწინება სახიფათოდ ითვლებოდა არა მათი შთამომავლობისათვის, არამედ თვით მათთვის (Золотарев, 1964, გვ.57). მისივე აზრით, ეკზოგამია დადგენილ იქნა უხუცესთა მიერ როგორც საკანონმდებლო აქტი, რომელიც ერთი ლოკალური ჯგუფის მიერ შემოღებულიც კი შესაძლოა ტომიდან ტომში გადასულიყო მშვიდობიანად. ავტორი, ეკზოგამიის შედეგებს საზოგადოებისათვის, თავისი სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე, მის მთავარ განმსაზღვრელად მიიჩნევს. ა. ზოლოტარევი, სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებას გვთავაზობს და აღნიშნავს, რომ არა თუ ცრუ რწმენამ წარმოქმნა ეკზოგამია, არამედ, პირიქით, ეკზოგამიამ წარმოქმნა მთელი რიგი ცრუ რწმენებისა, მათ შორის რწმენა ნათესავეებს შორის ქორწინების მავნეობის შესახებ. ასევე ავტორი არ იზიარებს ნათესავეებს შორის ქორწინების აკრძალვის ინსტიქტის მიზეზით გამოწვეულ თეორიას (ლოუი, ნაწილობრივ ვესტერმარკი, კრინეცკი) (Золотарев, 1964, გვ. 58). მისივე თქმით, ინცესტი, სისხლის აღრევა პირველყოფილი ადამიანისთვის არა ბიოლოგიური, არამედ წმინდა მორალური გაგებაა. ეკზოგამიის დარღვევა განიხილება არა მხოლოდ რელიგიური და მისტიური კუთხით როგორც მძიმე დანაშაული, არამედ როგორც შიში საზოგადოებრივი აზრის მიმართ (Золотарев, 1964, გვ. 60).

ეკზოგამიის წესი ზოგიერთი ავტორის აზრით (ფაისონი) მიღწეულ იქნა პირველადი კომუნის ორ ნაწილად დაყოფის შედეგად, რომელ თითოეულთა შიგნით სქესობრივი ურთიერთობები მკაცრად აიკრძალა (Семенов, 1974, გვ. 47). შემდგომი კვლევების შედეგად გამოჩნდა (უ. რივერსი, ე. ტეილორი), რომ დუალურ-გვაროვნული ორგანიზაცია წარმოიქმნა ადრე სრულიად დამოუკიდებელი და ერთმანეთისათვის უცხო ორი კოლექტივისაგან. დუალური ორგანიზაციის წარმოქმნამდე სქესობრივი ურთიერთობების რეგულირების ნორმა საერთოდ არ არსებობდა, ანუ ყოველ

კოლექტივში ბატონობდა პრომისკუიტეტი. ასევე, რივერსის მიერ აღინიშნა, რომ ნათესაობას განსაზღვრავს არა ბიოლოგიური ურთიერთობები, არამედ მისი განსაკუთრებულობა განისაზღვრება სოციალური ორგანიზაციის ფორმებით (*Семенов, 1974, გვ. 49*).

ვ. ალექსეევი, ნათესავეებს შორის ქორწინების აკრძალვის მიზეზს უძველესი ადამიანის ცხოვრების მცირე ხანგრძლივობაში ეძებს, რადგან შთამომავლებს შორის ერთად თანაცხოვრების პერიოდი არც თუ ისე დიდი იყო (*Алексеев, 1975, გვ. 35*).

რ. კაიუა, პირველყოფილი წყობილების დროს ქალების გათხოვებას სხვა გვარში, უკავშირებს მოწინააღმდეგეების ოჯახის მათი ფლობის უპირატესობას (*Кауа, 2003, გვ. 201*), რამდენადაც, მისივე თქმით, გარედან მოსული ცოლები და ქმრები ქმნიან მძევლების მარაგს. ეს არის თითქოს მოწინააღმდეგე ჯგუფის დელეგაცია, ერთმანეთთან უძველეს კავშირში მყოფი მუდმივად განახლებადი მძევლების სახით. საცოლეს გადასვლა ერთი ფრაგრიიდან სხვაში და უკან, წარმოადგენს ეგზოგამიის გამოკვეთილად მნიშვნელოვან ნიშანს. ორი ჯგუფის სოლიდარობის ოპოზიცია შედგება სქესისა და თაობების ოპოზიციისაგან (*Кауа, 2003, გვ. 200*).

ი. სემიონოვის აღნიშვნით, დებსა და ძმებს შორის კავშირებს მიყვავართ მავნე ბიოლოგიურ შედეგამდე და საზოგადოება დადგა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ ეს შესაძლებლობა გამოერიცხათ. მისივე მართებული აღნიშვნით, ეგზოგამია წარმოადგენს არა მარტო საქორწინო ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმას, არამედ ის არის ნორმა, რომელიც არეგულირებს სქესთა შორის ურთიერთობებს დამოუკიდებლად იმისა, დაკავშირებულნი არიან თუ არ არიან ისინი საქორწინო კავშირებით (*Семенов, 1974, გვ. 56*). გამომდინარე აქედან, ავტორი, ამ ტერმინს სრულყოფილად არ მიიჩნევს და მართებულად თვლის ტერმინ „აგამია“-ს შემოღებას, რაც სქესობრივი კავშირების სრულ აკრძალვას გულისხმობს. კოლექტივის ეგზოგამიას, მისი აგამიურობიდან წამოშობილად მიიჩნევს (*Семенов, 1974, გვ. 57*).

ავტორისავე აზრით, ინდივიდუალური ქორწინება იყო მთავარი და ერთადერთი ფორმა სქესთა შორის ურთიერთობების რეგულირებისა, რომელიც თანდათანობით გახდა ერთადერთ ფორმად მხოლოდ წინაკლასობრივიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლის დროს. მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაში დაწესდა ნორმად ის, რომ სქესობრივი კავშირის დამყარება შეიძლებოდა მხოლოდ ცოლ-ქმარს შორის. სხვა ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ სქესობრივ ურთიერთობებს და მათ შორის ეგზოგამიაც ამ საზოგადოებაში გადასვლისთანავე გაქრა (*Семенов, 1974, გვ. 58*). ავტორისავე აზრით, ეგზოგამია წარმოიქმნა იმ საზოგადოებაში სადაც ინდივიდუალური ქორწინება არ იყო. ეგზოგამია გვარისაგან განუყოფელია, რომელიც განვითარების გარკვეულ სტადიაზე იყო საყოველთაო უნივერსალური მოვლენა და მისი დარღვევა სიკვდილით ისჯებოდა. აგამიური დარღვევა კოლექტივისათვის წარმოადგენდა რაღაც შეუცნობელ, უჩინარ, მაგრამ დიდ საფრთხეს, რომლის დამრღვევი თანამოძმის თვალში განიხილებოდა ყველაზე საშინელი დანაშაულის ჩამდენ ადამიანად (*Семенов, 1974, გვ. 59*). ამდენად, ის საფრთხეს უქმნიდა მთელი კოლექტივის არსებობას, თუმცა ავტორისავე აზრით, ამ საზოგადოების არსებობის ყველა ეტაპზე ეგზოგამიის დარღვევა არც კოლექტივისათვის და არც ინდივიდთათვის არანაირ საშიშროებას არ წარმოაგენდა. მისივე თქმით, უარყოფილია ყველა ჰიპოტეზა ეგზოგამიის წარმოშობის შესახებ ახლო ნათესავეებს შორის კავშირის შედეგად მიღებული მავნეობის შესახებ. ეგზოგამია გამორიცხავს სქესობრივ შესაძლებლობას ერთი გვარის შიგნით, მათ შორის ისეთებთან, რომელთა შორის არანაირი ნათესაობა არ დასტურდება. ამავე დროს თავისი თავდაპირველი დუალური ფორმით არა მხოლოდ არ გამორიცხავს, არამედ პირიქით დასაშვებად მიიჩნევს კავშირებს ისეთ ახლო ნათესავეებს შორის, როგორცაა ძმისშვილები და დისშვილები, ე. წ. ჯვარედინ კუზენებს ან კროს-კუზენებს შორის. მაშასადამე ავტორის დასკვნით, ხიფათი, რომელიც ეგზოგამიის ძალით უნდა ყოფილიყო დაძლეული არასოდეს არ არსებობდა. ეგზოგამიის საწყისი უნდა ვეძებოთ პირველყოფილი ადამიან-

ნის ცნობიერებაში, მის თავაწყვეტილ ფანტაზიებში, აგამიური აკრძალვა მხოლოდ და მხოლოდ ცრუ რწმენის შედეგია. თუმცა ეს ხიფათი ადამიანისათვის რეალურად არსებობდა (*Семенов, 1974, გვ. 60–61*). ვფიქრობთ, ავტორი დამჯერებელ ახსნას ვერ გვთავაზობს და ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობაშიც ჩანს, რომ ტერმინ ეკზოგამიის გამოყენება უმრავლეს შემთხვევაში მისთვის მიუღებელია. ტერმინი ეკზოგამია ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვის კუთხით. თუმცა სხვა ადგილას ი. სემიონოვი, ვფიქრობთ, საკვებით მართებულად მიუთითებს, რომ საზოგადოების ჩამოყალიბება წარმოადგენს ზოოლოგიური ინდივიდუალიზმის ალაგმვას და პირველყოფილი ჯოგის განვითარების საერთო ტენდენცია მდგომარეობს აგამიური პერიოდების მუდმივ გაზრდაში და შესაბამისად პრომისკუიტეტურის შემცირებაში. ამ აგამიური პერიოდების გაზრდა აუცილებლად უნდა დასრულდეს სრული აგამიის წარმოქმნით და შესაბამისად პირველყოფილი ჯოგის გვარად გარდაქმნით (*Семенов, 1974, გვ. 75*). სხვადასხვა კოლექტივებს შორის სქესობრივი ურთიერთობების დამყარებამ გამოიწვია შობადობის უეცარი გაზრდა და ცხოვრებისუნარიანი, ძლიერი და ნაყოფიერი თაობის ჩამოყალიბება. ბევრ ხალხში არსებობს რწმენა იმის შესახებ, რომ ნათესავენ შორის სქესობრივი კავშირის შედეგად წარმოიქმნება უნაყოფობა, ან მახინჯი ბავშვები (*Семенов, 1974, გვ. 148–149*). ეკზოგამია, გვაროვნული ეპოქის ევოლუციის გვიანდელ ეტაპზე წარმოგვიდგება სქესთა შორის რეგულირების ერთადერთ ფორმას, რომელიც გამორიცხავს ინდივიდუალურ ქორწინებას და წარმოადგენს ჯგუფურ-საქორწინო რეგულირების დანატოვარს (*Семенов, 1974, გვ. 174*).

ავტორთა ნაწილი, ეკზოგამიის წარმოშობის ახსნისას ერთი ლოგიკური მოსაზრებით შემოფარგვლას მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ, მათივე აზრით, შეიძლება დავუშვათ, რომ მცირერიცხოვანი პოპულაციები მივიდნენ ეკზოგამიასთან ახლო ნათესაური შეუღლებების უარყოფითი შედეგების გამო, მეზობლად მყოფი ჯგუფები – კონტაქტების დამყარების მიზნით, ხოლო ჯგუფები დომინირების სისტემის არასაკმარისი ეფექტიანობით – შიდაჯგუფური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. ყველა ამ შემთხვევაში ეკზოგამიის დამყარება არაცნობიერი აქტი იყო. ის იყო ხანგრძლივი სტიქიური პროცესი, რომლის მიმდინარეობაში ის ჯგუფები, რომლებიც მივიდნენ ეკზოგამიასთან, უფრო ცხოვრებისუნარიანი აღმოჩნდნენ და განდევნეს თავისი მეზობლები (*პერშიცი, მონგაიტი, ალექსევი, 1988, გვ. 129–130; Алексеев, Периш, 1990, გვ. 164–165*).

ეკზოგამიის წესი, როგორც ზემოთ გამოჩნდა პირველყოფილ-გვაროვნული წყობიდან იღებს სათავეს და ის, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამა თუ იმ ცივილიზაციის და ერის ბედს, მის კულტურულ განვითარებაში გადასვლის ხარისხს, ის ერთ-ერთ უდიდესი ბიძგის მიმცემი მოვლენაა ცივილიზებული ცხოვრებისკენ. ეკზოგამიის წესის დამკვიდრებით, დედამიწის ხალხთა ნაწილმა მიაღწია განვითარების მაღალ დონეს, მისი შემდგომი დაცვით კი დღევანდლამდე გენოფონდის გადარჩენას შეუწყო ხელი. ჩვენი აზრით, ეკზოგამიის წესის შემომდგემა ხალხებმა, შესძლეს პირველი ბიძგი მიეცათ ე. წ. ნეოლითური რევოლუციისათვის (სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების მონაწილეობის შედეგად). ეკზოგამიის წესის დაკანონება ეს არის საზოგადოების და საზოგადოებრივი წესრიგის ჩამოყალიბების, მისი შემდგომი რეგულირების პირველი დიდი მიღწევა. მოცემული წესრიგი, რომელიც ნეოლითურ რევოლუციაში გადაიზარდა, წარმოიქმნა არა სპონტანურად, არამედ მმართველი კასტის (რელიგიური თუ სამხედრო) ჩამოყალიბებასთან ერთად, რომლის წინაპირობებიც საკმაოდ ღრმა ანალიზს მოითხოვს. სწორედ მმართველი კასტის წარმოქმნა უდევს საფუძვლად ნეოლითურ რევოლუციას და არა მხოლოდ მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი გარემო პირობები, რომელიც მსოფლიო ხალხთა უმრავლესობისათვის ხელსაყრელი იყო, მაგრამ ვერ შეიძლეს განვითარების ამ სტადიაზე გადასვლა. ორ ერთნაირ ხელსაყრელ გეოგრაფიულ გარემოში მეზობლად მცხოვრები ტომიდან ერთი აღწევს ნეოლითურ პროგრესს, მეორე კი საუკუნეების განმავლობაში ისევ ძველი არაპროგრესირებადი ფორმებით აგრძელებს ცხოვრებას. რა თქმა უნდა უსაზღვრო ეკზოგამია არ შეიძლება ჩაითვალოს სასურველ

მიზნად, რამდენადაც ასეთ დროს ბავშვთა დაბადება უმნიშვნელოა. ზომიერი ეგზოგამიის დაცვა კი აუცილებელია ეთნოსისათვის.

მე სავსებით მართებულად მიმაჩნია ის მიდგომები, რომ მანამ სანამ ადამიანი თავის ქცევებში აგრძელებდა მორჩილებას იმ ორი ძირითადი ინსტიქტის მიმართ როგორებიცაა—სქესის და კვების ინსტიქტები, მანამდე ის ჯერ კიდევ არ იყო ადამიანი. ადამიანი ადამიანურის აღზევების უმთავრესი მომენტი იყო მისი სოციალური საწყისისადმი დამორჩილება, ქცევაში სოციალური ნორმების დამკვიდრება. ამისათვის პირველ რიგში აუცილებელი იყო სქესობრივი ინსტიქტების ალაგმვა. ამით კოლექტიმა ჯაჭვი შეება ინდივიდს, უფრო სწორედ ადამიანის ცხოველურ საწყისებს და აიძულა ის გარდაექმნა თავისი ქცევა. დაემორჩილა რა ადამიანი საზოგადოებრივ დადგენილებებს, მან ისწავლა თავისი ინდივიდუალიზმის ალაგმვა. ის თავის თავში ავითარებდა სოციალურ გრძნობებსა და წარმოდგენებს. ამის შედეგად ის ხდებოდა ნამდვილი ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვების ავტორი, ჩვენი აზრით, მაინც დამაჯერებლად ვერ ხსნის ეგზოგამიის წარმოშობის მიზეზებს, ის სოციოლოგიური კუთხით სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ ეგზოგამიის პროგრესული ნაბიჯის მნიშვნელობა უდიდესი იყო. მან არა მარტო ალაგმა ზოოლოგიური საწყისები ადამიანში, არამედ მან ასევე წარმოქმნა წარმოდგენები ნათესაობაზე, რომელიც არ არსებობდა პირველყოფილ ჯგოფში (Болотарев, 1964, გვ. 63). მან შესძლო ერთი მეურნეობის, ერთი იდეის, ერთი მორალური ნორმების, ურთიერთდახმარების აუცილებლობის და პირადი ინტერესების საზოგადოებრივ მორჩილების თანაარსებობას დაუდო საფუძველი. ასევე ეგზოგამიის წესმა დაარეგულირა მეზობელ თემებთან ურთიერთობა და კარნაქციულობას, პირველადი ჯგოფის იზოლირებას და მტრობის ეპოქას წვეტილი დაესვა. მან ტომთა კულტურულ ურთიერთობების დამკვიდრებას შეუწყო ხელი (Болотарев, 1964, გვ. 64–65). ის აახლებდა ადამიანთა გვარს, მის საზოგადოებას და კულტურას. მორგანს სწორედ ტომის კულტურული ზრდა ჰქონდა ალბათ მხედველობაში და არა თავის ქალას რეალური ფიზიკური ცვლილება როდესაც აღნიშნავდა, რომ „არამონათესავე პირებს შორის საქორწინო ურთიერთობებთან დაკავშირებული ახალი წესრიგის შემოღებას დადებითი იმპულსი უნდა მიეცა საზოგადოებრივი განვითარებისათვის. ასეთი ქორწინებები იძლეოდნენ ფიზიკურად და გონებრივად უფრო ძლიერ შთამომავლობას. ბარბაროსული ცხოვრების გარემოებებიდან გამომდინარე როდესაც ორი პროგრესირებადი ტომი კარგი გონებრივი და ფიზიკური მონაცემებით ერთმანეთს ეჯახებოდა და ერწყმოდა, ახალი თაობის თავის ქალა და ტვინი უნდა გაფართოებულიყო და გაზრდილიყო ორივე ტომისთვის დამახასიათებელი პროპორციების შესაბამისად. ასეთი თაობა ყველა წინანდელზე უფრო მაღლა უნდა მდგარიყო და ამ უპირატესობას უნდა მოეტანა ინტელექტის მატება და რიცხვნობის გაზრდა. ეს არ წარმოადგენს კაცობრიობისათვის ჩვეულებრივ თანმდევს, არამედ წარმოადგენს განვითარების პროდუქტს ყველა დანარჩენი სულიერი მიდრეკილებების და ძალის მიმართ” (Льюис Г. Морган, 1935, გვ. 272).

თავის დროზე საკმაოდ მკაფიოდ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ამ ფაქტის ახსნის ყველან მცდელობას მიეყვარათ იმ დასკვნამდე, რომ ერთი სახეობის საქორწინო კავშირები ვნებს შთამომავლობას, ხოლო სისხლის აღრევა სასარგებლოა იმისთვის, თუ ამ აღრევაში არ მონაწილეობენ ძალიან განსხვავებული რასები. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ კაცობრიობა, რომელიც ცდილობს თავიდან აირიდოს ნათესავებს შორის ქორწინება—სწორ გზაზე დგას (Шурц, 1923, გვ. 121–122). ერთი „ბუნების”, ანუ ერთ სოციალურ ჯგუფს შორის ქორწინება მოიტანს ისეთივე შედეგს მსოფლიო წესრიგში, განწირულია ისეთივე საცოდავი უნაყოფობისათვის, როგორც ეს შეიძლება იყოს ერთი სქესის ინდივიდებს შორის ქორწინებისას (Кауца, 2003, გვ. 203).

ეგზოგამია მოასწავებს სოლიდარობას და პოლიტიკურ ერთიანობას არა მხოლოდ ორ ურთიერთშეკავშირებულ ნაწილებს შორის, არამედ ქმნის საკმაოდ ოპტიმალურ პირობებს საქორწინო კავშირების შედეგად წარმოქმნილი ნაყოფიერებისათვის. ერთი ბუნების ინდივიდების შეერთების შედეგად შესაძლოა დაიბადნენ მხოლოდ უდღეურები (უგნურები) და მახინჯები (არა მარტო ზნეობრივად არამედ ფიზიკურადაც). ასე, რომ

ეგზოგამიის კანონის დარღვევა წარმოადგენს არა მარტო იმ ორგანიზაციის დარღვევას, რომელსაც ეფუძნება ადამიანთა ერთობლივი ცხოვრება, არამედ ეს არის კიდევ ერთი ზუსტი ექვივალენტი ჰომოსექსუალიზმისა მისტიკურ ჭრილში (Kaaya, 2003, გვ. 204).

ჯერ კიდევ პირველყოფილ გვარში, ტოტემის შეჭმა და ეგზოგამიის კანონის დარღვევა ეს ერთი და იმავე კანონის პარალელური დარღვევაა, რომლითაც ყოველი ჯგუფი გამოყოფს საკრალურს და პროფანულს (Kaaya, 2003, გვ. 205). სხვადასხვა ხალხთა მითოლოგიაში ეგზოგამიის დარღვევა ხშირად კორელირდება სიმშვიდის დარღვევასთან, მზის ან მთვარის დაბნელებასთან და კატასტროფებთან. ინცესტი და სხვა სოციალური დარღვევები წარმოადგენს ქაოსის საფუძველს, რომელიც ემუქრება უკვე მიღწეული სოციალური და ბუნების წესრიგის დარღვევას. ამდენად, დუალური ეგზოგამიის შემოღება, ანუ საზოგადოების წარმოშობა იმპლიციტურად გამოხატავს ქაოსის კოსმოსად გადაქცევას (Мелетинский, 1967, გვ. 201).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მაიმუნებშიც კი არის შემჩნეულია და— ძმებს, დედებსა და შვილებს შორის სქესობრივი ურთიერთობებში შეცვლისკენ გადახვევა. გამომდინარე აქედან, გამოთქმული მოსაზრებით, მაიმუნის ჯოგიდან პრიმიტიული ადამიანების ერთობაზე გადასვლასთან ერთად უნდა მომხდარიყო ამ ბიოლოგიურ ჩაროში ჩამოყალიბებული წესრიგის ინსტიტუციონალიზაცია. ასეთ სიტუაციაში სტაბილურ ერთეულს წარმოადგენს ქალთა ერთობები გენეტიკური მემკვიდრეობითობით (წარმოშობის ერთიანობით); კოლექტივში დაბადებული ბიჭები სრულწლოვანების ასაკთან ერთად ტოვებენ მას. გამომდინარე აქედან ქალებთან კავშირში შედიან სხვა ჯოგში დაბადებული მამაკაცები. ავტორი, ეგზოგამიის მიზეზად სწორედ ოჯახის გარემულ, ანუ პოლიგინიურ ვარიანტს მიიჩნევს და გამომდინარე აქედან მომდევნო ეტაპზე გარემული ოჯახის გაქრობას და ეგზოგამიის წარმოშობას ქალების დაინტერესებით ხსნის მონადირე მამაკაცების გარედან მეტი მოზიდვის აუცილებლობიდან გამომდინარე. საერთოდ ს. არუთიუნოვი, როგორც დედის ფილიაციას, ისე ეგზოგამიას უკავშირებს ორგანიზაციის ბიოლოგიურ ფორმებს (გარემულ ხასიათს) (Арутюнов, 1989, გვ. 55). ეგზოგამიური გვაროვნული ერთეულის ჩამოყალიბების პერიოდად კი მიიჩნევს მუსტიეს ფინალურ პერიოდს, როდესაც ხდება ადამიანის ახალი ტიპის—ჰომო საპიენსის ჩამოყალიბება. სწორედ ამ დროს შეწყდა ადამიანის ბიოლოგიური ადაპტაციური მექანიზმები და შეიცვალა მათთვის იზომორფული კულტურული მექანიზმებით (Арутюнов, 1989, გვ. 57).

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრების ნაწილი ლოგიკურობას არ არის მოკლებული, თუ არ მივიღებთ იმას, რომ ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვა, რაც მე პირადად ძალზედ პრიმიტიულ და სათანადოდ მეცნიერულად გაუმყარებელ მიდგომად მიმაჩნია. მეორე მხრივ, ეგზოგამიის წესის წარმოქმნის მიზეზად არ შეიძლება მივიჩნიოთ პირველყოფილი ადამიანის ზემოთ მოყვანილი ერთი რომელიმე ცხოვრების წესი (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მამაკაცების მიერ თავიანთი ბანაკის დატოვებას), რამდენადაც ბევრ სხვა ხალხში ეს წესი ყველგან არ დასტურდება და სოციალური ცხოვრების ფორმების ჩამოყალიბება სხვა მიმართულებებითაც ხდებოდა.

ჩვენი აზრით, პირველად ტომებად მართებულად არის მიჩნეული ნეოლითიდან მეზოლითისკენ გარდამავალი ეპოქის ტომები, როდესაც იწყება ნეოლითური რევოლუციის წინამძღვრები (Арутюнов, 1989, გვ. 59). ვფიქრობთ, რომ მეზოლითის პერიოდში, იმ ტომებში რომლებმაც განვითარების გარკვეულ დონეს მიაღწიეს, ეგზოგამიის დაკანონების პროცესი უკვე დასრულებული ჩანს, წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმე პროგრესი შეუძლებელია დამდგარიყო. ჯოგის გვარად გარდაქმნა და წინარეტომების წარმოქმნა ერთდროულად იყო როგორც ინტეგრაცია (გვარების წყილადი შესაბამისობების შერწყმა წინარეტომებში), ისე დიფერენციაციაც (პოპულაციური ხაზის დიფუზიურობის შემცირება, წინარეტომების ასაკობრივი განსხვავებები) (Арутюнов, 1989, გვ. 63). საპიენტიზაცია, ანუ ადამიანის წარმოქმნა ახალი ბიოლოგიური და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული კულტურულ—სოციალური ნიშნებით, თავისთავად იყო ინტეგრაციული ტიპის

მოვლენა. თვით ამ ინტეგრაციამ განაპირობა კაცობრიობის პრინციპული ერთიანობა, რომელიც დღესაც ნარჩუნდება (Арутюнов, 1989, გვ. 67).

სწორედ სქესობრივი ურთიერთობების შეზღუდვის ერთ-ერთი საფეხურის— ეკზოგამიის წარმოშობა (სხვა სახის განითარებასთან ერთად), ემთხვევა და განაპირობებს ჰომო საპიენს—ის ჩამოყალიბებას (ბექაია, 1980, გვ. 85).

ბიოლოგიური და სოციალური იმდენად ურთიერთგანმსაზღვრედ კავშირში არიან, რომ მაგალითად, ისეთი არაბიოლოგიური, სოციალური მოვლენების მოქმედება, როგორცაა შრომის ორგანიზაცია და განაწილება, საზოგადოების წეს-ჩვეულებები და სხვა, ხშირად ისეთ ბიოლოგიურ მიზნებს ემსახურებიან, როგორცაა კვების პროდუქტების განაწილება, საცხოვრებელთან დაკავშირებული ღონისძიებანი, საზოგადოების ზრუნვა შთამომავლობაზე და სხვ. (ბექაია, 1980, გვ. 86).

სისხლის აღრევის მანვე შედეგების შესახებ, როგორც ეკზოგამიის წარმოქმნის მიზეზის თეორია დიდი ხნის განმავლობაში მოძველებულად ითვლებოდა. თუმცა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული გენეტიკის განვითარებასთან ერთად უპირატესობა მიენიჭა იმ აზრს, რომ ახლონათესაურ შეჯვარებას მივყავართ უფრო მეტად ლეტალური და სუბლეტალური გენების განმტკიცებასა და მოგროვებასთან, ვიდრე ხელსაყრელი გენებისა (დუბინინი, ლერნერი, მორტონი, აურბახი) (Файнберг, 1975, გვ. 57).

თუ გენეტიკოსები მართლები არიან, და სისხლის აღრევა საბოლოო ჯამში იწვევს მცირე პოპულაციის გადაშენებას, ან სულ მცირე მისი წევრების ფიზიკურ დეგრადაციას მაინც, მაშინ ამ ფაქტორის როლი ეკზოგამიის შემოღებაში შესაძლოა მნიშვნელოვანი ყოფილიყო, თუმცა არა გააზრებული. პრომისკუიტეტის ეპოქაში დიდი ხნის განმავლობაში (შუა და ზედა პალეოლითში) უნდა ვივარაუდოთ ისეთი კოლექტივების თანაარსებობა, რომლებიც ცდილობენ შიდა მშვიდობა შეინარჩუნონ მხოლოდ სქესობრივი ცხოვრების ნორმირების და შეზღუდვის შედეგად იმ კოლექტივებთან ერთად, რომლებმაც უკვე მუსტიეში შინაგანი შეზღუდვებით მოახერხეს ეკზოგამიაზე გადასვლა. მათი ნაწილი გადაშენდა, დაიფანტა ან განადგურდა, რამდენადაც მათზე უარყოფითად მოქმედებდა ინბრიდინგის მანვე შედეგები. ამან მიგვიყვანა გვაროვნულ ეკზოგამიამდე, როგორც ზედა პალეოლითელი ადამიანის უნივერსალურ ინსტიტუტამდე (Файнберг, 1975, გვ. 58–59).

საკითხთან მიმართებაში ლოგიკურია წამოვაყენოთ ასეთი მიდგომა, რომ გარკვეული კულტურული მიღწევები პირველყოფილ საზოგადოებაში იქმნება მაშინ როცა ამის საჭიროება დადგება. თანამედროვე ტიპის ადამიანი ამა თუ იმ საგნის, იარაღის დამზადებისას წინასწარ ადგენს მის სქემას და განსაზღვრავს მისი რეალიზაციის მიმართულებებს და შედეგებს. მაგრამ პირველყოფილ ადამიანის აზროვნება წინასწარი გააზრების თვალსაზრისით, ასეთი ვერ იქნებოდა. ადამიანი ძალზედ ხანგრძლივი ეპოქების განმავლობაში უნდა მისულიყო ეკზოგამიის წესის დამკვიდრებამდე რაღაც საჭიროების, აუცილებლობის გამო. ჩვენ აქ არ უნდა გამოვირიცხოთ როგორც სპონტანური მოქმედება, ისე ემპირიული დაკვირვების პროცესიც, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა და რაღაცის მიზეზით ადამიანი მივიდა მისი დაკანონების აუცილებლობის დასკვნამდე. ეკზოგამიის დაკანონების მიზეზი, პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების წესიდან გამომდინარე, რომელიც პლანეტის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული და ზოგჯერ რადიკალურად განსხვავებული იყო, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთნაირი და უნივერსალური ხასიათის.

ეკზოგამია ეს ის მოვლენაა, რომლის შედეგადაც სხვადასხვა ჯგუფებს შორის უკვე მყარდება არა მტრული, არამედ ნათესაური კავშირები. ამან ცალკეული ჯგუფებისათვის მოიტანა გარკვეული ეკონომიკური სარგებელი და კულტურული სიახლეები, რაც უმთავრესად მატერიალური საგნების გაცვლაში ვლინდება უცხო ტომიდან მამაკაცის მიერ ქალის შერთვის შემთხვევაში (არქეოლოგიურ კულტურებში სწორედ ეს ხაზი უნდა განისაზღვროს ნათლად, რაც უმრავლეს შემთხვევაში ჩანს კიდევაც თუ საკითხზე არსებულ თეორიულ ბაზას სწორად გავიაზრებთ) რაც შემდგომში სყიდვითი ქორწინების ჩამოყალიბებაში აისახა. სწორედ ამ საქორწინო ჯგუფების გაერთიანების

შედგება იქმნება სისხლით ნათესაური ერთეული გენის ანუ გვარის, შემდგომ კი ისტორიის გარკვეულ ეტაპზე პირველი ეთნოსოციალური დიდი ერთეულის ტომის ფორმით, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ცდილობს შეინარჩუნოს ენდოგამიურობა, რაც მას აძლევს იმდროინდელი ეთნიკური ერთეულის სტატუსს.

ზოგიერთი ავტორი (გროსესე), ვფიქრობთ, სამართლიანად უკავშირდება უმაღლესი საზოგადოებრივი ფორმების წარმოქმნის მიზეზს სქესთა შორის ურთიერთობების რეგულირებას (*Шурц, 1923, გვ. 116*). ჩვენი აზრით, სწორედ ეკზოგამიის წესს და შესაბამისად პრომისკუიტეტის აღმოფხვრას უნდა მივაწეროთ *homo sapiens*-ის წარმოქმნა და თანდათანობით სვლა ე. წ. „ნეოლითური რევოლუციისაკენ“. როგორც ჩანს, მეზოლითურ ტომთა უმრავლესობაში, იქ სადაც არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ცხოვრების წესში შეიმჩნევა ძირეული გარდატეხა და სიახლეები, ეკზოგამიის წესი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებაში წამყვანი უნდა ყოფილიყო, და რაც მთავარია აზროვნებით და ფიზიკურად ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბებისათვის უნდა შეეწყო ხელი.

მაშასადამე, იქ, სადაც „ამოქმედდა“ ეკზოგამიის წესი, უნდა შეცვლილიყო გენოფონდიც, რასაც უნდა მოჰყოლოდა სწრაფი ნახტომი „ნეოლითისკენ“, რამაც გამოიწვია ინდივიდის და ჯგუფის აზროვნების რადიკალური ცვლილება, სოციალიზაციის პროცესის დაჩქარება. საბოლოოდ კი ამას მიყვავართ იქამდე, რომ ჩვენი აზრით, სწორედ ჯიშში უნდა ვეძებოთ ძლიერი ძალა და არა ინივიდუალიზმში. ამ მხრივ კი ქართველთა ეთნოსს და ცივილიზაციას ბევრი აქვს გასააზრებელი და მეცნიერულად საკვლევი.

ლიტერატურა:

1. ბეჟია მ. ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბ., 1980.
2. პერშიცი ა. ი. მონგაიტი ა.ლ. აღექსევევი ვ. პ. პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, თბ., 1988.
3. Арутюнов С. А. Народы и культуры: развитие и взаимодействие, М. 1989.
4. Алексеев В. П. Возникновение человека и общества, Первобытное общество, М. 1975.
5. Алексеев В. П. Першиц А. И. История первобытного общества М. 1990.
6. Золотарев А. М. Родовой строй и первобытная мифология, М. 1964
7. Каиуа Р. Миф и человек . Человек и сакральное, М. 2003.
8. Ковалевский М. М. Первобытное право, вып. I, М. 1886.
9. Кунов Г. О происхождении брака и семьи, М. 1923.
10. Леви_Строс К. Структурная, антропология, М. 1985.
11. Льюис Г. Морган, Древнее общество, Л. 1935.
12. Мелетинский Е. М. Поэтика мифа, М. 1976.
13. Семенов Ю. И. Происхождение брака и семьи, М. 1974.
14. Толстов В. П. Древний Хорезм, М. 1948.
15. Фаинберг Л. А. Возникновение родого строя, Первобытное общество, М. 1975.
16. Шурц Г. История первобытной культуры, вып. I, М. 1923.

David Chitanava

*Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology of
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
david_chitanava@yahoo.com*

Origin of exogamy and its role in society formation.

Summary

This article is an attempt to demonstrate the social role of exogamy in society formation, which, in our opinion, facilitated transition from the prehistoric herd to the so called "Neolithic lifestyle". The research has identified the materials which enable us to confidently claim that legalization of exogamy

played the key role in the fulfillment of this "sudden change" in the society and culture. At the same time, we consider it important to define the role and significance of exogamy for today's society, both in genetic as well as in social terms.

The exogamy represents not only the regulatory norm for wedding relations, but it also regulates relations between the sexes, whether they are, or are not linked with the wedding ties.

Exogamy means solidarity and political unity, not only between the two mutually coherent parts, but rather creates pretty optimal conditions for fertility arisen from marital unions.

Connection between the Individuals of one nature can result only in premature (Mindless) and the ugly (not only morally, but also physically) births.

Observation of the exogamy rules leads to the conclusion that marital ties of one type harms posterity, while blood mix is useful, if too different races do not participate. Humanity, which is trying to avoid marriage between relatives are on the right path.

The reasons of formation of higher forms of social relations is largely associated with regulations of the relationships between the sexes. Emergence of Homo sapiens and the gradual move towards so called "Neolithic Revolution" can be referred exactly to the exogamy way of living and respectively elimination of promiscuous lifestyle. In the majority of the Mesolithic tribes, where we can observe from archaeological materials that there is a turning point and novelty in the life-style, exogamy in regulation of public relations had to be the leading, and most importantly had to promote a new type of a human, in terms of physical and mental development.

Therefore, wherever exogamy lifestyle has "launched", change in the gene pool had to change as well, which would lead to a quick jump to the "Neolithic lifestyle", which led to a radical change in the individual and group judgment, socialization process acceleration. Eventually it leads us to the fact that, in our opinion, "We should seek a powerful force in a breed, and not in the individualism". In accordance to the issue, it is logical to raise such an approach too, that some cultural achievements in a primitive society are established when it is necessary. Modern human, in the process of the production of this or that subject, or arms pre-sets the plan and determines the directions of its implementation and results.

But the primitive men couldn't think this way. Over very long periods of time, human had to come up with establishing exogamy rules, by necessity.

Here we can not exclude as a spontaneous action, as well as empirical observation process, which lasted for centuries, and for some reason people came to the conclusion of necessity of its legalization. Exogamy legalization motive could not have been the same and of universal nature, because of the primitive man's way of life, which was sometimes radically different in the different parts of the planet.

ქეთევან დიღმელაშვილი

დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი, საქართველო
ketisha80@gmail.com

გიორგი ლაღიაშვილი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
lagiashvili-g@mail.ru

თეთრი ანგობით მოხატული კერამიკის წარმომავლობის საკითხისათვის შიდა ქართლის ტერიტორიაზე

ელინისტური პერიოდის ქართლის კერამიკულ ნაწარმში გამოიყოფა თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი, ძირითადად ქოთნებით, დოქებით, ქვაბ-ქოთნებით, ჩაფებით და კოჭობებით წარმოდგენილი. ესაა თეთრი თიხის ხსნარის კონცენტრული და ტალღოვანი ზოლებით შემკული ჭურჭელი, რომლებიც კარგად განლექილი თიხითაა დამზადებული, თხელკედლიანია და გამომწვარია მოჩალისფროდ ან მოვარდისფროდ. ამ ტიპის ჭურჭელზე ანგობით ზოლების გაკეთება, როგორც წესი, გამოწვამდე სრულდებოდა. აღნიშნული ჭურჭელი დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. IV-II სს. დათარიღებულ კულტურულ ფენებში ჩნდება. ისინი აღმოჩენილია ნატახტრის სამარხებში, ღართისკარის წისქვილსა და ტაძარში, სამადლოში, ნასტაქისში (ნარიმანიშვილი, 1987; აფაქიძე, 2004: 70-80; Гагошидзе, 1979: 79-80).

გარდა დიდი მცხეთისა, თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი აღმოჩენილია გრძელ მინდორზე (სარკინეს სამეურნეო უბანი), ურბნისში, უფლისციხეში, ციხიაგორაზე, გრაკლიან გორაზე და სხვ., ანუ ამ ტიპის კერამიკა პრაქტიკულად ელინისტური პერიოდის ქართლის ყველა დიდ ნაქალაქარზე დასტურდება (Бохочадзе 1979:106-117; ხახუტაიშვილი 1970: 192; ცქიტიშვილი 2003; ლიხელი 2014).

მისი ქართლში გავრცელების ქრონოლოგიაში, მეცნიერები გამოყოფენ ორ პერიოდს: ძვ.წ. IV-III სს. და ძვ.წ. II საუკუნეს¹. პირველ ეტაპზე თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი შედარებით ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი. შემდეგ ქრონოლოგიურ პერიოდში კი ის უფრო მრავლდება. მეცნიერთა შენიშვნით, ამ პერიოდის აღნიშნული ჭურჭელი როგორც თიხის შემადგენლობით, ისე ჭურჭლის ფორმებით და გამოწვის კონდენციით, მცირედ განსხვავდება წინა პერიოდის და კახეთში აღმოჩენილი ასეთივე ჭურჭლისგან, თუმცა კავშირი მათ შორის იმდენად აშკარაა, რომ ისინი არ შეიძლება სხვადასხვა კულტურის ელემენტად იქნეს განხილული (Нариманишвили 1991:80-82).

თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი გაცილებით დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი კახეთის ტერიტორიაზე. იმის გამო, რომ დღევანდელი კახეთის ტერიტორიაზე ის ზოგჯერ იალოილუთეფეს კულტურისათვის დამახასიათებელ არტეფაქტებთან ერთად, ერთ კომპლექსში დასტურდებოდა, XX ს. 40-60-იან წლების სამეცნიერო ლიტერატურაში თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი ამ კულტურის ერთ-ერთ ელემენტად მიიჩნეოდა (ნიორაძე 1940; თოლორდავა 1978). თუმცა, მოგვიანებით ამ ტიპის კერამიკული ნაწარმის იალოილუთეფეს კულტურის წრეში განხილვა დღის წესრიგიდან მოიხსნა (ლაღიაშვილი 2013). კვლევამ აჩვენა, რომ მას საერთო არაფერი აქვს დასახელებულ კულტურასთან. დღეისათვის თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკა იორ-ალაზნის ორმდინარეთის ავტოქტონური მოსახლეობის – ჰერული კულტურის მახასიათებლადაა

¹ ამ ტიპის ჭურჭლის ქართლში გავრცელების ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღართისკარის ერთ-ერთი კოშკის მონაცემებზე გაკეთებულნი¹⁴ ანალიზი, რომლის მიხედვითაც კოშკების თარიღი ძვ.წ. III ს.-ით განისაზღვრა. ამ ფენაში კი ანგობირებული ჭურჭელი არ აღმოჩენილა. სამაგიეროდ, თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული ჭურჭელი საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა იმავე ღართისკარის ძვ. წ. II საუკუნით დათარიღებულ წისქვილსა და ტაძარში (თანაც საკურთხეველთან) (აფაქიძე, 1985; ნარიმანიშვილი, 1987).

მიხნეული და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ადგილობრივი კერამიკული წარმოების შემკვიდრედ განიხილება (ფიცხელაური 1973:202-207; Пицхелаური 1977).

მეცნიერთა მოსაზრებით, თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლის წარმოშობა ჰერეთში უნდა მომხდარიყო, საიდანაც გავრცელდა ქართლის სამეფოს ცენტრალურ ნაწილშიც. კახეთში ამ კერამიკის არსებობის ქრონოლოგიური დიაპაზონი უფრო დიდია – ძვ.წ. IV – ახ.წ. IV საუკუნეები. მართალია, ახალი წელთაღრიცხვის დამდგვიდან თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული ჭურჭლის აღმოჩენის სიხშირე მკვეთრად კლებულობს, მაგრამ ქართლისგან განსხვავებით, ამ ტიპის კერამიკის დამზადების ტრადიცია მაინც განაგრძობს არსებობას გვიან ანტიკურ პერიოდში (Гагошидзе 1979:79-80; Нариманишвили 1991:80; ფიცხელაური 1973:201-207; გაგოშიძე 1970:46; მირიანაშვილი 1983:54).

ქართლის ტერიტორიაზე თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკის გავრცელებას მეცნიერები უკავშირებენ სავაჭრო ურთიერთობებს. მომდევნო ეტაპზე კი – ძვ.წ. II ს. – მათ ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევენ (Гагошидзе 1979:79-80; Нариманишვილი 1991:80; გაგოშიძე 1970:46). განსახილველი კერამიკის ასეთი სიუხვე ქართლში, მართლაც მის ადგილობრივ წარმოებაზე უნდა მიუთითებდეს. ეს დაადასტურა კიდევ თ. მორჩაძის მიერ მცხეთის სხვადასხვა უბანზე მოპოვებულ კერამიკაზე ჩატარებულმა ქიმიურმა ანალიზმაც. მათ შორისაა სამადლოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის ანგობირებული კერამიკის ნიმუშებიც. კვლევამ ცხადყო, რომ ჭურჭელი ადგილობრივი თიხით იყო დამზადებული (მორჩაძე 1980:40-44).

საინტერესოა, რომ ქართლის (მათ შორის დიდი მცხეთის) ტერიტორიაზე, თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული ჭურჭლის გავრცელების პირველ ეტაპზე – ძვ.წ. IV-III სს. – ასეთი ჭურჭელი არ გვხვდება იმ სამაროვნებზე, რომლებიც მიიჩნევა ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის საკრძადავად (მაგალითად, შავსაყდარა I და პაპიგორა, დაჭრილების სამაროვანი) (მარგიშვილი. . . 2004:128-131; ნაკაიძე 1990:28-41). სამაგიეროდ აღმოჩენილია საქალაქო ან მის შემოგარენში გამართულ სამაროვნებზე (მაგალითად, ნატახტარი, აღაიანი). აღნიშნული ფაქტი, ვფიქრობთ, უნდა მეტყველებდეს იმაზე, რომ ძვ.წ. IV ს. მიწურულს ქართლში ამ ტიპის ჭურჭლის გამოჩენა ძირითადად საქალაქო ცენტრებში ხდება, მოგვიანებით კი, მათი ადგილზე დამზადება უფრო ფართო გავრცელებასაც განაპირობებს.

როგორც აღინიშნა, მკვლევართა აზრით, თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი ქართლში სავაჭრო ურთიერთობების გზით გავრცელდა ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოდან, ხოლო ძვ.წ. II საუკუნიდან ის უკვე ადგილობრივად იწარმოება. აღნიშნული ტიპის ჭურჭლის გავრცელების პირველ ეტაპზე, მისი ცალკეული ნიმუშები ქართლში შესაძლოა ნებისმიერი გზით მოხვედრილიყო (იქნებოდა ეს სავაჭრო ურთიერთობა თუ გაცვლა-გამოცვლა), რაც შეეხება მეორე პერიოდს – მისი ადგილობრივ წარმოების საკითხს, ის დამაჯერებლად არის დასაბუთებული კვლევებით (იხ. ზემოთ), მაგრამ, ჩვენის მხრივ ვსვამთ კითხვას: ელინისტური პერიოდის ქართლში, მოხატული კერამიკის აყვავების ხანაში, როცა ისინი ადგილობრივ იწარმოება და ქართლის სხვადასხვა ტერიტორიიდან არქეოლოგიური მონაპოვრის სახით არაერთი ბრწყინვალე ნიმუში მოგვეპოვება, რა აუცილებლობა იდგა ქართლის მოსახლეობას ეწარმოებინა უფრო დაბალი მხატვრული ღირებულების მქონე ჰერული კერამიკის მინაბაძები? ხომ არ შეიძლება თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული კერამიკის მასობრივი გამოჩენა ქართლში მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის მოძრაობას დაუკავშიროთ? ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ჰერეთიდან მოსახლეობის გაკრეული ჯგუფის მიგრაციას.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ძვ.წ. VI საუკუნიდან მოყოლებული ჰერეთში, განსაკუთრებით კი მის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხე კამბეჩოვანში მოსახლეობის მკვეთრი შეთხველება შეინიშნება. მაგალითისათვის: მხოლოდ შირაქის ველის ირგვლივ, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისის 15-ზე მეტი ქალაქური ტიპის დასახლებაა აღრიცხული (ფიცხელაური. . . 2010) და მათ შორის ზოგი („ცისკარაანთ გორა“, „უსა-

ხელო გორა“) არქეოლოგიურადაც არის შესწავლილი (ფიცხელაური 2013), ზოგიერთი კი ამჟამად ითხრება („დიდნაურის“ ნაქალაქარი). ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან კი, შირაქის ველი პრაქტიკულად გაუკაცრიელებულია ისე, რომ იქ მუდმივი მოსახლეობის კვალი, დღეისათვის არსებული მონაცემების მიხედვით, საერთოდ არ დასტურდება. აღნიშნული პერიოდის ნამოსახლარები, კამბეჩოვანში ძალზე მცირე რაოდენობითაა ცნობილი. ასეთებად შეიძლება დავასახელოთ: ქუმბათის აქემენიდური ხანის სასახლე, ნაქალაქარი ხორანთა (ელდარ-სამუხის ველზე) და საბათლოში (მდ. ალაზნის ქვემო დინების მარჯვენა ნაპირზე) გამოვლენილი ტაძრის (სასახლის?) ნაშთები. წინამდებარე სტატიის მიზანს, რასაკვირველია არ წარმოადგენს იმ პრობლემის გაშუქება თუ რა მიზეზებმა განაპირობა ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან იორ-ალაზნის ორმდინარეთის ქვემო წელზე მოსახლეობის შეთხელება, ეს ცალკე კვლევის საგანია.

აქ ჩვენ უბრალოდ ვახდენთ არქეოლოგიური ფაქტების კონსტატირებას: აღნიშნულ პერიოდში ერთი მხრივ ჰერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში ხდება ცხოვრების ინტენსივობის დაკნინება; მეორე მხრივ კი სწორედ ამ პერიოდში ვრცელდება ჰერული ნაწარმი შიდა ქართლში.

საერთოდ, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მუსირებს აზრი, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარიდან და მთისწინეთიდან ინტენსიურად ხდებოდა მოსახლეობის მიგრაცია ჰერეთისაკენ (მუსხელიშვილი 1966, მუსხელიშვილი 1977, მუსხელიშვილი 2007). თუმცა, ძნელია ეს პროცესი წარმოვიდგინოთ მხოლოდ ერთი მიმართულებით: დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. შიდა მიგრაციული პროცესების კვლევისას, ვფიქრობთ, გათვალისწინებული უნდა იქნას კონკრეტული ეპოქის ისტორიული პერიპეტები. როდესაც ჩვენ ვაყენებთ ჰიპოთეზას ჰერეთიდან ქართლში მოსახლეობის მიგრაციის თაობაზე, აუცილებლად უნდა შევხებით ამ მოვლენის პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ საფუძვლებს.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, ჩვენ ჰერეთში სახეზე გვაქვს მაღალგანვითარებული საქალაქო ცხოვრება (ფიცხელაური 2013). პალინოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ამ პერიოდში შირაქში (რომელიც დღეს მშრალ, უწყლო სტეპს წარმოადგენს) წყლის მოყვარული მცენარეულობა იზრდებოდა და ადგილობრივი მოსახლეობა მორწყვით მიწათმოქმედებას მისდევდა.¹ იმავე პალინოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ფიქრობენ, რომ ძვ.წ. VI საუკუნიდან იორ-ალაზნის ქვემო წელზე დაიწყო კლიმატის გაშრობა, რამაც ნელ-ნელა ჩაკლა მორწყვითი მიწათმოქმედება და წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ამ რეგიონის მეურნეობის ძირითად დარგს უკვე სეზონური მესაქონლეობა წარმოადგენდა (გაგოშიძე 2007). მეურნეობის ეს დარგი კი საქალაქო ცხოვრებასთან სრულიად შეუთავსებელია. ალბათ, ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი ჰერეთის ქალაქური ტიპის დასახლებებიდან მოსახლეობის ერთი ნაწილის მიგრაციისა სხვა რეგიონებში. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ ჰერული კერამიკა შიდა ქართლში პირველად სწორედ დიდ ქალაქებში ჩნდება.

საკვლევი ჭურჭლის გამოჩენა ქართლში ასევე ემთხვევა ერთიანი ქართლის სამეფოს შექმნის დროს. აზო-ფარნავაზის მოღვაწეობის დროისთვის, ჰერეთის პოლიტიკური კუთვნილების შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებია დაცული. ლეონტი მროველი, ეხება რა ფარნავაზის ადმინისტრაციულ რეფორმას, ჩამოთვლის მის მიერ დანიშნულ ერისთავებს, რომელთა რიცხვშიც ჰერეთის ერისთავი არ იხსენიება. მემატეანის ცნობით, ფარნავაზის სამეფოს უკიდურესი აღმოსავლეთის პროვინცია იყო კახეთი, რომელიც თურდოს, სტორისა და სამების ხეების ხაზზე ემიჯნებოდა ჰერეთს (ლეონტი მროველი 1955:24). ვახუშტი ბაგრატიონი, ეხება

¹ ჩვენ მიერ, 2015 წელს შირაქის ველზე წარმოებულმა აეროფოტო გადაღებებმა, სატელიტური ფოტოების დეშიფრირებამ და ზედაპირულმა დაზვერვებმა, საშუალება მოგვცა აღგვედგინა შირაქის ველის ძველი ჰიდროქსელი, რომელიც წარმოდგენილია სამი მდინარით („ჩალიანხევი“ „დიდნაური“ და „დიდი რუვი“), რომლებიც შირაქის ველის ცენტრში მდებარე ტბაში იყრიდნენ თავს (ფიცხელაური. . . 2014).

რა საქართველოს ისტორიის იგივე მონაკვეთს, ფარნავაზის ერისთავებს შორის ასახელებს კახეთ-კუხეთ-ჰერეთის ერისთავს. აქვე, ავტორი გვამცნობს, რომ ჰერეთის ისტორიის საკითხში ის სარგებლობს წყაროთი, რომელიც არჩილის მეფობამდეა (სავარაუდოდ იგულისხმება ქართლის ერისმთავარი არჩილი, VIII ს.) შექმნილი და რომელსაც ჩვენს დრომდე არ მოუღწევია (ვახუშტი ბაგრატიონი 1973:57,556). და ბოლოს, კიდევ ერთი წყარო, რომელიც ქართლის სამეფოს შექმნას და აზო-ფარნავაზის ამბებს ეხება - „მოქცევაი ქართლისაი“ აზოს სამეფობელოში (ანუ ქართლის სახელმწიფოში) მოიაზრებს ჰერეთს (მოქცევაი ქართლისაი 1963:81; ლალიაშვილი 2015).

ამავე დროს, წყაროებში დაცული ინფორმაციით, აღნიშნულ პერიოდში ქართლის სამეფოში გარკვეულ შიდაეთნიკურ მიგრაციებს აქვს ადგილი (გავისხენოთ თუნდაც აზოს მიერ „ათორმეტი სახლის“ ჩამოყვანა და დასახლება ქართლის ქალაქებში). ვფიქრობთ, ამ მიგრაციის ტალღაში უნდა მოვიანოთ ჰერეთის ერთი ჯგუფის /გვარის შემოსვლა შიდა ქართლში. სწორედ მათ უნდა შემოეტანათ თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი და მისი წარმოების ტრადიცია. თუ ჩვენი დაკვირვება მართებულია, მაშინ გამოდის, რომ „მოქცევაი ქართლისაის“ და ვახუშტი ბაგრატიონის ინფორმაცია სწორია და ფარნავაზის პერიოდის ქართლის სამეფო თავის შემადგენლობაში აერთიანებდა ჰერეთის პროვინციასაც. ყოველშემთხვევაში, ჰერული ნაწარმის ასე მასობრივი გავრცელება შიდა ქართლში, ჰერეთისა და ქართლის ეთნოპოლიტიკური და კულტურული სიახლოვის მატერიალურ დადასტურებად მიგვაჩნია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თეთრი ანგობით მოხატული კერამიკის ქართლში გაჩენის პრობლემა ამგვარად წარმოგვიდგება: ის ჰერეთიდან ვრცელდება ქართლში, მხოლოდ არა სავაჭრო ურთიერთობების (როგორც დღემდე მიიჩნევა), არამედ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების ინფილტრაციის შედეგად. სწორედ მათ შემოაქვთ აღნიშნული ჭურჭლის წარმოების ტრადიცია ქართლის ქალაქებში და მოგვიანებით (ძვ.წ. II საუკუნიდან) ის უკვე ადგილობრივ, მასობრივად იწარმოება. პრობლემად რჩება იმ პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური საფუძვლების ახსნა, რამაც განაპირობა ჰერეთიდან ქართლში მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების მიგრაცია. ამ საკითხის ირგვლივ ზემოთ ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებანი, ჯერჯერობით სამუშაო ჰიპოთეზის დონეს ვერ გასცდება. ქართლისაგან განსხვავებით, ჰერეთის ელინისტური ხანის ნამოსახლარები თუ ნაქალაქარები, პრაქტიკულად შეუსწავლელია. ამიტომაც დასმული პრობლემის მეტი სიღრმით გაშუქება, მხოლოდ აღნიშნული ნამოსახლარების არქეოლოგიური კვლევის შემდეგ არის შესაძლებელი.

ლიტერატურა:

1. აფაქიძე ა., ნარიმანიშვილი გ. და სხვ. 1985: მცხეთა 85. იდი მცხეთის ტერიტორიაზე 1985 წელს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები. ხელნაბეჭდი.
2. ინახება დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში. თბილისი.
3. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., ნარიმანიშვილი გ., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., ირემაშვილი შ., ნონეშვილი ა., ხეცურიანი ლ., გავაშელი ე. 2004: მცხეთის ექსპედიცია. *საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლევანგარიშები). თბ.გვ.70-80.*
4. გაგოშიძე ი. 1970: სამადლოში მოპოვებული მოხატული ჭურჭელი. ძეგლის მეგობარი. №23, გვ.41-46.
5. გაგოშიძე ი. 2007: ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ქ.წ. I საუკუნეში. შურნალი იბერია-კოლხეთი. №3. თბილისი.
6. ვახუშტი ბაგრატიონი. 1973: აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. IV, თბილისი.

7. თოლორდავა ვ. 1978: ანტიკური ხანის სამარხები ულიანოვკიდან, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. I. თბილისი.
8. ლეონტი მროველი. 1955: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა მამათა და ნათესავთა“ ქართლის ცხოვრება. თექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბილისი.
9. ლალიაშვილი გ. 2013: იალოილუ თეფეს კულტურის გენეზისის პრობლემა საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №1-2. თბილისი.
10. ლალიაშვილი გ. 2015: კიდევ ერთხელ იორ-ალაზნის ორმდინარეთის ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხის შესახებ (იბერია-ალბანეთის საზღვრის პრობლემა). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №2, თბილისი.
11. ლიხელი ვ. 2014: გრაკლიანის კულტურა. თბილისი.
12. მირიანაშვილი ნ. 1983: შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ალაიანის არქეოლოგიური ძეგლები). თბილისი.
13. მარგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ. 2004: ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
14. მორჩაძე თ. 1980: ანტიკური ხანის ქართლის კერამიკა. თბილისი.
15. მოქცევაი ქართლისაი. 1963. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. თბილისი.
16. მუსხელიშვილი დ. 1966: ციხე-ქალაქი უჯარმა (ქართ-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან). თბილისი.
17. მუსხელიშვილი დ. 1977: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბილისი.
18. მუსხელიშვილი დ. 1997: ქიზიყის ძველი ისტორია. თბილისი.
19. ნაკაიძე ნ. 1990: ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების“ სამაროვნიდან. კავთისხევისარქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
20. ნარიმანიშვილი გ. 1987: ღართისკარი 87. ღართისკარის რაზმის 1987 წლის მუშაობის ანგარიში. ხელნაბეჭდი. ინახება დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში. თბილისი.
21. ნორაძე გ. 1940: ალაზნის ველის გათხრები, თბილისი.
22. ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.) (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). თბილისი.
23. ფიცხელაური კ. 2013: სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში. თბილისი.
24. ფიცხელაური კ. ლალიაშვილი გ. 2014: 2014 წელს „დიდნაურის“ ნაქალაქარზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ხელნაბეჭდი ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.
25. ფიცხელაური კ. ვარაზაშვილი ვ. 2010: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური სამუშაოები ივრის ზეგანზე. „ხორნაბუჯი“. I. თბილისი.
26. ფიცხელაური კ. 2013: აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში. თბილისი.
27. ცქიტიშვილი გ. 2003: ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი. თბილისი.
28. Бохочадзе А. 1979: Раскопки на территории города Саркине и Грдзели Миндори. ПАИ в 1976 году. Тбилиси.
29. Гагошидзе И. 1981: Самadlo (археологические раскопки). Тб.
30. Нариманишвили Г. 1991: Керамика Картли V-I вв. до н.э. Тб.
31. Пицхелаури К., 1977: Памятники второй половины I тысячелетия до н. э. на территории Кахетии. Советская археология. Москва.



ნატასტრის სამაროვანზე აღმოჩენილი თეთრი ანგობით მოხატული დოქები



ღართისკარის ტაძარში აღმოჩენილი კოჭობი

Ketevan Dighmelashvili
State Museum-Reserve of Great Mtskheta, Georgia
ketisha80@gmail.com

Giorgi Laghiashvili
Telavi State University, Georgia
lagiashvili-g@mail.ru

For the questions of the study of white angobed ceramic vessels in the territory of central Kartli

Summary

In the ceramic wares of the Hellenistic Period Kartli one of the outstanding places is occupied by vessels painted with white engobe. These are vessels decorated with concentric and wavy bands of a liquid solution of white clay, applied before firing. These vessels appear on the territory of Great Mtskheta in cultural layers dated to the 4th-2nd cc. BC. They have been brought to light in Natakhtari burials, in Ghartiskari wine-cellar and temple, in Samadlo.

Along with Great Mtskheta, white engobe painted vessels have been discovered in Urbnisi, Uplistsikhe, etc. So, ceramic wares of this kind are attested in fact at all the big settlement sites of Hellenistic Period Kartli.

In the chronology of their distribution in Kartli two periods are identifiable: in the first period – the 4th-3rd cc. BC and 2nd c. – the vessels painted with white engobe are represented in comparatively little quantities. In the next chronological period ceramic wares decorated with white engobe bands become more widespread. As researchers note, these vessels of the given period according to the clay composition as well as shapes of vessels and condition of firing are slightly different from vessels of the preceding period and those of the same kind discovered in Kakheti. However, the relation between them is so obvious that they cannot be considered as elements of different cultures.

Vessels painted with white engobe have been discovered in larger quantities on the territory of Kakheti. In the specialist literature created in the 1940s-1960s they were considered as one of the elements characteristic of the Ialolitepe Culture. However, the recent studies have demonstrated that they have nothing in common with the named culture. At present, ceramic wares painted with bands of white engobe are regarded as characteristic features of the autochthonic population of the area of the two rivers Iori and Alazani - the Her Culture, and are considered to be a successor of local ceramic production of the Late Bronze-Early Iron Age. According to researchers, such vessels must have originated in Hereti from which they were distributed in the central part of the Kingdom of Kartli too. In Kakheti the chronological range of existence of these ceramic wares is broader – the 4th c. BC - 4th c. AD. Although from the beginning of the Current Era the frequency of vessels painted with white engobe bands decreased sharply, unlike Kartli, here the tradition of making ceramic wares of this type continued in the Late Classical Period as well.

According to the widespread opinion, vessels decorated with white engobe found their way into Kartli through trade relations from the end of the 4th c. BC, whereas from the 2nd c. BC they were manufactured already locally. Such abundance of ceramic wares under study in Kartli must be in fact indicating their local production. But, in our view, their initial appearance in Inner Kartli only via trade routes seems unconvincing. In the Hellenistic Period - the time of flourishing of production of painted pottery in Kartli - the population of Kartli was not in great need for massive import of ceramic wares from Hereti. A few specimens of the Her wares might have been introduced to Inner Kartli through any way. However, may it not possible to associate the massive emergence of ceramic wares painted with white engobe bands in Kartli with migration of a certain part of population from Hereti?

The appearance in Kartli of the vessels of our present interest coincides with the period of creation of the unified Kingdom of Kartli by King Parnavaz. Georgian written sources have preserved contradictory evidence concerning the political affiliation of Hereti at the time of activity of Azo and

Parnavaz. Leonti Mroveli does not mention Hereti within Kartli of the period of Parnavaz, whereas according to *Moktsevai Kartlisai* (“The Conversion of Kartli”) and Vakhushti Bagrationi, Hereti was under the authority of the rulers of Kartli. At the same time, the sources have preserved the information that in the Kingdom of Kartli of that time certain inner ethnic migrations occurred. We think, within this wave of migration we might assume the migration of one group/kin of the Hers to Inner Kartli. Exactly they must have introduced white engobe painted vessels and the tradition of their manufacturing. If our observation is right, it follows that the evidence of *Moktsevai Kartlisai* and Vakhushti Bagrationi is correct and the Kingdom of Kartli of the period of Parnavaz included the province of Hereti as well. In any case, we believe that such massive spreading of the Her production in Inner Kartli is a material proof of ethno-political and cultural proximity of Hereti and Kartli.

**VII საუკუნის დასავლეთ საქართველოს (თანამედროვე აფხაზეთის)
ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი
თეოდოსი განგრელის ცნობების საფუძველზე**

VII საუკუნის დასავლეთ საქართველოს ისტორიაზე ცნობები მცირე რაოდენობით მოგვეპოვება, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ნარატიულ წყაროებში. დანაკლისს ამ მხრივ ერთგვარად ავსებს VII საუკუნის იერუსალიმელი მონაზონის, თეოდოსი განგრელის ნაშრომი, რომელიც ამ ხანის დიდი საეკლესიო მოღვაწის, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის და მისი ორი მოწაფის დასავლეთ საქართველოში ექსორიას შეეხება. მაქსიმე აღმსარებელი მონოთელიტობის და მონოფიზიტობის მთავარი მოწინააღმდეგე იყო ბიზანტიის იმპერიაში. იმპერატორ კონსტანტინე II-ის (641-668 წწ.) ბრძანებით მაქსიმე აღმსარებელი და მისი ორი უახლოესი თანამოაზრე, ანასტასი ბერი და ანასტასი აპოკრისიარი (საგანგებო სასულიერო წარმომადგენელი საერო ხელისუფლებასთან საურთიერთობოდ – პ.გ.) დასაჯეს და დასავლეთ საქართველოში, ეგრისში (ლაზიკა) გადაასახლეს. საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ მაქსიმე აღმსარებელი 662 წლის 13 აგვისტოს აქვე გარდაიცვალა. ანასტასი აპოკრისიარმა დასავლეთ საქართველოში მათი ექსორიაში ცხოვრება აღწერა. შემდგომ ეს წერილი თეოდოსი განგრელთან მოხვდა და ის თავის თხზულებას ჩაურთო, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მისი ცნობების მნიშვნელობა. ასევე თეოდოსის ცნობით, მას დასავლეთ საქართველოში სპეციალურად უმოგზაურია და გადასახლებულთა შესახებ უშუალოდ გასაუბრებია ადგილობრივებს. ასე, რომ ამ ავტორის ცნობები მაღალი სანდოობით ხასიათდება.

მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებამ და გარდაცვალებამ იმთავითვე მიიპყრო ქრისტიანული მწერლობის ყურადღება. უკვე XI საუკუნეში მისი ცხოვრება ბერძნულიდან ქართულად ექთვიმე ათონელმა (ვრცელი რედაქცია) და გიორგი მთაწმინდელმა (მოკლე რედაქცია) თარგმნეს. რაც შეეხება ანასტასი აპოკრისიარის წერილს, ის დაცულია IX საუკუნის ლათინურ თარგმანში, რომელიც ანასტასი ბიბლიოთეკარის მიერ არის შესრულებული. ისტორიული გეოგრაფიის კვლევის თვალსაზრისით ლათინური თარგმანი არანაკლებ საინტერესოა, რადგან აპოკრისიარის წერილში მოხსენიებული ზოგიერთი ტოპონიმის მდებარეობის შესახებ შედარებით მეტი კონკრეტულობაა მოცემული.

თეოდოსი განგრელის ნაშრომი ანასტასი აპოკრისიარის წერილითურთ გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა „გეორგიკის“ სერიაში და კვლევაც დაურთო, რომელიც მიზნად ისახავდა თხზულებაში ნახსენებ ტოპონიმების ადგილმდებარეობის დადგენას. ბევრად უფრო ადრე ამ საკითხით დაინტერესდნენ კ. კეკელიძე და ა. ბრილიანტოვი, რომლებმაც საგანგებო კვლევა-ძიება ჩაატარეს. ამ საკითხით დაინტერესება დღემდე აქტუალურია. ყოველივე ამას უფრო დაწვრილებით ქვემოთ მიმოვიხილავთ.

თეოდოსი განგრელის თხზულებაში ჩართული ანასტასი აპოკრისიარის წერილის მიხედვით, 622 წელს, როდესაც მაქსიმე აღმსარებელი და მისი თანხმლები ორი ბერი დასავლეთ საქართველოში ჩაიყვანეს, ეგრისის (ლაზიკის) მაშინდელი მმართველის განკარგულებით ისინი ერთმანეთს დააშორეს. დაუძღვრებული მაქსიმე აღმსარებელი საკაცით წაიყვანეს და მოათავსეს „სქიომარის//სხემარის“ ციხე-სიმაგრეში, რომელიც აღანთა ქვეყნის მახლობლად მდებარეობდა. ანასტასი ბერი დაამწყვდიეს „სკოტორის“ ციხეში, აბაზგიის მახლობლად, ხოლო ანასტასი აპოკრისიარის მოათავსეს „ბუკოლუსის“ ციხე-სიმაგრეში, ისიც აღანთა ქვეყნის საზღვართან ახლოს. რამდენიმე დღის შემდეგ ანასტასი ბერი და ანასტასი აპოკრისიარი ამ ციხეებიდან გამოიყვანეს და „მუკორისის“ გავლით სხვადასხვა ადგილას გაანაწილეს: პირველი სვანეთის ციხე-

ში, ხოლო მეორე თაკვირის ციხეში, აბაზგიის მახლობლად (ლათინურ თარგმანში იბერიის მახლობლად). გზაში, 22 თუ 24 ივლისს გარდაიცვალა ანასტასი ბერი. ანასტასი აპოკრისიარი ეგრისის (ლაზიკის) მმართველის განკარგულებით, როგორც ამას მისი წერილის ლათინური თარგმანიდან ვგებულობთ, კვლავ აფსილიისა და მისიმიანეთის მხარეში გაგზავნეს, „ფუსტას“ ციხეში დასამწყვდევად. თუმცა მალე ეგრისის (ლაზიკის) მმართველი გააძევეს, ხოლო მისმა შემცველმა ანასტასი ამ ციხიდან გამოიყვანა და თავის სახლში მოათავსა. ერთი წლის შემდეგ ეგრისის ხელისუფალმა აპოკრისიარი ისევ ფუსტას ციხეში დააბრუნა. მალე ეს მმართველიც გააძევეს და ის აბაზგიაში გაიქცა, რომელსაც მთავრები განაგებდა. მათგან დახმარების მიღების შემდეგ მან დროებით ძალაუფლების დაბრუნება მოახერხა და ანასტასის „სქიომარის//სხემარის“ ციხეში გაგზავნა გადაწყვიტა. თუმცა შემდეგ გადაიფიქრა და თავის სახლიდან 5 სიგნის (დაახლოებით 5 კმ) მანძილზე დაშორებულ ადგილზე დააბინავა. მალე ეგრისის მართველი ისევ გააძევეს. ანასტასი ეგრისის შემდგომ მმართველად „ღვთივ დაცულ“ პატრიკოს და მაგისტროს გრიგოლს ასხენებს. ამის შემდეგ თხრობას უშუალოდ თეოდოსი განგრეული აგრძელებს, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს წერილი ანასტასი აპოკრისიარმა დაწერა და ამის მოწმედ მას ეგრისის პატრიკოსი ლებარსუი ჰყავს დასახელებული, რომელმაც ეს ფიცით დაამტკიცა. ეს წერილი აპოკრისიარს „თუსუმეს//თუსავის“ ციხეში დაუწერია, სადაც შემდგომ გარდაცვლილა (666 წლის 11 ოქტომბერს). „თუსუმეს//თუსავის“ ციხე კი სოფელ მოქვის ზემოთ, აფსილიის მხარის საზღვარზე, სოფელ ჯიხახორიდან (ეგრისის მმართველის, გრიგოლ პატრიკოზისა და მაგისტროსის ერთერთი რეზიდენციიდან) 5 სიგნის დაშორებით ყოფილა. შემდეგ თეოდოსი აგრძელებს, რომ მაქსიმე აღმსარებლის საფლავზე ღამე ღამპრები ჩნდება. ეს ღამპრები ბევრს უნახავს, მათ შორის „სქიომარ//სხემარის“ ციხისთავ მისტრიანეს. ლაზიკაში მოგზაურობის დროს თეოდოსის თანმხლებ ბერ თეოდორესთან ერთად ძალიან უნდოდა მაქსიმეს საფლავზე მისვლა, მაგრამ ზამთარში იმ მთებში ასვლა შეუძლებელი აღმოჩნდა, თანაც მღვლვარება და შფოთი იყო დაწყებული. ისინი როცა ლაზიკიდან ბრუნდებოდნენ, მაშინ მისცა მათ ანასტასი აპოკრისიარის წერილი იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარმა გრიგოლმა, ეს მოხდა „ავვისტოს ოცს, წინა ინდიქტიონის მეორემეტე წელს“¹.

პირველი ტოპონიმი, რომელიც ამ საისტორიო წყაროში გვხვდება, არის სქიომარი, იგივე სხემარი, ბერძნული ტრანსკრიპციით „Σχιομαρι, Σχημαρι, Σχημαρεωσ“, ხოლო ლათინური ტრანსკრიპციით „Schemari, Schemarium, Schimaris“². მაქსიმეს ცხოვრების XI საუკუნისეულ ქართულ თარგმანში, ეს პუნქტი „ჰიმარის“ სახელითაა მოხსენიებული³. ბერძნული სქიომარი და სხემარი ოდნავ სახეცვლილი სახელია ერთი და იგივე ციხე-სიმაგრის, ხოლო ჰიმარი ამ ციხის ბერძნულად გადმოცემული სახელწოდების ქართულად გააზრებას წარმოადგენს.

კ. კეკელიძე, რომელიც ერთ-ერთი პირველი შეეხო ამ საკითხის გარკვევას, სქიომარ//სხემარის ციხედ მურის ციხე მიიჩნია, რომელიც ლენხუმში მდებარეობს. მისი აზრით აქ იყო წმინდა არსენის მონასტერი, სადაც მაქსიმე დაკრძალეს, რის შემდგომაც მონასტერმა მაქსიმეს სახელი მიიღო⁴. ა. ბრილიანტოვმა მიმოიხილა რა ვრცლად ამ თემის გარშემო არსებული მასალები, დაასკვნა, რომ სქიომარ//სხემარის მსგავსი სახელების მოძიება იყო საჭირო. ამ მხრივ მან ყურადღება ჩრდილო კავკასიაში არსებულ

¹ თეოდოსი განგრეული, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნ. I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941, გვ. 40-56.

² იქვე, გვ. 42

³ კიშინი, ტ. 1, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნ. I, პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფ., 1918, გვ. 94.

⁴ К. Кекелидзе, Сведения Грузиеских источников о Максиме Исповеднике, Труды Киевской духовной академии, 1912, ст. 35-36, 38-39.

აულ ხუმარს და ზემო სვანეთის სოფელ ცხუმარს მიაქცია. მაგრამ მათი სქიომარ//სხემართან დაკავშირება, იმ მოტივით უარყო, რომ ისინი ლაზაკის ფარგლებს გარეთ მდებარეობდა. შემდეგ ა. ბრილიანტოვმა ამ ციხის გაიგივება უქიმერიონის ციხესთან მოახდინა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ქუთაისის ჩრდილოეთით) VI საუკუნის მოვლენების დროს იხსენიება¹. ა. ბრილიანტოვის ეს მოსაზრება გაიზიარა ს. ყაუხჩიშვილმა². თ. მიბჩუანმა სქიომარ//სხემარი ისტორიულ მისიმიანეთში არსებულ ციხედ (ერთგან ის ამ ტერმინების ქვეშ ორი ციხეს გულისხმობს) მიიჩნია, თუმცა იქვე მიუთითა, რომ მისი ლოკალიზაცია დასაზუსტებელი იყო³. სქიომარ//სხემარის ადგილმდებარეობის დადგენას შეეხო ცაგერის და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე, რომელმაც 2003 წელს ლენტეხის რაიონში აღმოაჩინა ადგილი „სკიმერი“, მდინარე სკიმერულას ხეობაში. მისი აზრით ზემოთ აღნიშნული ციხე სწორედ აქ უნდა მდებარეყო, სადაც გარდაიცვალა მაქსიმე აღმსარებელი⁴. 2013 წელს გამოცემულ აფხაზეთის ისტორიულ ატლასში სქიომარ//სხემარი ისტორიულ მისიმიანეთში, მდინარე ჩხალთის ხეობაშია დატანილი⁵.

თეოდოსი განგრელის თხზულების მიხედვით სქიომარ//სხემარი ალანთა მეზობლად მდებარეობს. ალანთა ქვეყნის მახლობლად კიდევ ერთი ციხე, რომელიც ბერძნულად ბუკოლუსის სახელით იხსენიება ამ წყაროში (XI ს-ის ქართულ თარგმანში ბოკელე). ბუკოლუსი მიჩნეულია, რომ ეს არის იგივე ბოკერის ციხე, რომელიც მდებარეობს კოდორის (დალის) ხეობაში, მდინარე ყოლონის (კლინის) მარჯვენა მხარეს⁶. ანასტასი ბიბლიოთეკარის ლათინურ თარგმანში ბუკოლუსი („უცულუს“) მისიმიანთა მხარეშია, ალანების მახლობლად⁷. როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიჩნეული, მისიმიანეთი კოდორის ხეობის სვანეთია, ხოლო მისიმიანი სვანების თვითსახელწოდება „მუშვანის“ ბერძნულად გადმოცემული ფორმაა⁸ (საერთოდ რომაულ-ბერძნულ საისტორიო წყაროებში სვანები „სონების“ სახელით იხსენიება. საფიქრებელია, რომ ზემო და ქვემო სვანეთის მკვიდრთა სახელწოდება ძველმა ბერძნებმა სვანების მეგრულ სახელ „მონი“-დან აიღეს, რომელიც შემდეგ ტრადიციით დამკვიდრდა საისტორიო მწერლობაში. ხოლო კოდორის ხეობაში მოსახლე სვანების სახელწოდება რომაელებმა და ბიზანტიელებმა უშუალოდ მათგან გადაიღეს). ამრიგად, სავსებით დასაშვებია, რომ ამ შემთხვევაში სქიომარ//სხემარის ციხის მდებარეობის კვლევა-ძიება კოდორის, იგივე დალის ხეობის არეალში ვეძიოთ, როგორც ეს 2013 წლის აფხაზეთის ატლასშია მოცემული. მაგრამ იმავდროულად გვაინტერესებს ამ ციხის ლოკალიზაციას რა არგუმენტი უმაგრებს ზურგს, რაც ატლასში არ ასახულა. აქ ანგარიშგასაწევია თ. მიბჩუანის მოსაზრება, რომ ბერძნული სქიომარ//სხემარი შეიძლება მომდინარეობდეს სვანური სიტყ-

¹ А. Бриллиантов, О месте кончины и погребения Св. Максима Исповедника, Христианский восток, т. VI, вып. 1, Петроград, 1917, ст., 38-39.

² ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. IV, ნ.1, გვ.55-56 (სქოლიო).

³ თ. მიბჩუანი, დასავლეთსაქართველოსქართველმთიელთათვისგენეზის, განსახლებისდა კულტურისისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 135-136.

⁴ ЕпископЦагерскийиЛентехскийСтефан (Калаиджашвили), Современныйвзгляднавопросоместепереселения, кончиньипогребенияСв. Максима Исповедника в Грузии, XV ежегодная Богословская конференция 2005 г. ст., 242-244.

⁵ თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ., 40, თბ., 2013.

⁶ ღ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ.,54-55. ბ. ხორავა, დალი, ისტორიის ფურცლები, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, ტ.2, თბ., 2008, გვ.,7. შ. ჩართოლანი, მ. ცინდელიანი, კოდორის ხეობის, „დალის“ მხარის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2010, გვ., 25.

⁷ თეოდოსი განგრელი, გვ., 42 (სქოლიო).

⁸ ს.ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი, თსუ შრომები, ტ. I, თბ.,1936, გვ.,280. მ. ქაღდანა, მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ვინაობის საკითხისთვის, ჟურნ. „აფხაზეთის მოამბე“, თბ., 1999, №2-3, გვ.,56. თ. მიბჩუანი, გვ.,140.

ვა „სგიმარი“-დან, რაც მუავე წყლებიან ადგილს აღნიშნავს („სგიმ“- მუავე, მინერალური წყალი, არ- მრავლობითის სუფიქსი)¹.

სქიომარ//სხემარი მსგავსების გამო შესაძლებელია მეორე სვანურ სახელწოდება ცხუმარს (ქართულად რცხილნარი) დაუკავშიროთ, როგორც ეს ა. ბრილიანტოვს აქვს ვარაუდის სახით გადმოცემული, მით უმეტეს, რომ ამ სახელით ზემო სვანეთში (მესტიის მუნიციპალიტეტი) ერთი სოფელი მდებარეობს. სამწუხაროდ კოდორის ხეობის ტოპონიმთა სათანადოდ შესწავლილი არ არის. ამ ხეობაში არსებული ძველი სვანური სახელების უმრავლესობა დაიკარგა, როდესაც XVI-XVII საუკუნეებში დაღის ხეობა ადიღე-ჩერქეზული მოდგმის ტომებმა დაიკავეს და ეთნიკური სურათი მთლიანად შეცვალეს², რაც ტოპონიმთაზეც მნიშვნელოვნად აისახა. ასე, რომ იყო თუ არა ადგილი ცხუმარი კოდორის ხეობაში, უცნობია.

მაგრამ უფრო თ. მიბჩუანის ზემოთ მოყვანილი მოსახრება გვეჩვენება საყურადღებოდ. მით უფრო, რომ 1931-1932 წლებში შედგენილ საქართველოს სსრ საზოგადო რუკაზე მდინარე ჩხალთის მარჯვენა მხარეს, მის შენაკადებს: შოუდიდსა და ყვარაშს შორის, უფრო ზუსტად მდინარე გორანის მარცხენა ნაპირას (მდ. ჩხალთის მარჯვენა შენაკადი) დატანილია წარწერის შემოკლება „მ. წყ.“, რაც მუავე წყალს აღნიშნავს³. ეს გადავამოწმეთ საბჭოთა კავშირის სამხედრო დანიშნულების რუკაზე, რომელიც დიდი სიზუსტით გამოირჩევა. აღნიშნულ ადგილას დატანილია მინერალური წყლების აღმნიშვნელი ნიშანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიონზე ბევრია მუავე, მინერალური წყლები, მაგრამ ზოგიერთი საბადო თავისი გემური თვისებებით გამოირჩეულია, რაც ბუნებრივია მოსახლეობამ ძველთაგანვე შეამჩნია. მაგალითად ლახამულას (სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტში) მუავე წყალი ზემო სვანეთში გემოსთან ერთად იმითაც არის განთქმული, რომ დიდხანს ინახება და ამის გამო საყოველთაოდ ცნობილია.

მდინარე ჩხალთა, რომლის მეორე სახელია აწგარა, მდინარეების: მარუხისა და ადანგეს შეერთების ადგილიდან იღებს სათავეს. მარუხი მარუხის (მარუხბაშის) მთიდან მოედინება, ადანგე კი ადანგეს უღელტეხილიდან. მარუხის უღელტეხილზე გადმოდის ჩრდილოეთ კავკასიიდან მომავალი გზა, რომელიც მოუყვება ჯერ მდინარე მარუხს, შემდეგ მდინარე ჩხალთას კოდორის შესართავამდე, სოფელ ჩხალთამდე. შემდეგ ეს გზა კოდორის ხეობის მთავარი გზას უერთდება, რომელიც შავი ზღვის სანაპიროსკენ, ბარისკენ ეშვება. საფიქრებელია, რომ ჩხალთის ხეობის თითქმის შუა წელზე არსებულმა მუავე წყლებმა, ანუ ზემოსვანურად „სგიმარმა“ სახელწოდება მისცა ციხესიმაგრეს, რომელიც თეოდოსი განგრელთან სქიომარ//სხემარის სახელით იხსენიება. საინტერესოა, რომ მთავარეპისკოპოს სტეფანეს მიერ აღმოჩენილი ადგილი „სკიმერიც“ ქვემო სვანურ კილოზე მუავე წყლებს აღნიშნავს.

სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ჩრდილო კავკასიიდან მარუხის უღელტეხილზე გამავალი ეს გზა, რომელიც ჩხალთის ხეობით პირდაპირ კოდორის ხეობის შუაგული შედის, აუცილებლად გამაგრებული უნდა ყოფილიყო. სხვანაირად ამ მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში ხეობა დაუცველი რჩებოდა. ჩხალთის ხეობის დაწვრილებითი ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა არ მომხდარა და დღეს ამის შესაძლებლობა ქართველ მეცნიერებს არა აქვთ, რუსული ოკუპაციის გამო, მაგრამ წლების უკან არქეოლოგმა შ. ჩართოლანმა ნასოფლარ აწგარას ზევით, მდინარე ჩხალთის მარცხენა მხარეს, უღელტეხილისკენ მიმავალ გზისპირას დააფიქსირა ბუჩქნარით დაფარული ნაკოშკარის, ნაშთი⁴. მკვლევარი არ უთითებს სახელდობრ ზუსტად რა ადგილას

¹ თ. მიბჩუანი, გვ., 136

² ბ. ხორავა, გვ., 9.

³ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საზოგადო რუკა, შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში, 1931-1934 წწ., პროფ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, მასშტ. 1: 200000

⁴ შ. ჩართოლანი, მ. ცინდელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ., 18.

არის ისტორიული ძეგლი და ნასოფლარს რამდენი კილომეტრით არის დაშორებული, თუმცა ჩვენს მიერ ნახსენებ მუავე წყლების საბადოსთა ახლოსაა, ნასოფლარ აწგარიდან (მარჯვენა აწგარა) ამ წყლებამდე დაახლოებით 5-6 კილომეტრია.

გადაჭრით იმის მტკიცება, რომ აწგარას ზევით მდებარე ამ სიმაგრის ნანგრევები სქიომარ//სხემარის ციხეა, ძნელია. თუმცა კოდორის ხეობაში არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით XV–XVI საუკუნეებში დიდი ნგრევის კვალი შეიმჩნევა, რაც ჩრდილოეთ კავკასიიდან აბაზა-ადიღური ტომების თავდასხმებს უნდა გამოეწვია. კოდორის ზემო წელში (მდ. ყოლოჩის ხეობა) გვიანობამდე ყოფილა სხვადასხვა ადგილას ქვების დიდი გროვა შემორჩენილი, რომელიც გადმოსულ აბაზა-ადიღეელების საფლავებად მიიჩნეოდა¹. საფიქრებელია, რომ აწგარის კოშკი მაშინ დაინგრა. იმედია, ახლო მომავალში მეკვლევარებს ჩხალთის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული შეწავლის საშუალება მიეცემა და კვლევა ბევრ საინტერესო საკითხს გასცემს პასუხს. მანამდე კი, ვფიქრობთ, რომ სქიომარ//სხემარის ადგილ-მდებარეობის შესახებ არსებული ვარაუდების მიუხედავად, ყველაზე დამაჯერებელია მისი ლოკალიზაცია ჩხალთის ხეობაში, აქ არსებული მინერალური წყლების მახლობლად. თუ ანასტასი აპოკრისიარის წერილს თვალს გავადევნებთ, აშკარად ჩანს, რომ სქიომარ//სხემარისციხეში გაგზავნა მკაცრი დასჯის ტოლფასია. მასთან შედარებით ფუსტის, სკოტორის, თუ თუსუმეს ციხე-სიმაგრეში დამწვევება ბევრად ადვილი ასატანია. სქიომარ//სხემარისკენ გაგზავნილი ანასტასი, როცა გზიდან უკან მოაბრუნეს და თუსუმეს ციხეში მოათავსეს, ის ამას კმაყოფილებით აღნიშნავს და ბერისთვის სრულიად შესაფერის ადგილს უწოდებს. რა თქმა უნდა, ზედკავკასიონის ქედთან, ჩხალთის ხეობის ძნელად მისადგომ ადგილას მდებარე ეს ციხე ქალაქ რომის მთავარი აპოკრისიარისთვის სასურველი სამყოფელი არ იქნებოდა.

ამ ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემატიკით დაინტერესებული ა. ვინოგრადოვი სქიომარ//სხემარის ციხეს ომარიშარას ციხესთან (მდ. გვანდრასა და კლიჩის შესართავთან) აიგივებს და ნაკლებად სავარაოდოდ მიიჩნევს მის ლოკალიზაციას ჩხალთის ან კლიჩის ციხესთან².

ჩვენი აზრით, კოდორის ხეობაში არსებული კიდევ ერთი ციხე-სიმაგრის სახელი უნდა უკავშირდებოდეს ბუნებრივ რესურსს, ამ შემთხვევაში რკინას. მხედველობაში გვაქვს ჩხალთის, იგივე ჩახარის ციხე, რომელსაც ბიზანტიელი ავტორი აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) VI საუკუნის 50-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით ახსენებს. ბიზანტიელების წინააღმდეგ აჯანყებული მისიმიანელები გამაგრდნენ ციხეში, რომელსაც „ძველთაგანვე ეწოდებოდა ძახარი (ბერძნულად „Τεχαρη“), მეტსახელად კი „რკინისა“ მისი სიმტკიცისა და დაუძლეველობის გამო“³. ეს ციხე-სიმაგრე ასევე „რკინის ციხის“ სახელით მოხსენიებულია VIII საუკუნის დამდეგს მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, როდესაც ბიზანტიის კეისრის წარმომადგენელმა ლეონ სპათარმა (შემდგომში ბიზანტიის იმპერატორი) მასზე შეტევევა განახორციელა და სიმაგრე აიღო, რომლის ციხისთავი იყო ვინმე ფარსმანი⁴.

ჩხალთის ციხე მდებარეობს მდინარე კოდორის და ჩხალთის შესართავთან, მარჯვენა მხარეს, კლდის თავზე. შემონახულია გალავნისა და მდინარის ნაპირებამდე არსებული ზღუდის ქვედა ნაწილი (სიმაღლე 6 მეტრი) და შიდა ნაგებობების ნანგრევები, მათ შორის ნაეკლესიარის ფრაგმენტები⁵. თ. მიბჩუანი ბერძნულ „ძახარს“ ჯახარად მოიაზრებს და მას ბრძოლის ველს უკავშირებს. ხოლო ტერმინ ჩხალთას აფხაზური წარ-

¹ბ. ხორავა, დასახ. ნაშრომი, გვ.9

²А. Виноградов, Еще раз к вопросу о месте ссылки, смерти и погребения прп. Максима Исповедника, Богословские труды, №45, 2013, ст. 219 -237

³აგათიასქოლასტიკოსი, გეორგიკა, ბიზანტიელიმწერლებისცნობებისაქართველოსშესახებ,ტ. III, ბერძნულიტექსტიქართულითარგმანითურთაგამოსცადაგანმარტებებიდაურთოსიმონყაუხჩიშვილმა, ტფ., 1936, გვ., 163.

⁴თეოფანე უამთააღმწერი,გეორგიკა, ტ. IV, ნ.1, გვ., 111-113.

⁵შ. ჩართოლანი, მ. ცინდელიანი,დასახ. ნაშრომი, გვ.,15.

მოშობისად მიიჩნევა. ის ასევე შეცდომით მდინარე საკენისა და ჩხალთას (აწგარა) შესართავთან მიუთითებს ამ სიმაგრის მდებარეობას¹. ეს მდინარეები ერთმანეთს არ ერთვიან და კოდორს ცალცალკე უერთდებიან. ჩხალთის თუ ჩახარის ეტიმოლოგია ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს.

ჩვენი ვარაუდით, ჩხალთის ამ ციხე-სიმაგრეს „რკინის“ მეტსახელი მარტო თავის სიმტკიცისთვის და მიუვალობის გამო არ უნდა მიეღო. ამ სიმაგრის მახლობლად, კოდორის მარჯვენა მხარეს, დასახლება ბუძგურთან საქართველოს სსრ საზოგადო რუკაზე მითითებულია რკინის საბადო. საფიქრებელია, რომ აქ ოდითგანვე რკინას ამუშავებდნენ და ეს მეტსახელი ციხესიმაგრეს აქედან შეერქვა.

მ. სანაძე და თ. ბერაძე „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ „სობლის ციხის“ იდენტიფიცირებას ამ „რკინის ციხესთან“ ახდენენ. მათი აზრით სახელი „რკინის ციხე“ ადგილობრივი სახელის ბერძნული თარგმანი უნდა იყოს, ხოლო „სობლი“, ან როგორც ისინი აღადგენენ „სუბალი“, სპილენძს უნდა უკავშირდებოდეს². კოდორის ხეობის ზემოწელზე სპილენძის მადნის საბადოც მოიპოვება. თუმცა აგათია ამ სიმაგრეს სრულიად გარკვევით „Τζαχαρ“ („ძახარი“, ან „ჩახარი“,- გააჩნია „Τζ“ როგორ წავიკითხავთ) უწოდებს, ხოლო „რკინის“ მისი მეტსახელია. რაც, შეეხება სახელწოდება „სობლის“ წარმომავლობას, თუ ეს ჩხალთის ციხე-სიმაგრეს უკავშირდება, ეს სახელი უფრო შესაძლებელია ბერძნული „Σιδηρον“ –ის (რკინა) დამახინჯებულ ქართულ თარგმანი უნდა იყოს, ვიდრე სპილენძი.

თეოდოსი განგრელთან მოხსენიებული ბუკოლუსის („Βουκολουσ/Βuculus“) ციხე-სიმაგრე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის მდებარეობას ანასტასი ბიბლიოთეკარი გარკვევით მისიმიანეთის მხარეში უთითებს. დ. მუსხელიშვილის აზრით, მდინარე ყოლონის (კლინის) ნაპირას მდგარ ნაციხარი უნდა იყოს ის სიმაგრე, რომელიც მაქსიმეს ცხოვრების ქართულ თარგმანში „ბოკელეს“ სახელით იხსენიება. ციხე კლდეზე, მდინარე ყოლონის (კლინის) მარჯვენა მხარეს, კოდორის ხეობიდან ქლუხორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. სიმაგრეს დაახლოებით ოთხკუთხა გარშემოწერლობა აქვს და გადავანს შიგნით შეინიშნება სხვადასხვა დანიშნულების, მათ შორის საკულტო ნაგებობის ნაშთები. ასევე, ქლუხორისკენ მიმავალ გზაზე, მდინარე გვანდრას მარცხენა მხარეს, სოფელ გვანდრიდან 7 კილომეტრის დაშორებით, შემორჩენილია ზღუდე-კედელი, რომლის სიგრძე დაახლოებით 30 მეტრია, ხოლო სისქე ერთი მეტრი. ეს კლდე-კარი მდინარის ნაპირიდან მოყოლებული უახლოეს კლდემდე კეტიავს გზას. სამანქანო გზის ნაწილზე კედლის ნაწილი დანგრეულია³. საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული კ. კეკელიძეს ბუკოლუს//ბოკერის ციხესთან დაკავშირებით. ის გვარ ბოკერის ამ სიმაგრეს უკავშირებს⁴. ვფიქრობთ, რომ დ. მუსხელიშვილის მიერ ბუკოლუს//ბოკერის ლოკალიზაცია საგსებით მისაღებია. ჩვენის მხრივ, ვარაუდს გამოვთქვამთ, რომ ამ ციხის ეტიმოლოგია სვანურ „ბოგრეში“-დან მომდინარეობს, რაც გადასასვლელს ნიშნავს და ქლუხორის უღელტეხილზე გამავალ გადასასვლელ გზას უნდა უკავშირდებოდეს. ანალოგიური სიტყვა მეგრულიში „ბოგა“-ს ფორმით მოგვეპოვება. „ბოგაშის“ (ანუ გადასასვლელის მქონე –პ.გ.) სახელით ცნობილი მთა კურორტ სქურთან (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) მდებარეობს⁵. ა. ვინოგრადოვიც „ბუქოლუსის“ ციხედ კლინის ნაპირას არსებულ ამ სიმაგრეს მიიჩნევს⁶.

ეს ციხე-სიმაგრე აგათია სქოლასტიკოსთან ბიზანტიელთა წინააღმდეგ მისიმიანელების 555 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით იხსენიება „Βουχλοιδ“ ფორმით. ს.

¹თ. მიბჩუანი, დასახ.ნაშრომი, 134.

²მ. სანაძე, თ. ბერაძე, VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან, ქართული წყაროთმცოდნეობა, X, თბ., 2004, გვ., 75.

³მ. ჩართოლანი, მ. ცინდელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ., 25.

⁴კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ., 28.

⁵პ. გაბისონია, სქურის ისტორიული ძეგლები, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, IX, თბ., 2007, გვ., 174.

⁶А. Виноградов, დასახ. ნაშრომი, გვ., 219-237.

ყაუხნიშვილის აზრით ეს უფრო სწორი ფორმაა ამ ციხის სახელის ვიდრე „Βουκολιουζ“, რომელიც ბიზანტიელებმა VII საუკუნეში საკუთარ სიტყვა „მწვემს“ („Βουκολιουζ“) მიამსგავსეს. მას აქვე აქვს მოყვანილი ტომაშეკის მოსაზრება, რომ „ბუქლოსი“ მდებარეობს წებელდაში, მდინარე კოდორის სათავეებთან¹.

საინტერესოა თეოდოსი განგრეღთან მოხსენიებული „თუსუმესი//თუსავი“-ის („Θυσουμης//Θυσου“) ციხის მდებარეობა, სადაც ამ ავტორის ცნობით ანასტასი აპოკრისიარი გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ თეოდოსი დაწვრილებით მიუთითებს ამ სიმაგრის ადგილმდებარეობას: სოფელ მოქვის ზემოთ აფსილიის მხარის საზღვარზე, ხუთი სიმიის მანძილზე სოფელ ჯიხახორადან, პატრიკოს გრიგოლის ერთერთი რეზიდენციიდან, ამ ადგილის ლოკალიზაციამ მაინც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კ. კეკელიძე თავდაპირველად „თუსუმეს“ აიგივებდა ცხუზამელასთან ან ძველ ისკურიასთან, შემდეგ აღნიშნა, რომ მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრა არ ხერხდებოდა². ბრილიანტოვი კეკელიძის თავდაპირველი მოსაზრების მართებულობას შესაძლებლად მიიჩნევდა. თუმცა ასევე ფიქრობდა, რომ ეს პუნქტი უშუალოდ არა შავი ზღვის სანაპიროზე, არამედ უფრო აღმოსავლეთისაკენ, ხმელეთის სიღრმეში მდებარეობდა. ბრილიანტოვმა ვერ გადაწყვიტა „თუსუმე“ სოფელ ჯგერდასთან მდებარე ციხესთან, რომელიც თ. ჟორდანიას თავის ჩანაწერებში აქვს მოხსენიებული, გაეიგივებინა თუ სოფელ მოქვთან³. მოქვის ძველ სახელად „თუსუმეს“ არსებობა ს. ყაუხნიშვილმაც ვარაუდის დონეზე გამოთქვა, თუმცა ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა⁴. აფხაზეთის ატლასში ეს ციხე-სიმაგრე დატანილია მდ. კოდორის მარცხენა მხარეს, წებელდის მოპირდაპირედ⁵. ა. ვინოგრადოვმა თუსუმე//თუსავად კოდორ-კელასურის შორის მდებარე ე.წ. „შაპკის“ ციხე (ეს ნაციხარი ე.წ. „თურქული ქუდის“ სახელწოდების მთა-ზეა-პ.გ.) მიიჩნია⁶.

ანასტასი აპოკრისიარი აღნიშნავს, რომ სხემარის ციხიდან დაბრუნებული, ის მოათავსეს ეგრისის (ლაზიკის) პატრიკოსის რეზიდენციიდან ხუთი სიმიით (5 ათასი ნაბიჯი) დაშორებულ ადგილას. თეოდოსი განგრეღი უფრო დაწვრილებით გვამცნობს, რომ ეგრისის მართველის რეზიდენცია „ჯიხახორა“ ჰქვია. „თუსუმე//თუსავი“ კი მოქვის ზემოთ, აფშილეთის (აფსილიის) მხარის საზღვარზე მდებარეობს. აქ თვალში საცემია ერთი მომენტი, კერძოდ ბიზანტიელი ავტორი მოქვის (საისტორიო წყაროებში კარგად ცნობილი სოფელი) ზემოთ, არა უშუალოდ ჩრდილოეთ მხარეს, არამედ ჩრდილო-დასავლეთ მხარეს გულისხმობს. სხვანაირად ეს ციხე აფსილიის მხარის საზღვარზე ვერ იქნებოდა, რადგან მოქვის ჩრდილოეთით დღევანდელი სოფლების: ჭლოუს და თხინას (ქართულ საისტორიო წყაროებში ამ სოფლებს ჭალა და თხალარი ეწოდებოდა) შემდეგ ფანავის ქედი მდებარეობს, რომლის იქით კოდორის (დალი) ხეობა იწყება.

„თუსუმე//თუსავის“ ლოკალიზაციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აფშილეთ-ეგრისის საზღვრის დადგენას ამ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ აფშილეთი (აფსილია) ეგრისის (ლაზიკის) სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია, ისტორიოგრაფიაში ამ საკითხზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ნაწილმა კოდორის მარცხენა მხარე (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონი) აფშილეთს მიაკუთვნა⁷, ნაწილმა კი ეს სა-

¹ აგათია სქოლასტიკოსი, დასახ. ნაშრომი, ს. ყაუხნიშვილი, სქოლიო, გვ., 86.

² კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955, გვ., 281.

³ А. Бриллиантов, დასახ. ნაშრომი, გვ., 37.

⁴ ს. ყაუხნიშვილი, გეორგია, ტ. IV, ნ.1, გვ., 54.

⁵ საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ., 40.

⁶ А. Виноградов, დასახ. ნაშრომი, გვ., 219-237.

⁷ პინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეთე საუკუნისა, თბ., 1954, გვ., 132. დ. ლეთოდანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს.-ში, თბ., 1991, გვ., 180-183. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ., 53-54.

საზღვრო ხაზი მდინარე კელასურამდე გადასწია¹, ზოგიერთი კი სასაზღვრო მიჯნად მდინარე კოდორს თვლის².

თუ კი საზღვრად მდინარე კელასურს მივიჩნევთ, მაშინ აფშილთა უმთავრესი ციხე წიბილი (თანამედროვე წებელდასთან), რომელსაც აგათია სქოლასტიკოსი „ტიბელეოსს“³, ხოლო პროკოპი კესარიელი „წიბილს“⁴ უწოდებს, აფშილეთის ფარგლებს მიღმა რჩება, რაც ნაკლებად დამაჯერებელია. რაც შეეხება კოდორის მარცხნივ მდებარე ტერიტორიის აფშილეთად მიჩნევას, ამას არც ერთი საისტორიო წყარო არ ადასტურებს, მათ შორის თეოდოსი განგრელის ნაშრომიც. როდესაც კოდორის მარცხენა მხარეს აფშილეთად მოიაზრებდნენ, შესაძლებელია ამ მოსაზრების მქონე მკვლევარებს მხედველობაში ჰქონდათ ანასტასი აპოკრისიარის წერილის ლათინური თარგმანის ერთი მონაკვეთი, სადაც ანასტასი წერს, რომ ის თაკვირიის ციხიდან ის კელავ გადაზავნეს აფსილიისა და მისიმიანეთის მხარეებში, რათა ფუსტას ციხეში დაემწყვდიათ. ფუსტას ციხის ადგილმდებარეობის გარკვევას ოდნავ ქვემოთ შევეხებით. ეს სიმაგრე კოდორის მარცხენა მხარეს არ მდებარეობდა და აფშილეთის აღმოსავლეთი საზღვრის იდენტიფიცირებისთვის არ გამოდგება.

ეგრისისა (ლაზიკის) და აფშილეთის საზღვრად მდინარე კოდორის მიჩნევა საუბრით ლოგიკურია. ეს დიდი მდინარე ბუნებრივ მიჯნას წარმოადგენს და ადმინისტრაციული საზღვრის ფუნქცია ისტორიულად ყოველთვის ექნებოდა. დღესაც კი კოდორი ადმინისტრაციულად ჰყოფს ერთმანეთს გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებს. ამრიგად, „თუსუმე/თუსავის ადგილმდებარეობის მოძიება ამ მდინარის მარცხენა მხარეს, დღევანდელი ოჩამჩირის რაიონში უფრო მისაღებად გვეჩვენება, როგორც ეს აფხაზეთის ატლასშია მოცემული. საქართველოს სსრ საზოგადო რუკაზე ამ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია დასახლებული პუნქტი და პატარა მდინარე – თუმუში, რომლის სახელწოდება ძალიან მიაგავს „თუსუმე/თუსავს. თუმუში დღეს პატარა დასახლებაა სოფელ კვიტოულთან (კუტოლ) ახლოს და მას ეხლა ტოუმიშს ეძახიან, შედის მის თემში. დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ, კოდორის მიმართულებით მას შემდეგი სოფლები ესაზღვრება: ათარა არმიანსკაია, ათარა, არაკიჩი, აღმოსავლეთით კვიტოული (კუტოლ), ჩრდილოეთით ჯგერდა, სამხრეთით კინდლი, წყურგილი, ახალი კინდლი. ეს სოფელი XIX საუკუნის შუა ხანაში ბევრად ვრცელი დასახლებას წარმოადგენდა, რაზეც წარმოადგენას ამ საუკუნის ერთი რუსული რუკა გვიქმნის⁵. ამ რუკაზე კოდორის მიმართულებით თუმუშს ემეზობლებიან სოფლები: აშარა და სალახიცუთა, კოდორის მარცხენა ნაპირას სოფელ აძიუბას ზემოთ, დოპუაქითთან, კოდორის მარცხენა მხარეს მითითებულია დანგრეული ციხე და ეკლესიის პირობითი ნიშანი (დღეისთვის ეს ადგილი სოფელ ათარაში შედის). უფრო ზემოთ, იქ სადაც კოდორი მთებიდან გამოდის, მარცხენა მხარეს, სოფელ ნაას (დღ. სოფელი განახლება) ზემოთ, დასახლება „ატარანუა“ მითითებული, რაც მეგრულ „ოტორონჯიას“ დამახინჯებული გადმოცემაა („ოტორონჯიას“-იგივე სამტრედე. დღეისთვის ეს სახელი მახლობელ მთაში ერთ პატარა სოფელს შემორჩა, რომელიც სომხური ათარას თემში შედის. ათარაც ამ „ატარანუას“ შემოკლებული ვარიანტია – პ.გ.). ოტორონჯიასთან მითითებულია დანგრეული ციხე-სიმაგრე. მის მოპირდაპირედ, კოდორის მარჯვენა მხარეს წებელდის ტერიტორია იწყება.

კოდორის მარცხენა მხარეს მდებარე ამ ორი ციხე-სიმაგრედან (ათარასთან და ოტორონჯიასთან), ერთ-ერთი თუსუმე/თუსავის ციხედ შეიძლება მივიჩნიოთ, სადაც თე-

¹ჯ. გამახარია, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია I ს-დან VIII ს-ის შუა ხანამდე, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, უძველესი დროიდან დღემდე, თბ., 2007, გვ., 85.

²თ. ბერაძე, პ. გაბისონია, დასავლეთ საქართველო IV-VIII სს-ში, საინსტიტუტო წლიური ნაშრომი, თბ., 2007, გვ., 12.

³აგათია სქოლასტიკოსი, დასახ. ნაშრომი, გვ., 160.

⁴პროკოპი კესარიელი: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ., 162.

⁵Карта Мингрелии с прилежащими землями, 1861 г.

ოდოსი განგრელის მიხედვით ანასტასი აპოკრისიარმა ცხოვრების ბოლო პერიოდი გაატარა. თუმცა კოდორის ციხეს ათარასთან, გვიან შუა საუკუნეების საფორთიფიკაციო ნაგებობად მიიჩნევენ, რადგან გალავნის აღმოსავლეთ მხარეს აღმართულ კოშკს სათოფურები გააჩნია.

თუმცა ძველი ქართული (მეგრული) ტოპონიმი უნდა იყოს, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში აფხუა-აფხაზების განსახლების მიუხედავად, დღემდე მაინც შემორჩა. ამსოფელზე საისტორიო წყაროებში ცნობები არ შემონახულა, თუ არ გავაიგივებთ მას თუსუმე/თუსავთან.

არქანჯელო ლამბერტის ე.წ. სამეგრელოს რუკაზე (1654 წ.) კოდორის მარცხენა ნაპირთან, შავი ზღვის ნაპირიდან მოშორებით ეკლესიაა დატანილი წარწერით „Pscias“. ეს სახელი თ. ბერაძემ სოფელ ფშაურს დაუკავშირა¹. მაგრამ ფშაური ბედიის თემში შედის და კოდორის აღმოსავლეთით რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. „Pscias“-ს შეგვეძლო დაგვეკავშირებინა სოფელ ფშაფთან, თუმცა ეს სოფელი კოდორის მარჯვენა მხარეს მდებარეობს (დღ. გულრიფშის რ-ნი), ზღვასთან ახლოს. საერთოდ, ლამბერტის რუკაზე კოდორის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორია მოცემული არ არის, თუ არ ჩავთვლით დრანდის საეპისკოპოსოს. „Pscias“-ს ჩრდილო-აღმოსავლეთით რუკაზე აღნიშნულია ტოპონიმი „Giorirde“, რომელიც სოფელი ჯირღული უნდა იყოს, რომელიც დღეს ჯგერდას თემში შედის. „Pscias“-ს სამხრეთით მოცემულია „Marmariscari“, რომელიც იგივე მარმარისკარია, აფხაზურად „მარმალ აბაა“, აძიუბას თემში შემავალი სოფელი. იქვეა დატანილი „Pitauri“, რომელიც საისტორიო წყაროებში ცნობილი სოფელ, კვიტოულს (აფხაზურად „კუტოლ“) უნდა აღნიშნავდეს.

დღეისთვის ჯგერდა-კვიტოულსა და კოდორს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე „Pscias“-სთან ახლოს მდგომი სახელწოდება მხოლოდ სოფელ ფსკალს შემორჩა, რომელიც სომხური ათარას („ათარა არმიანსკაია“) თემში შედის. ფსკალში ამავე სახელწოდების გორაზე დგას მომცრო ციხე-სიმაგრე, რომელის კედლების საერთო სიგრძე 125 მეტრია, ფართობი 600 მ². ციხე აშენებულია მოზრდილი ქვის კვადრებით და კირის დულაბით. ჩრდილო-დასავლეთით დგას ოთხკუთხა კოშკი. აქ აღმოჩენილი ადრეფეოდალური ხანის კერამიკული მასალის საფუძველზე ამ საფორთიფიკაციო ნაგებობის ფუნქციონირებას IV-V საუკუნიდან მაინც ვარაუდობენ. ციხე-სიმაგრეში შემორჩენილია XI-XII საუკუნეებით დათარიღებული ნაეკლესიარი². თუმცა ფსკალი ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება და საესებით დასაშვებია, რომ ასეთი ტერიტორიული სიახლოვის გამო ადრე შუა საუკუნეებში თუმცა ფსკალის ტერიტორიასაც მოიცავდა. ფსკალიდან კოდორამდე რამდენიმე კილომეტრია და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თუსუმე-/თუსავი აფშილეთის საზღვართან, ე.ი. კოდორთან იყო, მაშინ ეს მოსაზრება მთლად საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. შესაბამისად, თუსუმე/თუსავის ლოკალიზაცია ფსკალის ციხესთან შესაძლებელი იქნება.

თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ თუსუმე/თუსავი 1861 წლის რუკაზე, სოფელ ოტორონჯიასთან დატანილი დანგრეული ციხე-სიმაგრე იყოს. ყოველ შემთხვევაში ეს ციხე დიდი ალბათობით კოდორის მარცხენა მხარეს მდებარეობდა სომხურ ათარას, ჯგერდას და კვიტოულის მახლობლად. აქვეა საძიებელი ეგრისის პატრიკიოსის ერთ-ერთი რეზიდენცია „ჯიხახორა“, რადგან ეს პუნქტი თუსუმე/თუსავთან 4-5 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. „ჯიხახორა“ მეგრული და ბერძნული სახელების კომპოზიცია: „ჯიხა“ იგივე ციხეა, ხოლო ბერძნული „ხორა“(„“) ქართულად ქვეყანას, მიწა-წყალს, ან გამაგრებულ ადგილს სიმაგრეს ნიშნავს. შესაძლებელია ფონეტიკური მსგავსების გამო „ჯიხახორა“ სოფელ ჯგერდას ან მასში შემავალ პატარა სოფელ ჯირღულს დაუკავშიროთ. ამ ორივე სოფელში ნაეკლესიარებია შემორჩენილი. განსაკუთრებით ცნობილია ჯგერდაში ქიაჩის ეკლესია, თლილი ჯუფის ქვით ნაშენი (სიგ-

¹თ. ბერაძე, ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, თბ., 1971, გვ.154.

²Ю. Воронов, Археологическая карта Абхазии, Сухум, 1969, 64.

რძე 17,5 მეტრი, სიგანე 16,5 მეტრი)¹. ამ ეკლესიის კუთვნილი ხატი, სამწერობელი და საცეცხლური გვიან შუა საუკუნეებში ობუჯის მონასტერში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) იყო გახიზნული. სამწერობელზე აფხაზთა მეფე გიორგი II (922-957 წწ.) ასომთავრული წარწერაა ამოტვიფრული. ქიანის ეკლესიაც ამ პერიოდით თარიღდება. ა. ვინოგრადოვმა „ჯიხახორად“ წებელდის (წიბილი) ციხე მიიჩნია². (აღსანიშნავია, რომ გვიან შუა საუკუნეებში კვიტოულში დადიანთა ფეოდალური სახლის ერთერთი რეზიდენცია იყო).

ფუსტას ციხე, რომელსაც ანასტასი იხსენიებს თავის წერილში, ლათინურ თარგმანში ლოკალიზირებულია აფსილიის და მისიმიანეთის მხარეში. ს. ყაუხჩიშვილს აღნიშნული აქვს, რომ სოხუმის რაიონის სოფელ ალექსანდროვკაში (დღეს ეს გულრიფშის რაიონია, სოფელი განახლება, კოდორის მარჯვენა მხარეს) ადგილობრივებმა სოფლის სიახლოვეს მიუთითეს ადგილ ფუსტაზე, რომელიც ძველთაგანვე ამ სახელით ყოფილა ცნობილი³. ტერმინი „ფუსტი“ სვანური წარმომავლობისაა, რადგან სვანების გაგებით ეს არის უფალი, ბატონი, ქვეყნის გამგებელი. ფუსტის სახელის მქონე ეკლესიები მხოლოდ სვანეთში გვხვდება (მესტიის მუნიციპალიტეტში: ლეხთაგი, მულახი, უშგული. ლენტეხის მუნიციპალიტეტში კი ფაქში). მთავარ დადემქველიანებს სვანები ფუსტს, ე.ი. ბატონს ეძახდნენ. აღნიშნავდნენ ფუსტობის დღესასწაულს⁴.

ამტყელის ტბის (გულრიფშის რ-ნი, კოდორის მარჯვენა მხარეს, მდინარის შუა წელის ჩრდილოეთით) სამხრეთ-აღმოსავლეთით არის აფუსტას ხეობა. ეს იგივე ფუსტაა, უღონდ წინ აფხაზური ენისთვის დამახასიათებელი ა-თავსართი ერთვის. ი. ვორონოვი ამ ტერიტორიაზე აფუსტას ციხეს უთითებს მდინარე ცივწყალზე (ცივიწყალი მდინარე ამტყელს უერთდება, ამტყელი კი კოდორს სოფელ ლანთასთან, იქ სადაც კოდორი მკვეთრად უხვევს დასავლეთისკენ). მისი აღწერით, შემორჩენილია მშრალი წყობით აგებული ციხის კედლის ნანგრევები, რომელთა სიგრძე 350 მეტრს შეადგენს. ამ მიკრორეგიონში ბათის, ფალის, ლარის და ახისთას მთებზე სხვა საფორთიფიკაციო ნაგებობების ნაშთებია შემონახული⁵. ა. ვინოგრადოვთან ფუსტას ციხედ ფალის სიმაგრეა დასახელებული⁶. აქედან კოდორის გაყოლებით გზა ბაგადას ვიწროების გავლით სოფელ ლათასკენ მიემართება, შემდეგ კი დალის ხეობაში შედის. ლათა სვანურად გამყოფ ადგილს, გასაყარს ნიშნავს⁷. ლათა ძველი ტოპონიმი უნდა იყოს, რადგან ის აღნიშნულია 1861 წლის რუკაზე. როგორც ცნობილია, კოდორის ზემო წელზე, დალის ხეობაში სვანების ხელმეორედ ჩასახლება XIX საუკუნის მიწურულს მოხდა. შესაბამისად, ამ პერიოდის ტოპონიმი რომ იყოს, ის აღნიშნულ რუკაზე ვერ დაფიქსირდებოდა.

თეოდოსი განგრეღის თხზულებიდან თითქოს ისე ჩანს, რომ ფუსტა აფშილეტში ან მისიმიანეთში არ შედის. ის თითქოს ცალკე მხარეა. ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ამტყელის ტბის მიმდებარე ტერიტორია კოდორის შუა წელის ჩრდილოეთით არის შეწეული და ბუნებრივად არის გამოჯნული მთებით კოდორის ხეობის ზემო წელისგან (ისტორიული მისიმიანეთი) და წებელდისგან (ისტორიული აფშილეტი. აქ მდებარეობდა მათი უმთავრესი ციხე-სიმაგრე „წებელი“). ამ ტბის სამხრეთით მდებარეობს სოფელი, რომელსაც საინტერესო სახელი „აზანთა“ ჰქვია. ადვილია აფხაზური ა-პრეფიქსის ამოცნობა, ხოლო „ზანის“ სახელით კი სვანები ჭან-მეგრელებს იცნობენ. აფხაზები ამ ტბას „აზანტას“ სახელით მოიხსენიებენ.

კიდევ ერთი ციხე-სიმაგრე რომელიც თეოდოსი განგრეღთან იხსენიება არის „სკოტორი“ („Σκοτορι“). ეს ციხე ანასტასი აპოკრისიარის ლათინურ თარგმანში პირ-

¹ თ. მიბჩუანი, აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა, თბ., 1999, გვ., 39.

² А. Виноградов, დასახ. ნაშრომი, გვ., 219-237.

³ ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, ნ.1, გვ., 54.

⁴ თ. მიბჩუანი, დასავლეთსაქართველოს. . გვ., 138-139.

⁵ Ю. Воронов, Археологическая карта Абхазии, Сухум, 1969, ст. 68.

⁶ А. Виноградов, დასახ. ნაშრომი, გვ., 219-237.

⁷ თ. მიბჩუანი, დასავლეთსაქართველოს. . გვ., 131.

დაპირ აფშილეთშია მითითებული, აბაზგიის საზღვრის მახლობლად. ა. ბრილიანტოვმა „სკოტორი“ კოდორთან მდებარე ციხეს დაუკავშირა, რომელსაც თ. ჟორდანია თავის ჩანაწერებში კოდორის ციხედ მოიხსენიებს, ჯგერდას მახლობლად. მან ასევე მიუთითა დასახლება კოდორის შესახებ მდინარე აბაშისწყალსა და ცხენისწყალს შორის¹. ს. ყაუხჩიშვილმა „სკოტორი“ კოდორს დაუკავშირა და მიიჩნია, რომ ეს სიმაგრე ამ მდინარესთან იდგა, აფსილია-აბაზგიის საზღვარზე². კოდორის ქვედა დინებასთან არის აღნიშნული ეს ტოპონიმი აფხაზეთის 2013 წლის ატლასში³. ა. ვინოგრადოვმა ამ ციხის ლოკალიზაცია გერზეულის, ლარის, ბათის, ან ახისთას ციხე-სიმაგრეებთან მიიჩნია შესაძლებლად, ხოლო ფსკალის ციხე ნაკლებ სავარაუდოდ ჩათვალა⁴.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოდორის მარცხენა ნაპირას, სოფელ ათარასთან დგას ციხე, რომელიც რიყის ქვებით არის აშენებული, რაც დასავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობებისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი. ამ პერიოდში მშენებლობისათვის მასადად უმეტესად დამუშავებულ ქვის კვადრებს იყენებდნენ, რაც განვითარებული სამშენებლო ტექნიკის არსებობაზე მეტყველებს. ასევე აქ მდგარ კოშკს სათოფურები გააჩნია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს სიმაგრე გვიანდელ ხანაშია აგებული. „სკოტორის“ გაიგივებას ამ ციხესთან აბრკოლებს ასევე საისტორიო წყაროში მითითებული მისი მდებარეობა აფსილია-აბაზგიის საზღვართან. ამ შემთხვევაში კოდორი ამ ორი მხარის მიჯნად ვერ ჩაითვლება. საზღვარი ბევრად უფრო ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. VIII საუკუნისათვის აბაზგია-აფშილეთ შორის მიჯნა ანაკოფიასთან ახლოს გადიოდა, მდინარე ფსირცხაზე⁵. ასეთივე მდგომარეობა იყო 550 წლისთვის, როდესაც ბიზანტიელებმა აჯანყებული აბაზგები, აფსილიის საზღვართან ახლოს მდებარე მათ უმთავრეს სიმაგრე „ტრაქეასთან“ დაამარცხეს. პროკოპი კესარიელი ამ ციხის მდებარეობის აღწერისა უთითებს, რომ აფსილიის საზღვრის შემდეგ, აბაზგიის შესასვლელში მაღალი მთა კიბისებურად ეშვება ზღვისკენ და მთის ძირში აბაზგებს დიდი სიმაგრე აუშენებიათ, რომელსაც ბერძნულად ტრაქეას ეძახდნენ. ასეთი ადგილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახალ ათონთან, ისტორიულ ანაკოფიასთან არის. ანაკოფია აფხაზთა ერისთავების უმთავრესი რეზიდენცია იყო. ახალ ათონში მდგარი ეს ციხე დღესაც შთამბეჭდავად გამოიყურება. აქედან გამომდინარე უფრო ლოგიკური იქნებოდა „სკოტორის“ მოძიება ახალი ათონის სიახლოვეს. მიუხედავად იმისა, რომ „სკოტორის“ და კოდორის სახელები ერთმანეთს ძალიან ჰგავს, უცნაურია თეოდოსი განგრეღმა რატომ არ დაწერა პირდაპირ კოდორი, ბერძნული „Σ“ –ის დართვის გარეშე. გასარკვევია თვითონ კოდორის ეტიმოლოგია. ანტიკურ თუ მოგვიანო უცხოურ საისტორიო წყაროებში ეს მდინარე „ასტელაფად“, ან „კორაქსედ“ იხსენიება, მაგრამ საიდან წარმოიშვა ქართული სახელწოდება უცნობია. დასავლეთ საქართველოში ორი ტოპონიმი გვაქვს კოდორის სახელწოდებით. ერთი საკუთვრივ მდინარე კოდორი, ხოლო მეორე აბაშის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირას მდებარე სოფელი კოდორი (1861 წლის რუკაზე ეს დასახლება აღნიშნულია). ამ შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა მდინარის სახელი მისგან რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით გაშენებულ დასახლებას დარქმეოდა. შესაძლებელია ამ ორივე კოდორის სახელწოდება ერთი და იგივე ტოპონიმისგან მომდინარეობდეს და მის სახეცვლილებას წარმოადგენდეს. მხედველობაში გვაქვს სახელწოდება კადარი, რომელიც მეგრულად მზისგულ ადგილს, ფერდობს, ხოლო სვანურად მშრადს ნიშნავს. ნიშანდობლივია, რომ კადარი მდინარე კოდორის მახლობლად, სოფელ ლათასთან ერთ პატარა სოფელ ჰქვია. ასევეკადას სახელით დასახლებაა ამტყელის ტბის

¹ А. Бриллиантов, დასახ. ნაშრომი, გვ.33.

² ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, ტ. IV, ნ.1, გვ. 52.

³ საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 40,

⁴ А. Виноградов, დასახ. ნაშრომი, გვ. 219-237.

⁵ ბ. ხორავა, ოდიშის-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ.33-34.

⁶ პროკოპი კესარიელი, გვ.158-159.

სამხრეთით. სოფელ კოდორის შემთხვევაშიც, მის ჩრდილოეთით, სოფელ ძეგლი აბაშის დასავლეთით არის ნასოფლარი კადარი, სადაც XIV საუკუნით დათარიღებული დარბაზული ეკლესიაა შემორჩენილი. 1861 წლის რუკაზე ეს ორივე კადარი დამახინჯებული სახელწოდებებით არის მითითებული.

ვარაუდის დონეზე თუ „სკოტორს“ კადარს მიუსადაგებთ და მის მდებარეობას სოხუმსა და ახალ ათონს შორის, ანუ ისტორიულ აფშილეთისა და აბაზგიის საზღვარზე მოვიხილოთ, ასეთ ტოპონიმს XX საუკუნის 30-იან წლებში მდინარე გუმისთის ჩრდილო-დასავლეთით შევხვდებოდით. საქართველოს სსრ საზოგადო რუკაზე მდინარე შიციკვარას ზემოწელზე, ახალი ათონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მითითებულია ადგილი „კრდარა“, იგივე კადარა (ეს ადგილი დღეს ზემო ეშერაა). ტოპონიმი კადარი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკშიც ფიქსირდება. დღეისთვის ზემო ეშერის ტერიტორიაზე შემორჩენილია ციხე-სიმაგრე, რომლის ფართობი 650 მ²-ს შეადგენს და 18 მეტრის სიმაღლის კოშკი. აფხაზები მას „უაზა აბაა“-ს ეძახიან, რაც ქართულად „მწუხარე ციხე“ ნიშნავს. არის თუ არა ეს სიმაგრე „სკოტორის ციხე“ ძნელი სათქმელია.

ამრიგად, თეოდოსი განგრელის თხზულება და მასში შეტანილი ანასტასი აპოკრიფისიარის წერილი, ასევე ანასტასი ბიბლიოთეკარის მიერ ამ წერილის ლათინური თარგმანი, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემატიკის შესწავლის საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროს წარმოადგენს და მისი ინტერპრეტაცია მკვლევარებს ახალ შესაძლებლობებს უხსნის. რადგან ამ კვლევაში თეოდოსი განგრელის ნაშრომში მითითებულ იმ ტოპონიმებს ვეხებოდით, რომელსაც არსებობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ფიქსირდება, სხვა ტოპონიმების კვლევას ამ მხარის ფარგლებს გარეთ ამჯერად არ შევხებით. მხოლოდ ერთს დავამატებთ, რომ როგორც ცნობილია მაქსიმე აღმსარებლის საფლავი ცაგერთან 2010 წელს გაითხარა ლენტეხისა და ცაგერის მთავარეპისკოპოს სტეფანეს თაოსნობით და გამოითქვა ვარაუდი, რომ ამ დიდი საეკლესიო მოღვაწე აქ პირვანდელი დაკრძალვის ადგილიდან მოგვიანებით უნდა იყოს გადმოსვენებული, რაც სარწმუნოდ გვეჩვენება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეოდოსი განგრელის მიერ გადმოცემული ამბავი წმინდა მაქსიმეს საფლავზე ანთებული ჩირადნების გამოჩენა, საფუძლად უნდა ედოს სვანურ ხალხურ ზეიმს ლამპრობას, როდესაც დღესასწაულის მონაწილენი ხის ანთებული დიდი ჩირადნებით საზეიმო მსვლელობას აწყობენ. მხოლოდ მოგონება მაქსიმე აღმსარებელზე საუკუნეთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა და ხალხური ელფერი მიეცა.

გამოყენებული საისტორიო წყაროები და ლიტერატურა:

1. აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, (ტფილისი, 1936).
2. თეოდოსი განგრელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნ. I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, (თბილისი, 1941).
3. თეოფანე ჟამთააღმწერი, გეორგიკა, ტ. IV, ნ. 1 ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, (თბილისი 1941). პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, (თბილისი 1965).
4. თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, (თბილისი, 2013).
5. თ. ბერაძე, პ. გაბისონია, დასავლეთ საქართველო IV-VIII სს-ში, საისტორიო-წლიური ნაშრომი, (თბილისი, 2007)
6. თ. ბერაძე, ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, (თბილისი, 1971).

7. პ. გაბისონია, სქურის ისტორიული ძეგლები, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, IX, (თბილისი, 2007).
8. ჯ. გამახარია, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია I ს-დან VIII ს-ის შუა ხანამდე, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, უძველესი დროიდან დღემდე, (თბილისი, 2007).
9. პინგოროფა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, (თბილისი, 1954).
10. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, (თბილისი, 1955).
11. კიშენი, ტ. I, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნ. I., პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქტორობით, (ტფილისი, 1918).
12. დ. ლეთოლიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს.-ში, (თბილისი, 1991).
13. თ. მიზნუანი, აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა, (თბილისი, 1999).
14. თ. მიზნუანი, დასავლეთ საქართველო ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლების და კულტურის ისტორიიდან, (თბილისი, 1989).
15. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., (თბილისი, 1980).
16. მ. სანაძე, თ. ბერაძე, VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან, ქართული წყაროთმცოდნეობა, X, (თბილისი, 2004).
17. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საზოგადო რუკა, შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში, 1931-1934 წწ., პროფ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, (თბილისი, 1931-9132).
18. მ. ქაღდაძე, მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ვინაობის საკითხისთვის, ჟურნ. „აფხაზეთის მოამბე“, №2-3, (თბილისი, 1999).
19. ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი, თსუ შრომები, ტ. I, (თბილისი, 1936).
20. შ. ჩართოლანი, მ. ცინდელიანი, კოდორის ხეობის „დალის“ მხარის არქეოლოგიური ძეგლები, (თბილისი, 2010).
21. ბ. ხორავა, დალი, ისტორიის ფურცლები, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, ტ.2, (თბილისი, 2008).
22. ბ. ხორავა, ოდიშის-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., (თბილისი, 1996).
23. А. Бриллиантов, О месте кончины и погребения Св. Максима Исповедника, Христианский восток, т. VI, вып.1, (Петроград, 1917).
24. А. Виноградов, Еще раз к вопросу о месте ссылки, смерти и погребения прп. Максима Исповедника, Богословские труды, №45, 2013
25. Ю. Воронов, Археологическая карта Абхазии, (Сухум, 1969).
26. Епископ Цагерский и Лентехский Стефан (Калаиджашвили), Современный взгляд на вопрос о месте переселения, кончины и погребения Св. Максима Исповедника в Грузии, XV ежегодная Богословская конференция 2005 г.
27. Карта Мингрелии с прилежащими землями, 1861 г.
28. К. Кекелидзе, Сведения Грузиеских источников о Максиме Исповеднике, Труды Киевской духовной академии, 1912.

Papuna Gabisonia

*Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology of
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*

Several issues of Historical Geogtaphy of the West Georgia(modern Abkhazia) VII century on the basis of information of Theodosius Gangreli

Summary

In the II half of VII century the Byzantine emperor Constantine II (641-668) ordered to exile the well-known religious figure Maximus the Confessor and his two associates: monk Anastasius and Anastasius apokrisiari to western Georgia. Maximus the Confessor „Skhemari“ died in prison. This castle is located in the Vally of Chkhalta River (a tributary of the river Kodori) . Sgimari means the mineral water in

Svanetian language. Anastasius monk was arrested in skotoris prison. This castle was located on the border of Apsilia and Abazia. It's localization is available between the rivers Gumista and Anakopia. Anastasius apokrisiari was a prison in Tumushi (identified the village of tumush (Ochamchire region)). Theodosius gangrelis names are mentioned in this paper: Fusta, bukolusi, jikhakhora. Accordingly: pusta-apustaa, bukolusi-bokeri (Kodori gorge), Gikha-khora, Ggerda-kvitouli.

ხალხური მკურნალობის წესები გუშინ და დღეს (იმერეთის უახლესი მასალების მიხედვით)

ქართული ხალხური სამედიცინო კულტურული მემკვიდრეობა ტრადიციულად აერთიანებს ბალახეულ, შინაური წამლებით მკურნალობას - ნატუროპათიასა და მაგიური მედიცინის (შელოცვები, გარკვეული რიტუალები სნეულებათა თავიდან ასაცილებლად).

იმერეთში ჩაწერილი უხვი და მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალიდან ამჯერად წარმოვადგენთ იმ დაავადებებს, რომელთა მკურნალობა შინაურ, ბალახეულ წამლებთან ერთად უკავშირდება მაგიურ მეთოდებს, კერძოდ შელოცვებს. ხალხურ მედიცინაში შინაური წამლის რეცეპტისა და კონკრეტული დაავადების შელოცვის ერთ სიბრტყეზე განხილვა, ვფიქრობთ, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით, მაგიური მკურნალობის არსს ზუსტად ასახავს თედო სახოკიას განმარტება: „**შელოცვა ხშირად წამლის განუყრელი ნაწილი იყო... ზოგჯერ მხოლოდ შელოცვის ფორმულას მიეკუთვნებოდა ავადმყოფის მაკურნებელი ძალა**“ (თ. სახოკია, 1979).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ქართველური მიმართულებითი ჯგუფი 1993-2012 წლებში ვიმყოფებოდით იმერეთის რეგიონის სოფლებში. სხვა საკითხებთან ერთად ექსპედიციამ შეისწავლა ხალხური მედიცინის განვითარება და ხალხური მკურნალობის მეთოდები. ამ მიმართულებით გამოვლენილია მრავალი საინტერესო მასალა.

ჩვენ მიერ გამოვლენილი მასალებით ირკვევა, რომ მკურნალობიდან შემდეგი სახის დაავადებებს: ფურენგერი (ძირმაგარი), ჭრილობა სისხლის შეუწყვეტელი დენით, დასუნული, შაკიკი, საწერელი, დამწვრობა, ნაღრძობი. წინამდებარე ნაშრომის მიზანიც ის გახლავთ მიკვლეულ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით წარმოაჩინოს ხალხური მკურნალობის წესები, ვიანიდან საგრძნობლად შეიმჩნევა ჩვენში ამ წესებით მკურნალობის თანდათანობით გაქრობა.

გაგაცნობთ რამდენიმე სახის ავადმყოფობასა და მათი განკურნებისათვის საჭირო რეცეპტებს, რაც მთხრობელთა ნაამბობიდან შევიტყვეთ:

1. **ფურენგერი (ძირმაგარი)** – ა) ცაცხვის ტოტი და ერთი სირჩა რძე (ტოტის შიგა გულის ფხვნილსა და რძეს ვხალავთ სპილენძის ტაფაზე და ვიდრე თბილია ვუსვამთ მტკივნეულ ადგილს, შემდეგ შევხვევთ).

ძირმაგარას, ჩირქოვანი გამონაყარის სამკურნალოდ „იადიგარ-დაუდი“ გვთავაზობს: „**დამწვარი ხახვი და ცომის საფუარი ორივე მუწუკსა მწოვედ დაამწიფებს და შემოიყვანს**“ (ბაგრატიონი, 1985) მსგავსი რეცეპტია მოცემული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის ერთ-ერთ ხელნაწერში (XIX ს. I ნახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – 1148ა).

თანამედროვე შინაური საშუალებები ეხმიანება ძველ სამკურნალო ცოდნას. ქვემო იმერეთსა და ოკრიბაში ძირმაგარის შემთხვევაში იხმარება ერთმანეთში არეული მომწვარი ხახვი, თაფლი, ნიორი. ზემოდან აფარებენ ეკლის ან მრავალძარღვას ფოთოლს. ძირმაგარას წინააღმდეგ აღმოსავლეთ საქართველოშიც შემწვარი ხახვი და ქუმელის ფაფა გამოიყენება (მინდაძე, 1981).

ბ) **ოპერაცია** (ფოლადის მახვილპირიან დანას გამოვხარშავთ მოჭიქულ ქოთანში, გავწმენდთ ორნახადი არაყითა და ზეთით, ამავე ხსნარით მოვბანთ მტკივნეულ ადგილს, ვჭრით სპეცდანიტ, გამოვწურავთ ჩირქს ბოლომდე და შემდეგ ვადებთ მალამოს შემზადებულს N2 რეცეპტით: თაფლის სანთელი – ერთი წილი; ნიგეზის ზეთი – სამი წილი, გა-

დამდნარი ქათმის ქონი – ერთი წილი; ქრისტეს სისხლის გამონაწერი – ნახევარი წილი; შევაზავებთ ყოველივე ამათ, დავადებთ მტკივნეულ ადგილს და ჩააქრობს მას;

II. ჭრილობა სისხლის შეუწყვეტელი დენით: გარეცხილ – დაჭეკვილ ნაკელის ჭიკელას ვადებთ ჭრილობას და შევხვევთ მას სამი დღით, იგი მას ჩააცხრობს;

III. ჭრილობა – ჭრილობა – დაჟეჟილობა.

მზადდება არტაშანი თხის ქონისა და ზინთის (ნაძვის ხის საკმეველი) ნაზავით და ბამბით (შევხვევთ, ვხსნით სამი დღის შემდეგ. ეს პროცედურა მეორდება სამჯერ (არტაშანი მზადდება ასე: სუფთა ფიცარზე ვშლით ბამბას, მოვაყრით ქონსა და დინოს, ცეცხლზე მოვვლებული ფოლადის დანით დავჭეკვავთ და გავშლით მას – მიიღება არტაშანი);

IV. დასუნული. 1) შაბიბანი – ორი თითით აღებული; 2) თეთრი შაბი – პაწია კენჭი; 3) გოგირდი – დანის წვერით; 4) ღორის უმარილო ქონი – ერთი კოვზი (ჩაის; დამწვარ გოგირდს, დაფშენილ შაბს, შაბიბანს, ღორის ქონს ვათავსებთ მოჭიქულ ჯამში და ვთქვლეფთ მას ხის კოვზით. დავადებთ მტკივანს რამდენიმეჯერ. მტკივნეულ ადგილს ვწმენდთ ზეთუნის ზეთით...);

„აწიწია, მაწიწია, ყელდაბალო, ყელმადალო, ყელო ჩალამაზებულო, თაგვის დასუნული ხარ, ვირთხის დასუნული ხარ, გველის დასუნული ხარ, ბაყაყის დასუნული ხარ, რისაცა დასუნული ხარ, მაინც დასუნული ხარ, გადით-გამოდით, ამ წუთჩი გამეიარეთ, დმერთო და წმიდა გიორგი, არგე ლოცვა ჩემი, ბრძანება - ძალა იყოს შენი“ (იმერეთი, დალი ჩხენკელი; 2008 წელი).

V. შაკიკი. 1) გაფხეკილი ოსაჯურა (მცენარეა ასეთი); 2) ძმარი; (ტაფაზე მოხალულ ოსაჯურას ვასხამთ ძმარს, გავშლით მას ტილოზე და თბილად დავადებთ მტკივნეულ ადგილს. ვიმეორებთ მორჩენამდე).

ძლიერ ტკივილს იწვევს სამწვერა ნერვის ანთება ანუ **შაკიკი**, მისთვის დამახასიათებელია ნახევარი თავის მწვავე ტკივილი, რომელიც პერიოდულად ერთსა და იმავე დროს მეორდება. მესხურ კარაბადინში, ნახევარი თავის ტკივილის დასამებლად ვკითხულობთ: „პურის გული სპირტში შეზილეთ ცომსავით და გაპარსულს თავზე ჩამოაცვით“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – 2199) XIII ს. კარაბადინში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – 304) შაკიკის დროს მჯავე მაწინის საფენებია დასახელებული.

ძველი ქართული მედიცინა თავის ტკივილის დასაყუჩებლად იყენებს ხმელ ქინძს. **„იადიგარ-დაუდში“ ვკითხულობთ: „თავის ტკივილის წამალი ესე არის, რომე ქინძის წვენი გაღესილი თავზედა შემოსცხონ, ან სალათის თესლი დანაყონ, ძმრით დააყენონ, ცოტა ქაფურიცა ურიონ და მტკივან თავზედა შემოსცხონ, ან შაქრითა ხმელი ქინძი ჭამონ“** (ბაგრატიონი, 1985) ოკრიბაში ჩაწერილ შაკიკის შინაურ რეცეპტებში მითითებულია ტყემლის ტყლაპი და დაჩეჩქვილი ხმელი ქინძი. იმერეთის სოფ. კუხში მცხოვრები სვანური მოსახლეობა დაჩრდილვის დროს იყენებს ნიორ გარეულ არყის კომპრესებს. არაყში გარეული დანაყილი ნივრით თავის შეხელა ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (მინდაძე, 1981) აჭარაში იყენებენ ხმელ ქინძს, იის ფესვების ნახარშს, მუავე მაწონს (ხაჭაპურიძე, შავიანიძე, 2011).

ლოცვები: ა) **სახელითა მამითა და შეილითა და სულითა წმიდითა; – შაკიკი შემომჯდარიყო სათიბისა ბოლოსაო, ისე ჭამდა ქვიშასაო, როგორც ხარი თავისაო. გაუწყრა წმიდა გიორგი გეიპარა დილასაო;**

ბ) **ცივი წყალი, ცივი ტილო, შიგ დანაყილი კანაფი, დაალევინე ავადმყოფს, ის არის მისი წამალი;**

VI. საწერელი. ძალზედ მძიმე ავადმყოფობაა, სულს უხუთავს, ცეცხლს უკიდებს ადამიანს. მის განსაკურნად იყენებდნენ როგორც წამლებს, ისე, ლოცვასაც, რეცეპტები ასეთია: 1) კვერცხის გული; 2) ვაშლის ცილა (კანი); 3) ღორის ფილი; 4) პურის ფქვილი (ესენი ერთმანეთში შერეული იხალება ტაფაზე და, ვიდრე თბილია, დაედება მტკივან ადგილს; 1) მწარე პილპილი; 2) არაყი; 3) ძირმწარე (ყუნწმოჭრილი) პილპილში ჩავასხამთ არაყს და ჩავყრით დანაყულ ძირმწარეს. ცეცხლიდან მოშორებით ჩავდებთ მას ნაცარში. ადულების შემდეგ გავაგრილებთ და ჩამოვაცმევთ მტკივან თითზე;

საწერელის შელოცვის ყველაზე გავრცელებული ვარიანტია:

„საწერელო, სად მიდიხარ? - ადამიანთან!

რისთვის? - ხორცის საჭმელად, სისხლის სასმელად, ძვლის სატკვერლად.

რა არის მისი წამალი? - ელიანი, მელიანი, საწერი კალამი, ტორფის ცვილი, ქვების ჟანგირი, ვაი, რა ვქნა და რა მოვიტანო, ჩემი თავის გასაჭირი“ (იმერეთი, თალიკო ბარაბაძე, 1995 წელი).

მეორე ვარიანტი: „საწერელი მიდიოდა შუადამისას, შემოხვდა მიქელ-გაბრიელი, მთავარანგელოზი. საწერელო, სად მიხვალ ამ შუადამისას? მე მივალ (სახელი პიროვნების) ძვალის საჭმელად, რბილის სახრავად, ასაბიის შესაწუნებლად. არა საწერელო, მე გაფიცებ მადლსა უფლისას, ნუ მიხვალ ამ ადამიანთან შესაწუნებლად. რაა მისი წამალი? როლთა როლი, ღორთა ქონი, ტირიფის და იფნის ცილი. ვაი, შუმე, ვაი შუმე, ვაი რა ვთქვი თავის ჭირი?!“ (იმერეთი, ლამარა კინწურაშვილი, 2012 წელი).

საწერელის მკურნალობა და შელოცვა:

- მიქელ-გაბრიელი, სად მიხვალ?

- ძვალის სახრავათ, რბილის საჭმელათ, რაა ჩემი წამალი?

- ერთი ნეკი პურის ფითქი, სამი ძირი პრასის ჩიცხვი, ძაღლის ფინთი, ვაი, რა ვთქვი, ჩემი თავის მოსაკლავი?!“

ამას ულოცავთ სამჯერ, ყოველივე ამ ჩამოთვლილს დავადეფთ ერთმანეჩი არეულს ნატკენ თითზე, შეუხვევტ და მეორე დღისთვის უკვე მორჩენილი იქნება.

უგი ახლა ასე, რაც ამოყვება ნეკს პური ფითქი, სამი ძირი პრასის ჩიხვი, აი, ფესვები რომა აქვს პრასს, ის და ძაღლის ფინთი, (უკაცრავად ძაღლის განავალი). ამას აუხელთ ერთმანეჩი და ამ საწერელიან ფრჩხილზე დავადეფთ, შეუხვევთ, ჩოულებრივთ და შეულოცავთ ამ სიტყვებით და მეორე დღისთვის უკვე მორჩენილი იქნება.“ (იმერეთი, ქიონია კუხალაშვილი, 1994 წელი)

VII. დამწვრობა. იგი საშიში ავადმყოფობაა, უფრო მეტად მაშინ, როცა სხეულის ნახევარზე მეტია დამწვარი, ან თუ ალი პირში აქვს ჩავარდნილი ადამიანს, ასეთ შემთხვევაში ავადმყოფს სასწრაფოდ უნდა დავალევინოთ ნიგვზის, ან ზეთუნის ზეთი, რათა კუჭი გააგრილოს და ერთმანეთს არ შეეწებოს კუჭის კედლები, ამასთან ერთად, დამწვარ ადგილზე ბატის ფრთით უნდა წაფუსვავთ კირიანი წყალი, რათა სიმხურვალე გაანელოს. ამის შემდეგ ვამზადებთ მალამოს რეცეპტით. დაუწვავი კირის მოზრდილ ნაჭერს დავასხამთ წყალს, იგი ფაფასავით შეიქმნება. შემდეგ თანდათან რამდენიმეჯერ ვასხამთ წყალს და როცა წყალი სუფთა სახეს მიიღებს ვატარებთ ტილოს ნაჭერში დავიხმართ დამწვრობის მოსაშუშებლად; თითო ღვინის ჭიქა ნიგვზის ზეთი, თხისა და ქათმის ქონი. ნახევარ-ნახევარი ღვინის ჭიქა-თაფლის სანთელი, საქონლისა და ღორის ქონი. ყოველივე ამათ ვადულებთ ქოთანში და ტილოში გაწურული გადაგვაქვს მოჭიქულ ჯამში და ვთქველევთ კოვზით. ამ წესით დამზადებულ მალამოს წაფუსვავთ მტკივნეულ ადგილს დღეში ორჯერ. ყოველი წასმის წინ მტკივნეული ადგილის სუფთავდება ნიგვზის, ან, ზეთუნის ზეთში ამოვლებული ტილოთი.

დამწვრობის სამკურნალოდ ძველი ქართული მედიცინა სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს გეთავაზობს: „ახლად დამწვრისათვის კვერცხის ცილა ერბოთი შეზიდვ და შემოსდევ და კარგია და მარგე... კარაქი დამწვარს უშველის“ (ქანანელი, 1940) ასევე „კვერცხისა თეთრი ვარდის ზეთითა გაადგინოს და ტილოს მხვარი მით დაასოვლოს მრავალჯერ და შემოსდვას, ერგების“, „იადიგარ-დაუდის“ თანახმად, დამწვარ ადგილზე ცივი წყალი უნდა გადაასხას, შემდეგ გეთავაზობს მალამოებს, რომელთა შემადგენლობაში შედის: კვერცხის ცილა, ქაფური, ზეთი, ძირმწარე, დანაყილი საბრი, ძმარში მოხარშული ჭადრის ქერქი, სუსანის ძირი, ტუხტი ან მოლოქის ყვავილი (ბაგრატიონი, 1985).

დამწვრობის მკურნალობის დღევანდელი ხალხური რეცეპტები (ჩაწერილი ქვემო იმერეთში, ოკრიბაში, სამეგრელოში, აჭარაში, კახეთისა და მთიანეთის მასალებში) ძირითადად იგივე კომპონენტებს შეიცავს: უმარილო ღორის ქონი, კურდღლის ქონი, კვერცხი, ზეთი, თაფლის სანთელი, კარაქი, დათვის ქონი, ფიჭვის ზეთი, კრაზანა.

უფიქრობთ, მოყვანილი შედარებითი მაგალითებით დასტურდება, რომ ბევრი სამკურნალო მეთოდი სწორედ ოფიციალური მედიცინის, სამკურნალო კარაბადინების გავლენა

ნით გადმოეცა ხალხურ მეხსიერებას. მეტწილად ეს იმ სამკურნალო საშუალებებს ეხება, რომლებიც ეფექტურობით და შედეგიანობით გამოირჩეოდა, ამიტომ გაუძლო საუკუნეებს და დღესაც გამოიყენება ხალხურ, შინაურ მედიცინაში.

დამწვრობის შელოცვა; პირველი ვარიანტი: „სახელითა ღვითთა, ბრძანება არი ღვითსა, ელი ელობდა, მელი მელობდა, ზღვა შოშინებდა, ცა ფოფინებდა წითელი ხვითოსა ხარი გეება, ზღვას ხნავდა, ქვიშას თესავდა, ვინ გეიგონა, ძღვის დახვნა? ქვიშის დათესვა? დამწვარი წამს იქით გაძნელებული? დამწვარი ქრებოდეს, დამწვარი ყუცთებოდეს, დამწვარი ნელდებოდეს!“ (იმერეთი; ლიანა ჯიმშელიშვილი; 2014 წელი)

მეორე ვარიანტი: „ოშოშინობდა, დაფოფინებდა წითელი ხარი, წითელი ხუცესის ზღვას ხნავდა, ქვიშა თესავდა, ვის გოუგონია სამ დღეს იქით დამწვარი, დაძველებული, ქვაბში დადუღებული“ (იმერეთი, ადელი კაკაბაძე, 1995 წელი) შელოცვის ტექსტს იმეორებენ სამ დღეს. სამიგვეჯერ მლოცველი განასკვავს აბრეშუმის ძაფს, მესამე დღეს კი ნასკვი თვითონ ავადმყოფმა უნდა გახსნას.

VIII. ნაღრძობი. ესეც ძალზედ შემაწუხებელი დაავადებაა. შესაძლოა ნაღრძობი ადგილი შესივდეს კიდევ. უპირველესად საჭიროა თბილი საფენები მომზადებული რეცეპტებით: ჭინჭრის, ოშოშუეს, მარილის ნაზავი იხარშება შესაბამისი ოდენობის წყალში და ამ ნაზავით გაუღვნილი საფენით შევხვევთ ნაღრძობს, ვიდრე არ მორჩება; ორი კვერცხის გული და ერთი ჩაის კოვზი მარილი აითქვიფება და გაიშლება ტილოზე, რომელსაც დავადებთ ნაღრძობს და შევხვევთ. ვიმეორებთ ამ პროცედურას ყოველი სამი დღის შემდეგ სრულ განკურნებამდე.

ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით მოპოვებული ხალხური მკურნალობის წესები, ასახულია ქართველი ერის, ხალხის ბუნებაზე დაკვირვებით, ფლორის შესწავლის უნარით, ნააზრევით და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით. ჩვენი ნაშრომის მიხედვით, შორს ვართ იმ ზარისაგან, რომ სტატია ამომწურავად აღწერს ხალხური მკურნალობის სრულყოფილ წესებს. ხალხური მეხსიერება დიდებულ ცოდნას ინახავს და ვიმედოვნებთ, რომ შემდგომი კვლევები უფრო სრულად გამოავლენს ქართველი ხალხის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას.

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი დ., “იადიგარ-დაუდი”, 1985 წ., გვ. 243, 543.
2. კაშია რ., შავიანიძე დ., “ქართველური მემკვიდრეობა”, ტომი XV, 2011, გვ., 306.
3. მინდაძე ნ., ქართული ხალხური მედიცინა, 1981წ., გვ. 66, 60.
4. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1979 წ., გვ. 274.
5. ქანანელი, “წიგნი სააქიმო”, 1940, გვ. 390, 433.
6. ხაჭაპურიძე, შავიანიძე, „დაავადებები და მათი მკურნალობის ხალხური საშუალებები (ზემო აჭარის მასალების მიხედვით)“, 2011 წ.

Ramaz Khachapuridze
Akaki Tsereteli State University, Georgia

Folk Treatment Traditions in the Past and at Present
(based on recent materials found in Imereti region)

Summary

Georgian traditional (folk) medicine cultural heritage combines naturopathy and magic (adjuration) treatment.

We were interested to see if recent technological progress had any influence on adjuration treatment. We chose texts preserved in Dialectology scientific-research institute fund and compared them with the materials found in the expedition in 2014-2015.

The analysis showed that some magic (adjuration) treatment traditions are not used at present, but some of them are still alive. We found out that people do not use charming away treatment any more while treating illnesses like: anthrax, wounds, bleeding, burn, dislocation etc. People still charm away some of the illnesses such as : shivering, shaking, fever, being frightened and depressed. Charming away is still one of the most popular ways of treating illnesses like measles, mumps and the like. The above mentioned examples prove that people still use traditional adjuration treatment while dealing with mental/psychic problems and visit doctors in other problematic cases.

To sum up, we can say that the development of social-political life rose the level of medical cultural understanding among people, though decreased the popularity and nearly vanished traditional adjuration treatment.

Key words: folk treatment, charming away(adjuration), contemporary life.

Харсиев Борис Магомет-Гиреевич

*Заведующий отделом этнологии
Ингушского научно-исследовательского
Института гуманитарных наук
им. Ч. Ахриева
Harsievfilial@mail.ru
тел.: +79287968348*

Антропологические сведения по происхождению ингушского народа

Связь вайнахских племен с ближайшим грузинизированным населением северных районов Закавказья, основанная в прошлом на единстве происхождения и общности культуры и быта, сохранилась до позднего времени.

В антропологическом смысле мало изучены автохтоны Кавказа — ингуши.

Краниологический потенциал на территории этнического ареала проживания ингушей представляет собой ценный научный материал, позволяющий напрямую сопоставлять информацию о древнем и ныне обитающем населении Кавказа. Это чрезвычайно важно для реконструкции основных этапов сложения кавказских народов.

Происхождение ингушского народа, обстоятельства и условия его исторического формирования теряются в глубине веков. Наличие противоположных взглядов об этногенезе ингушей говорит о том, в нашем распоряжении нет достаточных данных для решения этого вопроса.

В соответствии с задачей исследования происхождения ингушей мы постараемся, опираясь на имеющиеся источники, осветить антропологические характеристики ингушей и их близость к другим автохтонам Кавказа.

Антропологические исследования вскрывают наиболее древний пласт в составе того или иного народа; позволяют проследить сложение физического типа; история этносов записана в их морфологических признаках, поэтому антропологические данные становятся историческим источником.

Дореволюционные исследователи Кавказа не пошли дальше фиксации различных вариантов отдельных признаков, не попытались выявить связь между ними и использовать их для построения удовлетворительной расовой классификации. Единственным исключением явилась классификация А.А. Ивановского (1904), но он при ее создании опирался только на статистические приемы и полностью пренебрег результатами морфологического анализа. Поэтому его классификация не встретила поддержки даже со стороны современников, не говоря уже о специалистах более позднего времени, неоднократно подвергавших ее резкой критике.

По мнению академика В.П. Алексеева, на территории Кавказа с древнейших времен существовали два европеоидных типа: брахикранный, широколицый массивный, и долихокранный, узколицый, грацильный [2, с. 315].

В работе В.В. Бунака «Антропологический состав населения Кавказа», опубликованной в 1946 г., говорится о наличии трех краниотипов с преобладанием долихомезокранных над брахикранными [3].

Даже сегодня различные морфологические особенности определяются при помощи различных шкал и по-разному измеряются, что приводит к крайнему разнобою в трудах исследователей и констатации различий там, где их не было в действительности. Небольшое число обследованных индивидуумов, при котором огромную роль приобрел случайный подбор, усугубляло малоценность полученной информации.

Этногенез очень сложный, многогранный феномен. Для вскрытия образующих его этапов необходимо исследовать солидный материал, в том числе и по физической антропологии (триада — палеоантропология, краниология и соматология), дающий ответ на преемственность населения каждой конкретной территории, а также изменчивость антропологических типов в пространстве и во времени, наличие или отсутствие инорасовых включений, инфильтраций и т.д.

Использование в этнологии антропологической классификации обусловлено тем, что язык и культура могут распространяться и без перемещения антропологических типов, но переселение

носителей определенных расовых признаков обязательно приносит изменения в культуру и язык. Поэтому антропологические данные играют важную роль в определении тех этнических элементов, из которых сложился данный народ.

Особое место в изучении антропологии народов Кавказа принадлежит М.Г. Абдушелишвили. По мнению М.Г. Абдушелишвили, наиболее ранний палеоантропологический материал, на котором можно проследить особенности физического типа населения Кавказа, относится к энеолитическому времени и констатирует наличие двух морфологических типов в населении того времени: широколицего мезокранного и узколицего долихокранного. Первый из них не находит аналогов в синхронных и последующих сериях, второй можно встретить и в более поздние эпохи. Палеоантропологический материал раннебронзового периода дает возможность проследить сходство с синхронными и более ранними антропологическими типами из южных областей (Севан, Джарарат), а также с более поздними из Восточной Грузии, что говорит в пользу непрерывности генетической общности населения медного и раннебронзового периодов. Материал, относимый к среднебронзовому периоду, с территории Кавказа (Армения, Северный Кавказ) свидетельствуют о том же [1].

Особое место в изучении антропологии населения горного края занимает работа М.Г. Абдушелишвили «Антропология народов Кавказа». Следует отметить, что в настоящее время это наиболее полные и унифицированные материалы о современных группах Кавказа.

В основу самотологической части работы, исследования легли данные 118 этнотерриториальных групп, относимых к 22 национальностям Кавказа.

М.Г. Абдушелишвили пишет следующее: «...изученные нами чечено-ингушские и карачаево-балкарские группы еще более расширили наши представления об ареале кавкасионского типа. К мысли о кавкасионском типе карачаевцев и балкарцев пришел также В.П. Алексеев (1960). О происхождении кавкасионского типа вообще в специальной литературе имеются разные мнения. Автохтонное происхождение этого типа впервые было высказано нами на основании четкой локализации представителей этого типа и отсутствия аналогичных форм в пространстве» [1]. (Абдушелишвили, 1957).

В дальнейшем эта гипотеза была подкреплена еще и сходством хевсурской краниологической серии с палеоантропологическими сериями Закавказья.

«Совокупностью антропологических, археологических, исторических, лингвистических и этнографических данных подтверждается давнее и сугубо местное происхождение и развитие этнического ядра, которое в наши дни именуется ингушским народом, составляющим одно из слагаемых так называемого нахского этнического массива Кавказа» [4, с. 73].

Ключевые слова: Антропология; этногенез; палеоантропологический материал; кавкасионский тип; краниологическая серия.

Использованная литература:

1. Абдушелишвили М.Г. Антропология древнего и современного населения Грузии. Тбилиси, 1964.
2. Алексеев В.П. Происхождение народов Кавказа. М., 2009.
3. В.В. Бунака В.В. Антропологический состав населения Кавказа. М. 1946 г
4. Крупнов Е.И. Средневековая Ингушетия. Магас, 2008.

Anthropological data on the origin of the Ingush people

Summary

Communication Vainakh tribes nearest gruzinizirovannym population of the northern regions of the Caucasus, based in the past on the unity of origin and a common culture and way of life is preserved until late.

Keywords: Anthropology; ethnogenesis; paleoanthropological material; Caucasian type; craniological series.

**“იესე ბარათაშვილის ცხოვრება – ანდერძი”,
როგორც ეთნოგრაფიული წყარო**

XVIII საუკუნის მემუარული ნაწარმოები, “იესე ბარათაშვილის ცხოვრება – ანდერძი”, ქართული საისტორიო მწერლობის შესანიშნავი ძეგლია. თავისი დროის ცნობილი მდივან-მწიგნობარი, დახვეწილი და მდიდარი ენით, საოცარი ემოციითა და განცდით აღწერს საკუთარ ცხოვრებას, თანადროულ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს, სამეფო კარისა და დიდი ფეოდალების ურთიერთობებს, ინტრიგებსა და დაპირისპირებებს. მოცემულია ღირებული ინფორმაცია ქართლ-კახეთის სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა და ცხოვრების წესის შესახებ. ერთი სიტყვით, “იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძის” სახით, ჩვენ გვაქვს XVIII საუკუნის ფრიად მნიშვნელოვანი წყარო, მრავალფეროვანი და მდიდარი ინფორმაციით სავსე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იესე ბარათაშვილის თხზულება ორიგინალური ხასიათით გამოირჩევა, როგორც საკუთარი ემოციების, შეხედულებების გადმოცემის თვალსაზრისით, ასევე თავისი პრინციპების, ცხოვრების წესის, გარეგნობის, კვებისა და ჩაცმის კულტურის დეტალური აღწერილობით. ჩვენ, ამ ნაშრომში, სწორედ ამ კუთხით განვიხილავთ აღნიშნულ წყაროს.

“იესე ბარათაშვილის ცხოვრება – ანდერძი”, სულ სამჯერაა გამოცემული. პირველად დაიბეჭდა 1871-1872 წლებში, ჟურნალ “ცისკარში”, მეორედ 1913 წელს გამოიცა სარგის კაკაბაძის მიერ. მესამე, სრულყოფილი გამოცემა, ეკუთვნის ავთანდილ იოსელიანს.

ავთანდილ იოსელიანმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში მიაკვლია ანდერძის მანამდე უცნობ ორ ხელნაწერს. მკვლევარმა ერთმანეთს შეადარა უკვე არსებული გამოცემები და ახლადმოძიებული ხელნაწერები და ხანგრძლივი კვლევის შემდეგ, გამოსცა სრული და გასწორებული ვერსია. მასვე ეკუთვნის ამ ძეგლის ყველაზე მართებული დასათაურება: **“იესე ბარათაშვილის ცხოვრება – ანდერძი”**. გამოცემას დართული აქვს შესავალი, სადაც დაწვრილებითაა განხილული წინა გამოცემები, ხელნაწერების ისტორია; ლექსიკონი, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი. ამდენად, ავთანდილ იოსელიანის მიერ შესრულებული პუბლიკაცია, უდავოდ უნდა ჩაითვალოს ყველაზე სრულყოფილ გამოცემად [1].

იესე ბარათაშვილი XVIII საუკუნის მოღვაწეა (1728-1786წ.წ.) მას რთული, წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრება აქვს, ამავე დროს, წარმატებული და საპასუხისმგებლო კარიერა: სამეფო კარის კალიგრაფი, მწიგნობარი, მოსამართლე. ადრეული ასაკიდან სიცოცხლის ბოლომდე შეუსვენებელი შრომა, დაპირისპირება დიდ ფეოდალებთან და თვით მეფესთანაც კი, აღმავლობა და დაცემა, რაც მან მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოსცადა, საკუთარი სამფლობელოების გაფართოება, მრავალრიცხოვანი ოჯახისა და სანათესაოს მოვლა-პატრონობა, სამხედრო სამსახურში დგომა, სამართლის აღსრულება, მრავალი ფიზიკური ტრავმის გადატანა – ყოველივე ეს იესე ბარათაშვილს წარმოაჩენს, როგორც მტკიცე, შეუპოვარ, საოცარი აღლოს მქონე, მრავალმხრივ განათლებულ, თავისი ეპოქის ერთერთ ძლიერ და თვალსაჩინო ფიგურად.

კითხულობ იესე ბარათაშვილის მიერ საკუთარი ხელით აღწერილ ცხოვრებას და თვალწინ წარმოგიდგება ძლიერი ქართველი დიდებული, რომელიც ურთულეს ეპოქაში ყველა გამოწვევას უმკლავდება მტკიცე პიროვნული თვისებებისა და განათლების წყალობით. მემამულე, რომელსაც გასიგრძეგანებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა, როგორც ქვეყნისა და მეფის, ასევე თავისი შთამომავლების წინაშე. ყველაზე მთავარი, რაც თვალში გეცემა ამ შესანიშნავი წყაროს კითხვისას, არის ის საოცარი სიყვარული, დიდი მემამულისა მიწის მიმართ, რაც ასე დამახასიათებელი ჩანს ქართველი ფეოდალებისთვის. ანდერძს წითელ ხაზად გასდევს რჩევა და მოთხოვნა შვილებისადმი, რომ რაც არ უნდა გა-

უჭირდეთ, არ გაყიდონ მამულები (რომ არა ასეთი სიყვარული ქართველი დიდგვაროვნებისა მამულების მიმართ, რაც ხშირად ურთიერთდაპირისპირებაში და სისხლისღვრაში გადადიოდა, შეიძლება ჩვენი ქვეყნის ის ნაწილიც არ შემოგვრჩენოდა, რაც დღეს გაგვანჩია).

იესე ბარათაშვილი ძირითადად თავის ცხოვრებას აღწერს, მაგრამ, ვინაიდან მას საპასუხისმგებლო თანამდებობები ჰქონდა და სამეფო კართან დაახლოებული პირი იყო, მიმდინარე პროცესების შუაგულში ტრიალებდა; როგორც მდივანბეგს (მოსამართლე), ბევრი მნიშვნელოვანი საქმის განხილვა უწევდა. ამდენად, ის საფუძვლიანად ერკვეოდა მიმდინარე მოვლენებში, მისთვის ე.წ. “კულუარული” ინფორმაციებიც ხელმისაწვდომი იყო. “ცხოვრება-ანდერძი” ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა კვლევის საგანი. ეთნოგრაფიული კუთხით წყაროს შესწავლას ეძღვნება ცნობილი ეთნოლოგის, ვალერიან ითონიშვილის სტატია [2].

ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ თვითონ იესე ბარათაშვილის შესახებ მოცემულ ინფორმაციას, რაც მეტად საინტერესო და ორიგინალურია: ასაკობრივი ცენზი, გარეგნობის შეფასება, კვებისა და ჩაცმის კულტურა, მისი პროფესიული და ადამიანური მსოფლმხედველობა. ყოველივე ეს წარმოდგენას გვიქმნის არა მხოლოდ იესე ბარათაშვილის პიროვნების შესახებ, არამედ კარგად წარმოაჩენს XVIII საუკუნის ქართული უმაღლესი წრის ცხოვრების წესსა და გარემოებებს.

იესე ბარათაშვილი ორიგინალურად იწყებს თავის “ცხოვრება – ანდერძს”, რომლის წერასაც ორმოცი წლის ასაკში შედგომია. მისი თქმით, ორმოცი წელი (მაშინდელი სტანდარტით) მამაკაცისთვის სრულ ასაკად ითვლებოდა: **“და წერასა ამას ანდერძისა ჩემისასა ვიყავ წლისა ორმეოცისა და ვინათგან სრულებად მოვიწიე, აწ-და ვიწყე წერად ცხოვრებისა ჩემისა... ვინათგან ვარ მე დღეს ორმეოცსა შინა წელსა, ესე არს სრული კაცთა ბუნებისა აწინდელი სისრულე”** [1, 1]. თითქმის სრულ კაცად მიიჩნევს ის ოცდაათ წელს გადაცილებულ თავის უფროს ვაჟსაც: **“ოსე ღვთის მოწყალებით ოცდა ათის წლისა იქნება... სრული კაცი იქნება”** [1, 53]. სამოცი წლის ასაკში, იესე საერო ცხოვრებისთვის თავის დაწვებას, “ჩოხის” ჩაცმას და ეკლესიაში წასვლას აპირებს თავისი სულის საოხად. ამდენად, ოცდაათ წელს გადაცილებული მამაკაცი უკვე “სრული ასაკისაა”, სამოცი წელს მიღწეულს კი, შეუძლია თავი ვალდებულად ჩათვალოს ოჯახისა და ქვეყნის წინაშე და მშვიდად განერიდოს ამქვეყნიურ საზრუნავს.

მიუხედავად მძიმე ცხოვრებისა და ბევრი განსაცდელისა, ნათლად ჩანს, რომ იესე ბარათაშვილი კარგად უვლის თავს, ლამაზად და მდიდრულად იცვამს, დიდ ყურადღებას აქცევს კარგ კვებას და ზედმეტად არ ეტანება ღვინოს. მისი მონათხრობიდან აშკარად იგრძნობა, რომ საკუთარი თავისადმი პატივისცემითაა განწყობილი. აი, როგორ აგვიწერს ის თავის გარეგნობას: **“ვარ სიმაღლითა ასაკისათა შვიდისა ჩარეკისა წყრთეული, სიწლოთა ფრიად წვლილ და მჭლე, ხელნი და ფერხნი მსუბუქ და წვლილ, თვალნი გრემან და თმანი და წარბნი ქარც და ხორცი თეთრ ფეროვან”** [1, 1].

ამდენად, იესე ბარათაშვილი თავისივე აღწერით ასე გამოიყურება: მაღალი და თხელი – “სიწლოთა ფრიად წვლილ და მჭლე” (“სიწლო – სიწვრილე” [2, 398]), მსუბუქი ტანის; “თვალნი გრემან”, აქ გარკვეულ სირთულეს ვაწყდებით. ილია აბულაძის მიერ “გრემანი” განმარტებულია, როგორც “ზღვისებრ ლურჯი” [2, 96], სულხან-საბა ორბელიანთან, როგორც “მქრქალი ფერი” [4, 169], ხოლო გამოცემის თან დართულ ლექსიკონში, როგორც “მუქი თაფლის ფერი” [1, 109]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იესეს აქვს “თმანი და წარბნი ქარც და ხორცი თეთრფეროვან” (ქარცი – წარბ-წამწამ უფერული [5, 217]; “ქარცი – თეთრად მოყვითლო ან მოწითანო” [1,112], ანუ მოთეთრო ან მოყვითალო ფერის თმა და წარბ-წამწამი, თეთრი სახე, მაშინ სავარაუდოა, რომ მას “ზღვისებრ ლურჯი” თვალები ჰქონდა და არა მუქი თაფლისფერი. ამდენად, იესე ბარათაშვილი საკმაოდ კარგი შესახედაობის მამაკაცი ყოფილა, მაღალი და თხელი აღნაგობის, ქერა და ლურჯთვალეა. ალბათ ამიტომაც აღწერს საკუთარ გარეგნობას ასე დაწვრილებით, მას აშკარად მოსწონს თავისი თავი და წერს კიდევაც: **“ასე ამბობენ – ნაკვითანი არისო”** [1, 62]. (ნაკვითი – ტანადობა, შევენებით გაწყობა; [4, 572]. იქვე ის გულისტკივილით აღნიშნავს: **“გარნა ყოელი წარწყმიდოს შავმან ჭიქამან საფლაგისა მიწამან”** [1, 1].

ეს ძეგლი მხოლოდ ამით არ არის უნიკალური, რომ იესე ბარათაშვილი თავისი გარეგნობის დაწვრილებით აღწერილობას გვთავაზობს. მას თითქმის კოდექსით აქვს დაწერილი საკუთარი ქცევის, კვებისა და ჩაცმა-დახურვის კულტურა. ამ მონაცემების საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ XVIII საუკუნის ქართველი დიდებულების ცხოვრების წესზე. ჩანს, რომ მიუხედავად რთული ვითარებისა, დიდგვაროვნები საკმაოდ კარგად ცხოვრობდნენ და თავისი ფენისთვის შესაბამისი, ცხოვრების წესის მაღალი სტანდარტები ჰქონდათ.

იესე ბარათაშვილი განათლებული პიროვნებაა. 12 წლის ასაკში უკვე იცის წერა-კითხვა (მხედრული, ხუცური, ასომთავრული), გალობა. 14 წლიდან, რთული ვითარების გამო, თვითონ უძღვება ოჯახს, აქვს საკუთარი შემოსავალი: **“ჩემი შემოსავალი სამწესო იყო. ვიჯექ პატიოსნად სენაკში, სამღუდელს წიგნებს ვწერდი, ვყიდდი და იმით მოვირეწდი. შეგირდები მისხდენ ოცდაათი, ზოგი სამუდგელო, ზოგი საერო. ისინი მმსახურებდნენ კარგად, და ღმერთი გვზრდიდა ჭეშმარიტად”** [1, 6]. იესეს უკვე ეტყობა, რომ ძლიერი პიროვნებაა, შესაბამისი განათლების წყალობით, ის თავის ადგილს თანმიმდევრულად იმკვიდრებს საზოგადოებაში. მისი მომავალი საეკლესიო მოღვაწეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახალგაზრდა კაცი აქტიურმა საერო ცხოვრებამ მიიზიდა. თექვსმეტი წლის ასაკში მყოფი იესე გარკვეულწილად არჩევანის წინაშე აღმოჩნდა, რასაც წლების შემდეგ ასე გადმოსცემს: **“უცხო რამ სინარული იყო ყმაწვილის კაცისთვის... კარგად მეცვა, მესურა და მეთექვსმეტეს წელს მივდიოდი. დიად უცხო დღე არის კაცის ასაკი მაშინ. დიად მიხაროდა, დიად მომწონდა თავი და დიად მომიტაცა სოფელმან”** [1,7]. მიუხედავად ამისა, ის ჯერ კიდევ რჩება საეკლესიო მსახურებაში, ხდება დიაკვანი, მაგრამ 24 წლის ასაკში, უკვე ნამდვილი გზაჯვარედინის წინაშე აღმოჩნდა, როცა საბოლოოდ უნდა აერჩია, საეკლესიო პირი გახდებოდა თუ საერო. შეიძლება ითქვას, მისი ამ მნიშვნელოვანი ეტაპის გადაწყვეტილების აღწერა ღრმა ფსიქოლოგიური აზროვნებისა და ანალიზის შესანიშნავი ნიმუშია: **“...ჯერეთ ყმაწვილი ვიყავ (წლისა 24) და დიად სოფლის შემსჭვალული. ცხენისა, იარაღისა, თოფისა, ხმლისა, ტანისამოსის მოყვარული და ხელშეწვენილი ამაებისა ყოვლის ფერთ. მერმე ეს განჩინება გამოხდა: ან ბერად უნდა ვყოფილიყავ, ან სიკუდილდემდე დიაკონად და ან ერის კაცად და მე ამის მეტი არც ერთი შემემლო. იმ ჟამში, ეშმაკის ბირებით, ჩემმა გონებამ ეს მირჩივა და, ასე მომიხდა, რომ ერის კაც ვიქმენ”** [1, 15].

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართლ-კახეთის სამეფოს მდივან ბეგის “ცხოვრება-ანდერძში”, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების გვერდით, საკმაოდ დიდი ადგილი უკავია იესეს ჩაცმის სტილისა და ტანისამოსის აღწერილობას. ცხადია, რომ მუდამ სამეფო კარზე მყოფი, მოსამართლე, ქვეყნის უმაღლესი საზოგადოების წევრი, ვალდებული იქნებოდა დაეცვა ეტიკეტი და, შესაბამისად ჩაცმულ-დახურული წარმდგარიყო საზოგადოების წინაშე, მაგრამ მისი ნაწერიდან ამავე დროს აშკარად ჩანს, რომ იესე დახვეწილი გემოვნებითა და ბუნებრივი ესთეტიკურობით გამოირჩევა. ჩვენი ავტორი დაწვრილებით აღწერს თავის ჩასაცმელს, რომელიც განსხვავებულია სეზონური და სარიტუალო დანიშნულების, სტილისა და ფერების მიხედვით. იშვიათია ქართული წყარო, რომელიც ამ კუთხით ასეთ დაწვრილებით ინფორმაციას შეიცავდეს: **“ჩაცმა და დაბურვა მიყვარს და არც მაკლია ღუთის მოწყალებით საზომისაებრ ჩემისა. ცხენი და იარაღი მქონდა და მყავს კარგი ცხენები და ჩემს ჟამში ამ ყოფით ვიყავ დღესამდე და დღეის წადმართ ღუთის ნება იყოს”** [1, 2]. ჩაცმა დახურვისა და ცხენ-იარაღის შესახებ იესე ხშირად საუბრობს, თუმცა, მისი შემაჯამებელი აღწერილობა საკუთარი ჩასაცმელისა და სტილის შესახებ, შეიძლება ითქვას შედეგურია და უნიკალურ წყაროს წარმოადგენს ქართული ეთნოლოგიისთვის: **“...ათი თორმეტი კაბა არ გამომღვევია ზანდუკში, ოთხი და ხუთი ახალუხი, ხუთი და ექვსი პერანგი და მუქასარი, ჩახჩური და პაიჭი, ათი თორმეტი ქუდი საჩხეი, თუშური ნაკერი ქუდი და ყაჯრული სხვა და სხვა ფერი. ... ზამთარს ზამთრისას ასე ვიხმარებდი ქურქსა, ხირდასა, ქუქუნაკსა, ქათიბსა ... ზამთარში ჩავიცვემდი: რბილს შიგნით ტანისამოსს, ახალუხს მსხვილს, კაბას ყიზილბაშურს, დაბამბულს, ორშაბათს, სამსაბათს და შაბათ კვირემდის ან ლაინისას ან ჩითისას და შაბათ კვირას ან ატლასისას, ან სხვა რასმე კარგს, კარგის დილით, იმასაც დაბამბულს.**

საყდარში წამოვისხემდი კარგს ხირდას, ლამაზს და ბატონთან კარგს ქათიბს; შინ პურის ჭამაში ქუქუნაკს და ხან ქურქს და ჩემს ლოცვაზედ კიდევ ქუქუნაკს ქართულს. აგრევე ზაფხულში, გაზაფხულ, შემოდგომას მოვის პერანგებს სხვასა და სხვა ფერს და ზაფხულში ტილოს პერანგებს გულისპირ შეკერილს, ახალუხს ლამაზებს და კაბებს დარაიებს. შაბათს კვირას სხვასა და სხვას ფერს და უმისოდ მაუდებს და წმიდა შაღებს.

ქუდს ზამთარში კვერნისას და ზაფხულს მსუბუქსა და ხან საჩეხსა და ხან თუშურსა და ხან სირმით ნაკერსა. ახალუხი ნაოჭით ვიცოდი ქართულად და მაშია მადალი, მწვანე და წითელი, კარში და შინ და ლოცვაზედ ქოშები. ლამაზი საწვიმარი და ქურთუკი ზაფხულის ხანდახან და ზამთრის ფერი მსხვილი საწვიმარი [1, 61-62].

ამ დეტალური აღწერილობის საფუძველზე, ნათელი წარმოდგენა გვექმნება, თუ როგორ იცვამდა XVIII საუკუნეში ქართველი დიდებული. ჩაცმის რა სტილი იყო მიღებული და როგორ განსხვავდებოდა ის ღონისძიებების მიხედვით, რა ქსოვილები გამოიყენებოდა. აღნიშნული აღწერილობა ფასეულია აგრეთვე ჩასაცმელის აღმნიშვნელი მდიდარი ტერმინოლოგიით. იესე ბარათაშვილის გარდერობი ასე გამოიყურება: ათი-თორმეტი კაბა (კალთებიანი გრძელი ტანსაცმელი ქალისაც და კაცისაც [6,560]) გამოუღვევლად აქვს; სხვადასხვა რაოდენობით ახალუხი (წელში გამოყვანილი სამოსელი მამაკაცისა, დილ-კილოებით შესაკრავი, იცვამენ ჩოხის ქვეშ, ატლასისა [6, 112]), პერანგი და მუქასარი. “მუქასარი” სულხან-საბა ორბელიანთან განმარტებულია, როგორც “ნიფხვის ტოტი, ნიფხვის უბე [4, 529]. ეი ქვედა საცვალაია. “ჩახჩური (შარვალი [1, 112]) და “პაიჭი” (ფერხის სამოსელი [5, 613]).

თვალშისაცემია ქუდების, ქურქებისა და მოსასხამების მრავალფეროვნება. თუ გავითვალისწინებთ, რომ XVIII საუკუნეში, როგორც ქალისთვის, ისე მამაკაცისთვის, თავსაბურავი წესისამებრ აუცილებელი იყო და ჩასაცმელის განუყრელ კომპონენტს შეადგენდა, მისი მრავალფეროვნება არ გაგვიკვირდება. იესე ბარათაშვილი ქუდების შემდეგ სახეობებს იყენებს, რაც ცხადია, იმ ეპოქაში ყოფილა გავრცელებული: “საჩეხი, თუშური, ყაჯრული სხვა და სხვა ფერისა”.

“საჩეხი” საბას განმარტებით “დერეფნის პირის საჩრდილობელ ფიცარს ჰქვიან [5, 66]; დაახლოებით ასევეა ახსნილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: “საჩეხი სახურავის წინ გამოშვერილი ნაწილი, საჩრდილობელი [6, 873]. ამდენად, შეძლება დავასკვნათ, რომ ქუდის ეს სახეობა საჩრდილობელი იყო. თუშურს განმარტება არ სჭირდება, გასაგებია, რომ ის თუშური თავსაბურავია, საინტერესო მხოლოდ ისაა, რომ XVIII საუკუნეში ქუდის ეს სახეობა ბარშიც ფართოდ გავრცელებული ჩანს. “ყაჯრულის” განმარტება ლექსიკონებში სხვადასხვანაირია. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, “ყაჯირი სხვათა ენაა, ქართულად ძერძერუკი ჰქვიან [5, 264]; ძერძერუკი კი ფრინველია [5, 353]. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, “ყაჯარი (ყაჯრისა) უნაგირზე გადასაფარებელი მოქარგული ქსოვილია [6, 1010]. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქუდის ეს სახეობა მოქარგული ქსოვილისგან არის შეკერილი, ან უბრალოდ, მოქარგულია (შეიძლება დავუშვათ, რომ ფრინველის ფრთით არის გაწყობილი?) იესე აქვე მიუთითებს, რომ ეს ქუდები სხვადასხვა ფერის იყო და ამასთანავე, ზამთარში ბეწვის (კვერნის) ქუდსაც იხურავდა.

იესე ბარათაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მდიდრულ და სხვადასხვა სახის ქურქებსა და მოსასხამებს, რომელთა ჩაცმის დროს და ვითარებას დაწვრილებით აგვიწერს: “ხირდას ლამაზს” საყდარში წასვლისას მოისხამდა. “წამოსასხამი, მანტია”, ასე განმარტებული გამოცემაზე დართულ ლექსიკონში [1, 112]. ეს წამოსასხამი ალბათ ძვირფასი რომ იქნებოდა, ამას ადასტურებს იესეს დანაბარები, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ, ვერცხლის ჯამთან ერთად, კათალიკოსს გადასცენ: “**ბატონს კათალიკოსს მიაართვით ჩემი ხირდა, ნიშნად ეს მიირთვას და ჩემი ვერცხლის ჯამი საწირავად**” [1, 101].

მეფესთან დარბაზობისას “კარგს ქათიბს” (ქათიბი – ბეწვი კაბაზე ჩასაცმელი [1,112]). შინ, პურის ჭამისას “ქუქუნაკსა” (ქუქუნაკი – მოკლე ბეწვიანი ჩასაცმელი [1, 112]) და ხან ქურქსა. აგრეთვე ჰქონდა ლამაზი საწვიმრები (მათ შორის ზამთრის ფერი მსხვილი საწვიმარი) და ქურთუკი ზაფხულისა.

ზამთარში ჩასაცემლად იესე იყენებს შიგნით რბილ ტანისამოსს, ახალუსს მსხვილს, კაბას ყიზილბაშურს, დაბამბულს. გაზაფხულში, ზაფხულსა და შემოდგომაზე, შესაბამისად, “მოვის” (აბრეშუმი – [1, 111] პერანგებს სხვადასხვა ფერისას, ტილოს პერანგებს “გულისპირ შეკერილსა” (მოქარგული), ახალუსს ღამაზებს და კაბებს დარაიებს (დარაია – აბრეშუმის ქსოვილი [6, 404]). შაბათ-კვირას ატლასის კაბებს, კარგის დილებით და სარტყლებით გაწყობილს.

ახალუსის შესახებ განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ იცოდნენ “ნაოჭით ქართულად”, მასთან ჩასაცემელი “მაშია” (მაშია – ფერხოსაცემელი [4, 440]) კი მაღალი და მწვანე და წითელი ფერისა; შინ ჩასაცემლად კი ქოშებს იყენებს.

იესე ბარათაშვილი სრულად აღწერს თავის აღკაზმულობას და იქვე მიუთითებს, რომ **“არაფერს არც დიდკაცურს დავიკლებდი, არც მოქალაქურს. მსახურნი მახლდნენ ექვსი, თუ შვიდი, ცხენები მყვანან მარქაფით (მარქაფა – მეორე ცხენი აკაზმული [4, 443]) და რივიანად დავიარებოდი”** [1, 61].

საინტერესოდ და მოკლედ აღწერს იესე მისთვის დამახასიათებელ კვების კულტურას და რეჟიმს. მოძრავ ცხოვრების წესთან ერთად (ის რეგულარულად დადის ლაშქარში მორიგეობაზე, დაჰყვება მეფეს სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში, სისტემატურად დადის თავის მამულებში მისახედად), ალბათ კვების ამ რეჟიმმაც შეუნარჩუნა მას ჯანმრთელობა და კარგი გარეგნობა: **“ზნედ მაქნდა მიღება საზრდელისა არცა მრავალ, არცა მცირე; ღვინის სმა შეზომილ და ერთს ჩარექს ღვინოს არც დავიკლებდი და არც ამის მეტს ვიხუმევდი ნებით ჩემით, და თუ ღვინისა მიწოდინან, დაგლევი, მარა ჩემს ჟამში კაცს მთვრალი არ უხილავარ. არაყი, ძმარი სრულად უგემო იყო ჩემგან, რომ სიტკბო და სიმწარე არ ვიცოდი, თაფლსა და პილპილსაც ვერიდებოდი და როგორც არაყი და ძმარი უგემო იყო ჩემგან”** [1, 1-2].

განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს იესეს თავისი სამსახურისადმი, ის არა მხოლოდ გონიერი, არამედ წესიერი მოხელეც ჩანს: **“მე საქმეში არაში ვერეოდი, მეშინოდა, ბოლოს ჩემს შვილებს არა უსაყვედურონ რა მეთქი. აბა მოიკითხეთ საქართველოში ჩემი აღებული ქრთამი, თუ დამაბრჭოს ვინმემ”** [1, 61]. როგორც ჩანს, მართლაც ასე იყო, ვინაიდან მეფისგან შერისხული, სახელო და მამულებჩამორთმეული იესე, ფიზიკურ დასჯას მაინც გადაურჩა და საბოლოოდ აღიდგინე კიდევაც თავისი მდგომარეობა: **“თხუთმეტი წელი მდივანი ვიყავ და ორი წელიწადია ბატონი მიწყრება. ერთმა კაცმა ეს არა თქვა, იესეს ჩემგან ეს უსამართლოდ აუღიაო”** [1, 74]. საინტერესოა, რომ იესე მის მიერ შედგენილი ყველა საბუთის პირს აკეთებდა და თავისთვის ინახავდა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მდიდარი და მრავალფეროვანი იქნებოდა მისი არქივი, ამდენი ხნის მოღვაწეობის შემდეგ: **“ეს კი ვიცოდი, თუ ან წყალობის წიგნს დაუწერდი, ან განაჩენს, ან ოქმსა, კარგს ხელს დაუწერდი, კარგს სიტყუათ, – იმის ერთს პირს მე შევინახევი და კარგს ფასს გამოვართმევი... რომელიც იმის პირები დღესაც მაქვს და აწ თქვენ დაგრჩებათ”** [1, 61].

“ცხოვრება – ანდერძი” მრავალ საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს საოჯახო ურთიერთობების, საკუთრების ფორმების, გლოვის და ქორწინების წესების შესახებ. მოცემულია ცნობები იმ პერიოდში გავრცელებულ დაავადებებზე. განსაკუთრებით საინტერესოა XVIII საუკუნის ეკონომიკური მდგომარეობა, სამეურნეო ყოფა (ვენახებისა და პურის ყანების ფართობები, მოსავლის ოდენობა), ტერმინოლოგია. ამდენად, ეს ფრიად საყურადღებო წყარო, კიდევ მრავალმხრივ კვლევას საჭიროებს.

წყაროები და ლიტერატურა

1. “იესე ბარათაშვილის ცხოვრება – ანდერძი”, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონით და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1950.
2. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, “მეცნიერება”, თბ., 1973.

3. ვაღ. ითონიშვილი, იესე ბარათაშვილი – ფეოდალური ეპოქის ცხოვრების მემკვიდრე, ჟურ. “მნათობი”, თბ., 2002, № 1-2.
4. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.
5. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993.
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაწილი I-II, თბ., 1990.

Khatuna Ioseliani

*Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology of
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
xatuna825@mail.ru*

Iese Baratashvili’s “Life-Testament”

Summary

As an ethnographic source, Iese Baratashvili’s “Life-Testament” is a splendid monument of Georgian historic literature of the XVIII century. The author of the piece, Iese Baratashvili describes his life and activity in details and leaves this work to generations as a will.

Iese was a representative of a mighty Georgian feudal house of Baratashvili, educated person, an erudite. From his early years and for the whole life he was close to the royal court, he was in the midst of events taking place in the kingdom of Kartli-and-Kakheti. Initially he became a scribe at the royal court, then he continued his activity at the court and for years he was one of the main judges.

Simultaneously Iese Baratashvili expanded and cared for his ancestral estate, headed a big family, took part in a series of military operations organized by the King Erekle II, joined the troops on duty. As a person who was welcomed at the royal court and an implementer of responsible duties, he was often involved in intrigues, and was deprived of his titles and positions. Irrespective of acute problems, hard and tensed life, Iese Baratashvili was a perfect and characteristic type of Georgian noblemen: educated, ambitious, powerful and unbending person, bold and pleasant to look at – tall, slim, blonde and blue-eyed, despite problematic life he paid specific attention to his appearance and wore rich dresses with refined taste (it is clear that he was of distinguished aesthetic nature); he built palaces, he created conditions for his family members to live in comfort and happiness, had many friends, liked to receive guests. Especially interesting was his attitude to judges. In his “Life-Testament” Iese emphasize high responsibility felt by him to his duties. Irrespective of the fact that he was in the king’s disgrace, they couldn’t find even a fact of taking a bribe or making wrong judgment, otherwise he wouldn’t escape severe punishment. On the contrary, after years, he was returned to the post of a judge.

Due to the fact that Iese Baratashvili was in the midst of many significant events of the XVIII century, his “Life-Testament” is rich in descriptions of historic facts; he offers unique information about social, economic and everyday realities of that period, and this will be the subject of further research.

ილორის წმინდა გიორგის ეკლესია გუშინ და დღეს

დასავლეთ საქართველოს ქრისტიანული ცენტრი – ილორის წმინდა გიორგის ეკლესია, მდებარეობს ისტორიულ სამურზაყანოში, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, აშენებულია XIV-ის I მეოთხედში. პროპორციათა მოხდენილობით და შესრულების ტექნიკის დონით ილორის ტაძარი ექცევა ნაგებობათა იმ წრეში, რომლითაც ხასიათდება შუა საუკუნეების საქართველოს რიგი ნაგებობები: დისევი, ხცისი, ერედვი და სხვა. ასეთი არქიტექტურული მსგავსების მიზეზად ტერიტორიულ სიახლოვეს, აგრეთვე აფხაზეთისა და ქართველების მჭიდრო პოლიტიკურ, კულტურულ კავშირებს ასახელებენ (გიცბა 1975:22). მართლაც ძალზე ძნელია მოიძებნოს ორი ისეთი ყოველმხრივი სიახლოვის მატარებელი ხალხი, როგორცაა ქართველები და აფხაზები. ჩვენი არათუ მხოლოდ სიახლოვე, არამედ სწორედ ერთიანი ნიადაგი თვალსაჩინოდ არის გამჟღავნებული ყოფისა და ფართო აზრით, კულტურის სულ სხვადასხვა (თუმცა საბოლოოდ ურთიერთშეკავშირებულ) სფეროებში (ლეკავა 1993:60). ამ ერთობას უძველესი დროიდან ეყრებოდა საფუძველი, რომლის თვალსაჩინოდ, მოუსყიდავ ნიმუშებს ხელოვნების ძეგლები წარმოადგენენ. „მათ შორის მოქვი, ანაკოფია, ბედია, ლიხნი, ბიჭვინთა თუ სხვა, ხომ ყველა ქართველ მოძმეებთან უმჭიდროეს თანამშრომლობაში შექმნილი ძეგლებია და ამ ისტორიული თანამშრომლობის მოწმობანია... ყველაფერი ეს უნდა უარყოფილ იქნეს... ეს ხომ საკუთარი კულტურული თავის უარყოფაა? მაგრამ საკუთარი წარსულის ასეთ უპატივცემლობას მთელი ხალხი როგორ გამოიჩენს? (ბერძენიშვილი 1966:286). ნ. ბერძენიშვილის ამ მწვავე კითხვას რუსეთის მიერ ინსპირირებულმა ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა უპასუხა, რომელმაც აფხაზეთი მოსწყვიტა საკუთარ ფესვებს და ქართულ-აფხაზური ერთობა უარყო რუსეთთან მითიური ისტორიის წინა პლანზე წამოწვეით. ამ მიზნისთვის თუ ადრე ხელოვნების ძეგლებს აყალბებდნენ შეცვლა-გადაკეთებით, ამჟამად უფრო მეტად ირჯებიან. კერძოდ, უახლოეს პერიოდში ჩატარებულმა ილორის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოებმა მთლიანად შეცვალა მისი იერსახე. 1) დარბაზულ ეკლესიას დაედგა რუსული ხურთმოდვრებისთვის დამახასიათებელი წახნაგოვანი მოცულობა, რომელიც გადახურულია ნახევარსფეროს ფორმით, პირობითად შეიძლება ეწოდოს “მუხარადის ფორმის გუმბათი“, რომელიც არ შეესაბამება ქართული ხურთმოდვრების ფორმების განვითარების არც ერთ ეტაპს. 2) აღმოსავლეთი ფასადი, სადაც ქართული ლაპიდარული წარწერების ნიმუშები იყო წარმოდგენილი დაფარულია (შეთეთრებულია). 3) ეკლესიის ფასადი და სამრეკლოც შეეთეთრდა. სარკმლის დეკორატიული არშიები წითელი ფერით შეიღება. 4) სამრეკლოზე არსებული ქვის საფეხურები მოირღვა და ლითონის კონსტრუქციით შეიცვალა (შარია 2011:4).

რასაკვირველია, შიდა ინტერიერიც რუსული ეკლესიის ტიპურად მოეწყო. მრავალრიცხოვან ხატებს შორის მხოლოდ ერთადერთს წმ. ნიკოლოზის ხატს ამშვენებს ქართული წარწერა “უფალო შეგვიწყალო“, რომელიც ყველა ადამიანის სათქმელს ამჟღავნებს. ცხადია, მომლოცველები, მსახურნი და მშრომელები არაქართული წარმოშობის არიან, რომლებიც ქართველების სათაყვანო ადგილს, თავიანთი კულტურის ნაწილად მიიჩნევენ. ღვთისმსახურება არაქართულ ენაზე სრულდება, რაც ილორის ტაძარს უკარგავს ისტორიული ცენტრის მნიშვნელობას. ეს არანაკლებ ან იქნებ მეტად სავალალო აღმოჩნდეს აფხაზთათვის, რომლებიც განვითარების შესაძლებლობას კარგავენ უცხო კულტურის სივრცეში. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ “ქართველობასთან აფხაზთა მხრივ თანაზიარობა მაშინაც კი ინარჩუნებდა მნიშვნელობას, როდესაც გვიანფოდალურ ხანაში აღარ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფო და საქართველო დაშ-

ლილი იყო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, ვინაიდან აფხაზეთი მთლიანად და განუყოფლად შედის საერთო ქართულ ეთნიკურ და კულტურულ ისტორიულ წრეში“ (გულია 1951:14).

ილორის წმ. გიორგის ტაძარი მდიდარი იყო, როგორც ქრისტიანული სიწმინდეებით, ასევე საეკლესიო გლეხებით, მიწებით, ტყით, საძოვრებით. “დიდხანს ის ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკლესია-მონასტრების საეკლესიო ნივთების სალაროს წარმოადგენდა. ამ ტაძარში იყო დაცული ბედიის ბარძიმი (X ს.) და სხვა საეკლესიო სიწმინდეები (ხორავა 2016:9). ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავდა „არს ეკლესია უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული“ (ბატონიშვილი 1973:779). XIX ს-ის 80-იან წლებში ტაძარი მოილოცა წმ. გაბრიელ ეპისკოპოსმა (ქიქოძე), რომელსაც სხვადასხვა სახის და წარმოშობის ოქროსა და ვერცხლის უამრავი ნივთები უნახავს. აგრეთვე უიშვიათესი ფორმის წარწერებიანი უძველესი საეკლესიო ჭურჭელი, ძეწკვები, ბეჭდები. ადამიანისა და ფრინველების ვერცხლის ფიგურები. ზოგიერთი ნივთი იმდენად ორიგინალური ყოფილა, რომ არქეოლოგიური მიზნებისათვის ღირდა სურათის გადაღება და აღწერა (ქიქოძე 2007:110).

რაც მთავარია, ილორის წმინდა გიორგის ტაძარში დაცული იყო ორი ვერცხლის ჭედური ხატი, რომელიც სალოცავისთვის სამეგრელოს მთავარს, ლევან II დადიანს შეუწირავს. დადიანისეული კოლექციის ადრინდელი ვერცხლის ხატების არც თუ ისე მრავალრიცხოვან ჯგუფს განეკუთვნება ბაღდის, წარჩის, ცაიშის და ილორისა. მათი ქრონოლოგიური საზღვრები 1619-1624წწ. ივარაუდება (ხუსკივაძე 1974:23). ილორის სასწაულთმოქმედი ხატების ამბავი მთელ დასავლეთ საქართველოს მოჰფინოდა. ამიტომ წერდნენ, რომ არც ერთი ადგილი აფხაზეთში ისეთი ცნობილი არ არის, როგორც ძველი ილორის ეკლესია (დიუბუა 1937:164); სოფელი არ იყო, რომ ილორის ეკლესიაში უხილავად დავანებული წმიდა გიორგის სასწაულთმოქმედი ძალა არ სცოდნოდა. ამ ეკლესიაში მრავალნი იკურნებოდნენ, განსაკუთრებით სულიერი სნეულებებისაგან და იმ მდგომარეობისაგან, ავი სულელებით შეპყრობილობას რომ უწოდებდნენ (კარელინი 2006: 31). აქ შენახული რკინის მშვილდი არა მარტო სხვადასხვა სნეულებას კურნავდა, არამედ უშვილობის, უნაყოფობის დამხსნელი იყო.

ხალხის რწმენით, სამეგრელო-სამურზაყანოში ელვისა და ქუხილის განმეარგულებელი წმინდა გიორგი ყოფილა, რომელიც უზენაესი ღვთაების უნის (ზეციურის) ბრძანებით, ეშმაკს ამარცხებს თავისი გაორებული ისრით; სადაც ელვამ დაარტყა იქ თითქოს პოულობენ გაორებულ რკინის ისარს (ზუხბაია, ზანთარაია 1988:115). წმინდა გიორგის ამის გამო ხშირად სწირავდნენ ბორძლებს ანუ ორპირ ბოლოიან ისრებს. მეგრული მაგიური შელოცვების ფორმულებში ხშირად გვხვდება წმინდა გიორგის ბორძელი. ნიშანდობლივია, რომ XIX ს-ის 80-იან წლებში, ეპისკოპოსს წმინდა გაბრიელ ქიქოძეს ილორის ეკლესიაში სხვადასხვა მხრიდან გამოგზავნილი უამრავი ორთითა ისარი შეუნიშნავს და მათი შეგროვების, აწონის და ეკლესიის სასარგებლოდ გაყიდვის განკარგულება გაუცია (ქიქოძე 2007:110).

ილორის ეკლესიის მლოცველებს შეადგენდნენ აფხაზები, მეგრელები, გურულები, იმერლები და სხვა. გასაკვირი არ არის, რომ მაჰმადიანი აფხაზიც კი ყოველწლიურად იხსენებდა ილორის ხატს შესაწირით (ფულით ან საკლავით). სვანეთის სალოცავებიდანაც იგზავნებოდა შესაწირი. ილორის ეკლესიაში უღვევად იყვნენ მლოცველები, რომლებიც შეთქმულ საკლავს სწირავდნენ ტაძარს. თვით ეკლესიასთან კარგა მოზრდილი სასტუმრო აუგიათ, რადგან მლოცველები შორიდან ჩამოდოდნენ და ხშირად რამდენიმე დღეც რჩებოდნენ იქ სალოცავად. აღსანიშნავია, რომ მომჩივან – მოპასუხე ხშირად ილორში ჩამოდოდა წმინდა გიორგის ხატზე დასაფიცებლად. ხალხში გავრცელებული იყო შეხედულება, რომელმაც თითქმის დღემდე მოაღწია, რომ აქ დადებული ფიცის გატეხვა მკაცრად ისჯებოდა. იყო შემთხვევები უბედურება დატყდომია ან ამომწყდარა კიდევ მთელი გვარი, რომლის რომელიმე წინაპარმა ტყუილად შეჰფიცა ან გატეხა ილორის ეკლესიაში დადებული ფიცი, ან დაწყევლა დამნაშავე, რომელიც უდანაშაულო აღმოჩნდა. ამიტომ დამნაშავის აღმოჩენის მიზნით ილორის ხატზე დაფიცე-

ბას ან ხატზე გადაცემას უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. ნ. ჯანაშია წერდა, რომ ერთადერთი მტყუან-მართლის გამრჩევი იყო დასავლეთ აფხაზეთში დიდრიფში, ხოლო უფრო წვრილმან საქმეებში “აჟირა” – სამჭედლო. აღმოსავლეთ აფხაზეთში და სამურზაყანოში ილორი (ილორის წმინდა გიორგის ხატი). ილორისა აფხაზს, მუსულმანს ისევე ეშინია, როგორც ქრისტიანს, ამიტომ ხშირად ჰღებულობენ ილორში ფიცს აფხაზნი არაქრისტიანებიც (ჯანაშია 1898:63).

წმინდა გიორგი ერთადერთი წმინდანია, რომელიც ქართველმა ხალხმა თავის მფარველად და მეგზურად აირჩია, რომელიც ეროვნული გმირის იდეალად იქცა. სწორედ ამით აისხნება, რომ ეკლესიების უმრავლესობა მთასა და ბარში წმინდა გიორგის სახელობისაა; იგი ხომ “მრავალრიცხოვანი ფუნქციის და ნიშან-თვისებების მატარებელი წმინდანის განზოგადოებული, წინარეკრისტიანული და ქრისტიანული ნიშნების მქონე სახეა“ (ახვლედიანი 1993:105), ხალხის რწმენით, წმინდა გიორგის ყველა ხატს ერთი და იგივე სასწაულის მოხდენა არ შეეძლო. ამ სიტყვების ჭეშმარიტება მეგრულ დალოცვაში აისახა: “გაგითბეს (გწყალობდეს) ზევით ღმერთი, /ცხოვარ-მაცხოვარი ხატი/ მთავარანგელოზი ფოცხოსი, /ღვთისმოწამე ხეთისა, ყულევი და აღერტი/ წმინდა გიორგი ილორის, წმინდა გიორგი ჯვარისა!” (ცანავა 1975: 30).

გიორგობის თვეში წმინდა გიორგის სათაყვანებელი დღეობა „დიდ ხატობად“ იწოდებოდა. ილორობას ესწრებოდა ყველა მართლმორწმუნე ადამიანი, საერო და სასულიერო იერარქიების წინამძღოლობით. აღნიშნულ დღეობას დიდებულებას ჰმატებდა ილორში წმინდა გიორგის ტაძარში, ხარის მოყვანა, რომელიც მრევლს დილის წირვაზე დახურულ ტაძარში ხვდებოდა. ამ სასწაულის შესახებ, XVII ს-ის სამეგრელოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები აღფრთოვანებას ვერ მაღავენენ. ისინი მრისხანე წმინდა გიორგის ხატთაგან ილორელთა განთქმულ წმინდა გიორგის ხატს ასახელებენ, რომელსაც დიდ თაყვანს სცემდნენო (შარდენი 1975:154). ნიშანდობლივია, რომ ილორის წმინდა გიორგი მუსულმანთა მომაქცეველადაც ითვლებოდა. სწორედ აქ მოინათლა ისლამის მიმდევარი აფხაზეთის მომავალი მთავარი ზურაბ შერვაშიძე, რომელიც ბათუმიდან ჩამოიყვანეს უმემკვიდროდ დარჩენილი ჯიქშია შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ (1774წ.). ზურაბ შერვაშიძე არ იყო თანახმა ემართა ქრისტიანი აფხაზები, რომლებიც ამ დროს მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ (კაცია 1963:27).

საკვლევი საკითხის მთავარ მიზანს წარმოადგენს მხოლოდ იმის ხაზგასმა, რომ ქართველებისა და აფხაზების თვითმყოფადობა ჩვენი წინაპრების მიერ აშენებული ილორის და აფხაზეთის სხვა დიდებული ტაძრების დამსახურებაა. XIX-XX სს-ების მიჯნაზე, რუსეთის მმართველი წრეები და განსაკუთრებით სოხუმის საეპარქიო მთავრობა, რომელსაც რუსი ეპისკოპოსები მართავდნენ ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ აფხაზთა გასარუსებლად და ქართველებთან დასაპირისპირებლად. ამისთვის მათ გადაწყვიტეს ილორის ეკლესია – ეს წმიდათაწმინდა ადგილი რუს დედათა მონასტრად გადაეკეთებინათ. მათ კარგად იცოდნენ, რომ არც მხარის კოლონიზაცია, არც ერთი ერის მეორეზე გადაკიდება არ გაამართლებდა ცარიზმის მიზნებს დაპყრობილ ერებისადმი, ისე როგორც ამ ერის ენის განდევნა სკოლიდან, ეკლესიიდან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან, მწერლობიდან, რადგან მშობლიური ენა განათლების ერთ-ერთი უძველესი იარაღია (ხუნდაძე 1939:12).

ამისთვის ამტკიცებდნენ, რომ ილორელები აფხაზები იყვნენ, ან კიდევ ცალკე ეთნიკური ჯგუფი შემოიღეს სამურზაყანოელები, რომლებიც კოდორის ადმინისტრაციაში შემოიყვანეს. გარუსების პოლიტიკის გამტარებლებს სურდათ სამეგრელოს ისტორიული ძეგლი და სარწმუნოებრივი ცენტრი ჩამოეშორებინათ და აფხაზეთში ქართველი ეროვნების განმტკიცებისათვის ხელი შეეშალათ. როგორც აფხაზეთელი წმინდა ამბროსი (ხელაია) წერდა, ილორის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთება იქნებოდა მთელი ქართველი ხალხის საკუთრების უფლების დარღვევა და იქამდე მიგვიყვანდა, რომ სიწმინდე ადგილობრივი მოსახლეობისათვის რელიგიურ მნიშვნელობას დაკარგავდა. ერთი სიტყვით, ილორის ეკლესია, ბიჭვინთის, ფსირცხის (ახალი ათონის), დრანდის და მოქვის ბედს გაიზიარებდა – ადგილობრივი მოსახლეობა შეწყვეტდა იქ სიარულს (გამახა-

რია 2006:700). თავდადებული მწყემსთაგვრების ძალისხმევით, მაშინ ეს საქმე ჩაიშალა, მაგრამ რუსეთის ექსპანსიურმა პოლიტიკამ მიზანს მაინც მიაღწია. მუსულმანობის გაძლიერების დროსაც ილორი იყო მხარეში ერთადერთი მანათობელი, რომელსაც მაღლად ეჭირა დროშა მართლმადიდებლობისა (ხელაია 2006:495). ცნობილია, რომ ღვთისმსახურება აქ ათეიზმის დროშიც არ შეწყვეტილა.

ილორის მდიდარი ეკლესიის ქართველებისათვის ჩამორთმევით და რუსულ მონასტრად გადაკეთებით უნდა მიეთვისებინათ ამ ეკლესიის ქონება. ილორის ეკლესიის შემოსავლებით რამდენიმე ეკლესია აშენდა აფხაზეთში. სახელდობრ: ილორის ეკლესიის თავისუფალი თანხა ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ ეკლესიების მშენებლობისათვის სესხის სახით გამოიყენა. აფხაზეთში ოთხი ტაძრის (აკაფის, კაღდახვარის, ოთხარისა და კულანურხვის) ასაშენებლად. გაწეული ხარჯები ილორის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის არ აუნაზღაურებიათ. კავკასიაში, მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოს დადგენილებით, ეპისკოპოსმა ოფიციალურად მიიღო ნებართვა მომავალშიც ამგვარი სესხის აღებისა (ქიქოძე 2007:60).

ამჟამად, ისტორიულ სამურზაყანოში, მხოლოდ წმინდა გიორგის ეკლესიები ფუნქციონირებს. ილორში რუსულ-აფხაზურად და ჭუბურხინჯში ქართულ-აფხაზურ ენაზე მღვდელმსახურებას მოძმე აფხაზი მღვდელმსახურები ადავლენენ. ილორის წმინდა გიორგის უძველესი ეკლესია თანდათან კარგავს კავშირს ქართულ კულტურულ სივრცესთან, მაგრამ წარსულის დიდებული ნაშთი ყოველთვის ივარგებს უკეთესი მომავლის ასაშენებლად.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

- გიცბა 1975 – Т. Гицба, памятники и памятные места Абхазии, Сух., 1975.
- ლეჟავა 1993 – ს. ლეჟავა, აფხაზური და ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ერთიანობის საკითხისათვის, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №2, 1993.
- ბერძენიშვილი 1966 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966.
- შარია 2011:4 – შ. შარია, აფხაზეთში „კულტურული გენოციდი“ გრძელდება, გაზ. „24 საათი“ №80, 2011. ჩემი აფხაზეთი, ჩანართი, №12, 2011.
- გულია 1951 – დ. გულია, ჩემი წიგნის „აფხაზეთის ისტორიის“ შესახებ, თბ., 1951.
- ხორავა 2016 – ბ. ხორავა, ილორი, გაზ. „ჩემი აფხაზეთი“, აპრილი, 2016.
- ბატონიშვილი 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წიგნ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973.
- ქიქოძე 2007 – წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი, 2007. კრებული შეადგინა გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიაძე.
- ხუსკივაძე 1974 – ლ. ხუსკივაძე, ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო, თბ., 1974.
- კარელინი 2006 – არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი, გადარჩენის საიდუმლო, ნაწ. II, 2006.
- ზუხბაია, ზანთარაია 1988 – ვ. ზუხბაია, ს. ზანთარაია, გალი, თბ. 1988.
- ჯანაშია 1898 – ნ. ჯანაშია, აფხაზები, ჟურნ. „მოამბე“, №11, 1898.
- ახვლედიანი 1993 – გ. ახვლედიანი, წმინდა გიორგი ქართულ ფოლკლორში, ჟურნ. „რელიგია“, №10-11, 1993.
- ცანავა 1975 – ა. ცანავა, ქართულ ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები), თბ., 1975.
- შარდენი 1975 – ჟან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა.

კაცია 1963 – А. Кация, Илори, Сух., 1963.

ხუნდაძე 1939 – ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1939.

დიუბუა 1937 – Дюбуа де Монпере, путешествие вокруг Кавказа, М., 1937.

გამახარია, 2005 – ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ., 2005.

ხელაია 2006 – წმინდა ამბროსი აღმსარებელი და აფხაზეთი, კრებული შეადგინა გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიამ.

Irma Kvashilava

*Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology of
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia*

The Church of St. George of Ilori Nowadays and in the Past

Summary

The Hall Church of St. George of Ilori of XIV century is a centre of Christianity not only of Abkhazia but all of Georgia. The church became famous in XIV century for the miraculous icons of St. George that has been contributed to the church by Levan II Dadiani. The above mentioned icon was well-known for healing the sick people and infertile women, and for distinguishing right from wrong. Therefore there have been many prayers in Ilori. A lot of churches in Abkhazia were constructed by its contributions.

In XIX century leaders of Russian Church tried to reconstruct Ilori as Russian Convent (nunnery), but failed in his attempt.

Currently Russian policymakers fully changed the old church in purpose of restoration and there is a threat to reconstruct the church as Russian-type convent.

სამხრეთ კავკასია დაქართული კულტურული მემკვიდრეობის პარადიგმა

კავკასია უძველესი, ძველი და თანამედროვე სამყაროს ურთულესი საკითხია. კულტუროლოგიის ხედვით მინდა წარმოვიდგინოთ ცენტრალურ კავკასიაში მდებარე - საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძველი ეპოქების მოვლენები და ქართული კულტურული მემკვიდრეობის მონაცემებთან დაკავშირებით, კულტურული კუთვნილების საკითხი. აღნიშნულ პრობლემას, ამ შემთხვევაში, მხოლოდ საკითხის დასმის მნიშვნელობა გააჩნია.

კულტურული მემკვიდრეობა, ნებისმიერი ჰუმანიტარული სფეროს სამეცნიერო კვლევების დასკვითი შედეგების მიღების საფუძველთა საფუძველია. ამ ნიშნით, კულტურული კუთვნილების საკითხს გადამწყვეტი ფუნქცია ეკისრება საკუთარი ტერიტორიის დაცვის, ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკურ და კულტურულ სპექტრში წარდგინების თვალსაზრისით. არქეოლოგი კ. ფიცხელაური აღნიშნავს შემდეგს: “ისტორიული მეცნიერების უმთავრესი მიზანია არქეოლოგიურ კულტურათა დაკავშირება კონკრეტულ ეთნიკურ წარმონაქმთან”¹. აქედან გამომდინარე, კულტურული მემკვიდრეობის შეფასების აუცილებელ პირობად დგება კულტურული კუთვნილების პრობლემის გადაჭრა, რომლის დროს გასათვალისწინებელია მოსახლე ხალხის ავტოქტონობის საკითხი და ისტორიული საზღვრების დადგენა, ასევე პირველადი სახელწოდებების აღდგენა, რადგან, განსაკუთრებით კავკასიის გასაბჭოებისას, არქეოლოგიური მასალა მექანიკურად იმ სახელმწიფოს კუთვნილებაში გადავიდა, რომლის საზღვრებშიც იგი იქნა მოქცეული. აღნიშნული საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საერთოკავასიური ინტერესების დასაცავად, არამედ, კავკასიის, როგორც შუალედური მდებარეობიდან გამომდინარე, კაცობრიობის ცივილიზაციის კვლევების ყველა პერიოდის ანალიზისათვის.

კულტურული კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით უნდა განვზოგადოდ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მონეცემები და, სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებში არსებული გამოკვლევების საფუძველზე, გამოვეყოთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის პარადიგმა, ზოგადი ნიშნების სახით:

1) ეს გახლავთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის უძველესობა, რომლის საწყისად შესაძლებელია მივიჩნიოთ ძვ.წ. IV ათასწლეულის პერიოდიდან დაწყებული რეალობა; 2) ქართული კულტურული მემკვიდრეობის განვითარების უწყვეტი ევოლუციური პროცესი. ამ შემთხვევაში ძვ.წ. III-II ათასწლეულები ქართული კულტურის პირველი წარმატებული პერიოდია; 3) ქართული კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება, რომლის დროს, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ძირითად კულტურებში: მტკვარ-არაქსის, ბედენის, თრიალეთის, შულავერ-შომუთეფეს, კოლხური კულტურის, არტეფაქტებით დასტურდება ერთიანი ტექნოლოგიური საფუძვლები, მეტალურგიისა და კერამიკული წარმოებების სახით.

კულტურული კუთვნილების საკითხის გადასაწყვეტად შეგახსენებთ რამდენიმე ხელშემშლელი პირობის შესახებ. კერძოდ, როდესაც სააზროვნო არეალიდან ამოგდებული იქნა ქართველურ ტომთა კრებითი სახელწოდება „იბერი“, რომელშიც ერთიანდებოდნენ პროტოქართველი ტომები: ქაღდები, მაკრონები, ქაშქები, მუშქები, თობალები, ხალიბები და სხვა. ამით თვალსაწიერიდან წაიშალა მთელი ის უძველესი მასალა, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველ უცხოურ, ასევე გაუფიქრებელ რუსულ გამოცე-

¹ კ. ფიცხელაური, დასაშვებია თუ არა სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძვ.წ. II-I ათასწლეულების არქეოლოგიურ კულტურათა ცენტრალიზაცია. კრებული: კავკასია – აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, 2012 წ.

მეზში. XX საუკუნის ევროპელი მეცნიერები: ა. კლოდი, ი. გელმონტი, ი. გუნგერი, გ. ლამერი წერენ “იბერების” ნაკვალევს შესახებ ცენტრალურ ევროპაში, რომელიც დღეს სამხრეთ კავკასიიდან მიგრაციის თაობაზე ევროპაში, არქეოლოგიური და გენეტიკური კვლევებითაა დადასტურებული. საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ სახელწოდება “იბერი”, „ივერით“ იყო ჩანაცვლებული. როგორც ცნობილია, ძველი წელთაღრიცხვის პერიოდში შექმნილი ქართული საანბანო სისტემის პირველი სახეობა - ასომთავრული ანბანი, შეიცავს რიცხვით მნიშვნელობასაც. პროფესორი ა. ცინცაძე¹სწორედ რიცხვითი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ჰემატრიული მეთოდის საფუძველზე, “იბერის” - “ივერით” ჩანაცვლების მიზეზს უკავშირებს წინაქრისტიანული ხანიდან ქრისტიანობის პერიოდში არსებულ რელიგიურ ცვლილებებს. გარდა ამისა, აღნიშნავ იმ სირთულის შესახებ, როდესაც მტკიცედ არ არის განსაზღვრული ხალხის ეთნოსად ჩამოყალიბების საწყისი პერიოდი, ასევე მცდარი შეხედულება ქართველურ ტომთა ენობრივი ნიშნით გამოჯგნის თაობაზე. რადამც საკითხი ეხება უძველესს ათასწლეულებს, ამ შემთხვევაში მოხმობილი უნდა იქნას ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგების მონაცემები. მათ შორის ე.წ. არქეოლოგიურ კულტურათა შეხვედრის ფაქტობრივი მასალა. კერძოდ, გ. ფხაკაძე წერს აღმოსავლეთ საქართველოდან მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების შესახებ დასავლეთ საქართველოში, იმერეთში²ხოლო ჯ. აფაქიძე აღნიშნავს კოლხური კულტურის გავრცელების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში³. კუფტინი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს არტეფაქტების მსგავსებას ასე ახასიათებს: “საოცარია ის დამთხვევა ხრამისა და ყვირილის აუზის კერამიკულ წარმოებაში იმ ეპოქაში, რომელიც წინ უსწრებდა თრიალეთის კულტურის კერის აყვავებას. ეს დამთხვევა არ ამოიწურებოდა მხოლოდ ტექნიკური ჩვევებით, არამედ ეხება ფორმის თავისებურ დეტალებსაც, რაც მიგვიტოვებს მათ მჭიდრო კავშირსა და შესაძლებელ ეთნიკურ ერთიანობაზე, საქართველოს მოსახლეობისა უკვე უძველესი ბრინჯაოს ეპოქის ბოლოსათვის”⁴. ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ: “უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში” არტეფაქტების მსგავსების შესახებ ვკითხულობთ: “ ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში სამხრეთ კავკასიაში ყალიბდება მეტალურგიული კერების ერთიანი ტექნოლოგია, რომელიც ვლინდება: 1) იარაღების მსგავსებით; 2) საცხოვრებლის გარეთ საწარმოების არსებობით და 3) ლითონსადნობ ქურებში შედარებით რთული და მარტივი კონსტრუქციების დაფიქსირებით⁵. კულტურული კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა გენეტიკურ და ანთროპოლოგიურ დასკვნებს, რადგან, ლ. ბითაძის თქმით, ნებისმიერი კულტურის შეთვისება-გავრცელება შესაძლებელია მისი მატარებელი ეთნოსის გარეშე, დღევანდელ დღეს კავკასიის არეალში მცხოვრები თუნდაც ყაბარდოელების მაგალითზე, როდესაც ყაბარდოელები ლაპარაკობენ თათრულ ენაზე, მაგრამ ისინი კავკასიელებად ითვლებიან. ⁶

1. ცინცაძე ა. მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა. იოანე ზოსიმე, თბ.,2013

2. ფხაკაძე გ. მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იხ.: საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. თბ.1978.

3. Апакидзе Дж, К вопросу о распространении колхидской культуры эпохи поздней бронзы и раннего железа в восточной Грузии.: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა“, თბ., 2004.

4.А. Куфтин, Материалы по археологии Колхиды, т.2, ст. 11, М. 1950.

5.ღამბაშიძე ირ, მინდიაშვილი, გოგოჭური, კახიანი, ჯაფარიძე.

უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში, თბ. 2010

6.ბითაძე ლ, ჭითანავად, ლალიაშვილი, ყვავაძე.

ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ენობის საკითხი და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ.წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით, თბ. 2010.

საკითხი დგას შემდეგნაირად: კულტურული კუთვნილების მიმართებისას, კერძოდ, ქართული კულტურული მემკვიდრეობის უძველესობის- ძვ.წ. IV ათასწლეულის პერიოდიდან დასახელებისას: რა ფაქტობრივი მონაცემები გვაქვს?

ქართული კულტურის ისტორიის უძველესობის სამტკიცებელ მასალად აუცილებლად უნდა იყოს გააზრებული ძვ.წ. IV ათასწლეულებამდელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მოვლენები და კულტურული წინამძღვრები. საქართველოს ტერიტორია ჯერ კიდევ ისტორიამდელ პერიოდში იყო ათვისებული. შეგახსენებთ ქვემო ქართლის რეგიონში, სოფელ დმანისში, მილიონ 800 000 წლით დათარიღებული ადამიანის მსგავსი არსების აღმოჩენას და გამყინვარების ბოლოს საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს, მათ შორის რელიქტა არსებობის შესახებ. პალეონტოლოგთა და პალეობოტანიკოსთა შეფასებით საქართველოს ტერიტორიის დასავლეთი რეგიონი განსაკუთრებულად უნიკალურია, სადაც მოხდა კაინოზური ეპოქის შავი ზღვის ნალექების აკუმულაცია¹. ცნობილია, ასევე იმერეთის რეგიონში საწურბლიას მღვიმის (წყალტუბოს მხარე), 13 000 წლის წინანდელის და კოტიას კლდის მღვიმის (ჭიათურის მხარე), ძვ.წ. 9 500 წლის წინანდელის, აღმოჩენების შესახებ. 2015 წელს ჟურნალ „ატურ“ – ში აღნიშნულია შემდეგი: “კავკასიის უძველესი გენომის მომთაბარე-შემგროვებლების (ჩ უ) ანალიზი გენეტიკურად განსხვავდება ყველა მეზოლითი და ნეოლითი პელეოგენომებისაგან, მაგრამ სიახლოვეს ამჟღავნებს საქართველოში მცხოვრებ ქართველებთან”. სწორედ საქართველოს ტერიტორიაა ის არეალი, სადაც ადგილი ჰქონდა უძველესი ეპოქების მნიშვნელოვან აღმოჩენებს, რომლებსაც გააჩნიათ ათასწლეულებში შექმნილი ტექნოლოგიების სიახლეების პირველობა: მათ შორის ეს გახლავთ ხალხური რეწვის ტრადიცია. კერძოდ, იმერეთის რეგიონში, ძუძუნას გამოქვაბულში აღმოჩენილი იქნა 32 000 წლის წინანდელი მსოფლიოში უძველესი ძაფის ნართი, დამზადებული ველური სელისაგან, რომელიც უსწრებს ჩხეთის 29 000 წლის წინანდელ ჭინჭრისაგან დამზადებულის აღმოჩენას. ამასთან დაკავშირებით, პალინოლოგ ეკვაიპის კვლევების შედეგები შემდეგია: ძაფის ნართი ბუნებრივი სადებავით ყოფილა შეღებილი. ხოლო აქვე აღმოჩენილი 45 სახეობის მცენარის კვალი, მათ შორის თხილის და კაკლის ნარჩენები, შესაძლებლად გამოიყენებოდა. იმავე სამარხში თითისტარისა და ძელის ყუნწიანი ნემსის აღმოჩენა მეტყველებს ხალხური რეწვის უკვე შემდგარ ტრადიციაზე. ხალხური რეწვის უწყვეტი განვითარების პროცესის გათვალისწინებისათვის საინტერესოა ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულით დათარიღებული, ქვემო ქართლში, წაღკის ტერიტორიაზე თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის გაყვანისას, ადამიანის ნაშთთან ერთად აღმოჩენილი ბამბის, შალის, სელის ნიმუშები.²

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური მასალა მნიშვნელოვანი აღმოჩნდა აგრეთვე ე.წ. ადრემიწათმოქმედთა კულტურის გარკვევის თვალსაზრისითაც. კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი - „ნეოლითური რევოლუციის“, ძვ.წ. IX–VIII ათასწლეულების პერიოდის, ე.წ. ლევანტის სამკუთხედიდან პოპულაციის გავრცელების შესახებ. საქმე ეხება გერმანულ-ქართულ ექსპედიციის შედეგებს: ქვემო ქართლის რეგიონში, არუხლოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნეოლითური ნასოფლარის ნიმუშებს.³ ამასთან დაკავშირებით, გ. მირცხულავასა და კ. ჰანზენს არუხლო მიაჩნიათ ლევანტის სამკუთხედიდან აღმოსავლეთისაკენ ადრესამიწათმოქმედო კულტურის გავრცელების არეალად. ამავე დროს შეგახსენებთ 2004 წელს გამოცემულ ნ. ბრეგადის ნაშრომს “საქართველო მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა”,⁴ სადაც დამოწმებულია საქართველოს ტერიტორიაზე მსოფლიოში ცნობილი ხორბლის ყველაზე მეტი კულტურული სახეობა

1. შატლოვა ირ, მჭედლიშვილი ნ, რუხაძე ლ, ყვავაძე ე, საქართველოს ფლორისა და მცენარეულის ისტორია, თბ. 2012.

2. ყვავაძე ე, ნარიშანიშვილი გ, წაღკის პლატო გვიანი პლეისტოცენში და პოლიცენში. ის: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი – სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგიური საქართველო, თბ. 2010.

3. ადრე სამიწათმოქმედო კულტურა სამხრეთ კავკასიაში არუხლოს გორაზე 2005-2011 წწ.

ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, თბ., 2013.

4. ბრეგაძე, ნ. საქართველოს მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბ. 2004

(ზოგ ავტორის მონაცემით – 11, ზოგის - 14). მათ შორის 5 ენდემური საქართველოშია დაფიქსირებული“. გურიაში, სოფელ ანასეულში აღმოჩნდა ხორბლის გაკულტურებული მარცვალი, დათარიღებული ძვ.წ. VII-VI ათასწლეულით. თამაზ კიდურაძე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: “ძვ.წ. VII-V ათასწლეულებში ადრესამიწათმოქმედო კულტურის სახით გამოიყოფა 7 ცენტრი. მათ შორის სახელდება ამიერკავკასია. ამ შემთხვევაში დამახასიათებელ ნიშნადაა მიჩნეული ხორბლის ჯიშთა მრავალსახეობრიობა. მართლაც აღმოჩენილია ხორბლის 10 სახეობა: რბილი, ჯუჯა, ორმარცვალი, ცალმარცვალი, სპელტა, მრავალმარცვალი, მაგარი (თავთუხი), მახა, დიკა, ტურგიდუმი. გარდა ტურგიდუმისა ყველა მათგანი ქვემო ქართლშია აღმოჩენილი. მახლობელი აღმოსავლეთის არც ერთ ადრეულ კულტურაში არ გვაქვს ხორბლის და ქერის ისეთი მრავალსახეობა, როგორც ქვემო ქართლშია. ამდენად, საქართველოს ტერიტორიაზე მიწათმოქმედება შულავერ-შომთეფეს კულტურის განვითარების პირველ საფეხურზე გაცილებით ადრე უნდა ჩასახულიყო”¹. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტია, რომ საქართველოს ტერიტორიის ხორბლის ენდემურ ჯიშებს ვხვდებით: ასლის სახეობას – შუმერებსა და ეგვიპტეში². ხოლო მახას - ესპანეთში, ასტურიაში³. მიწათმოქმედების ევოლუციური პროცესების წარმოდგენისთვის საყურადღებოა შემდეგი: რომ ჩვენში - ენდემური ხორბლის ჯიშების საფუძველზე, გამოყვანილი იქნა ყინვაგამძლე და გვალვაგამძლე ხორბლის სახეობები. აღსანიშნავია ასევე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა ძვ.წ. IV ათასწლეულებამდე, შუმერამდელი ცივილიზაციის - ურუქის კულტურის გავლენის კვალი, დოლიარის, ბერიკლდების, ჭობარეთის, გრაკლიანოს ნასოფლარის სახით. უფრო მეტიც ა. შუკოვსკი წერს: „სამდინარო ცივილიზაცია“ კავკასიელ უფრო ძველ მთიელ მიწათმოქმედთა მემკვიდრეობის შესახებ.⁴ აღნიშნული ფაქტობრივი მონაცემები კიდევ ერთი სამტკიცებელი მასალაა ევროპელი მეცნიერის ფ. შეხერმაიერის დასკვნისა, როდესაც იგი წერს ერთიანი ენობრივ-კულტურული არეალის: ანატოლია-კავკასია-შუამდინარეთის არსებობაზე, ძვ.წ. VI-V ათასწლეულებში.

2007 წელს იუნესკომ არამატერიალური კულტურის ძეგლთა ნუსხაში შეიტანა საქართველოში ღვინის ქვევრში დაყენების უნიკალური ტრადიცია. კერძოდ, ძვ.წ. VI ათასწლეულით თარიღდება ქვემო ქართლში, სოფელ იმირში, “გადაჭრილ გორაზე”, კერამიკულ ჭურჭელში აღმოჩენილი ღვინის ნალექი, დადგენილი ქართველ და უცხოელ ექსპერტების მიერ. პალიობილოგის ნ. რუსიშვილის თქმით „გადაჭრილ გორის“ წიპვის აღმოჩენა ლაპარკობს ველური ვაზის არსებობაზე საქართველოში და მისი დაწურვის უადრეს ფაქტზე.⁵ ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოში 20 000 ვაზის სახეობიდან 500-ზე მეტი ჯიშში საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია. წერილობითი წყაროები ინახავს სამხრეთ კავკასიიდან ვაზის კულტურისა და მეღვინეობის ტრადიციის გატანის შესახებ: შუმერებში – საქარავნო გზით, თურქეთის ტერიტორიაზე - კორკუტეფეში, ასევე საბერძნეთსა და კვიპროსზე. ცნობილია, რომ ევროპაში: საფრანგეთში - ვაზის წიპვის აღმოჩენა თარიღდება ძვ.წ. IV ათასწლეულით, იტალიაში წიპვები აღმოჩენილია გვინბრინჯაოს ხანაში და რომის იმპერიის დროინდელ ფენებში⁷. მეღვინე-

¹. კიდურაძე თ, აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლითური და ენეოლითური კულტურა, თბ. 2011

² ჩიტაია გ. შრომები, V, გვ. 59, თბ., 1981.

³. გირგვლიანი თ, ზემო სვანეთის აბორიგენული ჯიშების ისტორია, თბ. 2010; JavaxiSvili A, Kiguradze T, Prenies Arqricnlur de l' Evropa, Historia Archeologie, Paris, 1984

⁴. Жуковский П, Культурное наследия и их сородичи, И., 1950;

⁵. რუსიშვილი ნ, ვაზის კულტურა საქართველოში პალეობოტანიკური მონაცემების მიხედვით, თბ., 2007;

⁶. კეცხოველი მ. რამიშვილი მ. ტაბიძე დ. საქართველოს ამპელოგრაფია, თბ. 1960; ჯავახიშვილი ივ. ქართული ერის ისტორია VIII, თბ. 1956; კალანდაძე ბ. საქართველო ღვინის სამშობლო თბ. 2016

⁷. რამიშვილი რ, ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია, ისტორიულ პალეოგრაფიული და ამპელოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1998;

ობასთან კავშირში შეგახსენებთ კერამიკული წარმოების ტრადიციაზე, რომლის პირველი ნიმუში საქართველოს ტერიტორიაზე თარიღდება ძვ.წ. VII ათასწლეულით, აჭარაში, სოფელ მახვილაურის ადმონენით¹. ხოლო ძველი წელთაღიგებვის IV ათასწლეულის პერიოდის მტკვარ-არაქსის კერამიკის არქეოლოგიური მასალა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების არა მხოლოდ მაღალი დონის კერამიკული წარმოების ამსახველი ფაქტია, არამედ კვების კულტურის არსებობის, შესაბამისად, როგორც სოციუმის მაღალი განვითარების ეტაპის. სწორედ ძვ.წ. IV ათასწლეულის პერიოდში, მრავალი სახლების პარალელურად, საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება ოთხკუთხა სახლებისა და კედლების ამოსაყვანად, ხიმინჯების გამოყენების ტექნოლოგია, რომელიც დღესაც მშენებელთა საანბანო ჭეშმარიტებაა.

აქედან გამომდინარე, კულტურული კუთვნილების საკითხთან მიმართებისას ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას გააჩნია კულტურული წანამძღვრები - ძვ.წ. VII- VI ათასწლეულებიდან კულტურული მემკვიდრეობის ძირითადი დარგების: მიწათმოქმედების, კერამიკული წარმოების, ხალხური რეწვის, მეტალურგიის სახით, რომლის საფუძველზე გვაქვს შესაძლებლობა ვიმსჯელოთ ძვ.წ. IV ათასწლეულის პერიოდიდან ქართული კულტურული მემკვიდრეობის კუთვნილების შესახებ, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე გვიანი ნეოლითისა და ადრეული ბრინჯაოს პერიოდის ძეგლები გვარწმუნებენ არა მონადირე-შემგროვებლობის, არამედ მასში მცხოვრები ხალხის მწარმოებლური მეურნეობის არსებობის შესახებ, სადაც ადგილი ჰქონდა მწარმოებლური მეურნეობის დარგების უკვე შემდგარ ტრადიციას. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში – XX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებამდე, აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითური კულტურა ფასდებოდა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული ეტაპის ძეგლებით, რომლის წარმომავლობისა და ჩამოყალიბების პრობლემა დღემდე არ არის საბოლოოდ გადაჭრილი, აღნიშნული პრობლემის კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქვემო ქართლის ენეოლითური კულტურას, რადგან, მტკვარ-არაქსის კულტურის ზოგიერთ მკვლევართა აზრით, ქვემო ქართლი უნდა ყოფილიყო ამ კულტურის ჩამოყალიბების ძირითადი კერა. ამ შემთხვევაში ბოლნისის რაიონში, კაზრეთის არეალში, საყდრისის ოქროსმოპოვებელი კერის არსებობა² უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია. კერძოდ, გერმანულ- ქართული ექსპედიციის მიერ ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონში ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევრითა და ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით დათარიღდა საყდრისის მსოფლიოში პირველი ოქროსმოპოვებელი კერის არსებობა. ქვემო ქართლში მტკვარ-არაქსელთა მოღვაწეობა ლაპარაკობს მისი შექმნელი ხალხის გეოლოგიის, გეოდეზიის, მასალათაგამძლეობის, ქიმიის საწყისების ცოდნის შესახებ, დადასტურებული საყდრისის მაღაროსთან ახლოს (3 კმ) მდებარე ძეგლებ-ბაღიჭების ნასახლარით, სადაც მეტალურგიული პროცესის ამსახველი მთელი სურათია წარმოდგენილი. საქართველოს ტერიტორიაზე საყდრისის ოქროსმოპოვებელი კერის არსებობა სამთო მეტალურგიის კანონზომიერი განვითარების შედეგია, რომლის საწყისად მიჩნეულია ძვ.წ. VI ათასწლეული. საკითხთან დაკავშირებით ავღნიშნავ 2010 წელს გამოცემულ ირ. ღამბაშიძის, გ. მინდიაშვილისა, გ. გოგოჭურის, კ. კახიანის, ი. ჯაფარიძის გამოკვლევას „უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში“³. სადაც დაფიქსირებულია ძვ.წ. VI-III ათასწლეულების ფარგლებში არსებული ვითარება. მათ შორის ლითონის პირველი არტეფაქტები თარიღდება ძვ.წ. VI ათასწლეულით, მადნის ადგილობრივი მოპოვებისა და გადამუშავების გზით შეღავერ-შომუთეფეს (ხრამის დიდი გორა, არუხლო) ნეოლითური ნამოსახლარით. საყდრისმა განამტკიცა მე-20 საუკუნის ქართველ და ევროპელ მეცნიერთა დასკვნები. მათ შორის აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ “კალის გარდა, მსოფ-

¹. სამხრეთ-დასავლეთსაქართველო ისტორიის ნარკვევები, ბათუმი, 2007;

². ღამბაშიძე ირ. შტოლნერი ტ. საყდრისის ოქრო – კაცობრიობის პირველი ოქროს წარმოება, თბ 2016;

³. ღამბაშიძე ირ, მინდიაშვილი გ, გოგოჭური გ, კახიანი კ, ჯაფარიძე ი, უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში, თბ., 2010.

ლიოში გაგრძელებული მადნის სახელწოდებები, ქართულიდან მომდინარეა¹. ამის დასტურად შეგვიძლია დავასახელოთ თურქეთში, არსლან-თეფეზე “კავკასიელი ბელადის” სამარხში აღმოჩენილ ოქროს ნივთში საყდრისის ოქროს შემცველობის ფაქტი. ქართული-კულტურული მემკვიდრეობის შეფასების თვალსაზრისით თავი მოუყარე ინფორმაციას ძველი წელთაღრიცხვის პერიოდში პროტოქართველ მეტალურგ ტომთა წრეში ჩამოყალიბებული ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ, რომელიც განსაკუთრებულად ვლინდება წარმოების მეთოდების შექმნის თვალსაზრისით. კერძოდ, ც. აბესაძე ასახელებს გამოდნობის უძველესს ხერხს – „აღდგენთ დნობას“. რომელიც უკავშირდება სპილენძის გამოდნობისას დარიშხნის გამოყენებას² ასევე ბერძენი ფსევდო-არისტოტელე (ძვ.წ. IV ს) წერს: „ხალიბური “უჟანგავი რკინის” გამოდნობის წესის შესახებ“, როდესაც რკინის გამოდნობას ემატებოდა მდინარიდან ჩამორეცხილი ცეცხგამძლე მაგნიტური ქვიშა“. კონკრეტულად ლაპარაკია რკინის მადანში ე.წ. „ფაშას“ (პირზოლიტილის) შერევის წესის შესახებ³. აიჩისონი აღნიშნავს ქართველი მეტალურგი ტომის, ხალიბების მიერ ვერცხლის მიღების რაციონალური წესის – “კუპელირების” შესახებ, ასევე მიუთითებს რკინის გამოდნობის წესის “მონოცენტრული პრინციპით” მის გაგრძელების თაობაზე სხვა ქვეყნებში. აკადემიკოსი ფ. თავაძე მეტალურგიის წარმატებებს უკავშირებს ქართველ მეტალურგ ტომთა მადნის გამოდნობისათვის მაღალხარისხოვანი იარაღების დამზადებას⁴, ხოლო უძველესი სამთო საქმისა და ლითონის წარმოების წარმეტყველების საფუძველზე იგი ადგილობრივი ოქრომჭედლობის ჩასახვის ტრადიციაზე, რომლის დროს, III-II ათასწლეულებით დათარიღებულ ოქრომჭედლობის ნიმუშებთან ერთად, სახელდება ოქროს ზოდების დამზადების ფაქტი (ვანში, სვანეთში, კახაბერის დაბლობზე - ბათუმთან).

სწორედ ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშები არის მნიშვნელოვანი სამტკიცებელი მასალა ძვ.წ. III-II ათასწლეულების ქართული კულტურის პირველი წარმატებული პერიოდის დასახელებისას, ყორდანებში მიკვლეული არტეფაქტების სახით. ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ოქროს ნიმუში, 2 მცირე ზომის ხვიის სახით, დამოწმებულია საჩხერის რაიონის- ქორესა და ცარცს გორაზე. ხოლო ძვ.წ. III-II ათასწლეულების ბედენის, ანანურის, წნორის, მარტყოფის, ანაგის, ზალიჩას, თრიალეთს ყორდანებში აღმოჩენილი ოქროს ნიმუშები, თავისი რთული ტექნოლოგიებით, იმდენად სრულყოფილია, რომ ძნელია დაერქვას ოქრომჭედლობის დასაწყისი ეტაპი. ხოლო ოქრომჭედლობაში გამოყენებული მეთოდები ლაპარაკობს მაღალკვალიფიციური ხელოსნების არსებობაზე, როდესაც პროტოქართველი ოქრომჭედლები დაუფლებულნი იყვნენ ოქრომჭედლობის თითქმის ყველა ტექნიკურ ხერხს, (ნივთების შემკობა ოქროს წვრილიბურთულებით – გავარსით, ფილიგრანული შემკობა ოქროს მავთულებით, პოლიქრომიით – თვლების ჩასმის ხელოვნებით), რომელიც მეტყველებს ხელოსნების როგორც სოციალური ფენის არსებობაზე და ოქრომჭედლობაში ჩარხის გამოყენებაზე. საზოგადოების მაღალი სოციალური დონის პირობებზე ლაპარაკობს ასევე მიწათმოქმედებისა და საკარმიდამო მესაქონლეობის წარმატებები, საქსოვი დაზგის მოხმარება. ამავე პერიოდში სახელდება მსოფლიოში პირველი მეფუტკრე ქალის არსებობა, დაფიქსირებული ბორჯომის რაიონის სოფელ საკირესთან, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე, სადაც მეფუტკრე ქალის ნაშთთან ერთად აღმოჩნდა 3 თაფლის სავსე ქილა. იგი ძვ.წ. 5 5000 წლის წინანდელი. არქეოლოგ ირ. ღამბაშიძისა და პალინოლოგ ე. ყვავაძის კვლევების თანახმად იგი სიძველით წინ უსწრებს ეგვიპტის ფარაონის, ტუტანხამონის სამარხში აღმოჩენილ თაფლს. ამასთან ერთად შეგახსენებთ ქართულ-იტალიური ექსპედიციის შედეგებს, როდესაც შიდა ქართლში ენეოლითისა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. IV-III ათასწლეულები) კულტურის შესწავლისას, სოფელ ნაცარგორის სამარხში აღმოჩენილი იქნა

1. ჯავახიშვილი ივ, ქართველი ერის ისტორია, I, ტფ., 1913;

2. აბესაძე ც, ლითონის წარმოება ძვ.წ. III ათასწლეულში, თბ.,1969;

3. კალანდაძე ა, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954;

4. თავაძე ფ, მესხი შ, ბარქაია ვ, ფურცლოვანი ლითონის დამუშავება საქართველოში, თბ., 1954;

გათაფლული თავის ქალები, როგორც მუმიფიცირების ერთ-ერთი სახესხვაობის ამსახველი ფაქტი.¹

აღმოსავლეთ საქართველოში – თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურისა და დასავლეთ საქართველოში – კოლხური კულტურის არსებობის პირობებში ძვ.წ. II ათასწლეული ხასიათდება არტეფაქტების განსაკუთრებული სიმრავლითა და სიახლეებით. ამ პერიოდისათვის იქმნება კაცობრიობის პროგრესისათვის უმნიშვნელოვანესი პროდუქტი – რკინა, რომელსაც მიაწერენ ქართველ მეტალურ ტომს, ხალიბს. ძვ.წ. II ათასწლეულისათვის პროტოქართველთა წრეში ყალიბდება კულტურული მემკვიდრეობის დარგი - წამალმცოდნეობა. კომუნიკაციის აუცილებლობა აღმოჩნდა განმსაზღვრელი ფაქტორი, როდესაც აზრის დაფიქსირებლად კოლხ-პელასგთა წრეში გამოყენებაში იქნა ხატოვანი და მარცვლოვანი დამწერლობა. აკადემიკოსი ო. ლორთქიფანიძე წერს ნამატი პროდუქციის შექმნის შესახებ², საბრძოლო და შრომის ირადების სახით, რომელმაც აქტიური გახადა ხმელთაშუაზღვისპირეთში ქართველ ტომთა სავაჭრო მიგრაციები. ეს იყო როგორც “მეტალურგიული ცოდნის ექსპორტის”, ვაჭრობის ინოვაციური ფორმა, როდესაც პროტოქართველი მეტალურგი ტომები თვით ჩადიოდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთში³. ამასთან დაკავშირებით 2010 წელს გამოცემულ გ. ინანიშვილის, გ. მაისურაძის, გ. გობეჯიშვილის ნაშრომში, სახელწოდებით: „საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ.წ. III-I ათასწლეულებში)“ მოხმობილია უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მეტალურგიული ცოდნის ექსპორტის შესახებ ხმელთაშუაზღვისპირეთში: კვიპროსზე, კრეტაზე⁴. ევროპელი არქეოლოგები: რ. ფორბსი, ჰ. კოგლანი, ლ. აიხისონი, ჰ. რიჩარდსონი, თ. რიკარდი აღნიშნავენ მსოფლიო მეტალურგიის ისტორიაში – მისი ჩასახვის პერიოდიდან, იმ დამსახურების შესახებ, რომელსაც მიაწერენ წინა აზია-კავკასიის ტერიტორიაზე მეტალურ ტომების შემოქმედებას. პროტოქართველების საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობის დასტურად შეგახსენებთ ძველი წელთაღიგებების II ათასწლეულის დასაწყისში კოლხ-პელასგების ზღვაოსნობის ტრადიციისა და კირბების - გზის მაჩვენებელი რუკის არსებობის შესახებ, წარმოდგენილი ძველბერძნულ ისტორიულ და ლიტერატურული წყაროებში,⁵ რომლის დროს კოლხების იალქიანი ნავების აღჭურვილობა ლაპარაკობს ნავიგაციის, ანუ ნავის მართვის ტრადიციაზე, განსაზღვრული შორეული ნაოსნობისათვის. აღნიშნული ინფორმაცია უშუალოდ უკავშირდება ძვ.წ. II ათასწლეულში სახელმწიფოებრივი გაერთიანების – აია-კოლხეთის სამეფოს არსებობას. ტერმინი – “კოლხა”, “კილხა” დასტურდება ლონდონის მუზეუმში დაცულ ე.წ. ქვის პრიზმის ასურულ ლურსმნულ წარწერებში. ამ მხრივ მათემატიკოს-ლინგვისტმა, რომელიც მუშაობს პალეოგრაფიის საკითხებზე, გია კვაშილავაძე, ძვ.წ. II-I ათასწლეულების ფარგლებში წარმოგვიდგინა სხვადასხვა ტომების, მათ შორის პროტოქართველი ტომების ხმელთაშუაზღვისპირეთში დასახლებების შესახებ, სადაც სამტკიცებელ მასალად მოხმობილი აქვს უცხოელი და ქართველი მეცნიერების შრომები, მდიდარი ვიზუალური მასალის ჩვენებით⁶, რომელიც იმის დასტურია, რომ ქართული კულტურული მემკვიდრეობის საკითხი უფრო ფართო მნიშვნელობით უნდა დახასიათდეს. ლაპარაკია კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი ხატოვანი იეროგლიფური დამწერლობის ნიმუშის, ფესტოს დისკო-

¹. ფუთურიძე მ, როვა ე, ხაშური, ნაცარგორა: ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ნამარხები. (შიდა ქართლის ქართულ-იტალიური პროექტი I, Hashuri Natsargora: The EBA Graves, Brepols Publisher, Turnhout 2011).

². ლორთქიფანიძე ო, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002;

³. ცინცაბაძე მ, აღმოაჩინე ათასწლეულების საქართველო, თბ., 2015;

⁴. ინანიშვილი გ, მაისურაძე გ, გობეჯიშვილი გ, საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ.წ. III-I ათასწლეულებში), თბ., 2010.

⁵. ბერაძე თ, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1987; ლორთქიფანიძე ო, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.

⁶. კვაშილავა გ, ჟურნალი „ქართველოლოგია“, 2008-2015 წწ; იდუმალი საქართველო სატელევიზო გადაცემათა ციკლი- „ქართველური ცივილიზაცია“.

სა და დამწერლობა “A” შესახებ.¹ ამასთან ერთად, ძველბერნული ისტორიულ-ლიტერატურული წყაროებით, ასევე არაერთი ქართველი და ევროპელი მეცნიერების გამოკვლევებით მტკიცდება ქართველ ტომთა სახლობის შესახებ ხმელთაშუაზღვისპირეთში. მათ შორის კოლხი მედეასა და მისი მამიდების სახლობაზე: პასიფაეს - კუნძულ კრეტაზე და კირკეს (იგივე ცირცვას) – იტალიის კონტინენტის ერთ-ერთ კონცხზე ². სწორედ ქართული კულტურული მემკვიდრეობის კიდევ ერთი დარგის - წამლმცოდნეობის, ანუ მედიცინის არსებობა უკავშირდება აია-კოლხეთის სამეფოს პერიოდში, სამეფოს ოჯახისწევრებში სამკურნალო ცოდნას. მედიცინის ისტორიის დოქტორის რ. შენგელიას ცნობით „ კურტი-იოჰიმ შპრენგელი (1766-1833 წწ.) სხვადასხვა ქვეყნის და ეპოქის სამედიცინო ტრადიციებზე თხრობას იწყებს კოლხური მედიცინით. კურტი იოჰიმ შპრენგელი „ჩურა ედიაინა“-ს ანუ “მედიასებურ მკურნალობას” თვლიდა მედიცინის საფუძვლად და მთლიანად თანამედროვე სამედიცინო ხელოვნების საფუძვლად“. რ. შენგელია წერს რომ კოლხი მედეა სამკურნალოდ განკუთვნილ მცენარეებს იყენებდა სპეციალური დამუშავების გზით – გამოხარშვით, ნაყენით, თერმული მექანიკური თუ ქიმიური ზემოქმედებით ანუ კონცენტრირებით იღებდა შხამს, საწამლავს. ეს არის საწინააღმდეგოზე საწინააღმდეგოთი მოქმედების, ანუ ე.წ. “ალოპათიური პრინციპი”, მიმართულება, რომელსაც დღესაც ეფუძნება თანამედროვე მედიცინა და ფარმაცია“³. რომელი პლინიუს უმცროსი სეკუნდუსის (ძვ.წ. 23079 წწ.) 37 წიგნად დაწერილ ნაშრომში „ ისტორია ნატურალს“, უმეტესობა ეთმობა კოლხეთისა და იბერიის სამკურნალო მცენარეებს. “საქართველოს ისტორიის ნარკვევებში” დაცულია ცნობა კოლხეთის მცენარეული ჯიშების, ასევე ძვ.წ. II ათასწლეულის და მის შემდგომი პერიოდის მედიცინასთან დაკავშირებული სხვადასხვა დანიშნულების სამედიცინო იარაღების შესახებ. სწორედ ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ტრეპანაციისათვის გაკეთებული სკალპელი.

აქედან გამომდინარე, კულტურული კუთვნილების საკითხის გადაჭრა, შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის ნიშან-თვისებების გამოვლენა, მოითხოვს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების გათვალისწინებას. ამას გარდა, თუ კავკასიას განვსაზღვრავთ როგორც კულტურათა თავშეყრის ადგილს, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა კაცობრიობის ისტორიისათვისაც, ამ შემთხვევაში მეცნიერთა დასკვნითი შედეგებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომელიც გახდება საწინდარი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტური დასკვნების მისაღებად.

Marine Cincabadze
NGO “Heritage”, Georgia
marinecincabadze@yahoo.com

South Caucasus and the paradigm of Georgian cultural heritage

Summary

In South Caucasus, in particular, on the territory of Georgia, there are important archeological discoveries. Among them there are some of the prehistoric periods. Besides, there are civilized technological novelties created in the period of millennium BC that are important not only for Caucasus, but for the world cultural history.

1. მელიქიშვილი გ, როგორ ამტკველდნენ ლურსმნული წარწერები, თბ., 1961; კვაშილავა გ, ხაზოვანი და მისი მონათესავე დამწერლობით შესრულებული წარწერების ამოკითხვა პროტო-ქართულ ენაზე. ის: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, XIII, თბ., 2012, ურნალი „ქართველოლოგია, 3, 2012.

2. ურუშაძე აკ, არგონავტიკა და კოლხური სამყარო, თბ.,1968

3. შენგელია რ, მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია. ძველი აღმოსავლეთი, წიგნი I თბ., 2009

ანთროპოეკოლოგიის ხალხური ტრადიციები საქართველოს მთიანეთში

თანამედროვე ეპოქაში ერთ-ერთი პოპულარული მეცნიერება ანთროპოეკოლოგია ანუ ადამიანის ეკოლოგიაა, რომელიც ადამიანისა და ბუნების, ადამიანისა და სოციალურ-კულტურული გარემოს ურთიერთობებს იკვლევს. ასევე შეისწავლის ადამიანზე კოსმიური ობიექტებისა და მოვლენების გავლენებსაც. ანთროპოეკოლოგია დღეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში. არის მნიშვნელოვანი კვლევები ამ დარგში - ნ. ლომთათიძის, ნ. ალასანიას (ლომთათიძე, ალასანია, 2012) და სხვათა. საბოლოო ჯამში ანთროპოეკოლოგია ადამიანის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება. იძებნება ამ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზა. ერთ-ერთი ასეთი გზა წარსულის გამოცდილების შესწავლაა. ანთროპოეკოლოგია შედარებით ახალი სამეცნიერო დისციპლინაა, მაგრამ ანთროპოეკოლოგიური დაკვირვებანი და ტრადიციები, უძველეს ცივილიზაციებში და მათ შორის საქართველოში, შორეული ხანიდან დასტურდება. ამ კუთხით, საინტერესოა მიხეილ გეგეშიძის ნაშრომი: „ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში“, რომელიც საქართველოს მთიანეთს, კერძოდ კი სვანეთს ეხება (გეგეშიძე, 1982) და თამილა ცაგარეიშვილის ნაშრომი - „ტრადიციული კულტურა და ეკოსისტემები“, რომელშიც საქართველოს მთიელთა ანთროპოეკოლოგიური ტრადიციებიც არის განხილული (ცაგარეიშვილი, 2000). ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ვერა შუბითიძის ნაშრომი - ” სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა, როგორც ეთნიკური ეკოლოგიის საგანი”.

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში უკვე დიდი ხანია მუშაობს მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც ტრადიციული სამედიცინო კულტურის საკითხებს იკვლევს. ამჯერად ჯგუფის წევრებმა გააფართოვეს კვლევის სფერო და ადამიანის ეკოლოგიის საკითხებზე დაიწყეს მუშაობა. კვლევა ძირითად ორი მიმართულებით წარიმართა ადამიანი და ბუნება, ადამიანი და სოციალურ-კულტურული გარემო. ეს უკანასკნელი აერთიანებს ადამიანისა და საზოგადოების, ადამიანისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულებას. კვლევის მიზანია, ერთი მხრივ, გაარკვიოს, თუ რა ხალხური ტრადიციები ჩამოყალიბდა ბუნებასთან ადამიანის ადაპტაციის პროცესში, როგორ იყენებდა ადამიანი ბუნებრივ რესურსებს თავის ჯანმრთელობის სასიკეთოდ, ისე რომ ბუნებისთვის არ ან ნაკლებად მიეყენებინა ზიანი. მეორე მხრივ ადამიანისა და სოციოკულტურული გარემოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. თუ რა ვალდებულებები ჰქონდა პიროვნებას იმ საზოგადოების წინაშე, რომელშიც ის ცხოვრობდა, რას მოითხოვდა მისგან და როგორ ზრუნავდა მასზე მისი გარემომცველი საზოგადოება, აწუხებდა თუ არა მას პიროვნების, საზოგადოების წევრის, ჯანმრთელობის მდგომარეობა. იყო თუ არა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ადგილობრივი რელიგიური სისტემის ზრუნვის ობიექტი და სხვ.

საინტერესო ანთროპოეკოლოგიური დაკვირვებები დასტურდება საქართველოს მთიანეთში. მაგალითად, მთიელთა მიერ სამოსახლოს შერჩევის, საცხოვრებლის მშენებლობის ტრადიციებში, კვების, აღზრდის, მედიცინის და სხვ. ხალხურ კულტურაში.

ამ კუთხით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ადამიანის სოციალური დაცვისა და სოლიდარობის ხალხური ტრადიციები. მთიელთა დამოკიდებულება ბავშვის, მოხუცის, სნეულთა, დავრდომილთა, უპოვართა და სხვათა მიმართ. მაგ. ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება გლეხის ტრადიციებში, ხალხურ სამარ-

თალში, უძღურთა, სნეულეებისა და მოხუცების არა მარტო დახმარებაში, არამედ მათი ღირსების შენარჩუნებაზე ზრუნვასა და სხვ.

ანთროპოეკოლოგიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა მთიელთა რელიგიური სისტემის კვლევა. როგორც ცნობილია, ქართველ მთიელთა ხალხური რელიგიური სისტემა სინკრეტული ხასიათისაა. საქართველოს მთიანეთის თითოეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში შეიქმნა რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები, რომლებშიც ქრისტიანულთან ერთად, აშკარად ჩანს წინაქრისტიანული რელიგიების გავლენის კვალი.

რელიგია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მთიელთა ცხოვრებაში, მათი სოციალიზაციის პროცესში, ხელს უწყობდა საზოგადოების კონსოლიდაციას, გარკვეულწილად ადგენდა ზნეობრივ ნორმებს და აკონტროლებდა მათ. იგი დადებით გავლენას ახდენდა არა მხოლოდ ადამიანის სულიერ, არამედ მის ფიზიკურ მდგომარეობაზე, მის ჯანმრთელობაზე. ადამიანს თუ ბიოლოგიური, ფსიქიკური, სოციალური და კულტურული ასპექტით, განვიხილავთ, ვნახავთ, რომ რელიგია ყველა ამ ასპექტით მნიშვნელოვანი იყო. ისიც ცნობილია, რომ სხვადასხვა რელიგიური სისტემა სხვადასხვა გავლენას ახდენს ადამიანზე, მის ცხოვრებაზე სხვადასხვანაირად აყალიბებს მის ზნეობრივ ნორმებს, მსოფლმხედველობას, ღირებულებათა სისტემას.

თუ ამ ასპექტით ქრისტიანულ რელიგიას, თუნდაც მხოლოდ მის წლიურ კალენდარს განვიხილავთ, ვნახავთ, რომ იგი ხელს უწყობდა საზოგადოების ცხოვრების ჯანსაღ წესს. ეს პირველ რიგში ეხება კვების რაციონს როგორც წლიურს, ისე კვირეულს. თუნდაც მარხვა კვირაში ორჯერ და წელიწადში რამდენჯერმე ხორცისა და რძის პროდუქტებისგან თავის შეკავება, მხოლოდ მცენარეული საკვების მიღება. დადებითად მოქმედებდა არა მხოლოდ ადამიანის როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ სიჯანსაღეზე.

რელიგია აწესრიგებდა შრომა - დასვენების საკითხს, რომელსაც წინამდებრე სტატიაში, ხევსურეთის მაგლითზე, შევეხებით, საქართველოში, განსაკუთრებით კი, მთაში როგორც მამაკაცს, ისე ქალს თავის თავისა და ოჯახის გამოსაკვებად, მძიმე შრომა უხდებოდა. ამ მძიმე ყოველდღიურ შრომას, დასვენების გარეშე, ადამიანი ვერ გაუძლებდა. საჭირო იყო ადამიანის ცხოვრების ისე მოწესრიგება, რომ შრომას ადამიანის ჯანმრთელობაზე ცუდად არ ემოქმედა, თავად ადამიანისთვის ძნელი იყო განესაზღვრა როდის დაენებებინა ფიზიკური მუშაობისთვის თავი, როდის დაესვენა, როგორ დაესვენა, რამდენ ხანს და ა.შ. ამ საკითხებს ადგილობრივი რელიგიური სისტემა აწესრიგებდა. ხევსურული რელიგიური კალენდარი ძირითადად ქრისტიანული იყო. კალენდრის მიხედვით აუცილებელი იყო უქმე დღეების დაცვა. კვირაში ერთ დღეს (კვირას) აუცილებლად. *კვირის უქმის გატეხვა* ცოდვად ითვლებოდა, უქმობდნენ დღესასწაულების დროს და *აღთქმულ* დღეებში, როდესაც, სოფლის მოსახლეობა, ოჯახი ან ცალკეული პიროვნება უზენაესს, ან წმინდანს, რაიმეს შესთხოვდა, რომელიმე დღეს უქმედ გამოაცხადებდა და ზოგჯერ ამ დღეს მარხვის დაცვასაც დაიწესებდა. უქმის გატეხვა ცოდვად ითვლებოდა და ვინც ამ ცოდვას ჩაიდენდა, მძიმე სასჯელი ელოდა. *აღექსი* ოჩიაურის სიტყვებით – „უქმი თუ გატეხა ვინმემ და იმუშავა, იმას სოფელი მოიკვეთს“ (ოჩიაური, 1988). კვირის უქმის გარდა მთაში დაწესებული იყო სხვა უქმე დღეებიც ეს დღეები განსაკუთრებით ხშირი იყო მძიმე სამუშაოების - თიბვისა და მკის დროს. „უქმეებს ინახავენ მარტო თიბვის და მკის დროს. დანარჩენ დროს არ იციან უქმი არც შემოდგომაზე, არც ზამთარში და არც გაზაფხულზე“ (ოჩიაური, 1988). „თიბას რო დაიწყებენ, აქაც იციან ცოცრობა უქმეები. მუშაობენ მარტო სამშაბათს, ოთხშაბათსა-დ, ხუთშაბათს წინათ ასე იყოთ და ახლა კი ორშაბათსაც მუშაობენ. პარასკევს, შაბათს, კვირაესა-დ ორშაბათს ქვე ინახავენ უქმად, თიბად გასვლამდინავ დაყენებენ ამ უქმეებს. მკა რო გათავდების, მაშინ გასტეხენ. მარტო თიბა-მკაში ას ეს უქმი, სხვა დროს კვირაეს მეტს არას უქმობენ“ (ოჩიაური, 2005).

ამ შემთხვევაში იგულისხმება არა კვირა და დღესასწაულები, არამედ შეთქმული და დაწესებული უქმეები. უქმის დაწესება (დაყენება) კი სოფლის საერთო კრებაზე იცოდნენ: „ხალარჯობის (მიცვალებულის მოსაგონარი დღე, სულთმოფენობა ნ.მ.) მეო-

რემესამე დღეს კი ხუცესი მოიწვევს სარეთო კრებას და გამოუცხადებს: „სოფლებო ეხლა თუ გვყალობსთ არხოტის ჯვარი დროი ას ეხლად, რო საქონმ გადრიდასად მთაში წავიდას, სათიბეებსაც მაშორდას, თუ ეხლა არ დაისვენ სათიბებმა ბაღას არ მავიდ, როსად მაგ, საქონობისაიც წილ გაგყარათ“ (ოჩიაური, 1988). ამ ამონარიდიდან აშკარად ჩანს, ერთი მხრივ ბუნების დაცვაზე, მეორე მხრივ კი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რომელსაც მთაში ადგილობრივი რელიგიური თემის ხელმძღვანელი – ხუცესი აწესრიგებდა უქმე, უმეტესწილად მძიმე ფიზიკური სამუშაოსგან დასვენებას გულისხმობდა, მსუბუქ სამუშაოს კი ამ დღეებშიც ასრულებდნენ „ხევსურეთში საუქმო დღედ ორშაბათიც დაწესებულა: დიდმარხვის პირველი და მეორე ორშაბათი და ათენგენობის პირველი და მეორე ორშაბათი. ამ დღეებში ყველანი უქმობდნენ და შინ ვერ საქმობდნენ, განსაკუთრებით დედაკაცები, ამ დღეებში სოფლის მიჯნაზე წყლის გაღმა გადიან, აქ სხდებიან და ხელსაქმობენ“ ეს უქმე თიბვის მძიმე სამუშაოების დროს მოდიოდა და მთიელს დასვენების საშუალებას აძლევდა. ეს ყველა ახაუხლებმა იციან, უფროს ხალხ კი თავისდ სხად ჯარზედ (მაკალათია, 1934).

მთიელს მთელი წლის მანძილზე მძიმე სამუშაო ჰქონდა. დაწესებული დასვენება კვირას (კვირის უქმი და სხვ. დღესასწაულებსა თუ აღთქმულ დღეებში) მოსახლეობას დასვენების საშუალებას ძლევდა. ასევე აწესრიგებდა ადგილობრივი რელიგიური სისტემა გართობის, ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური ვარჯიშის საკითხსაც. რელიგიური დღესასწაულები ადამიანის დასვენების გარდა, მის გართობასაც უწყობდა ხელს და იყო ადამიანის როგორც სულიერი, ისე ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალება. სწორედ დღესასწაულებზე ისმენდნენ ახალგაზრდები ქადაგებებს, ერკვეოდნენ მთელ რიგ საჭირობოროტო საკითხებში, ამავე დღესასწაულებზე ეცნობოდნენ ისინი სახელოვან წინაპართა ცხოვრებას დღესასწაულებზე ეწყობოდა ბავშვებისა და ახალგაზრდების შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში როგორც ინდივიდუალურში, ისე კოლექტიურში ინდივიდუალურ სპორტის სახეობათა შორის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო: ჭიდაობა, საჯილდაო ქვის აწევა, კოლექტიურში კი დოლი და სხვა ერთ-ერთ დღესასწაულის ხევსურეთის ერთ-ერთი სალოცავის – დიდგორი ჯვარის ადების დღესასწაულის (ხევსურული ლექსიკონი, 2005) აღწერის დროს აღ. ოჩიაური წერს: “დღეობა იციან უშუღლარიდ, მშვიდობიანი. მიიტანენ ფანდურს, იმღერენ საგმირო სიმღერებს, ამხნევენ ერთუცს გარეთ მტრებისკენასად, შინაურის ძმობისკეს.

ხანდახან ფერხისაისდამბა იციან. მოსტელ-როშკივებისად. საერთო ხევსურეთის ბრძოლის სიმღერებს იმღერებენ, უფრო ისითს სიმღერებს, რომენს ომშიც აქ ნამყოფის ხალხის მამაპა-პაპანი იღებენ მონაწილეობახად”... (ოჩიაური, 2005).

“ხევსურებს ასეთი ჩვეულება აქვთ, სადმე ძველის მცოდნე ხევსური ეგულებათ, ახალგაზრდები სხვა სოფლებიდან მიდიან, ეკითხებიან ძველ ამბებს და იხსომებენ” (ოჩიაური, 2005).

დიდგორის ჯვარის ათენგენას დღესასწაული კი ივლისის ბოლოს ხუთი დღე გრძელდებოდა. მეოთხე დღე ძირითადად გართობისთვის იყო განკუთვნილი – “მეოთხე დღე, რო გატენდების. დღეს იციან სხვადასხვანაირი გართობები. სხვაგან ხევსურეთში ჭიდაობა არცად არ იციან. აქ კი ჭიდაობაც იმართება ბორტეზედ. ზოგ ჭიდაობს, ზოგ საცდელ ქვას ისრევს. ახალ-უხალები, ზოგი ფანდურს უკრავსად, თამაშობენ. მემრ იმართების დოღვი.

დიდგორის გორი ჩაღმა გორ ჩამოდის, საითაც ცხენებს არბოლებენ. ძალიან ცუდ სასრობლები ას ცხენებისა, ჩაღმაი-დ ბორტევი სასახლეტი ჯვარირონნი გაღმართვენ დოღვს. წინ მიმავალს ან საკლავს დაუყენებენ, ან ერთ ჩხუტს ლუდს, ან ერთ კოშს, მეორიას ფელკს (საკლავის ნახევარი ნ. მ.) საკლავისას, მესამიას კიდევ იმაზე ჩამაითად, ბოლოს თას ერგების ლუდიანი”... (ოჩიაური, 2005).

გუდანის ჯვარში (წმინდა გიორგის ერთ-ერთ მთავარ სალოცავში ხევსურეთში) ათენგენა – “დღეობა გასტანდა ერთ დღე-ღამეს. იმართებოდა მხიარულობა, მღერა და თამაშობა ფანდურზე... დადგამდნენ ნიშანს და იმართებოდა შეჯიბრი სროლაში, აგრეთვე იმართებოდა შეჯიბრი ცხენების რბევაში” (ოჩიაური, 2005).

რელიგიური დღესასწაულების შესახებ, გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი კორესპონდენტი წერდა: “ერთი სასარგებლო მხარე აქვს ჩვენს დღეობებსა, რომ აჭიდებენ ხალხსა და აჯირითებენ ცხენებსა, ვისაც არ ესმის მნიშვნელობა ჭიდაობისა და ჯირითისა, ჩვენებური დოლისა, დასცინიან და მეტადრე ჭიდაობას, რამ ვინც კარგად ჩააკვირდება, ერთი ჩვენთვის დიდად საჭირონი არიან. ნეტავი ღმერთმა ჰქნას, რომ ამ დღეობებშია ქალაქით კრივიც იმართებოდეს. სამსავე მოქმედებიდან: ჭიდაობიდან, ცხენების თამაშობიდან და კრივიდან, მონაწილენი ამ საქმეში მაგრდებიან და განმტკიცდებიან, როგორც გულისთა, ისე სხეულთა” (დროება, 1867).

სოფრომ მგალობლიშვილის ცნობით: “კვირა-უქმის გატეხა ყოველად შეუძლებელი იყო... ღვთისაგანაც და კაცისაგანაც დაწესებულია დასასავენებლადო. წირვა-ლოცვას რომ მოისმენდნენ, ხალხი გამოიშლებოდა ეკლესიის გადავანში. ნასადილევს შეიყრებოდნენ მწვანე მინდორზე და იყო ბინდამდე სხვადასხვა სიმღერა, თამაშობა და გართობა. განსაკუთრებით შობის დღესასწაულებს, ყველიერისა და აღდგომის კვირიაკეს დიდიდ სიამოვნებით უხვდებოდნენ, სხვანაირს გართობა-თამაშობას საზღვარი და დასასრული არ ჰქონდა. ერთს ალაგას ბურთაობდნენ, მეორე ალაგას ჭიდაობა იყო გამართული, მესამეს ჩალიჩობა, სხვაგან სიმღერა და ფერხული...” (მგალობლიშვილი, 1938).

ამგვარად, საქართველოს მთის მოსახლეობის ბუნებასთან ადაპტაციის, კვების, აღზრდის, ჰიგიენისა თუ მკურნალობის და სხვ. ხალხური კულტურა, მათი რელიგიური სისტემა ხალხურ ანთროპოეკოლოგიურ ტრადიციებსაც აერთიანებდა. ესმარებოდა ადამიანს ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვაში. ხელს უწყობდა მთიელის ჯანსაღ კვებასა და აწესრიგებდა შრომისა და დასვენების განრიგს. ყოველივე ეს დადებითად მოქმედებდა ადამიანის ფიზიკურ ჯანმრთელობასა და სულიერ მდგომარეობაზე.

ლიტერატურა:

1. გაზეთი “დროება”, 1867, №35.
2. გეგეშიძე მ., ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბილისი, 1988.
3. მაკალათია, ს., ხევსურეთი, თბილისი, 1934.
4. მარხვის დაწყების, ყველიერის წინა დღე ჭინჭარაულიაღ, ხევსურული ლექსიკონი, 2005, 68 გვ.
5. მგალობლიშვილი ს., მოგონებანი, თბილისი, 1938.
6. თჩიაური აღ., ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი (არხოტის თემი), 1988.
7. თჩიაური, აღ., ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი. შატილ-მიღმახევი), თბილისი, 2005, გვ. 216.
8. ლომთათიძე ნ., ალასანია ნ., „ანთროპოეკოლოგია“, ბათუმი, 2012.
9. შუბითიძე ვ., „სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა, როგორც ეთნიკური ეკოლოგიის საგანი“, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, თბილისი, 2003.
10. ცაგარეიშვილი თ. „ტრადიციული კულტურა და ეკოსისტემები“, თბილისი, 2000.
11. ჯავახიშვილი ივ., ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, თბილისი, 1953

Nino Mindadze

Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology of
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
nmindadze@gmail.com

Anthropoecological folk traditions in the mountainous Georgia

Summary

In the modern era, one of the most popular sciences are anthropoecology or human's ecology, which studies the relationship between human and nature, human and social – culture environment. In comparison, anthropoecology is a new scientific discipline. However, anthropoecological observation and traditions existed in the earliest civilizations, including Georgia.

From the anthropological point of view, the study of the mountainous people's religious system is significant.

Religion exerted positive influence not only on spiritual life of a man but also on his physical state.

In the mountainous parts of Georgia, including Khevsureti, folk religion system was of syncretic character, the Christian faith-ideas and rites and pre-Christian religion elements.

Year calendar of Christian religion used to contribute to healthy mode of life of the population. In the first place, it deals with nutrition ration, both yearly and weekly, fast system. Restrain from eating meat and milk products, twice in a week and several times in a year and taking only vegetable food, contributed to discharge of human organism. Religious calendar regulated the issue of the labor and resting days of the mountainous people too.

Mountaineers considered working during holidays, religious days and KviraDghe (Sunday) as sin. The population was given a possibility to rest in the process of heavy physical work. In the days of religion holidays after serving public liturgy the sports competitions were arranged in various sports and feasts were organized which were accompanied by the best specimens of folk poetry and music. Thus, public holiday, serving to spiritual purification of a man, simultaneously was one of the best means for human rest and entertainment, spiritual and physical training.

ხალხური დღესასწაული „შობის ბებია“

შობის მესამე დღეს, რაჭაში, ხალხი აღნიშნავდა დღესასწაულს, რომელსაც „შობის ბებია“ ერქვა. ეს დღე უქმე იყო. „შობის დედა“ ანუ შობის მომდევნო დღე, ხალხს უფრო დიდ დღედ მიაჩნდა. „შობის დედა“ ხალხს მშობიარე ქალებისთვის ჰქონდა განკუთვნილი, რათა მათ მშვიდობიანად მოელოდნენ შობიანად. „შობის ბებია“ ღვთისმშობლის საპატივცემულო დღედ მიაჩნდათ. ხსენებულ დღეებში, არც ლოცვა იცოდნენ და არც განატყეს აცხობდნენ. ¹შობის მეორე დღე მართლმადიდებლური კალენდრით ყოველდღე მინდა ღვთისმშობლის კრების დღეა.

როდესაც დავინტერესდით თუ რა დღესასწაულია „შობის ბებია“ და კიდევ რომელ კუთხეში აღნიშნავენ მას, აღმოჩნდა, რომ ჩვენ ხელთ არსებული მასლების მიხედვით, ამგვარი დღესასწაული, თუ კი იგი არსებობდა, სხვაგან არ არის შემორჩენილი. არც „შობის დედა“ შეგხვედრია სადმე. დღესასწაულ „შობის ბებიის“ სახელწოდებიდან გამომდინარე, ბუნებრივად გავვინდა მოსაზრება, რომ იგი შესაძლოა წმ. ანას, ღვთისმშობლის დედას უკავშირდებოდა. დავიწყეთ ძებნა სხვა მართლმადიდებელ კალენდრებში, პირველ ყოვლისა მიემართეთ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებულ კალენდარს.

თანამედროვე ქართული საეკლესიო კალენდრის, ბერძნული მსოფლიო საპატრიარქოს ჰემეროლოგიონის (1999წ.), ბერძნული ელადის ეკლესიის კალენდრის (1999წ.), წმ. გიორგი მთაწმიდელის „სვინაქსარის“, იოანე ზოსიმეს კალენდრის, „იერუსალიმის კანონარის“, ამ კანონარის თარხნიშვილისეული გამოცემის მიხედვით შობის მესამე დღეს (27.12/9.01) მოიხსენიება წმ. სტეფანე პირველმოწამე. ამით ყველა ზემოხსენებული კალენდარი ავლენს საერთოს. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, სხვადასხვა წმინდანსაც მოიხსენიებს. მათ შორის არ არის ნახსენები წმ. ანა ან რაიმე მინიშნება მაცხოვრის შობაზე.²

ძიების პროცესში მივმართეთ ს. ვ. ბულგაკოვის მიერ გამოცემულ სამაგიდო წიგნს სასულიერო პირთა და მღვდელმსახურთათვის. ამ გამოცემაში მოცემულ თვენში, რომლითაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობდა და სარგებლობს, შობის მესამე დღეს (27.12/9.01) ასევე წმ. სტეფანე პირველდიაკონი მოიხსენიება. მოცემული დღე, მსგავსად ზოგიერთი კალენდრისა, წმ. თევდორეს, მის ძმას თეოფანეს და კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოს თევდორეს უკავშირდება. ჩვენი მოლოდინი, რომ ეს დღე შესაძლოა გარკვეულად ღვთისმშობლის დედას, წმ. ანას დაკავშირებოდა, არ გამართლდა. თუმცა, აქვე, ს. ვ. ბულგაკოვის ხსენებულ ნშრომში, 26.12/8.01, რაც რაჭაში „შობის დედის“ სახელითაა ცნობილი და სამართლმადიდებლოში ღვთისმშობლის კრებას უკავშირდება, ერთ საინტერესო ცნობას წავაწყდით. ეს ცნობა ჩვენი საკვლევი დღესასწაულის ბუნებას ხსნის.

ს. ვ. ბულგაკოვის თქმით, შობის მეორე დღეს (26.12/8.01) რუსეთის ზოგიერთ რეგიონში ხალხური ცრურწმენებიდან გამომდინარე აღინიშნება დღესასწაული, რომელსაც *სოლომონიდეები* ან *სალომიები/სალომეები* ჰქვია. ხალხის რწმენით, მენელსაცხებლე დედა სალომემ ღვთისმშობლის მშობიარობის დროს მიიღო იესო ქრისტე, რის შესახებაც გვიამბობენ აპოკრიფული სახარებები. ძველმოწესეები ამ დღეს მშობიარეს ლოცვაში იხსენიებენ. ჩრდილოეთ რუსეთში სალომეს საპატივცემულოდ ხარშავენ ფაფას,

¹ფაფალა გარდაფხაძე-ქიქოძე, ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ლეჩხუმი), თბ., მეცნიერება, 1995, გვ. 60.

²msofllo marTImadidebeli eklesiis SeerTebuli kalendari, I gamocema, red. ediSer WeliZe, Tb., 2001, gv. 14, 201-202.

რომლითაც ბებიაქალებს უმასპინძლებიან. ამას “ბებიების ფაფას“ ეძახიან. სამხრეთ რუსეთში, ხალხური წესის მიხედვით, მელოგინეს მონახულებისას, მის საპატივცემულოდ, მიჰქონდათ ღვეზელი. სწორედ ამ წესის მიხედვით, 26 დეკემბერს ხალხსეკლესიაში, ასე ვთქვათ მელოგინე ღვთისმშობლის საპატივცემულოდ, ღვეზელები მიჰქონდა. 1590 წელს უკრაინის მიტროპოლიტმა მიხეილმა ეს წესი აკრძალა.¹ თუმცა, *სოლომონიდებთან* დაკავშირებული რუსული ფოლკლორი და საძეობო ხალხური რწმენა-წარმოდგენები თვანათლივ ეხმიანება, როგორც იაკობის აპოკალიფსს, ასევე ფსევდო მათეს სახარებას.² ფოქრობთ, დღესასწაული “შობის ბებია“ და “შობის დედა“ სწორედ ამ რუსული დღესასწაულის ანარეკლი უნდა იყოს. როგორც ჩანს რუსული *სოლომონიდები* ან *სალომიები/სალომეები*, რომლებიც რუსეთში შობის მომდევნო დღეს აღინიშნებოდა, რაჭაში ორ დღედ განაწილდა: “შობის დედად“ (შობის მომდევნო დღე, რომელსაც ხალხი კეთილი მოლოგინების დღედ მიიჩნევდა) და “შობის ბებიად“, რასაც ხალხი ღვთისმშობელს უკავშირებდა. ჩვენი ვარაუდი, რომ “შობის ბებია“ ღვთისმშობლის დედას, წმ. ანას უკავშირდებოდა, არ გამართლდა. შესაძლოა, იგი იმ ბებიაქალის მოსახსენებელი დღე იყო, რომელსაც ღვთისმშობელი უნდა ემშობიარებინა ანუ აპოკრიფების ორი ქალის, რომელთაგან ერთ-ერთი სალომე იყო, ანდა მასთან დაკავშირებული ამბის თუ სასწაულის. როგორც ჩანს, რუსეთის ზოგიერთ მხარეში შობის მომდევნო დღე და მასთან დაკავშირებული ხალხური წეს-ჩვეულებები ბებიაქალებისთვისაც სრულდებოდა, მათთვისაც იყო განკუთვნილი, ანუ ეს დღე ხალხში ბებიაქალების დღედაც ითვლებოდა.

“შობა მარიამისა. იაკობის აპოკალიფსი“ ადრეული პერიოდის აპოკრიფია, რომლის ავტორადაც ტრადიციულად იაკობ მოციქული სახელდება. ამ ნაწარმოების ძველქართული თარგმანია “თქმული ღვთისმშობლის შობისათვის“. დადგენილია, რომ ქართველები ამ აპოკრიფს ჯერ კიდევ V-VIII სს. იცნობდნენ. ეს ძეგლი ჯერ კიდევ III ს-ში უნდა ყოფილიყო ცნობილი. იგი მრავალ ენაზეა თარგმნილი.³

ხსენებულ აპოკრიფში, როდესაც გამოქვამულში წმ. მარიამს მშობიარობის დრო დაუდგა, იოსები იუდეველი ბებიაქალის საძებნელად გაემართა. დაინახა მთიდან მომავალი ქალი და მას დახმრება სთხოვა. ქალი იოსებთან ერთად გამოქვამულისკენ გამომართა. როდესაც ყრმა იესო დაიბადა, ბებიაქალმა თქვა: „რა დიდია დღევანდელი დღე, რადგანაც ვიხილე სახილველი ახალი“. აქვე ჩნდება სალომე, რომელსაც ეჭვი ებადება, ღვთისმშობლის ქალწულობაში; რომ ქალწულმა შეიძლება შობოს. იგი თომა მოციქულივით “განიხილავს“ მარიამის ქალწულებას და ირწმუნებს, თუმცა დაისჯება. მისი ხელი მხოლოდ მას შემდეგ განიკურნება, როდესაც ჩვილ იესოს აიყვანს და მიიხუტებს.⁴ მსგავს ისტორიას გვიამბობს ფსევდო მათეს სახარებაც, სადაც ასევე ორი ბებიაქალი, ზელომა/გელომა და სალომეა მოხსენიებული. თუმცა, არც ერთ მათგანს არ მიუღია მშობიარობაში მონაწილეობა. მათი მოსვლისთვის იესო უკვე შობილი იყო.⁵

მოცემული საკითხის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბებიაქალებისთვის რაიმე განსაკუთრებული საწესო თუ სადღესასწაულო დღის არსებობა ეთნოლოგებისთვის უცნობია. ამდენად, რაჭული “შობის ბებია“ და “შობის დედა“ ორ დღეზე გადანაწილებული ერთი რუსული ხალხური დღესასწაული უნდა იყოს, რომელიც ქართულ ხალხურ კალენდარში სხვა ქართულ დღესასწაულებს შორის აღმოჩნდა. თუმცა, 1930-იანი წლებიდან ხალხმა უკვე აღარ იცოდა, თუ რას აღნიშნავდნენ რაჭაში შო-

¹ С. В. Булгаков, Настольная книга для священно-церковно-служителей, Издательский отдел Московского Патриархата, 1993, сс. 531-532, 527.

² ix. Алексей В. Юдин, *Бабушка Соломония* в восточнославянских заговорах и источнике ее образа, <https://biblio.ugent.be/publication/2014098/file/6765692.pdf>, 1.07.2016.

³ შობა მარიამისა. იაკობის აპოკალიფსი, საღვთისმეტყველო კრებული, 1, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1991, გვ. 230-231,

⁴ იქვე, 238.

⁵ Алексей В. Юдин, *Бабушка Соломония* в восточнославянских заговорах и источнике ее образа, с, 4, <https://biblio.ugent.be/publication/2014098/file/6765692.pdf>, 1.07.2016.

ბის მესამე დღეს (27.12/9.01). შობის მეორე დღის დღესასწაულში (“შობის დედა“) სოლომონიდების ანარეკლი, როგორც ჩანს, უნდა დარჩენილიყო, რისთვისაც ქართულ ტრადიციულ რწმენასაც უნდა შეეწყო ხელი, რომლის მიხედვითაც ღვთისმშობელი ქალების, შვილიერების მფარველიცაა. როგორც ცნობილია, შობის მომდევნო დღეს ეკლესია ღვთისმშობლის კრებას აღნიშნავს. ის ფაქტი, რომ რაჭაში ამ დღეს “შობის დედა“ ერქვა და მელოგინებისთვის განკუთვნილი დღეც იყო, გვაფიქრებინებს, რომ სახელწოდებაში ხაზი ესმება არა იესოს შობას, არამედ ღვთისმშობლის მშობიარობას და ამ ამბის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, რაც ჩვენთვის მხოლოდ ზემოხსენებული აპოკრიფებიდანაა ცნობილი.

აქვე ჩნდება კიხვა თუ რას შეიძლება განეპირობებინა რუსული ხალხური დღესასწაულის ერთი ქართული რეგიონის კალენდარში დამკვიდრება? ცნობილია, რომ ხალხური სარწმუნოება სულიერ სამყაროსთან შეხვედრის ეროვნული გამოცდილებაა, რომელიც ეროვნული კულტურის, ეროვნული მსოფლმხედველობის გარკვეულ სისტემას ქმნის. ანიჭებს ზოგადს და საერთოს ეროვნულ იერსახეს. მართალია, დიდი რელიგიების აღმსარებლებს საერთო ღმერთი, საერთო სწავლება, დოგმატიკა აერთიანებთ, მაგრამ ადგილობრივ ეკლესიებს თუ თემებს მაინც შეაქვთ საკუთარი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ამ საყოველთაო სწავლებაში. ასევეა მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის, რომლებსაც მრწამსის, დოგმატის, ლიტურგიის, საეკლესიო მსახურების ფაქტობრივად იგივეობის მიუხედავად, აქვთ ეროვნული, მათთვის დამახასიათებელი, როგორც საეკლესიო, ასევე ხალხური ტრადიციებიც.

როგორც ცნობილია, კავკასიის რუსიფიკაციის პოლიტიკაში დიდი წვლილი შეიტანა “რუსეთის სასულიერო კომისიამ“ (1815-1860) და “კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ“ (1860-1917). ეს “მისიონერული“ ორგანიზაციები ოსეთში, სვანეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, აფხაზეთში, აჭარაში, საინგილოში, სამცხე-ჯავახეთში და ჩრდილო კავკასიის სხვა კუთხეებში მოღვაწეობდნენ.¹ გარუსების და შესაბამისად ქვეყნის დაპყრობის რელიგიურ თუ წმინდა პოლიტიკურ მეთოდებთან ერთად, რუსეთი დემოგრაფიული სურათის შეცვლის პრაქტიკასაც იყენებდა, რაც მისი პოლიტიკის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა და წარმოადგენს.² რუსეთი კავკასიაშიც და საქართველოშიც თავის მოსახლეობას აფუძნებდა. შესაბამისად, რუსეთის ეკლესიას მრევლის ნაწილიც თან მოჰყავდა. მართალია, რუსეთის ეკლესიამ XVII ს. აკრძალა სოლომონიდები, მაგრამ რუსი ხალხი მას, როგორც ადრე, შობის მომდევნო დღეს მაინც აღნიშნავდა. ამჯერადაც, ხალხმა, როგორც ხდება ხოლმე, მისეული, მაგრამ ქრისტიანული წარმოშობის და ხასიათის დღესასწაული ოფიციალურ კალენდართან და სახარებისეულ მოვლენასთან დააკავშირა. დააკავშირა და ერთგვარი “აპოკრიფული“ დღესასწაული შექმნა.³

სავარაუდოდ, სწორედ ქრისტიანი რუსი მრევლის გზით უნდა შემოსულიყო რაჭაში რუსული ხალხური, ეროვნული დღესასწაული *სოლომონიდები* ან *სალომიები/სალომეები*. როგორც ჩანს, ეს დღე რაჭულ ხალხურ კალენდარში ორ დღეზე გადანაწილდა (26.12/07.01 და 27.12/08.01). ერთი იყო შობის მომდევნო დღე, როგორც რუსეთში და მეორე შობის მესამე დღე. მაგრამ ქართულ სინამდვილეში შობის მეორე დღე (“შობის დედა“) უშუალოდ ღვთისმშობელს დაუკავშირდა, შობის მესამე დღე “შობის ბებია“ კი იმ ბებიაქალს, რომელსაც იესო ქრისტეს შობაში უნდა მიეღო მონაწილეობა. “შობის დე-

¹ იხ. ვლადიმერ წვერავა, საქართველოს საეკლესიო, სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2003; საქართველო- რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი I, გამ. მერიდიანი, თბ., 2016, გვ. 406-407.

² Русские, глав. редакторы: В.А.Александров, И.В. Власова, И. С. Полищук, Москва, Наука, 2005, сс. 14, 16, 18, 19, 21, 25, 26, 27, 35

³ ჩვენთვის გახალხურებული სახარებისეული თუ ქრისტიანული ხასიათის ისტორიები, წმინდანებთან დაკავშირებული ამბები ერთგვარი ხალხური აპოკრიფებია.

დის“კავშირი მშობიარე ქალებთან და უსაფრთხო მშობიარობასთან არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ სოლომონიდებიდან გამომდინარე, არამედ, იმ ქრთული ხალხური შეხედულებებიდანაც, რომლის მიხედვითაც ღვთისმშობელი ქალებისა და შვილიერების მფარველად მიაჩნდათ. ალბათ ამის მიზეზი იყო ის, რომ ყოფაში “შობის დედა“ უფრო შემორჩა, ვიდრე “შობის ბებია“:“გაველენები, რომლებიც უცხო კულტურიდან შემოდინან, კი არ ქმნიან ახალ რელიგიურ სისტემებს, არამედ ეკვრიან უკვე არსებულს. წარმატებულად დამკვიდრებული გარედან შემოსული სიახლე ნიშანია იმისა, რომ მოცემულ კულტურაში უკვე არსებობდა მსგავსი რელიგიური სისტემა“ - წერდა მირჩე ელიადე.¹

ამდენად, ვფიქრობთ, რომ “შობის დედა“ და “შობის ბებია“, მართალია იესო ქრისტეს შობას ეხმიანება, მაგრამ არ არის ოფიციალურ ქრისტიანობასთან დაკავშირებული და არის რუსული ხალხური ქრისტიანული დღესასწაული, რომლის გაჩენა ქართულ გარემოში რუსული ეკლესიის საქართველოში შემოსვლას და მის მრევლს უკავშირდებოდა. როგორც ჩანს, ეს დღესასწაული ქართულმა ტრადიციამ ნაწილობრივ მიიღო და ორ დღეზე გადაანაწილა. “შობის ბებია“ ანუ შობის მესამე დღის აღნიშვნის ტრადიცია ხანმოკლე აღმოჩნდა და უკვე 1930-იან წლებში ხალხს მის შესახებ მხოლოდ სახელწოდება ახსოვდა.

Nino Ghambashidze

*Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology of
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
nino_gambashidze1955@yahoo.com*

Folk Festival “Grandmother of Christmas”

Summary

On the third day after Christmas people in Racha (one of the regions of west Georgia) celebrated a festival named “Grandmother of Christmas” (Shobis Bebia). It was a feast day, free from work. “Mother of Christmas”, next day of Christmas, was believed as more important day then the next one. “Mother of Christmas” mostly celebrated for pregnant women, for their safe childbirth. On these days neither prayers were performed nor did ritual bread – Ganatexi baked.

According to the Orthodox calendar the next day of Christmas is dedicated to The Holy Virgin. The third day after Christmas officially is not connected either to The Holy Virgin or St. Ann, her mother. The research showed that “Grandmother of Christmas”, though echoes with Christmas, is not connected with official Christianity and is a foreign folk festival.

¹იხ.Mircea Eliade, History of Religions and "Popular" Cultures, History of Religions, Vol. 20, No. 1/2, Twentieth Anniversary Issue (Chicago, 1980), pp. 1-26.

Мкртчян Р.А.

Канд. ист. наук., преподаватель кафедры культурологии исторического факультета Ереванского государственного университета (ЕГУ), Армения, ruzantrop55@mail.ru

Биоархеология населения эпохи бронзы Гегаркуникского региона

Исследуемый биоархеологический материал происходит из погребений эпохи бронзы Неркин Геташенского, Ацаратского, Кананггского, Норатуского, Норабакского (Mkrtchyan, Simonyan 2013:81-84) могильников, раскопанные соответственно археологами О. Хнкияном, А. Пилипосьяном и А. Бобохьяном.

Краниологические серии датируются тремя периодами эпохи бронзы: 1. Средняя бронза 1- 22-20 вв. до н. э., Триалети-Ванадзорская культура, 2. Средняя бронза 3 – 16-15 вв. до н.э., Севан-Арцахская культура, 3. Поздняя бронза – 15-14 и 14-13 вв. до н. э. Лчашен-Мецаморская культура (Smith, Badalyan, Avetisyan 2009:34).

Краниологическая серия из могильника Неркин Геташен ранее подвергалась краниметрическому и палеодемографическому анализам (Мкртчян 2003, 2008; Воронцова, Мкртчян, 2014).

Программа исследований включает пять палеопатологических признаков (эмалевая гипоплазия, абсцесс, кариес, выпадение зубов, степень изношенности зубов) (Бужилова 1995:19-22). Эти признаки рассматриваются в качестве маркеров физиологического стресса по методологии А. Гудмана (Goodman, Martin, Armelagos 1984:14). По данной программе исследовано 34 мужских и 34 женских верхних и нижних челюстей (табл. 1, 2) .

Эмалевая гипоплазия фигурирует как индикатор эпизодического стресса. Кариес и абсцесс маркеры, связанные со специфическими заболеваниями ассоциированные с диетологическими предпочтениями и инфекционным фоном, а изношенность и выпадение зубов, как маркеры старости.

Эмалевая гипоплазия встречается в двух случаях.

В обеих половых группах кариес начинает встречаться с 25-35 лет, зафиксировано 3 случаев в мужской и 6 в женской группах.

В мужской группе абсцесс встречается с 25-30 лет у 11 индивидов, а в женской с 18-22 лет у 9-и.

Палеопатологическое исследование обнаружило странное несоответствие: низкую частоту встречаемости кариеса и высокую – абсцесса. Обычно эти два признака имеют тенденцию к одновременному проявлению.

По нашим наблюдениям, эти два признака в мужской группе ассоциируются в единичном случае, в женской - дважды.

Нетрудно предположить, что низкая частота встречаемости кариеса у населения Севанского бассейна эпохи бронзы объясняется сильной минерализацией одонтологической структуры в связи с диетическими особенностями, что препятствует кариесу.

В качестве гипотезы можно предложить преобладание протеиновой и особенно рыбной диеты в данной экологической среде. У женщин отмечена сравнительно более высокая частота встречаемости кариеса.

Что касается слишком высоких процентных показателей абсцесса, то если принять во внимание, что они являются результатом патогенной среды, то, следовательно, необходимо определить при каких условиях создается патогенная среда. Кажется, уже стало закономерным в первую очередь рассматривать плотно населенную урбанизированную территорию в качестве фактора патогенности. Это предположение созвучно с культурной средой Севанского бассейна в эпоху бронзы, где зафиксирован достаточно высокий уровень урбанизации.

В контексте исследования становится ясным, что раннее выпадение зубов и ранняя изношенность зубной поверхности однозначно объясняется такими факторами как жесткая диета и механическая нагрузка на зубной аппарат.

В исследованных с точки зрения одонтопатологии коллекциях эпохи бронзы отмечается половой деморфизм. Отметим также, что возрастная женская группа более подвержена зубным патологиям. Из этого можно сделать вывод, что мужская и женская группы отличались диетами.

Таблица 1. Индивидуальные данные зубных патологий (муж.)

A=абсцесс; L= выпадение зубов; C=кариес; 1-8= степень изношенности зубов; Eh- эмалевая гипоплазия; a, b, c- степень зубного камня.

№	Г. №	Возраст	max/mand	Индивидуальные данные зубных патологий (муж.)																
				Правый								Левый								
				M ²	M ¹	M ²	M ¹	P ²	P ¹	C	I ²	I ¹	I ²	C	P ¹	P ²	M ¹	M ²	M ³	
32.	Г. № 20-1/21	55-65	max	L	LA	LA	LA	LA	L	A					A	L	A	LA	LA	L
33.	Г. № 20-1/17	60-65	max	L	L	L												L	L	L
34.	Нб/№ 2/1	65-75	mand																	
1.	Г. № 9/5	15-17	max		1	3a	2a		1b											
2.	Н. № 26	15-18	mand	4	4a	5a											5a	4	3	
			mand		2	4	3	3				2	2				4	2		
3.	Г. № 18/6	18-22	max	2	3	5	2	1	2a					4	1a	2	4	3		
4.	Г. № 21/12	18-22	max		3	5											5	3		
5.	Г. № 20-1/18	25-30	max		3	5											5	3	1	
6.	Г. № 20-1/14	25-30	max		2a	3a	A	L	A	A							L	L		
7.	Г. № 27/8	25-30	max			4														
8.	Г. № 21/8	25-35	max	4	4a	C A a		5a						5		A	4			
9.	Г. № 20-2/3	30-35	max		3	4	4b	4b	3b					2	4	3				
10.	Г. № 11 a-1	30-40	max	3a	4	L		2						2		6a	5a	3a		
11.	Г. № 22	30-40	max		5	6a	5a	5a						5a	6a	5a				
12.	Г. № 21/2	30-40	max		3a	4a	3a	3a		4			3	3a	3	4a	3	2		
13.	Г. № 9/3	30-40	max	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	3	3	5				
			mand	3C a	3a	4							3	3a	3a	3	4	3		
14.	Г. № 27/3	35-45	max	1 a	3a	4b										4a	4a			
15.	Г. № 21/1	35-45	max		4a	4								3a	3a	4a	4a			
16.	Г. № 21/11	35-45	max	A		8b		6							8	6	7			
17.	Г. № 21/10	35-45	max		3a	4a	4a	4						4	4	4	3			
18.	Г. № 5	35-45	mand	L	A		L	LA	LA	A	L	A	L	A	L		L	L		
19.	Г. № 27/10	35-45	max	L	L	8a		L	L						L	L	5			
20.	А. № 1/4	35-45	max	-	-	-	5	6		6a				5a	7	6	7b	4b		
21.	Г. № 27/4	40-50	max	L	5a	6a	5a	6a							5a	6a	5a	L		
22.	Г. № 21/9	45-55	max	L	L	L	L	L	A			L	L	L	L	L	L	L		
23.	Г. № 9/2	45-55	max	-	-	-	-	-	-	-	-	-	-			5a				
24.	Г. № 20-1/16	45-55	max		4a											6a	5a			
25.	Г. № 18/2	45-55	max	L	L	LA		A	A		A	A	A	A	A	L	L	L		
26.	Н. № 4/2	50-55	max			8A	A	L	6a											
27.	Н. № 5/2a	50-55	max	-	-	-	L	L	L	L	L				L	L	-	-		
			mand		A	L	L	L	L	L	L	L	L	LA	-	-	-	-	-	
28.	Г. № 20-1/19	50-55	max	L	L	L						L	LA	A		L	L	L		
29.	Н. № 1/4	50-60	max	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L		
30.	Г. № 27/9	50-60	max	L	L	L	7	8A	L	L				C	7	7a	8			
31.	Г. № 20-1/12	55-65	max	L			L											L		

Таблица 2. Индивидуальные данные зубных патологий (жен.)

П	№ погребения, /индивида	Возраст	max/ mand	Индивидуальные данные зубных патологий (жен.)																
				Правый							Левый									
				M ³	M ²	M ¹	P ²	P ¹	C	I ²	I ¹	I ¹	I ²	C	P ¹	P ²	M ¹	M ²	M ₃	
1.	Н. N 10/22	10-11	max	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
			mand			1	3							1Eh		3				
2.	Н. N 5/2 b	10-12	max	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	1a	-	-	-	-	-	-
			mand	X	1	1							2a	-	-	-	-	-	X	
3.	Н. N 26	12-15	max	X	1	1	1	1							1	1	1	1	X	
			mand	X	1	2	1	1	1	2	3	3	2	1	1	1	2	1	X	
4.	Н. N 8	15-18	max	X	1	3	1													
			mand	X	-	-	-	-	3						1	1	1	1	X	
5.	Г. N 15/10 19	15-17	max			1														
6.	Г. N 18/1	15-17	max		2												2	2a		
7.	Г. N 27/1	15-17	max		1	3											2			
8.	Г. N 28/1	18-22	max		1	2									2		2	1		
9.	Г. N 21/5	18-22	max		2	4b						A L	A,L	A			4	2		
10.	Г. N 33/1	18-22	max	-	-	-	3	2a	3	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
11.	Г. N 11/26	18-22	max	-	-	4								2			4	2		
12.	Н. N 4/5	18-22	max	X	1	4a	1a	1a								2a	4a	1	X	
13.	А. N 1/5	25-30	max	1	3	4a	3	2					2	Eh3a	2a	4a	4a	2		
14.	Г. N 21/4	25-30	max	2	2a	4a	4a	4a				A	4a	4a	4a	4a	4a	2	2	
15.	Г. N 21/3	25-30	max		3	5	5	3a							3	3	5	3		
16.	Г. N 9/6	25-30	max	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	3C	4C	4C	4C	2	
17.	Г. N 10-14	25-30	max		4	4b											4	3		
18.	Г. N 15/8	25-30	max			5			2								5	3		
19.	Г. N 6	25-30	max	-	-	5									2		5	4	2	
20.	Г. N 27/7	25-30	max		3C a	4a											4a	3C a		
21.	Г. N 28/2	25-30	mand	L	L	L	A					L	L	L, A			L	L	L	
22.	Г. N 18/4	25-35	max														4			
23.	Г. N 21/13	25-35	max		5C a	4C a	4a	5 b							6	5C	L	6a	L	
24.	Г. N 21/7	25-35	max		L				3a	2a			L	L	A		A			
25.	Г. N 9/7	30-40	mand																	
26.	Г. N 20-1/20	30-40	max	2	A	A										6	L	L		
27.	К. N 3/2/2	30-40	max	2a	4a	L	A								8	7	L	L		
28.	Г. N 15/9	35-40	max		L											5	4			
29.	Г. N 21/6	35-40	max		5	7a											CA	5		
30.	А. N 1/3	40-45	max	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	5	L	7CA			
31.	Г. N 8	45-50	max	4C	5C a	8a		A				-	-	-	-	-	-	-	-	

32.	Г. N 23	45-55	max	L	L	L	8						A	L	L	L	L
33.	К. N 3/2/1	50-55	max	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L
34.	Н. N 23	60-65	max	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	-	-
			mand	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	L	-	-



Рис. 1. Неркин Геташен 21/8 (муж. 25-35)

Правосторонний кариес первого моляра верхней челюсти, ассоциированный с абсцессом.




Рис. 2. Неркин Геташен 21/6 (жен. 35-40)

Левосторонний кариес первого моляра верхней челюсти, ассоциированный с абсцессом. Вид с боку



Рис. 3. Вид снизу



Рис. 4. Неркин Геташен 20-1/20 (жен. 30-40)А Абсцесс верхней челюсти




Рис. 5. Неркин Геташен 18/2 (муж. 45-55) Мульти абсцесс верхней челюсти

Что же касается высоких по сравнению с мужчинами показателей патологий женской молодежной группы, то не исключено, что они связаны с процессами беременности и деторождения.

Ключевые слова: бронзовый век, биоархеология, абсцесс, кариес, эмалевая гипоплазия

Литература

1. Бужилова А.П. (1995), Древнее население. Палеоантропологические аспекты исследования, БАН, Москва, 218 стр.
2. Воронцова Е.Л., Мкртчян Р.А. (2014), Изучение вариабельности строения черепов из могильника Неркин Геташен (Республика Армения) Вестник Московского университета, серия XXIII антропология, N 1, Москва, стр. 57-74.
3. Мкртчян Р.А. (2003) Палеодемография могильника Неркин Геташен, «Древняя культура Армении» N 3, Ереван, стр. 46-52
4. Мкртчян Р.А. (2008) Палеодемография Армении эпохи бронзы и раннего железа, “Актуальные направления антропологии”, Москва, стр. 157-159.
5. Goodman A.H., Martin D.L., Armelagos G.J. (1984), *Indications of stress from bone and teeth, Paleopathology at the origins of agriculture*, London, Orlando, pp. 13-44.
6. Mkrтчyan R.A., Simonyan H.A. (2013), *Vorbericht zur Paläoanthropologie des Skelettmaterials von Norabak I und Sotk 2/Archäologie in Armenia II*, Band 67, pp. 81-84.
7. Smith A., Badalyan R., Avetisyan P. (2009), *The foundations of research and regional survey in the Tsaghkahovit plan, Armenia*, The archaeology and geography of ancient transcaucasian societies, Volume I, Chigaco, 494 p.

Mkrtchyan R. A.

Candidate of Historical Sciences, lecturer of the Department of Culturology, Faculty of History at Yerevan State University (YSU), Armenia

Bioarchaeology of the Bronze Age population of Gegharkunik region

Summary

To sum up, the small number of cases of enamel hypoplasia in the Bronze Age paleopopulation of Gegharkunik can be viewed as a result of absence of nutritional stresses. Low markers of caries can be explained by abundance of seafood and dietological preferences for fish, hindering demineralization of the dental system.

Reasons for high frequency of abscess can be the pathogenic urbanized environment (Late Bronze Age); the concentration of this pathology among individuals of the particular family burial (N 21, Nerqin Getashen), which is explained by a genetical factor; and a very high degree of teeth abrasion. Exposure of the pulp cavity through abrasion associated with a lytic process at the root apex has been an important diagnostic feature favoring infection and abscess.

Key words: Bronze Age, bioarchaeology, abscess, caries, enamel hypoplasia.

დავით სართანია¹, დალი ნიკოლაიშვილი²,
ავთანდილ უჯმაჯურიძე³, გია ჩხიკვიშვილი⁴

¹ თსუ მუზეუმი, davit.sartania@tsu.ge

² თსუ, გეოგრაფიის დეპარტამენტი, dali.nikolaishvili@tsu.ge

³ თსუ, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, avt.ujmajuridze@gmail.com

⁴ ნიკო ბურის ლიცეუმი, giachkhikvishvili@gmail.com

ივანე ჯავახიშვილის ერთი რუკის შესახებ – „საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით“

ივანე ჯავახიშვილის ხელდასხმით შექმნილ მცირერიცხოვან რუკებს შორის "საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით" განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი პირველად გამოიცა 1930 წელს და თან ერთვის დანართის სახით ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე გამოცემას. რუკის ორიგინალი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. [საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივი, № 364].

რუკა წვრილმასშტაბიანია: 1:2,100,000 (1 სმ-ში 21 კმ) და შედგენილია მეტრულ სისტემაში. შესრულებულია ქალაქზე, შავ-თეთრი ტონალობით (ნახ. 1).



ნახ. 1. ივანე ჯავახიშვილის ბოტანიკურ-აგრონომიული არეების რუკა
წყარო: საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივი, № 364

როგორც თვით რუკის მინაწერებიდან ჩანს, იგი შესრულებულია ევ. ბარამიძის მიერ პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. თუმცა ეს მინაწერი არ უნდა გავიგოთ ისე, რომ რუკა ევ. ბარამიძემ შეადგინა, ხოლო ივ. ჯავახიშვილმა ნამუშევარს მხოლოდ რედაქ-

ტორობა გაუწია. რუკის შინაარსობრივი მხარე (არეების ტერიტორიული მომცველობის განსაზღვრა) შესრულებული უნდა იყოს თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ, რაც მისი ნაშრომის “საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ტექსტიდანაც ირკვევა. ავტორი აქ საკმაოდ დეტალურად აღწერს თითოეული ბოტანიკურ აგრონომიული არის გავრცელებასა და ამა თუ იმ კულტურის მოყვანის შესაძლებლობას. ამასთან ამავე გამოცემის წინასიტყვაობაში იგი მადლობას უხდის ტოპოგრაფი ევსევი ბარამიძეს რუკის დახატვისათვის. ე.ი. რუკის შედგენა ამ შემთხვევაში მხოლოდ მისი გრაფიკული ანასახის შექმნას ნიშნავს, ხოლო რედაქტორობა – შემოქმედებით, შინაარსობრივი სამუშაოს შესრულებას.

რუკის შესადგენად დიდმა მეცნიერმა ძველი წყაროები გამოიყენა: “სპეციალური მწერლობისა და წყაროების შესწავლა დამჭირდა, იძულებული ვიყავი აუარებელი დრო და ენერგია შემეღია ისეთი საკითხების გამორკვევისათვის, რომელიც ბოტანიკოს-აგრონომების მოვალეობას შეადგენს“, ამბობს მეცნიერი და მაშინდელ ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებში არსებულ მდგომარეობასაც გვისახიათებს: “ჩვენში სასოფლო მეურნეობის ისტორიის მკვლევარი არსადა სწანს და ამისათვის აუცილებელი წყაროების ენათა ცოდნაც ჯერ არავის გააჩნია“ [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 11]. ძველი ქართული წყაროებში დაცული ძვირფასი ცნობები უნდა საგანგებოდ დამუშავებულიყო, რომ გავგვეო ჩვენს წინაპრებს მოცემულ საკითხზე რა ცოდნა გააჩნდათ. მათ შორის კი უმთავრესი ადგილი უკავია ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებას “აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ [ვახუშტი ბაგრატიონი, 1941].

რუკის სამეცნიერო ღირებულება მრავალი კუთხით შეიძლება შეფასდეს. ჩვენ შევეხებით მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

- I. თემატური შინაარსს (ბოტანიკურ-აგრონომიული არეებს);
- II. ქვეყნის ისტორიულ საზღვარს;
- III. ძველ გეოგრაფიულ სახელწოდებებს;
- IV. დასახლებული პუნქტების ტიპებს;
- V. ძირითად სამიმოსვლო გზებს;
- VI. პირობითი აღნიშვნების სისტემას.

რუკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს **ბოტანიკურ-აგრონომიული თვალსაზრისით** [I]. ივანე ჯავახიშვილის არ მიუღია სპეციალური აგრონომიული განათლება. მიუხედავად ამისა, მის მიერ შედგენილი “საქართველოს ეკონომიური ისტორია“ და “საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით“ აშკარა საბუთია იმისა, რომ იგი ღრმად განსწავლული მეცნიერი იყო, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა როგორც ეკონომიკურ, ასევე აგრონომიულ საკითხებში. როგორც ნ. კეცხოველი აღნიშნავდა, “ვახუშტის შემდეგ (1742 წლიდან) XX საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულამდე საქართველოს კულტურულ მცენარეთა ზონალობას ასე სრულად არავინ შეხებია. თუ კავკასიის მკვლევარნი ამ საკითხზე წერდნენ, ამას ან შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ან კულტურულ მცენარეთა ერთ რომელიმე განსაზღვრულ სახეობას ან ჯგუფს ეხებოდნენ, ანდა სხვა რაიმე საკითხთან დაკავშირებით მოიხსენიებდნენ“ [კეცხოველი, 1957. გვ. 5].

თუმცა რუკის ღირებულება თემატური შინაარსის ვიწრო ჭრილში, მხოლოდ ბოტანიკურ-აგრონომიული არეების მიხედვით არ უნდა დაეინახოთ. ივ. ჯავახიშვილის ხედვა გაცილებით სცილდება ამ საზღვარს. რუკა შესაძლებლობას იძლევა, ბოტანიკურ-აგრონომიული ზონების მეშვეობით, განისაზღვროს აგროსამეურნეო საქმიანობის ტრადიცია ძველ საქართველოში. ეს კი არა მარტო სამეურნეო ურთიერთობებზე გვიქმნის წარმოდგენას, არამედ ქვეყნის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც ღირებული ინფორმაციაა. ძველი წყაროების ანალიზის საფუძველზე, ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ “ქვემოთმოყვანილი ყველა ცნობების თავისდათადაც და რუკის დახმარებითაც შესწავლა მკვლევარს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის შესაძლებლობასაც ზედმიწევნით გაუთვალისწინებს და ჩვენი ქვეყნის წარსულისა როგორც ეკონომიური, ისევე პოლიტიკური ისტორიის არაერთ მნიშვნელოვან საკითხსაც სისწორით გაარკვევინებს...“

[ხაზგასმა – ავტ.] უკვე ბოტანიკურ-გეოგრაფიულია და აგრონომიული არეების ზოგადი მიმოხილვაც-კი ადამიანს ფრიად საგულისხმო სურათს გადაუშლის...“ [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 331].

ამდენად, მეცნიერის კვლევა-ძიების პრაქტიკული შედეგი ყოფილა:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის შესაძლებლობის გათვალისწინება;
- საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის სხვადასხვა საკითხების გარკვევა.

1930 წელს, როდესაც მეცნიერმა თავისი გადამუშავებული „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ გამოსცა, უკვე საზღვრების შესახებ 1919 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია მოიხსენია და დაწერა: „საქართველოს საზღვრების ისტორიულ-ეკონომიკურ მიმოხილვაში უკვე ამ თეორიული წლის წინათ აღნიშნული მქონდა, რომ საქართველოს მიწა-წყალი „მთლიან ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიკურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული“ [ჯავახიშვილი, 1996. გვ. 335].

სანამ ამ ციტატას მოიყვანდა, მან საგანგებო კვლევა ჩაატარა და დაახლოებით 200 გვერდზე გადმოსცა საქართველოს აგრო-ბოტანიკური დახასიათება. ამის საფუძველზე ამბობს მეცნიერი „საქართველოს მიწა-წყლის სასოფლო-სამეურნეო არეების დაწვრილებით და ზოგადი დახასიათების შემდგომ, ეხლა აგრონომიული და ეკონომიკური ფაქტორების ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრიობისათვის უაღრესი მნიშვნელობის განსაზღვრა წინანდელზე უფრო ვრცელად და არსებითად შეგვიძლიან“ [ჯავახიშვილი, 1996. გვ. 335].

ამდენად, ივანე ჯავახიშვილი ამბობს ახალი კვლევა-ძიების შედეგად წინანდელზე უკეთ „აგრონომიული და ეკონომიკური ფაქტორების“ მნიშვნელობაზე საუბარი და მათ „ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრიობისათვის უაღრესი მნიშვნელობის განსაზღვრა“-ც შეგვიძლიაო. ამით ხომ ისიცაა ნათქვამი, რომ სახელმწიფოებრიობა არაა მხოლოდ პოლიტიკურ-სამართლებრივ ჩარჩოში ჩატეული ფენომენი. იგი სამეურნეო მოღვაწეობის სფეროცაა. უფრო სწორად არ არსებობს სახელმწიფოებრიობა ასეთი მოღვაწეობის გარეშე. ეს სტრიქონები დაწერილია 1930 წელს, როცა საქართველო ე.წ. სსრკ-ში შედიოდა და მისი სახელმწიფოებრიობა ფიქცია იყო. მაგრამ ეს ფიქციაც აძლევდა მას საშუალებას ასე დაეწერა, რამეთუ ყოველი მოღვაწე ვალდებულია მომავლისკენ იხედებოდეს.

ივანე ჯავახიშვილის კვლევით საქართველო ძირითადად განფენილია სამი მდინარის – მტკვრის, ჭოროხისა და რიონის აუზებში. ეს სივრცე კი ბუნებრივი პირობებით მრავალფეროვანია, და ძალიან განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ამიტომაც ჩვენში არსებული ურთიერთგანსხვავებული აგრო-ბოტანიკური ვითარებაც ამ ბუნებრივ პირობებზეა დამარბული. შესაბამისად განსხვავებულია და მრავალფეროვანი აქ მცხოვრებ ქართველების ყოფა. მიუხედავად ამ განსხვავებულობისა და მრავალფეროვნებისა ქართველი ხალხი ერთი ერია და საქართველოც ერთი მთლიანი კულტურული და პოლიტიკური სხეულია.

ივ. ჯავახიშვილი ქმნიდა რა ქართველი ერის ისტორიას, ქვეყნის მიწა-წყალს ერთ მთლიან სხეულად წარმოაჩენდა, რომელიც „ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიკურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული“ [ჯავახიშვილი, 1998. გვ. 495]. სწორედ საქართველოს გარემო პირობების მრავალფეროვნებამ განაპირობა ის, რომ ქვეყნის ტერიტორიზე ოდითგანვე სრულიად განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაცია ჩამოყალიბდა: დასავლეთ საქართველოს ბარში: ვენახ-ხილიანი, რომელსაც ზოგან უვენახ-ხილო, ზოგან თურინჯ-ნარინჯის ბოტანიკურ-აგრონომიული არე ენაცვლებოდა. აღმო-

საგლეო საქართველოს ბარში კი ვენახ-ხილიანს მის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში ზამთრის საძოვრები ენაცვლებოდა. მთაში კი უვენახ-ხილო და ბალახ-ყვავილოვანი არეები იყო წარმოდგენილი, სადაც მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეკავა. ამგვარად, „...განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით ყოველ თემს ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ, არც ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა. მთა ადგილების მეკიდრთ თავიანთი საკუთარი არც ღვინო და არც ხილი არ შეიძლება ჰქონოდათ, ბარელებს თავის მხრივ, რასაკვირველია, ხორბლეულისა და ქთილეულის ის სიუხვე უნდა შეჰშურებოდათ, რომელიც საქართველოს მაღლობ თემებს გააჩნდათ.

ამას გარდა, წერილფეხა საქონელს მაღლობი ადგილების სუსხიანი ზამთრისა და თოვლიანი, უბალახო პირობების ატანა არ შეეძლო. ამიტომ მესაქონლეობის მიმდევარი მთის მცხოვრები ცხვრის ფარას ზამთრობით თავის თემში ვერ დასტოვებდა. მას თავისი საქონლისათვის ბარის თბილი და ზამთრის საძოვრიანი ადგილები აუცილებლად სჭირდებოდა. თავის მხრით ბარის მცხოვრებსაც საკუთარი წერილფეხა საქონლის ზაფხულობით ბარად დატოვება არ შეეძლო, რადგან ცხვარს არც აქაური სიციხის ატანა შეეძლო და არც საკმაო საძოვარი ექმნებოდა“ [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 336].

აქედან კი შემდეგი დასკვნა კეთდება: „ამრიგად, ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოთ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი, ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმოდ მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებმცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა“ [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 337].

ასეთი ანალიზის მერე ივანე ჯავახიშვილი ქართველი ერის კონსოლიდაციისა და ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველზე აკეთებს ლოგიკურ და ლაკონურ დასკვნას: „ამ გეობოტანიკური და ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით, ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი, ვითარცა მტკვრის აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთ ნაკლულევანების პარამონიულად შემავსებელი არეები, ჩამოინაკვეთენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად და ერთ სამეფოდ იქცნენ და მხოლოდ შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოც გაერთიანდა“ [ჯავახიშვილი, 1996. გვ. 337].

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც მგონი ნათელია, ვინ იყო ივანე ჯავახიშვილი და რა ამოდრავებდა მას როცა სამეცნიერო კვლევის შემდეგ საკუთარი დასკვნების გადმოცემა რუკების სახითაც ცდილობდა: მან ბუნებრივი პირობების ისტორიულ პროცესთან ურთიერთკავშირის განხილვით გარკვეულ სივრცე შემოხაზა და გვაჩვენა თუ რა ფარგლებშია ქართველთა სამშობლო მოქცეული.

ამ ზოგადი სურათის წარმოდგენით მეცნიერმა აჩვენა საქართველოს ცალკეული მხარეების ერთმანეთთან ეკონომიკური კავშირის ბუნებრივად ჩამოყალიბება, რომელიც მთელს სივრცეს ერთიან, ურთიერთგანმაპირობებელ და ამდენად განუყოფელ ერთეულად აქცევდა. ეს კი თავის მხრივ, ამ სივრცეში მცხოვრები ადამიანების ერთმანეთთან სასიცოცხლოდ დაკავშირებას უწყობდა ხელს, რომელიც საბოლოოდ აქ დასახლებული ადამიანების ერთ ორგანულ მთელად ანუ ერთად კონსოლიდაციას განაპირობებდა. მეტიც, ყველაფერი ეს ამ ერის სახელმწიფოებრივ ფორმირებასაც განსაზღვრავდა. სწორედ ეს იყო ამ ეკონომიკური საკითხის პოლიტიკური სპექტრი.

მაშასადამე, ის რაც იკვლია ივანე ჯავახიშვილმა და „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ სახით ჩამოყალიბდა მეტი თვალსაჩინებისათვის რუკითაც გამოსახა.

საკვლევ რუკაზე მოცემულია **6 ბოტანიკურ აგრონომიული არე**, რომელთა სასოფლო-სამეურნეო შეფასებასაც იძლევა ივ. ჯავახიშვილი:

1. თურინჯ-ნარინჯის
2. ბრინჯ-ბამბის

3. ვენახ-ხილიანის
4. უვენახ-უხილო
5. ბალახ-ყვავილოვანი
6. ზამთრის საძოვრები

თურინჯ-ნარინჯის ბოტანიკურ აგრონომიული არე ყველაზე მცირე გავრცელები-საა. წარმოდგენილია მხოლოდ კოლხეთის ბარის ზოლში მცირე ფრაგმენტების სახით – შავი ზღვის სანაპიროს სიახლოვეს აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის ფარგლებში. სამხრეთ ზღვისპირა ვაკეებზე – მდ. ჭოროხის ქვემო წელში – კახაბრისა და გონიოს ვაკეებზე, ერგესა და ლიგანის ხეობებში შედარებით მოზრდილ და უწყვეტ არეაღს ქმნის. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ კოლხეთის ბარის სამხრეთ ნაწილში თუ-რინჯი და ნარინჯი თითქმის ყველგან იყო გავრცელებული, ხოლო ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში – ფრაგმენტულად. ეს სუბტროპიკული კულტურების გავრცე-ლების არეა, სადაც ხელსაყრელი ოროგრაფიული, კლიმატური და ნიადაგური პირობე-ბი ამ კულტურების მაღალ მოსავალს იძლეოდა.

ბრინჯ-ბამბის ბოტანიკურ აგრონომიული არე ვრცელდებოდა როგორც დასავლეთ, ისე მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, თუმცა *“ბრინჯ-ბამბის არე კუხეთის ბარი, ვაღმა-მხარი, მეტადრე ენისელი, გარე-კახეთში ივრის სანაპიროები ითვლებოდა...”* [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 332]. არე მოიცავდა მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროს, მდ. ივ-რის ქვემო წელის ორივე მხარეს და ქვემო ქართლის ტერიტორიას რუსთავე-იალღუჯა-ხუნანის ფარგლებში. ერთი მცირე ფრაგმენტის სახით ეს არე წარმოდგენილია მდ. ივ-რის შუა წელში, თანამედროვე ქ. საგარეჯოს სიახლოვეს. ამრიგად, ეს ბოტანიკურ აგ-რონომიული არე უმთავრესად კახეთსა და ქართლში ყოფილა წარმოდგენილი. *“ქარ-თლში მხოლოდ ქვემო-ქართლის დაბლობში მოდიოდა ბრინჯ-ბამბა, სახელდობრ, დებე-დას ხეობაში, ალაგეთის ხეობაში მტკვრის შესართავითგან მოყოლებული იალღუჯამ-დის და ქციის ხეობაში ნახიდურითგან ნაჯბადინამდის”* [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 332]. ნიშანდობლივია, რომ ეს ორი კულტურა, რომელიც ძველად ზონალურად იყოს წარ-მოდგენილი, თანამედროვე პერიოდში ფაქტობრივად არსად არ მოჰყავთ.

“საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში” ივ. ჯავახიშვილი მას ოდიშსა და გურია-შიც ასახელებს. ამ ფაქტის დამადასტურებელ რამდენიმე ციტატას მოვიყვანთ: *“გურია-ში შედარებით ნაკლებ ყოფილა გავრცელებული, სამაგიეროდ განსაკუთრებით აღსა-ნიშნავია, რომ ოდიშის ნიადაგიცა და ჰავაც ბრინჯის კულტურისათვის იმდენად კარგი აღმოჩენილა, რომ ეს მცენარე იქ თურმე მოურწყავადაც ხარობდა”*; *“...ჭანეთში ეხლაც ყოფილა ბრინჯის ადგილობრივი, მუქი, მაგრამ გემრიელი ჯიში, რომელიც თურმე ურ-წყავი, მთაშიც-კი ხარობს და მშრალ ადგილებშიც იზრდება...”*; *“ოდიშში ბრინჯის იმ-დენად ინტენსიური კულტურა ყოფილა, რომ სავარეო ექსპორტის საგნადაც ქცეულა. იგივე არქ. ლამბერტი ამტკიცებს, რომ სამეგრელოში ბრინჯი იმდენად ბლომად მოდი-ოდა, რომ არამცთუ აქაურებს ჰყოფნის, “არამედ მიაქვთ ოსმალეთის გემებსაც, რომელ-ნიც აქ მოდიან“-ო”* [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 381]. აგროკულტურის სწორედ ამ მაღალი ღირებულებების გამო, ივ. ჯავახიშვილი გამოთქვამს სურვილს, რომ აგრონომებმა ჭა-ნურ და ოდიშის ბრინჯებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, გამოარკვიონ მათი რაობა და ღირებულება.

მეტად საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ივ. ჯავახიშვილი ბრინჯის დასავ-ლეთ საქართველოში გავრცელების თაობაზე. იგი ვარაუდობს, რომ ხელსაყრელი კლი-მატური და ნიადაგური პირობების გამო, აქ ბრინჯის კულტურა დიდი ხნის წინათ უნ-და ყოფილიყო ფართოდ გავრცელებული და არც აღმოსავლეთ საქართველოთაგან არ უნდა შემოსულიყო აქ. ამ მოსაზრებას გასამყარებლად მოჰყავს XVII და XVIII საუკუ-ნის ავტორთა ცნობები, *„რომ სამეგრელოში ბრინჯის მოყვანას დიდი ხნის წარსული უნდა ჰქონოდა და ფართოდაც ყოფილა გავრცელებული“* [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 381].

ვენახ-ხილიანი ბოტანიკურ აგრონომიული არე გაცილებით დიდ ფართობზე იყო გადაჭიმული როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და მიმდებარე მთისწინეთში. იგი მოიცავდა შავი ზღვის მთელ სანაპიროსა და მიმდებარე მთისწი-

ნეთს მდ. დალიძის ხეობიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართლებით ქვეყნის უკიდურეს საზღვარმდე. დასავლეთ საქართველოში მას ეკავა აგრეთვე კოლხეთის ბარის აღმოსავლეთი ნაწილი და ეს არე დიდ მდინარეთა ხეობებში (რიონის, ცხენისწყლის, ყვირილის) ღრმად იჭრებოდა. ეს ის ხეობებია, სადაც დღესაც მოჰყავთ საუცხოო ჯიშის ვაზი და მათგან არომატულ ღვინოებს ამზადებენ. აღმოსავლეთ საქართველოში ვენახ-ხილიანი არე მოიცავს შიდა ქართლის ვაკესა და მიმდებარე მთისწინეთს, ქვემო ქართლისა და ალაზნის ვაკეების მიმდებარე, პერიფერიულ ტერიტორიებს. ეს არეალიც გამორჩეულია მევენახეობისა და მეხილეობის განვითარებით.

მევენახეობა ოდითგანვე დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის სამეურნეო განვითარებაში. ამაზე მრავალი გარემოება მეტყველებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვან არგუმენტს თვით ივ. ჯავახიშვილი ასახელებს: *“ძველი საქართველოს ეკონომიკაში, მეტადრე სასოფლო მეურნეობაში, მევენახეობა-მეღვინეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დარგის უაღრესობა ქართველი ერის ყოფაცხოვრებისა და ქონებრივი კეთილდღეობისათვის იმ საგულისხმო გარემოებითაგანც ჩანს, რომ მიწა-წყალის ორ მთავარ გეოგრაფიულ და ბოტანიკურ-ეკონომიურ ნაწილად, მთად და ბარად, გაყოფა, როგორც დავრწმუნდით,, სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამყარებული... “ვახუშტის თხზულებითგან ჩანს, რომ უძველესი დროითგან საქართველოში მიღებული ქვეყნის ორად დანაწილება, ბარად და მთად, გეოგრაფიულ თავისებურებთან ერთად, იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა. მთის ზოლის თვისებას ამ მხრივ უვენახობა, უხილობა და მარცვლეულობის მოსავლის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისას-კი სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და “მოსავლიანობა...“ [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 314].*

საქართველოში ვაზის უძველესი ჯიშების გავრცელების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების სხვადასხვა დარგისათვის. იგი ხშირად იმის გარკვევის შესაძლებლობას იძლევა, რაც მეტად ღირებულია ბოტანიკოს-ამპელოგრაფებისათვის, მევენახეობის სპეციალისტებისათვის, ისტორიკოს-ეკონომისტებისათვის და ენათმეცნიერებისათვის, გეოგრაფებისათვის.


ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით ძველად მთისა და ბარის გამოჯენა მოიაზრებოდა არა მარტო გეოგრაფიული, არამედ სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისითაც. ამიტომ ძველ წყაროებში აღნიშნული ბარისა და მთის გავრცელების არეალის (და აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ მცენარის, ცხოველის, დასახლებული ადგილების, სამეურნეო საქმიანობის ხასიათის და ა.შ.) დადგენისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მათ შორის ჰიფსომეტრიული საზღვრის გატარების ძველი პრაქტიკა. თუმცა საგულისხმოა გამონაკლისებიც. კერძოდ, ლენხუმის შემთხვევაში, ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: *“არს ლენხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალინი...“*; ე.ი. მთიანია, მაგრამ ვენახ-ხილიანიო [ნიკოლაიშვილი, 2007].

„საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ ივ. ჯავახიშვილს მოცემული აქვს ვაზის ჯიშების გავრცელება საქართველოს ცალკეული მხარეების მიხედვით. როგორც იგი აღნიშნავს, *„...საქართველოს ყველა თემში ჯერჯერობით ყურძნის 250 სახელწოდება გვექმნება აღნუსხული, ხოლო თუ თეთრსა და შავ-წითელსა და სხვა სახესხვაობასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა საერთო რიცხვი 287 იქმნება“*. მონაცემთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ვაზის ჯიშების მაქსიმალური რაოდენობაა კახეთში, გურიასა და რაჭაში, სადაც თითოეულ ამ კუთხეში 60-ზე მეტი ჯიშის ყურძენი აქვს ივ. ჯავახიშვილს დასახელებული (ნახ. 1). მათი ყველაზე მეტი სიმცირეა პერეთსა და კახეთში.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, ორივეგან ივ. ჯავახიშვილი ასახელებს ყურძნის 23 ჯიშს: ბუდეშური, განჯის-ყურძენი, დამპალა, თითა, თხლაფა, კაპისტონი, კუმსი, მელისკუდა, მულრია, მცვივანი, მწვანე, რკო, რქა-წითელი, სააბი, საკმელა, საფერავი, ტრედის-ფეხა, ფერადი, შავი ყურძენი, ცხენის-ძუძუ, ძელშავი, ხარისთვალა და ხიხვი. მათ შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულად საფერავად და მწვანედ წოდებულ ჯიშებს მიიჩნევს. ზოგიერთ ჯიშზე იმასაც აღნიშნავს, რომ წარსულში მათ

გავრცელების არე გაცილებით უფრო ფართო ჰქონდალ: „...ხარისთვალა კახეთითგან მოყოლებული ჭანეთამდის აღწევს და კახეთშიც, ქართლშიც, სამცხეში, იმერეთსა, გურიაში, აჭარაში და ჭანეთშიც არის, სადაც თოლი-მხსუმ ყურძენი ეწოდება. პირველი სიტყვის ჩამოცილებით ამ ჯიშის სახელი ჩხუში აჭარაში და სამეგრელოში ჩხუნეში-ს სახით მოიპოვება, სადაც მაშასადამე თეთრი ხარისთვალა ეწოდება ისევე, როგორც ქართლში, იმერეთსა და მესხეთშიც თეთრი ხარისთვალა, კახეთში კი შავიც არსებობს, ხოლო გურიაში მარტო შავი ხარისთვალაა ცნობილი“ [ჯავახიშვილი, 1996. გვ. 528].

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „წყაროთა სიმცირისა და ცნობათა სიმოკლისდა მიუხედავად, მაინც შესაძლებელია ზოგადად ისიც გამოარკვიოს ადამიანმა, თუ რა მოჰყავდათ ძველად ჩვენ წინაპრებს თავიანთ მტილ-სამოთხეებსა და ბაღ-წაღკოტებში და როგორ ჰქონდათ სასოფლო მეურნეობის ეს დარგი მოწყობილი“. ამასთან ამბობს, რომ „ჯერჯერობით მხოლოდ VI ს-ითგან მოყოლებული მოგვეპოვება ძეგლები, რომლებშიც მტილ-სამოთხეთა ვითარების გასათვალისწინებლად კონკრეტული ცნობებია დაცული“-ო [ჯავახიშვილი, 1996. გვ. 110].



ნახ. 1. ვაზის ჯიშების განაწილება საქართველოს თემებში (ივანე ჯავახიშვილის მიხედვით)

უვენახ-ხილო ბოტანიკურ აგრონომიული არე გადაჭიმულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში და თითქმის მთლიანად უწყვეტ არეაღს ქმნის. იგი მოიცავს საშუალო მთის სარტყელს კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მთიანეთების ფარგლებში. ერთადერთი გამონაკლისია მდ. რიონის ქვემო წელის მიდამოები, ქ. ფოთის ირგვლივ, სადაც უვენახ-ხილო არე მცირე ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი. ჩრდილოეთიდან მას ბრინჯ-ბამბის, ხოლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ვენახ-ხილიანი ბოტანიკურ აგრონომიული არე ესაზღვრება. აღნიშნული არის გავრცელების შესახებ, ივ. ჯავახიშვილი ერთ საინტერესო დასკვნას აკეთებს: „... დასავლეთ საქართველოში უვენახ-ხილო არე, ბუნებრივი პირობებისა და პავის გამო, გაცილებით უფრო ნაკლებ იყო, ვიდრე ამერეთში. აქ უვენახ-ხილო ზოლს ეკუთვნოდა უმთავრესად დადოსა და გურიის მთების ზედა, ტყიანი ხაზი და რაჭაში შქმერი, ჯეჯორის ხეობა კუდაროს ზევით, რიონის ხეობა ჭიდროთას ზევით და მთიანი ადგილები, დასასრულ, რასაკვირველია, სვანეთიც მთლიანად“ [ჯავახიშვილი, 1996. გვ. 335].

ბალახ-ყვავილოვანი ბოტანიკურ აგრონომიული არე გადაჭიმულია კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მაღალმთიან ზოლში. იგი ის არეა, სადაც მაღალი მთის სუბალპური და ალპური მდელოებია, რომელსაც ოდითგანვე ზაფხულის საძოვრებად

იყენებდნენ. ჯავახეთის ზეგანზე არეს დიდი სივრცე უკავია. ფაქტობრივად მთელს ამ მხარეში ზაფხულის მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეკავა. ამიტომ თავის ნაშრომებში ივ. ჯავახიშვილი სწორედ ამ მხარეს ასახელებს ბალახ-ყვავილიანად: „*უტყეო და ბალახიან-ყვავილიან სივრცეს ჯავახეთი, ფოსო, ერუშეთი, არტაანი და კოლა წარმოადგენდნენ... ასეთივე თვისებისა იყო ოლთისის ხეობა ნარუშაკს ზევით, ტაოს მაღლობები, იდი და ნარუშაკი, ბასიანი, თორთოშის ხეობა ხახულს ზევით. აქ მთური ზოლი იყო და მთური კულტურა ხარობდა მხოლოდ. ბალახ-ყვავილიანობის წყალობით აქ ვრცელი და საუცხოვო საზაფხულო საძოვრები იყო*“ [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 334]. ამ გარემოებამ განაპირობა, რომ აქ ოდითგანვე კარგად განვითარდა მესაქონლეობა, მისგან განსვავებით კი ნაკლებად კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მთიანეთში – ასე ფართოდ არა. აი, რას წერს ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი: “*საზაფხულო საძოვრების სიუხვე და სივრცე უმთავრესად საქართველოს სამხრეთ ნაწილში მოიპოვება, ჩრდილოეთით მდებარე საზაფხულო საძოვრებს-კი, საქართველოს ამ საზღვრებში მიწისა და ფართო ვაკე ადგილების სიმცირის გამო, შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს*“ [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 335].

ზამთრის საძოვრების ბოტანიკურ აგრონომიული არე ვრცელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ბარში – ივრის ზეგანზე, მდინარეების მტკვრისა და ივრის ხეობების ორივე მხარეს. სამეურნეო თვალსაზრისით ეს არე უდიდეს როლს ასრულებდა, ვინაიდან იგი ერთადერთი ვრცელი არე იყო, სადაც ზამთარში პირუტყვის გამოზამთრება იყო შესაძლებელი და რაც მთაში მესაქონლეობის განვითარების შესაძლებლობას იძლეოდა. სწორედ ამ და მსგავსი გარემოების გამო წერდა ივ. ჯავახიშვილი, რომ მთისა და ბარის მოსახლეობის სამეურნეო ურთიერთდამოკიდებულებისა და საჭიროების შესახებ.

ამრიგად, ივანე ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აგრონომიული არეების შესწავლას საქართველოსათვის. მეურნე სახლდებოდა იქ, სადაც მოხერხებული იყო საცხოვრებლად და დასახლებების გასაშენებლად, აგრეთვე სოფლის მეურნეობის საწარმოებლად. ამასთან მეურნე იმ მეურნეობას ავითარებდა, რომელიც კონკრეტული აგრონომიული არესათვის იყო შესაფერისი.

ყურადსაღებია ორი ტერმინი, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ასახელებს საძოვრებთან მიმართებაში: “*საძოვარი*“ და “*სასაძოვრე*“. აი, რას წერს იგი: “*საქონლის გამოსაკვებად განკუთვნილ მიწას “საძოვარი” ერქვა.. როგორც ამ ადგილითგანაც ჩანს, საძოვრად ჩვეულებრივ მხოლოდ კორდ-გაუტყეხელი მიწა იხმარებოდა... საძოვარი“ ისეთ ადგილს ეწოდებოდა, რომელსაც საქონელი ჩვეულებრივ სძოვდა, “სასაძოვრე“-კი ისეთ ადგილს ჰნიშნავდა, რომელიც საძოვრად გამოდგებოდა, ან საძოვრად ქცევა შეიძლებოდა. ეს ტერმინი ისევეა ნაწარმოები, როგორც საყანე, სახნავი, სავენახე...*“ [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 159].

აღნიშნული რუკა მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს **სახელმწიფო საზღვრის შესწავლის** [II.] თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ რუკა 1930 წლით თარიღდება, როცა ქვეყნის ტერიტორია უკვე თითქმის მესამედით იყო შემცირებული 1921 წლის მდგომარეობასთან შედარებით, საქართველოს ტერიტორია კვლავ ძველ, ისტორიულ საზღვრებშია მოცემული. ეს გარემოება იქნებოდა სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ რუკა ტაბუდადებულად და ასე მიუწვდომლად ქცეულიყო არა თუ ფართო საზოგადოებისათვის, არამედ მკვლევართათვისაც.

ივ. ჯავახიშვილმა ეს რუკა, როგორც თვით მის სათაურშია აღნიშნული, შეადგინა ძველი წყაროების მიხედვით. ამ წყაროებმა კი მეცნიერს საქართველოს შემოფარგვლა სწორედ რუკაზე მოცემულ არეალში შეაძლებინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვით ძველ წყაროებში დაცული ინფორმაციის რუკაზე ასახვით ობიექტურ საზღვრებში გამოიხატა ქვეყნის ტერიტორია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს დიდი მეცნიერის მიერ საქართველოს ისტორიული საზღვრის გატარების სისწორეს. ეს ის “*მთლიანი სხეულია*“, რომელიც “*მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული*“ [ჯავახიშვილი, 1998. გვ. 495].

მიუხედავად იმისა, რომ რუკა წერილმასშტაბიანია, საზღვრის ანალიზი საკმაოდ დეტალურადაა შესაძლებელი, თუ მას ივ. ჯავახიშვილისეულ სხვა რუკებს შევადარებთ. ამ მხრივ, განსაკუთრებული სამსახური შეუძლია გაგვიწიოს 1923 წლის “ისტორიულმა რუკამ”. რუკაზე დატანილი საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, მის უმთავრეს პერიმეტრზე, ემთხვევა 1923 წლის რუკაზე გატარებულ საზღვარს. გამონაკლისია “რანისა” და “დვალეთის” მონაკვეთები. ისტორიულ რუკაზე რანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელიც მოიცავს შამქორ-განძის მიდამოებს – მდინარეების შამქორის წყლის, ხარგურის, განძის აუზებს მთლიანად და მდ. ყაინაღის აუზს ნაწილობრივ, მოქცეულია საქართველოს ფარგლებში. წარმოდგენილ რუკაზე კი რანის მთელი ტერიტორია ქვეყნის მიღმაა დარჩენილი. დვალეთის ტერიტორია – მდ. კასრის წყლის (დდ. მდ. არდონი) ზემო წელის აუზი, ორივე რუკაზე საქართველოს ფარგლებშია მოქცეული, თუმცა საკვლევ რუკაზე საზღვარი უფრო ჩრდილოეთითაა გატარებული. ამის დამზერა რუკის მარტივი ვიზუალური დათვალიერებითა და გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრით შეიძლება. ჩ.გ. 43⁰-ის ხაზი გადის ქ. ძაუგის (დდ. ვლადიკავკაზი) სამხრეთით. საკვლევ რუკაზე კი დაახლოებით ამავე განედზე არის გატარებული საზღვარი მდ. კასრის ხევის (არდონის ზემო წელის აუზი) ხეობაშიც, თუმცა ისტორიულ რუკაზე ამის თქმა არ შეიძლება. საზღვარი აქ გაცილებით სამხრეთითაა გატარებული [სართანია, ნიკოლაიშვილი, 2016].

ნებისმიერი ძველი კარტოგრაფიული ნაწარმოები ღირებულია მასზე ასახული ობიექტების ძველი გეოგრაფიული სახელწოდებებითა და მათი ტრანსკრიფციით [III.], ვინაიდან შესაძლებელია დადგინდეს ხომ არ შეიცავს ისინი: ძველ სიტყვას, მის ძველ გრამატიკულ ფორმას, ან ინფორმაციას სხვადასხვა ხალხების ენობრივი სუბსტრატის, ისტორიული ფაქტის, სამეურნეო საქმიანობის, წარსულში ფლორისა და ფაუნის გარკვეული სახეობის გავრცელების ან სხვათა შესახებ. ამ თვალსაზრისით საკვლევი რუკა მეტად ღირებულ ინფორმაციას შეიცავს.

როგორც წესი, მსგავსი შინაარსის რუკების ზოგადგეოგრაფიულ საფუძველს უმთავრესად ქმნის ოროჰიდროგრაფიული ერთეულები და ნაკლებად ადმინისტრაციული ქორონიმები (მხარეები, პროვინციები, თემები და სხვ.). საკვლევ რუკაზე კი ამ ფუნქციას უმთავრესად ასრულებს ჰიდროგრაფიული ქსელი და ისტორიული საქართველოს ადმინისტრაციული ქორონიმები. რუკაზე დატანილ მდინარეთა ქსელი აადვილებს აგრონომიული არეების ტერიტორიული გავრცელების აღქმადობას. ოროგრაფიული ერთეულები კი სულ 4-ია (იალბუზი – მთა; ლეკეთის მთები, რკინის პალო – მთა და ციგ-გომბორის მთები).

მგავსი შინაარსის რუკისათვის ზოგადგეოგრაფიულ საფუძველად ადმინისტრაციული ქორონიმების გამოყენება უთუოდ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებით უნდა აიხსნას. ივანე ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორიას ეკონომიკური განვითარების წანამდევრების საფუძველზე აგებდა. მას კარგად ესმოდა, რომ პოლიტიკური და სამეურნეო ისტორია ურთიერთგადაჯაჭვულია და რომ სწორედ ბუნებრივმა გარემომ და ამ გარემოში ჩამოყალიბებულმა სამეურნეო ცხოვრების სტილმა ჩამოაყალიბა ქვეყანა ერთ მთლიან სხეულად.

რუკაზე დატანილია: მდინარეები, ტბები, მთავარი გზები, სატახტო ქალაქი, ქალაქები და დაბა-სოფლები და სხვ. სულ 202 ტოპონიმი, რომელთა უმეტესობა ოიკონონი-მია, აქედან 67 დაბა-სოფლების, ხოლო 42 – ქალაქების სახელწოდებაა (ცხრ. 1). რუკაზე სულ 52 ქორონიმი. ცხადია, საქართველოს ფარგლებში მოქცეული ტოპონიმების რაოდენობა აჭარბებს მის გარეთ მდებარეს.

**ცხრ. 1. ტოპონიმების განაწილება საქართველოს
ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკის (1930 წ.) მიხედვით**

ტოპონიმის ტიპები	გეოგრაფიული ობიექტები	საერთო რაოდ.	% საერთო რაოდ.-დან	რაოდენობა		
				საქ-ში	საქ. საზღვ. გარეთ.	საზღვ.-ზე
ორონიმები	მთა	2	1.0	0	1	1
	მთები (ქედები)	2	1.0	1	1	0
ჰიდრონიმები	ზღვები	1	0.5	0	0	1
	მდინარეები	34	16.8	24	4	6
	ტბები	2	1.0	1	1	0
ოიკონიმები	სატახტო ქალაქი	1	0.5	1	0	0
	ქალაქები	41	20.3	26	14	0
	დაბა-სოფლები	67	33.2	66	2	0
ქორონიმები	თემები	52	25.7	45	7	0
სულ		202	100	164	30	8

საინტერესოა ცალკეულ ტოპონიმთა ტრანსფორმაციების საკითხის კვლევაც. ისინი რუკაზე დატანილია იმ სახით, როგორც ძველ ისტორიულ წყაროებშია მოცემული. ეს კი ტოპონიმის თავდაპირველი სახის აღდგენის მეტად მოსახერხებელი საშუალებაა. მოგვყავს ზოგიერთი ტოპონიმის ტრანსფორმაციის ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მაგალითები საკვლევი რუკის მიხედვით (ძველი სახელწოდება → ახალი სახელწოდება): ბათომი → ბათუმი, ბობნავი → ბობნევი, გვეძინეთი → გვერძინეთი, გრდანი → გლდანი, გოქჩის ტბა → სევანის ტბა, დამხსრლო → დამხსრულა, დბანისი → დმანისი, ზურტაკეთი → შავწყაროსწყაროსწყალი, თოშეთი → თუშეთი, კამბეჩანი → კამბეჩოვანი, კაპოეტის წყალი → ბზიფი, მუხანნი → მუხრანი, სკორეთი → ვერე, ტფილისი → თბილისი, ფუთი → ფოთი, ქცია → ხრამი, ცხომი → ცხუმი, სოსუმი, ჭოეთი → ხორნაბუჯი, პაღპატი → აღპატი და მრავალი სხვა.

ტოპონიმთა ტრანსფორმაციების დადგენა თვით ივ. ჯავახიშვილის ხელნაწრებიდანაცაა შესაძლებელი. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ასობით მცირე ბარათი [ფონდი № 496], სადაც ივ. ჯავახიშვილის ხელითაა დაწერილი გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდება, მათი აღვიღებულობა, გეოგრაფიული კოორდინატები და წყარო, საიდანაც ამოწერა ესა თუ ის ტოპონიმი. ზოგჯერ იძლევა მათ მოკლე დახასიათებას და თავის მოსაზრებას ტოპონიმის მდებარეობისა და წარმომავლობის შესახებ. ბარათები დიდი მეცნიერს ძველი წყაროებითა და იმ დროის ტოპოგრაფიული რუკების მიხედვით შეუვსია. ეს ჩანაწერები კიდევ ერთხელ დასტურია იმისა, რომ ივ. ჯავახიშვილი თვითონ ქმნიდა რუკის შინაარსს და ობიექტების ლოკალიზაციის განსაზღვრით გამზადებულ მასალებს აწვდიდა რუკის მხაზველს. ამასთან დაგვეხმარება განვსაზღვროთ, თუ რა პერიოდში იყო ესა თუ ის ტოპონიმი სარგებლობაში.

ივ. ჯავახიშვილის რუკაზე დასახლებული პუნქტები 2 ტიპისაა: ქალაქები და დაბა-სოფლები, რაც ისტორიულად **დასახლებული პუნქტების ტიპების განსაზღვრაში** [IV.] შეიძლება დაგვეხმაროს. თუმცა რუკით შეუძლებელია განისაზღვროს პერიოდი, თუ რა ფუნქციის მატარებელი იყო კონკრეტული დასახლებული პუნქტი.

რუკის მასშტაბიდან გამომდინარე, მასზე არ არის დატანილი სამიმოსელო გზების ხშირი ქსელი, თუმცა იგი გვიჩვენებს **ძირითად სამიმოსელო გზას** [V], რომელიც განსაზღვრავდა ძირითად ეკონომიკურ ურთიერთობებს ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ.

ზოგადკავკასიური ორიენტაციის ერთი მთავარი გზაა დატანილი, რომელიც სატახტო ქალაქ თბილისს აკავშირებდა, ერთი მხრივ, ქუთაისთან, ზუგდიდთან, ცხომთან და ჩრდილო კავკასიასთან, ხოლო მეორე მხრივ, ხუნანთან, აღსტაფასთან, განძასთან, ბარდასთან და უფრო აღმოსავლეთით მდებარე სხვა ქალაქებთან. ტფილისიდან მთავარი გზა 2 მიმართულებით მიემართებოდა: ჩრდილო-აღმოსავლეთით (თელავი, გრემი, კახეთის კავკასიონის გადაკვეთით დაღისტნისაკენ, კახეთის კავკასიონის გადაკვეთით და მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს ნუხპატოსაკენ) და სამხრეთ-დასავლეთით (დბანისი, ერევანი). სურამიდან და ცხენისწყლის რიონთან შეერთების ადგილიდან გზები სამხრეთ საქართველოსაკენ – ახალციხისაკენ მიემართებოდა, აქედან კი – არტანისა და ოლთისისაკენ. სურამ-ახალციხის გზიდან, ლიკანის სიახლოვეს გზის ერთი განშტოება მიემართებოდა ახალქალაქ-გუმბრი-ანისისაკენ. გზის ერთი განშტოება არტანისა და არტანუჯის გავლით, ბორჩხამდე აღწევდა. ნიშანდობლივია, რომ რუკაზე გამორჩენილია შორაპან-ბათუმის დამაკავშირებელი გზა, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი სამიმოსვლო გზა იყო ძველ საქართველოში.

ცხენისწყლის რიონთან შეერთების ადგილიდან კიდევ ერთი მთავარი გზა მიემართებოდა ჩრდილოეთის მიმართულებით – ქუთაისის გავლით, იგი გაივლიდა რიონისა (რაჭა) და კასრისწყლის (დვალეთი) ხეობებს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ დვალეთი ოდითგანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს დანარჩენ ტერიტორიასთან. დვალეთის სამხრეთი საზღვარი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედია, სადაც არცერთი მწვერვალის სიმაღლე არ აღემატება ზ.დ. 3938 მ-ს (მ. ხალაწა). მისი ჩრდილოეთი საზღვარი კი გვერდით ქედს მიჰყვება, სადაც აღმართულია მარადი თოვლითა და მყინვარებით შემოსილი მწვერვალები. აქ ერთადერთი დაბალი ადგილია მდ. არდონის ხეობა. ასეთი ოროგრაფიული გარემოცვის გამო, ჩამოყალიბებულია არდონის ქვაბული, ანუ როგორც მას ივ. ჯავახიშვილი უწოდებს “არდონის ქვაბა-ხეობა“. იგი თითქმის ყოველმხრივია შემოზღუდული, “...რომელსაც ჩრდილოეთისაკენ მხოლოდ ერთად-ერთი ზემოაღნიშნული ხეობაზე მდებარე გასაავალი აქვს, სამხრეთით-კი საქართველოსთან მას II ვარდმოსავალი აერთებს“ [ჯავახიშვილი, 1998. გვ. 463]. რაც შეეხება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფს ქედს, აქ მართლაც რამდენიმე უღელტეხილია.

კიდევ ერთი მთავარი გზა, რომელის კვეთს კავკასიონის მთიანეთს, მცხეთას აკავშირებს ძაუგთან. აქ გადის საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ერთმანეთთან აკავშირებდა ჩრდილოეთ და და სამხრეთ კავკასიას.

საინტერესოა რუკაზე მოცემული პირობითი აღნიშვნების სისტემა. აქ სულ დატანილია 18 პირობითი ნიშანი, რუკის ლეგენდაში კი მოცემულია მხოლოდ 14. მათ შორისაა 3 წერტილში (სატახტო ქალაქი, ქალაქები, დაბა-სოფლები), 4 ხაზში (სახელმწიფო და არეების საზღვრები, მთავარი გზები, მდინარეები) და 7 ფართობში ლოკალიზებული (ტბები და ბოტანიკურ აგრონომიული არეები) ნიშანი.

ლეგენდაში არ არის ასახული 5 პირობითი ნიშანი: მთების, იზობათების, ქვეყნებისა და თემების სახელწოდებები. რუკაზე სულ 2 მთაა (იალბუზი, რკინის პალო) დატანილი და ისინიც განსხვავებული პირობითი ნიშნებითაა მოცემული. რაც შეეხება ქედებს – ცივ-გომბორისა და ლეკეთის მთებს, როგორც მიღებულია, მხოლოდ ტექსტითაა აღნიშნული. იზობათები ზღვისა და ტბების აკვატორიაში არ ასახავენ რეალურ სიღრმეებს. იზობათებისათვის გამოყენებული პირობითი ნიშანი გამოყენებულია მხოლოდ სხვა ფართობითი ობიექტებისაგან გარჩევის მიზნით. გარდა აღნიშნულისა, ლეგენდაში არ არის ასახული 1 პირობითი ნიშანი, რომელიც დატანილია მდ. კაპოეტის წყლის (დდ. ბზიფი) აუზში, თანამედროვე მდ. იუფშარის მარჯვენა მხარეს.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილისეულ “საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკას ძველი წყაროების მიხედვით“ მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დარგის სპეციალისტისათვის. იგი ხსნის იმ ეკონომიკურ კავშირუიერთობებს, რომელიც ოდითგანვე ჩამოყალიბდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე და რამაც მისი პოლიტიკური ერთიანობაც განსაზღვრა. მეცნიერმა თავისი დასახული ამოცანა წარმატებით დასძლია: მან აჩვენა როგორი იყო წარსულში ჩვენი ეკონომიკური ტრადიცია

და რისი გათვალისწინება შეიძლებოდა სამომავლოდ ამ ტრადიციისაგან. ამავე დროს, მან ისიც დაგვისურათხატა, თუ როგორი ურთიერთგანპირობებული იყო საქართველოს თითოეული მხარის მეურნეობა და რატომ იყო ამ მხარეთა თითოეული გოჯი მიწა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ყოველივე ეს კი ნათლად ასაბუთებდა არა მარტო ქართველი ერის კონსოლიდაციის ეკონომიკურ საფუძვლებს, არამედ ამ ერის არსებობის სივრცის პოლიტიკურ საზღვრებსაც ზედმიწევნით აღგენდა. ივანე ჯავახიშვილისთვის ყველა ეს საკითხი პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური თუ სხვა რამ, ორგანულ მთლიანობას წარმოადგენდა და მათი კვლევა ერთ მიზანს ემსახურებოდა. ჯერ კიდევ 1919 წელს საქართველოს საზღვრების შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომში მიუთითებდა: “ქვემოთყოფანილს მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული სამზღვრები, ისე როგორც თვით იგი (ანუ საქართველო, ავტ.) ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა“ [JavaxiSvili, 1998. გვ. 459] ამ ორგანული მთლიანობის დასურათხატება მეცნიერმა მოცემულ რუკაზეც განახორციელა.

ლიტერატურა

1. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. საქართველოს გეოგრაფია. რედ. თ. ლომოური და ნ. ბერძენიშვილი. თბ.: სტალინის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941.
2. ნ. კეცხოველი. კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში. თბილისი: “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1957.
3. ნიკოლაიშვილი დ. საქართველოს ვაზის უძველესი და თანამედროვე ჯიშები – გავრცელება და გეოგრაფიული სახელწოდებები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: საქართველო და საფრანგეთი: ღვინის ორი ცივილიზაცია. თბილისის, 2007. გვ. 143-167.
4. სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., კოხრეიძე ა., უჯმაჯურიძე ა., თოლორდავა რ., ჩხიკვიშვილი გ. ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. გამოფენის მეგზური. თბილისი: თსუ, 2016. 89 გვ.
5. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად. ტ. V, თბილისი, 1986.
6. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი IV. თბილისი, 1996.
7. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი XII. თბილისი, 1998.
8. ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VI. თბილისი, 1982.
9. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ფონდი № 364.
10. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ფონდი № 496.

**Davit Sartania, Dali Nikolaishvili,
Avtandil Ujmajuridze, Gia Chkhikvishvili**

About One Map of Ivane Javakhishvili - "The Map of the Botanical-Agronomic Areas of Georgia Based on Old Sources"

Summary

Out of the few maps created on the ordain of Ivane Javakhishvili, "The Map of the Botanical-Agronomic Areas of Georgia Based on Old Sources" is particularly noteworthy. It was first published in 1930 and comes as an attachment of the second publication of "The Economic History of Georgia" by Iv. Javakhishvili.

The map was drawn by Ev. Baramidze, with the editorship of Iv. Javakhishvili. The scale of the map is 1:2,100,000 (21 km in 1 sm) da is composed in metric system. For the creation of the map the author used a lot ancient sources.

The scientific value of the map can be assessed in many different respects. We will consider only some of them:

- Thematic content (botanical-agronomic areas);
- Historical border of the country;
- Old geographical names;
- Main roads;
- System of legends.

Iv. Javakhishvili explains the economic links established on the historical territory of Georgia long ago and having led to the political unity of the country. The scientist accomplished the set objective successfully: he showed the kind of economic tradition we had in the past and the most important points of this tradition to consider for the future. At the same time, he described how much the economy of different corners of Georgia depended on one another and explained why every centimeter of this land was vitally important. All this not only clearly proved the economic fundamentals of the consolidation of the Georgian nation, but also accurately specified the political borders of the space of existence of this nation. For Ivane Javakhishvili, all these issues, being that political, cultural, economic or other, were an organic unity and their research served the same purpose.

**რამაზ შენგელია, გიორგი ანდრიაძე, ლიანა ბითაძე,
დავით ჭითანავა, ნინო ჩიქოვანი, ეკა ხმალაძე,
მერაბ კეკელიძე, შორენა ლალიაშვილი**

*რამაზ შენგელია - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
ლიანა ბითაძე, დავით ჭითანავა, შორენა ლალიაშვილი – თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
გიორგი ანდრიაძე – წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი
ეკა ხმალაძე – დავალებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი
მერაბ კეკელიძე - დავალებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული
ცენტრი
ნინო ჩიქოვანი – წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი*

**ადმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის შედარებითი პოპულაციური
გენეტიკური კვლევა**

შესავალი

დაინტერესება საქართველოს და მთლიანად კავკასიის მოსახლეობის გენეტიკური შესწავლისადმი მეტად დიდია, თუმცა შეინიშნება კვლევების ფრაგმენტულობა, არასისტემურობა და გარკვეული უზუსტობები მონაცემთა ურთიერთშეჯერებისას.

საქართველოს მოსახლეობა უნიკალურია თავისი ეთნოგრაფიული სიჭრელით და გეოგრაფიული განაწილებით. ის, ამ თვალსაზრისით, საუკეთესო მოდელი უნდა იყოს ახლო აღმოსავლეთისა და განსაკუთრებით ანატოლიის ეთნიკური სტრუქტურირების გასარკვევად. შედარებითი პოპულაციურ-გენეტიკური და ფილოგენეტიკური კვლევების დროს მეცნიერები ეყრდნობიან კავკასიის პოპულაციების მონაცემებს, რომელიც საკმაოდ შეზღუდულია, ხოლო კომენტირებისას, როგორც ჩანს, არცთუ უმნიშვნელო როლს პოლიტიკური მიზნები და ე.წ. ეროვნული ინტერესები თამაშობს. ყველა დღემდე არსებული მოსაზრება ამ საკითხებთან დაკავშირებით საკამათოა და სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს.

2012 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტთან (აშშ) ჩვენი თანამშრომლობით შედგა ერთობლივი ექსპედიცია სვანების, ქართველთა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის კომპლექსური (ჩაწერილი იქნა აგრეთვე მდიდარი ეთნოგრაფიული, დემოგრაფიული და სხვა სახის მასალა) კვლევის მიზნით. ტესტირება ჩატარდა 184 ინდივიდს, რამაც პრაქტიკულად ყველა გვარი და სამხუბი მოიცვა და ვფიქრობთ, ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მოსახლეობის ერთიან სისტემურ კვლევას ამ მიმართულებით.

საქართველოს (კავკასიის) ინტერპოპულაციური გენეტიკური კვლევები, ბუნებრივია, უდიდეს საერთაშორისო სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ, ამასთან, გამორჩეულ ყურადღებას ინტერპოპულაციური შესწავლა იმსახურებს. ერთი მხრივ, ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების და მეორე მხრივ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა გენეტიკური შესწავლა, ვფიქრობთ, ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემას გაადვილებს. გვარები, რომელიც ფსევდოგენეტიკურ მარკერებაა აღიარებული, საქართველოს შემთხვევაში ბევრად უფრო სერიოზულ ადგილს იკავებს.

მცირე ჯგუფების სახით შესწავლილი იქნა საქართველოს მოსახლეობის ეთნოგრაფიული ჯგუფები (თუშები, ფერეიდნელი ქართველები და სხვა) ასევე საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, სომხები და ე.წ. “ურუმელი ბერძნები” (წალკა-დმანისი). სულ 136 ინდივიდი.

გენომური დნმ-ის ექსტრაქცია მოხდა პირის ღრუს ნაცხიდან, რომელიც გამოკვლეულ იქნა მიკროსატელიტური ანალიზით (STR).

თითოეული მამისეული ჰაპლოტიპის გამოყოფა მოხდა მისი 17-STR პროფილით. Y-ქრომოსომის ხაზები განისაზღვრა, როგორც ნიმუშებში წარმოდგენილი SNP და STR

მონაცემების უნიკალური კომბინაციები. DYS389b-ს გამოთვლა მოხდა DYS389II-იდან DYS389I-ის გამოკლებით, რომელიც ყველა სტატისტიკური და ბადეების ანალიზებისთვის გამოიყენება.

პოპულაციებში მსგავსებების და განსხვავებების დასადგენად Y-ქრომოსომის მონაცემები გაანალიზდა სტატისტიკური და ფილოგენეტიკური მეთოდებით. ენეტიკური მრავალფეროვნების, ჰაპლოტიპის განაწილების, პოპულაციის სტრუქტურის (AMOVA) და წონასწორობის ინდექსების გაანგარიშება მოხდა ARLEQUIN 3.5.1.3 software package-ში (Excoffier and XXX 2010) (პროგრამული უზრუნველყოფა) არსებული მეთოდების გამოყენებით.

საქართველოს მოსახლეობის მცირე ჯგუფების შესწავლით ერთი მხრივ გამყარდა ზოგიერთი წარმოდგენა კავკასიის მოსახლეობის გენეტიკური სპექტრისა და პოლიმორფიზმის შესახებ. მეორე მხრივ, გამოვლინდა ახალი საინტერესო მონაცემები. ვაცნობიერებთ რა კავკასიის (საქართველოს) გეოგრაფიულ, კულტურულ და კონფესიურ სივრცეში პოპულაციურ-გენეტიკურ კვლევების მნიშვნელობას, შედეგებისადმი განსაკუთრებულ სენსიტიურ დამოკიდებულებას, უდიდეს ყურადღებას ვაქცევთ კვლევების დიზაინის ეთიკურ მხარეებს და მოქალაქეთა კერძო ინფორმაციის დაცვის აუცილებლობას.

პრობლემის არსი. კავკასიის ისტორიაში უამრავი პასუხგაუცემელი კითხვაა დარჩენილი. მათი უმრავლესობა მაინც აქ მცხოვრები ხალხების გენეზისს, ისტორიაში მეტნაკლები დამაჯერებლობით აღწერილი მოვლენების, მიგრაციების და ადამიანური კატასტროფების საბუთიანობას, საისტორიო ტრადიციაში დამკვიდრებული წარმოდგენის რეალობას ეხება.

მოსახლეობის გენეტიკური შესწავლა, ერთის მხრივ, მეტად საინტერესო, გლობალური მასშტაბის სამეცნიერო ღირებულების მატარებელია და, მეორე მხრივ, მეტად ფაქიზი და ფრთხილად მისადგომი თემაა.

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვი, რომ მსოფლიო ისტორიის სწორად გაგების და ეთნოგენეზისის სრულყოფილი რეკონსტრუქციის მიზნით უნდა მოხდეს ქართველი ხალხის და მთლიანად კავკასიის, მისი ცალკეული ტომებისა და მასთან ასოცირებული სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის სრულყოფილი და მიუკერძოებელი გენეტიკური შესწავლა.

დღეისთვის, კავკასიაში (საქართველოში), სხვადასხვა მონაცემთა შეჯერებით, ასეთი სურათია. **მტ-დნმ-ის** მიხედვით სურათი საკმაოდ მრავალფეროვანია და მაინც ჰაპლოჯგუფების ზომიერი დომინირება აღინიშნება (MusxeliSvili, 1960; Панаева, 2008).

ასევე სრულიად ნათლად ჩანს, რომ **Y-დნმ-ის** მიხედვით საქართველოში ძირითადად ორი ჰაპლოჯგუფია გავრცელებული – G2a და J2. აქვეა შედარებით მცირე რაოდენობის, მაგრამ საინტერესო E1b1b (სხვანაირად E3b) კლედის და თითქმის ყველა ის ჰაპლოჯგუფი, რომელიც მედიტერანული სამყაროსთვის არის დამახასიათებელი (L, I, T და სხვა). შედარებით მცირე რაოდენობითაა R ჯგუფი (Nasidze, 2008).

G2a კონცენტრირებულია კავკასიის, ანატოლიის და სამხრეთ ევროპის გარკვეულ ტერიტორიაზე და ის აღიარებულია, როგორც სამიწათმოქმედო კულტურის მქონე ხალხის გენეტიკური მარკერი (Bar-Yosef O et al 2006; ბერძენიშვილი დ., 1979)(8;10). ამასთან, მიჩნეულია, რომ ეს გენეტიკური ნაკადი ნეოლითის ეპოქაში ახლო აღმოსავლეთიდან, ლევანტიდანაა წამოსული, რომელმაც კავკასია გაიარა და ევროპაში შეაღწია (Adler et al 2006; Algaze, 1993; Bruch, 2012; ?). სპეციალისტთა აზრით (შანიძე, 1970), G ჰაპლოჯგუფი მთლიანად, სავარაუდოდ, აღმოსავლეთ ანატოლიაში, მცირე კავკასიისა და დასავლეთ ირანის ერთიან ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. ძირითადად ამავე რეგიონშია დაფიქსირებული J2 ჰაპლოჯგუფიც, ყველაფერი ეს მაკრორეგიონის გენოგეოგრაფიის ჩამოყალიბების მაჩვენებელია (არ- ოსეფ et al 2006; ითონიშვილი, 2007).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლებად განიხილება ხოლმე ამ ჰაპლოჯგუფების კავკასიისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში in situ ჩამოყალიბება და

საერთოდ ლეგანტ-ანატოლია-კავკასიის (ხმელთაშუა ზღვის აუზი მთლიანად) ერთიანი გენეტიკის მქონე მოსახლეობის ერთ დროს არსებული პოპულარული თეორია.

ჰაპლოჯგუფის ასაკი დაახლოებით 30 000 წელია, ხოლო მისგან წამოსული G2a ჰაპლოჯგუფისა კი – საშუალოდ 15 000 წელი. კავკასიაში G2a-ს ორი შტო შეიმჩნევა – G2a3b (P303) და G2a1(P16). საინტერესოა, რომ G2a3b (ასაკი საშუალოდ 12 600 წელი) მაღალი პროცენტული შემცველობაა აფხაზებში (24%), ჩერქეზებში (36,5%), ადიღეელებში (39,7%) და შაფსულებში (86%). ასევე მაღალია G2a-ს შემცველობა ოსების გენოფონდში (Balanovsky et al 2011; Barbujani et al 1994).

საერთაშორისო ექსპედიციის მიერ სვანეთში მოპოვებული მასალა მეტად საინტერესო აღმოჩნდა: G2a-ს პროცენტული შემცველობა თითქმის 80%-ს აღწევს და აფხაზებსა და ოსებზე ჩატარებულ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ კვლევებთან საინტერესო პარალელებს აჩენს.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ენგურის ხეობაში სვანების უშუალოდ მოსახლერე მეგრული პოპულაცია სრულიად შეუსწავლელია. არადა, სვანებისთვის სამყაროსთან დამაკავშირებელი ეს გზა თითქმის ერთადერთი იყო. ასევე, გასათვალისწინებელია სვანეთსა და სამეგრელოში რამდენიმე ათეული ერთი ძირის გვარის არსებობა, რომელნიც თავს ერთმანეთის ნათესავად თვლიან (გადმოცემით იციან), ერთმანეთში ქორწინებაც დაუშვებლად მიაჩნიათ და სალოცავი ხატიც ხშირად საერთო აქვთ. ასევე სრულიად შეუსწავლელია რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის და ზემო იმერეთის პოპულაციები, ანუ სვანეთის უშუალო მეზობლების გენოფონდი.

როგორც ითქვა, დადგენილია G2a-ს მაღალი შემცველობა ოსებში, რაც წინააღმდეგობაშია მათ ინდო-ევროპულ ენობრივი ჯგუფის კუთვნილებასთან. არსებობს ამ ფაქტის ახსნის სხვადასხვაგვარი მცდელობა (Nasidze, Salamatina, 1996).

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფიზიკური ანთროპოლოგიის კუთხით მთლიანად კავკასიაში გაცილებით მეტია საერთო და დამახლოებელი, ვიდრე განმასხვავებელი (Абдушелишвили, 1964). არსებობს, ასევე, საინტერესო კვლევები კავკასიის გენეტიკური მარკერების, ენისა და გარემოს პირობების ურთიერთდაკავშირებისა (ცოცანიძე, 1993).

კიდევ ერთი თვალნათლივი ტენდენცია, რომელიც თვალსა და ხელს შუა მტკიცდება სამეცნიერო ლიტერატურაში და ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის სამეცნიერო წრეები აფუძნებენ გახლავთ ის, რომ ხდება სავარაუდო გლოტოქრონოლოგიური პარადიგმების ფილოგენეტიკურ ხეებზე პროეცირება და ხშირად, მსგავსების გამო აღტაცებასაც ვერ მაღავენ (Balanovsky et al 2011; ბურჭულაძე, შავხელიშვილი, 1993).

კავკასიაში ენობრივი სიჭრელე და გარკვეული გენეტიკური დივერსიფიკაცია, ჩვენი აზრით, უფრო ხანგრძლივი იზოლაციური განვითარების და *in situ* ჩამოყალიბების მაჩვენებელი უნდა იყოს, ვიდრე ძლიერი გენეტიკური გავლენებისა. უცხო ენობრივი გავლენები კავკასიისთვის სერიოზული პრობლემაა და ორმაგი, თითქმის ურთიერთგამომრიცხავი პროცესი შეიძლება დავაფიქსიროთ: ერთი მხრივ, – მიუხედავად ჩვენთვის სახილველ წარსულში დამწერლობის უქონლობისა, უძველესი ენები (ზანური, ადიღეურ-ჩერქეზული, ნახური, უდიური და ზოგიერთი დაღესტნური) რელიქტების სახითაა შემონახული; ხოლო მეორე მხრივ, კავკასიაში, ჩვენი აზრით, დაბალი “ენობრივი იმუნიტეტი” შეინიშნება, ანუ სხვა ენის ადვილად მიღების ფაქტი, და რომლის ბუნება სერიოზული კვლევის საგანია.

საერთოდ, დიდი ხნით რომელიმე ძლიერი იმპერიის ქვეშ მყოფი პოპულაციის ფილოგენეტიკისთვის ენობრივი საკითხის მნიშვნელობა სერიოზულად კლებულობს. ასევე სათუო ხდება თვით იდენტიფიკაციის საკითხიც, რომლის ნათელი მაგალითი ყოფილი საბჭოთა კავშირი და იქ წარმოშობილი ეროვნული პრობლემებია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაკლებად მეცნიერულად არგუმენტირებული მოჩანს ზოგიერთი მეცნიერის ერთსულოვნება, რომელთაც სრულიად გასაგები მიზეზების გამო ხშირად ბრმად ენდობიან დასავლელი მეცნიერები და ამტკიცებენ, რომ:

კავკასიის გენეტიკური და ლინგვისტური არაერთგვაროვნების პარადიგმები პრაქტიკულად იდენტურია;

კავკასიონის ქედი ბუნებრივი, გადაულახავი ბარიერია, რის გამოც კავკასია გენეტიკურად და ლინგვისტურად მკვეთრად არის გამიჯნული ოთხად: სამხრეთ და ჩრდილოეთ, და თითოეული მათგანი აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებად (Народы Мира. Народы Кавказа, 1962). აქაც ენობრივი საკითხის გააქტიურება ხდება ხოლმე, თუმცა ამას ყოველთვის ვერ “ჰყვება” გენეტიკური მონაცემები.

აღნიშნული მიდგომა, ჩვენი აზრით, ძირეულ გადასინჯვას მოითხოვს.

საკუთარი კვლევა

შარშან დავიწყეთ და წელს დასრულდა პირველი, სრულიად დამოუკიდებელი პოპულაციური და ფილოგენეტიკური კვლევა საქართველოში. საქმე ეხებოდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ცენტრის (ხელმძღვ. გიორგი ანდრიაძე) მიერ შეგროვილ მასალას, რომელიც რამდენიმე ქართულ ეთნოგრაფიული ჯგუფს და ეროვნულ უმცირესობას მოიცავდა. გენეტიკური კვლევა ჩატარდა საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრში. სტატისტიკური და ფილოგენეტიკური კვლევა საქართველოს ილიას უნივერსიტეტში (პროფ. დ. თარხნიშვილი).

შესწავლილი იქნა საქართველოს მოსახლეობა: ქართველები (მათ შორის, სპეციალურად – თუშები), სომხები, აზერბაიჯანელები, ე.წ. ურუმელი ბერძნები და ირანში მცხოვრები ე.წ. ფერეიდნელი ქართველები. სულ 136 ინდივიდი. ვინაიდან შესწავლილი ცალკეული ჯგუფი არარეპრეზენტატიულადაა წარმოდგენილი, ჩვენ ამ კვლევას “მოზაიკური” ვუწოდეთ. თუმცა, მისი შედეგები, გარკვეულ ასპექტში, საკმაოდ საინტერესოდ გვეჩვენება.

ახლა კი მოკლედ ამ ჯგუფების შესახებ.

თუშეთი და თუშები

თუშები და თუშეთი ეთნოგრაფიულად საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, რასაც ვერ ვიტყვით მათ ისტორიულ წარსულზე, სადაც ბევრი რამ ნათელი არ არის.

აღმოსავლეთით თუშეთს დაღესტანი საზღვრავს, დასავლეთით – ფშავ-ხევსურეთი, ჩრდილოეთით – ჩაჩნეთ-ინგუშეთი, ხოლო სამხრეთით – კახეთი. მთელი თუშეთი იორი ალაზნის აუზშია მოქცეული და სამ ხეობად იყოფა: პირიქითა, გომეწარი და ჩაღმა თუშეთი (ეტსპალუ et al 1999.). პირიქითა თუშეთი ეს იგივე „წოვაა“, რომელსაც ვახუშტი „პანკისის გარდასწორ, კავკასს იქით“ასახელებს (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973).

თუშები, დღეს, მთა-თუშეთში მუდმივად თითქმის არ ცხოვრობენ. იქ ზაფხულობით აღიან ხოლმე. სახლობენ ძირითადად კახეთში, ახმეტის რაიონში, ზემო და ქვემო ალვანში, თელავის რაიონის სოფელ ლალისყურსა და სოფელ ფშავლის ერთ პატარა უბანში. რაოდენობრივად სამი ათას კომლს შეადგენენ, ხოლო სულადობრივად ათიათასს არ უნდა აღემატებოდნენ (ქართლის ცხოვრება, 1955).

თანამედროვე თუშური მოსახლეობა ენობრივად განსხვავებულ ორ ჯგუფად იყოფა: წაღმა-თუშებად და წოვა-თუშებად. წაღმა-თუშები ერთენოვანნი არიან, მეტყველებენ ქართული ენის თუშურ დიალექტზე, რომელიც ლინგვისტურად ფშავურ, ხევსურულ და მოხვეურ დიალექტებთან ერთად ქართულ კილოთა ე. წ. ფხოვურ ჯგუფში ერთიანდება. წოვა-თუშები ორენოვანები არიან. ქართულთან ერთად, მათ საშინაო ენას ნახური ჯგუფის ბაცბური წარმოადგენს და ისინი თავის თავს „ბაცავ“, „ბაცბის“ უწოდებენ (ქართლის ცხოვრება, 1955).

თუშები, თითქოს „ტუსკების“ ფორმით წერილობით წყაროებში პირველად კლავდიოს პტოლემეოსთან (მეორე საუკუნე) იხსენიებიან „დიდურები“-ს (ალბათ, იგულისხმებიან დიდოურები/დიდოელები) გვერდით: „კავკასიის და კერავინის მთებს შორის არიან ტუსკები და დიდურები“ (Layard, 1887). საყურადღებოა, რომ კლავდიოს პტოლემეოსი, თუშებს, აქ მცხოვრებ სხვა ტომებთან ერთად მიაკუთვნებს აზიის

სარმატებს და არა იბერებს, თუმცა, ჩვენი აზრით, სარმატები, ანუ შარმატები უფრო კრებისთი ტერმინია მონათესავე კავკასიელ ტომებთან მიმართებაში.

სტრაბონთან (ძვ. წ. I ახ. წ. I საუკუნეების მიჯნა) თუშების სახელწოდების მსგავსი ტომი არ მოიხსენიება, მაგრამ იბერებს ის ორ ნაწილად ყოფს – მთისად და ბარისად. მთაში მცხოვრებ იბერებს ის მხოლოდ ცხოვრების წესით ასხვავებს ბარის იბერებისგან და მთიელების შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი „ცხოვრობენ სკვითების და სარმატების ყაიდაზე“ (ყაუხნიშვილი, 1942).

ქართულ მატიანეში თუშეთი პირველად იხსენიება წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევაში (Yunusbaev et al 2011).

ს. მაკალათია ჩრდილოკავკასიელი ტომების საქართველოში გადმოსახლებას უძველესი დროიდან მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს უკავშირებს. მაგალითად, იბერიის მეფე საურმაგი დურძუკთა (ჩაჩან–ინგუშები) დახმარებით მისგან განდგომილებს ამარცხებს და მათ მთიულეთსა და დიდოეთში ასახლებს. ავტორისავე თქმით, ჩრდილოეთის და, დურძუკთა ტომების საქართველოში გადმოსახლების ეს პროცესი XIX საუკუნემდე გრძელდებოდა, როდესაც მათი მონათესავე ქისტები პანკისის ხეობაში გადმოსახლდნენ და აქ 1860–იანი წლებიდან გაშენდა მათი სოფლები: პანკისი, დუისი, ომალო და ჯოყოლო. ავტორისავე აზრით, ამ დურძუკთა ტომს ეკუთვნის თუშეთში გადმოსახლებული წოვა თუშები, რომლებიც თავიანთი ენით ენათესავეებიან ღლიდეს (ღაღლა) და ღღესაც ამ ღლიდგურ ენაზე მეტყველებენ. მათ გადმოსახლებას ავტორი VIII–IX საუკუნეებში ვარაუდობს (Metspalu et al 1999).

თუშების ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა იმის თაობაზე, რომ „თუშნი და დიდონი, უკეთუ არიან წილნი ლეკოსისა, არამედ შემდგომად მეფეთა ქართველთა დაპყრობილი... და მოხარკენი მათი“ (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973). მათ ენაზე კი შემდეგს აღნიშნავს: „ხოლო რომელნი არიან მხარეთა ქისტთა და ღლიდუთა, უწყიან ენანი უფროს მათნი. გარნა ფარსმანის ხევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973).

ა. შანიძის აზრით, თუშების ტერიტორია ოდითგანვე დასახლებული იყო ნახურენოვანი ხალხით. მათმა ერთმა ნაწილმა, ჩაღმა-თუშებმა, შეითვისეს ქართული ენა და დაკარგეს ოდინდელი მშობლიური, მეორე ნაწილმა, წოვა-თუშებმა კი, ღღემდე შეინახეს იგი (შარაშენიძე, 1969). ამ მოსაზრებას არ იზიარებს გ. ცოცანიძე და აღნიშნავს, რომ წოვა-თუშები ესაა ქართული ეთნოსის ნახურენოვანი ჯგუფი (ქართლის ცხოვრება, 1955).

აღსანიშნავია, რომ ლეკები თუშებს „მოსექ“-ებს ეძახიან, ქისტები კი – „ბაცუო“-ს. თუშების თქმით, სახელი „თუში“ მათ ლეკებმა უწოდეს და წარმომსდგარია სიტყვა „ღუშთ“-იდან, ნიშნავს ღუშმანსო.

პ. უსლარის ცნობით, „მოსოქ“-ის ქვეშ „... მთიელები გულისხმობენ საზოგადოდ თუშ-ფშავ-ხევსურთა ოლქის მცხოვრებლებს, ე. ი. ფშაველებსა და ხევსურებს“. ა. დირი კი აღნიშნავს, რომ „მოსოქ“, „მუსექ“ დაღესტნელთათვის (კონკრეტულად ლეკთათვის) „თუშთა სახელწოდებაა (Иваненко, 1901).

თუ ვაღიარებთ კავშირს კლავდიოს პტოლემეოსის „ტუსკი“-სა და „თუში“ ტომობრივ ფორმას შორის, მაშინ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თუშების აღმნიშვნელად ლეკებში დამკვიდრებული ტერმინი „მოსექ“-ი, რომელიც ძალაუბრებურად გვახსენებს მესს//მოსს//მუშქებს, სტრაბონის მიხედვით, კოლხური ტომების ერთ-ერთ წინაპრებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს იბერიის სამეფოს შექმნაში და რომელთა გარკვეული ნაწილის მიგრაცია (ქართვების მოსვლის შემდგომ), შესაძლოა, მომხდარიყო კავკასიის მთიანეთის ამ ნაწილშიც, კერძოდ თუშეთში, სადაც მათი შერევა მოხდებოდა ადგილობრივ ვაინახურ მოსახლეობასთანაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ტერმინი „ტუსკი“ ეტრუსკული მოდგმის ხალხთა ზუსტად ამ ფორმის სახელწოდებასთანაც გვაბრუნებს, რომელნიც ასევე, ბევრი მეცნიერის აზრით, ქართველური ტომების მონათესავედ მიიჩნევიან. ზოგიერთი მოსაზრებით (შენგელია, 2009) სიტყვა „თუში“ ზანური

ნაყოფიერების სიმბოლოსთან “თუ”-სთან (გოჭი, ღორი) შეიძლება იქნას ასოცირებული და წანარების აღმოსავლეთ საქართველოში მიგრაციასთან იყოს დაკავშირებული (შდრ. ასევე, ურარტუს დედაქალაქი “თუშბასთან”)

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს თუშების ეთნიკურ ისტორიასთან დაკავშირებით დაბეჭდვით რაიმე დასკვნების გაკეთება ამ ეტაპზე რთულია და საკითხი უფრო ღრმა კვლევას მოითხოვს.

ფერეიდნელი ქართველები

ფერეიდნელი ქართველების ირანში დასახლების შესახებ არც ქართულ და არც სპარსულ ისტორიულ მატერიალებში ცნობები თითქმის არ შემონახულა.

შაჰ-აბას პირველმა საქართველოში რამდენჯერმე ილაშქრა. ისკანდერ მუნშის ცნობით, 1616 წლის ლაშქრობის დროს შაჰ-აბასმა მარტო კახეთიდან აყარა და ირანში გარეკა 130 000-ზე მეტი ქართველი მამაკაცი და ქალი. მათი ერთი ნაწილი ჩარიცხეს შაჰის ლაშქარში, ნაწილი გაყიდეს როგორც მონები; ქართველი ქალები დაინაწილეს სამხედრო არისტოკრატის წარმომადგენლებმა; ხოლო დანარჩენი ჩაასახლეს ირანის სხვადასხვა რაიონში (შენგელია, 2014). ირანის ტერიტორიის სხვადასხვა კუთხეში არსებობს ტოპონიმები „გურჯინაჰაისა“ (ქართველთა უბანი) და „გურჯი მაჰადის“ (ქართველთა რაიონი), თუმცა, დღეს აქ ქართული ენა არ ისმის. ამ სახელწოდების ადგილებს ვხვდებით ირანის აზერბაიჯანში აბასადის რაიონში, ასტრბადში, ქერმანშაჰის მხარეში, ხორასანსა და შორეულ შირაზის პროვინციაში (Дьяконов, 1968).

შაჰ-აბას პირველმა დიდი რაოდენობით ქართველები მაზანდარანშიც ჩაასახლა. მაზანდარანის ქართველთა დიდი უმრავლესობა შაჰის ბრძანებით დაასახლეს აშრაფის (დღევანდელი ბეჰშაჰრი), სარისა და ფარაჰაბადის რაიონებში. დროთა განმავლობასი მათ დაჰკარგეს ქართული ენა და ხორასნელი ქართველების მსგავსად გაითქვიფნენ ირანის მოსახლეობაში (შენგელია, 2014). ქართული ენა მხოლოდ ფერეიდანში მცხოვრებმა ქართველებმა შეინარჩუნეს.

ფერეიდნელებმა ძალიან ცოტა რამ იციან მათი საქართველოდან აყრის და ირანში დასახლების შესახებ. მათ იციან მხოლოდ, რომ ეს მოხდა შაჰ-აბას პირველის დროს

ა.ჭელიძე, ფერეიდნელი ქართველების ზეპირ გადმოცემაზე დაყრდნობით შენიშნავს, რომ ისინი პირველად ისპაჰანიდან 20 კმ-ის მოშორებით ჩაუსახლებიათ (ჭელიძე, 2011). ამ გადმოცემის სისწორეს ეჭვქვეშ აყენებს ზ. შარაშენიძე (შენგელია, 2014).

ფერეიდნელი ქართველების რაოდენობის შესახებ სხვადასხვა მონაცემები არსებობს და მათი ზუსტი რიცხვი დადგენილი არ არის. ლ. აღნიაშვილის მიხედვით, XIX საუკუნის ბოლოს, იქ 14 ქართული სოფელი ყოფილა, სადაც 2460 კომლი ცხოვრობდა (აღნიაშვილი, 1896). ა. ჭელიძის მონაცემებით 15–16 სოფელია ქართული და მოსახლეობა დაახლოებით 1000 სულს შეადგენს. არნ. ჩიქობავას თქმით, ფერეიდანში უნდა ვივარაუდოთ 3000 კომლი, ე. ი. დაახლოებით 20 000 სული ქართველი მოსახლეობისა (ჩიქობავა, 1927).

ფერეიდანში ქართველების გვერდით, სპარსელების გარდა, მოსახლეობენ სომხები, თურქები, ლურები, ქურთები და ირანული მოდემის მომთაბარე ტომები: ბახთიარების ტომები—ჩარლანგი, ჰაფლანგი, ბორაქი, მოსალე და ქუსუნი (ჭელიძე, 2011).

„გურჯი ნაჰაი“ (ქართველთა უბანი), ანუ „პატარა საქართველო“ როგორც მას იქაური ქართველები ეძახიან, ფერეიდნის ერთ-ერთი უბანია. ამ უბანში ძირითადად ქართველები ცხოვრობენ. დანარჩენ სამ უბანში—სპარსელები, ქურთები, ბახთიარები და სომხები. აქ ?თხუთმეტი სოფლიდან შვიდი მთლიანად ქართველებით არის დასახლებული, ხოლო დანარჩენ რვა სოფელში ქართული მოსახლეობა ჭარბობს. ამ სოფელთა სახელწოდებები (ჩუღურეთი, ზემო და ქვემო მარტყოფი, რუისპირი, ვაშლოვანი და სხვა) გვიჩვენებს, რომ აქ მცხოვრებ ქართველთა წინაპრები აყრილი და გადმოსახლებულნი არიან ძირითადად გარე კახეთიდან, ივრის ხეობიდან (Дьяконов, 1968).

ქართველების შაჰ-აბას პირველის მიერ კონკრეტულად ფერეიდანში დასახლების მიზეზებზე გ. ჭიპაშვილი აღნიშნავს, რომ „ქართველების, როგორც უნარიანი მეურნეების და გულადი მეომრების მაღალმოთიან რაიონში ჩასახლებით, შაჰმა მტკიცე ბარიერი შეიქმნა მოუსვენარი მეკობრე ბახთიარების, ლურებისა და ქურთების ტომებისათვის, მისივე თქმით, ფერეიდანი სწორედ ბახთიარიდან ისპაჰანისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს (Дьяконов, 1968). ამ მოსაზრებას იზიარებს ზ. შარაშენიძე (შენგელია, 2014). ა. ჭელიძის აზრით კი, ეს მცდარი შეხედულებაა: ვისაც ისპაჰანისკენ წამოსვლა უნდა, ის ადვილად შემოუვლის ქართველების უბანს (ჩიქობავა, 1927).

ფერეიდნელი ქართველი ქალები აქამდე (იგულისხმება XX საუკუნის 30–40–იანი წლები) ცოლად არაქართველს იშვიათად მიჰყვებოდნენ, მაგრამ ეს წესი ამ ბოლო დროს ხშირად ირღვევა. თუ მისი მეზობელი ქურთი ან ბახთიარი კარგად ცხოვრობს, ქართველი ქალი მას აღარ წუნობს. ორცოლიანობა კი იშვიათი მოვლენაა, თუმცა ა. ჭელიძე იმასაც აღნიშნავს, რომ ძველი ქართული ჩვეულებიდან მათ არაფერი შერჩენიათ (ჩიქობავა, 1927).

ლ. აღნიაშვილამდე ფერეიდანში 1840 წელს იმოგზაურა ჰენრი ლეიარდმა. ის გადმოგვცემს, რომ „ფერეიდანის მხარის ქრისტიანებმა, რომლებიც შაჰ-აბასმა ჩაასახლა აქ, შეინარჩუნეს თავიანთი მშობლიური ენა. ეს არის შრომისმოყვარე ხალხი, რის გამოც მათი სოფლები აყვავებულია. ქალები უნადროდ დადიან და ბევრი მათგანი საოცრად ლამაზია. ეს ქრისტიანები განსხვავდებოდნენ სხვა მოსახლეობისაგან როგორც ფერით, ასევე სახის ნაკეთებით და მათი გამოცნობა ადვილი იყო (მაკალათია, 1983).

არა მარტო ფერეიდნელმა ქართველებმა იცოდნენ საქართველოს შესახებ ცოტა რამ, არამედ, თვით საქართველოშიც არ იყო სათანადო ინფორმაცია მათზე. მხოლოდ XIX საუკუნის დასასრულიდან, ლ. აღნიაშვილის მოგზაურობის შემდეგ, ფერეიდანისა და ფერეიდნელების შესახებ ბევრი რამ გახდა ცნობილი. ამის შემდგომ საქართველოში, ჩამოდიან: ყოლამ-რეზა ხუციშვილი, ყოლამ-ხოსენ ონიკაშვილი, მოჰამედ მაყაშვილი და მისი სიძე ნასრულა, სეიფოლა იოსელიანი და სხვა (შენგელია, 2014).

ფერეიდანში მცხოვრები ზოგიერთი ქართველი XX საუკუნის 70–იან წლებში საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად დაბრუნდა.

სომხები საქართველოში

სომხებისა და სომხეთის ისტორია უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსა და ქართველების ისტორიასთან. ბალკანეთსა და ეგეოსის ზღვის რეგიონში ინდო-ევროპულ ენაზე მოლაპარაკე ხალხების შემოჭრა, როგორც ჩანს, III ათსწლეულის დასასრულს ხდება, ხოლო ანატოლიასა და კავკასიაში ისინი შედარებით გვიან – II ათასწლეულის მეორე ნახევარში. ამის დასტური უნდა იყოს არგონავტიკისა და ილიადის ეპოსები. იწყება ავტოქთონი მოსახლეობის შევიწროება როგორც დასავლეთიდან (ელინები), ასევე, VII-VI სს.ქრ.შ.-მდე – სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სპარსული ტომების მხრივ. ამას ემატებოდა მუდმივი სემიტოზაციის პროცესიც.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მცირე კავკასიონის რეგიონში დაახლოებით 2 600-2 700 წლის წინ დაიწყო ენების და გენეტიკური სუბსტრატის მნიშვნელოვანი შერევა. პროცესი ქრ.შ.-მდე I ათასწლეულში, კერძოდ VI საუკუნეში ურარტუს სახელწიფოს დაცემით უნდა დაწყებულიყო (ეთნოსები საქართველოში, 2008; გაბაშვილი, 1958), რასაც ირანული და სემიტური ელემენტის გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. სომეხი ერის საბოლოო ფორმირება კი იმ დროს ხდება, როცა სომხური სახელმწიფო ადრექრისტიანულ ეპოქაში პრაქტიკულად არსებობას წყვეტს და სომხები მალე ირანის ძალდატანებით მონოფიზიტობას და დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსგან იზოლაციის გზას ირჩევენ (ყაუხჩიშვილი, 1957; ფხაკაძე, ბერძენიშვილი, 1990).

ადრეული სალიტერატურო სომხურის – გრამარის საერთო ლექსიკური მარაგი ქართველურ ენებთან საკმაოდ შთამბეჭდავია და სომხეთში გაგრძელებული, რეგიონისთვის დამახასიათებელი ჰაპლოჯგუფების ერთობლიობასთან ერთად, საერთო ეთნოკულტურულ ფესვებზე უნდა მიუთითებდეს.

სომხების დღევანდელი გენოფონდის პროფილი აშკარად პოლიეთნიკურია და მრავალ შენარევს გულისხმობს. როგორც ჩანს, აქ ისტორიის მანძილზე ენათა ხშირი მონაცვლეობაც უნდა ყოფილიყო. სომხური ენა დროთა განმავლობაში სულ უფრო ინდოევროპეოზებულები ხდებოდა და სცილდებოდა იქ მცხოვრები ავტოქთონი მოსახლეობის (მიდიელების, ურარტუელების) ძირეულ ენას (შენგელია, 2009).

ლეონტი მროველის ცნობა თითქოს საქართველოში სომხური მოსახლეობის ალექსანდრე მაკედონელის ამიერკავკასიაში ლაშქრობამდე ე. ი ძვ. წ. IV–III საუკუნეებამდე არსებობდა, ჩვენი აზრით, გულდასმით კვლევას იმსახურებს (ქართლის ცხოვრება, 1955). რაც შეეხება მომდევნო ეპოქებს, სომხური მოსახლეობის ძირითადი კვალი საქართველოში ადრეფეოდალური ხანის დასაწყისიდანვე შეიმჩნევა. ძირითადად, სამხრეთის საზღვრისპირა რაიონებში, სადაც შერეული მოსახლეობის არსებობას განაპირობებდა უძველესი დროიდანვე პოლიტიკური საზღვრების პერიოდული გადაადგილება.

სომეხ ლტოლვილთა გამოჩენა საქართველოში თითქმის ყოველთვის დიდ შემოსევათა პერიოდს ემთხვევა (არაბების, თურქ-სელჩუკების, მონღოლების, ყიზილბაშობის და ოსმალთა დროს). ამ პერიოდებში სომხური მოსახლეობის მომრავლება შეიმჩნევა ტაშირში, აბოცში, წუნდაში, კოლა-არტაანში, ტაოში, ბასიანსა და სხვა (მაისურაძე, 1999). ასევე აღსანიშნავია, რომ შესაძლოა სომხური მოსახლეობის პირველი ფენა საქართველოში ძვ. წ. II საუკუნის დამდეგს გაჩნდა, როდესაც სელევკიდური სირიის მეფის, ანტიოქ III-ის სარდლებმა არტაქსერქსემ და ზარიადრმა სომხური სახელმწიფოები შექმნეს და მეზობლად მდებარე ქართული მიწების ხარჯზე განავრცეს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970). გუგარქის საპიტიახშოს (ფარნავაზის დროინდელი სამშვილდისა და ხუხანის საერისთავოები) შექმნის შემდეგ (ძვ. წ. I ს.) კი, მტკვარსა და არაქსს შორის მდებარე ტერიტორიაზე სომხური მოსახლეობის პერიოდულად შემოსვლა გასაკვირი არ არის. V საუკუნეში სომხური მოსახლეობის არსებობა ქართლის საპიტიახშოში, კერძოდ კი ცურტავში დასტურდება შუშანიკის წამებიდანაც ასევე, VI საუკუნის 60-იანი წლებიდან სომხური მოსახლეობა ტაშირსა და ძოროფორშიც არსებობს (მაისურაძე, 1999).

არაბთა შემოსევებმა სომეხ ლტოლვილთა საკმაო ნაკადის გადაადგილება გამოიწვია ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აქ ტაშირ-ძორაკეტის ანუ იგივე ლორე-ტაშირის მცირე სომხური სამეფო ჩამოყალიბდა, კვირიკიან ბაგრატიუნთა მეთაურობით (რედ. ლ. მელიქიშვილი, 2011).

XIV საუკუნეში მონღოლთა მიერ დარბეული ყარსელი სომხები და 1319 წელს ანისში მიწისძვრის შედეგად აყრილი მოსახლეობა ქართლში გადმოსახლდა. ასევე XV საუკუნეში თურქმანებისაგან დარბეული სომხები საქართველოს მოადგნენ (მაისურაძე, 1999).

საისტორიო წყაროებში აღნიშნულია, რომ დავით აღმაშენებელმა ქალაქი გორი, რომელიც მან ხელახლა ააშენა, სომხური მოსახლეობით შეავსო (ჯავახიშვილი, 1983).

ამ ფაქტზე დაყრდნობით, ეთნოგრაფი ნ. ჯალაბაძე ვარაუდობს, რომ ამავე პერიოდში უნდა დასახლებულიყვნენ სომხები გორის ახლომახლო სოფლებში (კარალეთში, ტყვიავში, მარანში, ძევერაში და სხვა). ეთნიკური ასიმილაცია, ავტორისავე აღნიშვნით, ქართველ მოსახლეობასთან შედარებით ადვილად მიმდინარეობდა, განსაკუთრებით გვიან შუა საუკუნეებში

შიდა ქართლის ტერიტორიაზე სომხებს უცხოვრიათ როგორც ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში, ასევე, სოფლებში. მაგალითად, ქართველებთან ერთად სომხები, გარკვეული რაოდენობით ცხოვრობდნენ მცხეთაში, დუშეთში, მუხრანში, ქანდაში, ახალგორში, ქვახვრელში, გორში, ატენში, სურამში, კავთისხევში და სხვა (ჯალაბაძე, 1987).

სომხური მოსახლეობის გადმოსახლებას განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი XV საუკუნიდან მიუღია. ამავე დროს, მათ რიცხვში ყოფილა ტაჯიკი მოსახლეობაც. ერეკლე II-მ შიდა ქართლისა და კახეთის დაცარიელებულ მიწებზე სომეხი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დაასახლა და ვაჭრობის განვითარების მიზნით მათ საკმაოდ ფართო შეღავათებიც დაუწესა (მაისურაძე, 1982). მსგავსი შეღავათები და საერთო პო-

ლიტიკა, რომელსაც მომდევნო პერიოდშიც მიმართავდნენ საქართველოს რუსი მმართველები, ქართული მოსახლეობის თანმიმდევრულ გასომხებას იწვევდა არა მარტო ქალაქის მოსახლეობაში, არამედ სოფლადაც (ჯალაბაძე, 1987).

XVIII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული დემოგრაფიული ვითარების ცვლილება უკვე ძალისმიერი მეთოდებით მიმდინარეობდა. გიორგი XII იძულებული გახდა პეტერბურგში მიღებული გადაწყვეტილება შეესრულებინა და სომეხი მოსახლეობა ჩამოესახლებინა ბორჩალოს ერთ ნაწილსა და ლორეში. 1804 წელს კი, გენერალმა ციციანოვმა ქვემო ქართლში ერევნის სახანოდან 2 000 ადამიანი ჩამოსახლა. მანამდე აქ 5 000 სომეხი ცხოვრობდა. 1828–1829 წლებში თურქეთის ჩრდილოეთი ვილაიეთების ქრისტიანი ათასობით სომხური ოჯახი სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, წალკის რაიონში ჩაასახლეს. 1829–31 წლებში წალკაში 1 050 ოჯახი ჩაასახლდა (ოჯახზე დაახლოებით 5 წევრი იგულისხმებოდა). თურქეთიდან სომეხთა მიგრაცია საქართველოში მთელი XIX ს-ის მანძილზე გრძელდებოდა. XIX ს-ის 60-იან წლებისათვის სომეხები თბილისის გუბერნიის 267 დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდნენ. ქვემო ქართლში მდ. დებედა-ჩაისა და ყაზახის მაზრას შორის მდებარე ველი მთლიანად სომეხებით იყო დასახლებული. ძირითადად სომეხებით იყო დასახლებული მდ. დებედას აუზი და ლორეს ველი (მელიქიშვილი, 2011).

საინტერესო ისტორიული პროცესი მოხდა საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანის მომიჯნავე ტერიტორიებზე მცხოვრები ალბანური მოდემის ტომების სრული ასიმილაციის თვალსაზრისით, რაც პრაქტიკულად ამ უკანასკნელთა გაქრობით დამთავრდა. მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანში შემორჩა ორიოდ სოფელი, სადაც მოსახლეობა თავს ალბანელთა ჩამომავლებად მიიჩნევს. ალბანური გენეტიკური სუბსტრატი თითქმის სრულად "შეიწოვა" სამივე ერმა, რისი კვალიც საძებნელია და წინამდებარე კვლევის ერთი მიზანიც სწორედ ეს არის.

ბერძნები საქართველოში

ქართველ და ბერძენ ერებს შორის ურთიერთობებს სამიათასწლოვანი ისტორია აქვს. დღეისათვის, დაზუსტებულ ცნობათა უქონლობის გამო, ისტორიული თვალსაზრისით თითქმის შეუძლებელია საქართველოში უძველეს ბერძნულ დასახლებათა ბედის შესახებ მსჯელობა, ხოლო დღევანდელ საქართველოში დამკვიდრებულ და კომპაქტურად მცხოვრებ ბერძენთა მასობრივი გადმოსახლების პირველი რეალური თარიღი XVIII საუკუნის მიწურულით განისაზღვრება.

ფიქრობთ, სამართლიანადაა შენიშნული, რომ დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრებულ ბერძენთა და ძვ. წ. VII საუკუნიდან საქართველოში მოსულ ბერძნებს შორის ერთიანი გენეტიკური ხაზის არსებობა სრულიად შეუძლებელია (კომახია, 2006).

საქართველოში ბერძნული დასახლებები განლაგებულია წალკის, თეთრიწყაროს, დმანისის, მარნეულის, წითელწყაროს, ახალციხის და ბორჯომის რაიონებში. ასევე აჭარასა და აფხაზეთში (ლორესი et al 2012).

ბერძენთა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იმიგრაციული ნაკადი საქართველოში შემოსვლას იწყებს ანატოლიელ ბერძენთა სახით, როდესაც ერეკლე მეორემ ახტაღის სპილენძის, ვერცხლის და ოქროს საბადოებზე სამუშაოდ მოიწვია ბერძენი მუშები და ხელოსნები და სოფელ მისხანში დაასახლა (800 კაცი). ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის, შიმშილისა და ეპიდემიების შედეგად ბერძენ მოსახლეთა უმრავლესობა გაწყდა, დარჩენილმა ნაწილმა კი მიატოვა სამთამადნო საქმიანობა და მიწათმოქმედებას მოჰკიდა ხელი. მისი დიდი ნაწილი შემდეგ ქართლის სოფელ ოფრეთში (Иваненко, 1901) გადასახლდა. ბერძნების ეს პირველი ტალღა ისტორიული ქალდიის პროვინციებიდან ჩამოვიდა: არზრუმი, ტრაპეზუნდი, როდოპოლისი, ნეოკესარია, ანკარა, ყარს-არდაღანი და ამიერკავკასიის მოსახლდრე (საქართველოს და სომხეთის) იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც რუსეთისა და თურქეთის იმპერიათა პოლიტიკაში განსაკუთრებით სერიოზულ სტრატეგიულ ორიენტირს წარმოადგენდა (Gronenborn, 1999).

1810 წელს შექმნილი „თურქეთიდან კავკასიაში ქრისტიანთა გადმოსახლების კომიტეტის“ ინიციატივით, ქვემო ქართლის გაუკაცრიელებულ სოფ. წინწყაროში (თეთრიწყაროს რ-ნი) გადმოსახლეს ყარსელ და არზრუმელ ბერძენთა 100-ზე მეტი ოჯახი, რომელთა ნაწილი შემდეგ თრიალეთის სოფელ წინწყაროში (წალკის რ-ნი) გადასახლდა (Иваненко, 1901). შემდგომ, თურქეთიდან ლტოლვილ ბერძენთა საქართველოში, დასახლება, ძირითადად წალკის რაიონში სამ ეტაპად გამხორციელდა: I ჯგუფი—1829 წელს გიუმიშხანიდან გადმოვიდა 28 ოჯახი, მადენიდან—32 ოჯახი, ბაიბურთიდან და ყარსიდან—25 ოჯახი (სულ 85 ოჯახი). ახალმოსულები დასახლდნენ წალკასა და მანგლისს შორის — ბეშთაშენში, ანუ კეჩეტში. ბერძენთა II ჯგუფი გადმოსახლდა არზრუმის საფაშოდან, სოფ. ბაშკევიდან ქართულ ნასახლარ ახალშენში, რომელსაც უწოდეს ბაშკევი-კენდიგი. III ჯგუფი გადმოსახლდა არზრუმის საფაშოს სხვადასხვა სანჯაყებიდან 1830 წელს და დასახლდნენ წალკის ტერიტორიის ნასოფლარებში. 1831 წელს, IV ჯგუფს შეადგენდა 10 ქართული ოჯახი არდაღანის სანჯაყიდან, სოფ. ველიდან, რომლებიც სოფელ რეხაში დასახლდნენ (სონღულაშვილი, 1964).

საქართველოში ბერძენთა ჯგუფების შემოსახლება თურქეთის ტერიტორიიდან არ შეწყვეტილა XIX საუკუნის დასასრულამდე, თუმცა, მან განსაკუთრებით ფართო ხასიათი 1854—55 წლებში მიიღო, როდესაც თურქეთიდან მიგრირებული ბერძენები სახლდებოდნენ აჭარაში, ქვემო ქართლში (სოფ. ირაგა—თეთრიწყაროს რ-ნი), თორში (სოფ. ციხისჯვარი, თანამედროვე ბორჯომის რ-ნი). 1863—64 წლებში ხდება რამდენიმე ასეული ოჯახის ჩამოსახლება აფხაზეთში, აგრეთვე თრიალეთში, სამცხეში, თორში, ქვემო ქართლში და ფოთში. ბერძენთა ბოლო მიგრაციული ნაკადი საქართველოში 1923 წლის შემდეგ შემოვიდა (Иваненко, 1901).

კავკასიის ბერძენები იყოფიან ორ ძირითად ეთნოლინგვისტურ ჯგუფად: ბერძენულენოვან ელინოფონებად (თვითსახელწოდება „რომოს“) და თურქულენოვან თურქოფონებად (თვითსახელწოდება „ურუმი“). ისინი მთლიანობაში წარმოადგენენ ერთიანი ბერძენი ხალხის ლოკალურ სუბეთნიკურ ჯგუფებს კავკასიაში. ეს ორივე ეთნოლინგვისტური ჯგუფი მართმადიდებელი ქრისტიანია (Иваненко, 1901).

წალკის რაიონის ბერძენთა ძირითადი მასა მაინც თურქულენოვანი ურუმებია, ისინი საუბრობენ თურქული ენის აღმოსავლურ დიალექტზე¹. ისინი წალკის რაიონის შემდეგ სოფლებში ცხოვრობენ: ხადიკი, გუნია—ყალა, თაქილისა, ედიქილისა, ჯინისი, ავრანლო, ხანლო, ბეშთაშენი, ბაიბურთი, ბაშკოვი, ლივადი, ყარაკომი, ოლიანკა და სხვ. დმანისის რაიონში ურუმები ცხოვრობენ სოფ. სარკინეთში, განახლებაში და ველისპირში. ასევე ისინი თეთრიწყაროს სოფელ წინწყაროშიც არიან.

ელინოფონების (პონტურ დიალექტზე მოსაუბრე ბერძენები) ძირითადი მასა საქართველოში XIX საუკუნის 50—80-იან წლებში დასახლდა. ისინი თურქეთში ცხოვრობდნენ სანტეს, სიურმენეს, კორმას, ხოფას, რიზეს და სხვა ოლქებში. საქართველოში შემდეგ სოფლებში დასახლდნენ: ივანოვკა, პატარა და დიდი ირაგა, ჯიგრაშენი, ვიზიროვკა, ალექსეევკა. ასევე, მარნეულის რაიონის სოფელ ოფრეთში. ყარსის სოფლებიდან წამოსულები აქ საკირესა და გორაში ცხოვრობენ

(Пиотровский, 1946).

ა. სონღულაშვილის აღნიშვნით, წალკაში მცხოვრები ბერძენები ლაპარაკობდნენ შერეულად—ბერძენულ—სომხურ—თურქულ ენაზე. ამასთან, ავტორის მიერ შენიშნულია ის გარემოებაც, რომ ბერძენები, რომლებიც ცხოვრობდნენ ოსმალეთის იმპერიაში არ

¹ ტერმინი „ურუმი“ წარმოიშვა ლათინური ფუძიდან „რომა“ (roma), რაც ნიშნავს, აღმოსავლეთ რომის იმპერიის ქვეშევრდომს, რომელშიც იგულისხმებიან თურქეთის მიერ დაპყრობილი ბიზანტიური პროვინციების მცხოვრებნი განურჩევლად მათი ეთნიკური წარმოშობისა (იხ. Л. Б. Пашаева. Семья и семейный быт греков Цалкского района (по этнографическим материалам второй половины XIX-начала XX вв), Тб. 1992, с.16-20)

ატარებდნენ გვარებს. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კი საჭირო გახდა მიეღოთ გვარები (Tarkhnishvili et al 2014).

აღნიშნულია, რომ საქართველოში დამკვიდრებული ურუმები შედგებიან კილისების, კანტების, პასენისა და ლაზებისაგან. ყველა მათ ბერძნული თვითშეგნება აქვთ. ლაზებიც კი (რომლებიც წალკის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შეადგენენ), თრიალეთში დამკვიდრებულ ბერძნებად მიიჩნევიან. გიუმიშხანიდან გადმოსახლებულ ბერძნებს შორის არსებობდა გადმოცემა მათი ქართულ-ლაზური წარმოშობის შესახებ (ჯაფარიძე ა., ??).

ურუმთა ეთნიკურ შემადგენლობასთან დაკავშირებით შენიშნულია, რომ მათ რიგებში არ შევიდნენ ის ბერძნები, რომლებიც საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადმოსახლდნენ და რომლებიც დღესაც ცხოვრობენ წალკის რაიონში (ნეონ-ხარაბა), ბორჯომის რაიონში (ციხისჯვარი), ახალციხის რაიონში (მიქელწმინდა), აფხაზეთის მთელ რიგ სოფლებში – გირგიევსკი, ალექსანდროვსკი, ოლგინსკოე და აჭარის სოფელ ბობოყვათში (Пиотровский, 1946).

ზემოთქმულიდან გამომდინარე კავკასიის ბერძნების ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით ყველაზე უფრო დამაჯერებლად და გამართული მიგვაჩნია ვ. ითონიშვილის შემდეგი დასკვნა: „კავკასიის ბერძნები ძველი ბიზანტიის სახელმწიფოს (IV–XV საუკუნეები) ეთნიკური ნაშთია, რომელსაც ახალ სამოსახლო არეალში არ დაუფუძნებია რაიმე სახის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. კავკასიის ბერძნები უპირატესად თურქ-ოსმალთა მიერ დაპყრობილი ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიების ოდინდელი მოსახლეობის მონასხლეტია, რომელიც ბერძნული ეთნიკური ბირთვის და მასზე მიკონებული სხვადასხვა ეთნიკური ელემენტის (ქართული, სომხური, ქურთული, თურქული, თათრული და სხვა) შერწყმის შედეგად არის ფორმირებული. როგორც ელინოფონებში, ისე ურუმებში განსაკუთრებით დიდია ლაზური ეთნოგენეტიკური ელემენტის ხვედრითი წილი” (Иваненко, 1901).

აზერბაიჯანელები

აზერბაიჯანელები კავკასიაში რაოდენობრივად ყველაზე დიდი ეთნოსია. საკუთრივ აზერბაიჯანის გარდა, ისინი საკმაოდ კომპაქტური ჯგუფების სახით სახლობენ საქართველოს, სომხეთის და დაღესტნის ტერიტორიაზე, ასევე, ირანში, ავღანეთში, ერაყსა და თურქეთში (Zvelebil M & KV., 1988).

აზერბაიჯანული ენა განეკუთვნება ალთაური ოჯახის თურქული ჯგუფის სამხრეთ-დასავლურ (ოღუზურ) ქვეჯგუფს. თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში განარჩევენ შემდეგ დიალექტურ ჯგუფებს: აღმოსავლური (ყუბური, ბაქოური და შემახური დიალექტები; მუდანური და ლენქორანული კილოები), დასავლური (ყაზახური, განჯური, ყარაბახული დიალექტები და აირუმული კილო), ჩრდილოური (ნუხური დიალექტი და ზაქათალ-კახური კილო) და სამხრეთული –ნახიჭევანური, ორდუბადული, თავრიზული დიალექტები და ერევნული კილო (Иваненко, 1901). განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან კაშკაელთა, ავშართა (ირანი, ავღანეთი) და თარაქამათა (სომხეთი) დიალექტები. სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო შემახურ-ბაქოური დიალექტი (Иваненко, 1901).

აზერბაიჯანელთა ავტოეთნონიმი: „აზერბაიჯანლი“, „აზერილერ“. საინტერესოა მათი ზოგიერთი ეგზოეთნონიმები: ქართული–„თათარი“, ჩანური–„ლეზალი“, ავარიული–„პადა-რად“, „ხაშმარი“, დარგოული–„ყაყარ“, ბალყარული–„ყაჯარლი“, ყარაჩაული–„თიურქლი“, „კაჯარლი“.

აზერბაიჯანელი ერის შემადგენელი ძირითადი ეთნოტერიტორიული ჯგუფებია: აირუმები, ავშარები, ბაიათები, ყარადაღელები (ყარაჯიდაღები), ყარაფაფახები, ფადარები, შაჰსევენები, ყაზახელები, ბორჩალოელები და სხვა (Иваненко, 1901).

დღეისათვის აზერბაიჯანელები საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობაა (ქვეყნის მთელი მოსახლეობის 6,5 %) და მათი უმავლესობა ქვემო ქართლში, კახეთში და თბილისის სამხრეთითაა განსახლებული (Латишев, 1890).

ახერბაიჯანელი ერის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს თურქულენოვანმა ოღუზმა ტომებმა, რომლებმაც XI საუკუნეში დაიპყრეს რა ისტორიული „ატროპატენა“-ს და კავკასიის ალბანეთის მიწა-წყალი, მოახდინეს ადგილობრივი ირანული და კავკასიური მოდემის ტომების (ატროპატენელები და ალბანელები) ასიმილაცია. ახერბაიჯანული ეთნოსის ფორმირება ძირითადად დასრულდა XIII ს. (ИВАНЕНКО, 1901).

თურქთა პირველი მასობრივი შემოსვლა-დამკვიდრება აღმოსავლეთ საქართველოში „დიდ თურქობას“ უკავშირდება (XI საუკუნის 30-იანი წლები). ისინი უმეტესად ადგილზე რჩებოდნენ და სახლდებოდნენ. XI–XIII საუკუნეებში თურქული მოსახლეობის შემოსვლა ისევ გრძელდებოდა, თუმცა ნაკლები ინტენსივობით. უფრო მყარად მათ ფეხი მოიკიდეს საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში, სადაც გიორგი ბრწყინვალის გამეფებისას (1314–1346) თურქმანებს კომპაქტური დასახლებებიც ჰქონდათ. თურქმანების შემდგომი მატება კავკასიაში თემურ ლენგის დაშქრობებს უკავშირდება, სადაც მან კავკასიელ მთიელთა გამუსულმანების მიზნით „ელნი მაჰმადიანი“ დაასახლა ჩრდილო კავკასიაში. XV–XVI საუკუნეებიდან საქართველოში დაიწყო ჯერ სომხების, ხოლო მოგვიანებით თურქული მოდემის (ქართული წყაროებით თათართა) ტომების ჩამოსახლება (Еремьян, 1952). ამ პროცესმა უფრო მკვეთრი სახე მიიღო XVII საუკუნიდან, როდესაც შაჰ-აბას პირველმა ქართლის მეფე გიორგი X-ს (1600–1604) „სახუქრად გამოართვა“ მდ. დებედას ხეობა და ღორის პროვინცია ციხითურთ. ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ღორეს სახანო. სპარსელებმა მდ. დებედის ხეობაში ბორჩალოს ტომი ჩამოსახლეს და აღჯაყალას ციხისთავს დაუმორჩილეს. აქ ჩამოყალიბებული ბორჩალოს სახანო ირანის საკუთრება გახდა და ასეთად დარჩა იგი მე-18 ს. პირველ ნახევრამდე. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ასევე შეიქმნა ბაიდრის სასულთნო. აქ ჩამოსახლებულებს შაჰ-სეფიმ საცხოვრებლად მდ. ქციის ნაპირები მიუჩინა. თავდაპირველად ამ ადგილს წყალთაშუა რქმევია (ჯაფარიძე, 1999).

შაჰ-აბასის ინიციატივით ქვემო ქართლში ხუხანის საერისთავოს ტერიტორიაზე შეიქმნა ბამბაკის სახანო. ამ სახანოშიც ბორჩალოს ტომები სახლობდნენ. იმავე ტერიტორიაზე მოსახლე დემურხი-ჰასანლოს ტომთა (იგივე, – ელები) საქართველოში მოსვლის ზუსტი თარიღი უცნობია. ვახუშტის დროს ისინი ყარაჯაში ესახლნენ (ჯაფარიძე, 1999).

ქვემო ქართლში არსებული ტოპონიმი “ბორჩალო” ბევრად უფრო გვიანდელია და XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბას პირველის მიერ ბორჩალოს ტომთა ქვემო ქართლში ჩამოსვლას უკავშირდება. სავარაუდოდ ქვემო ქართლში ელი მოსახლეობა მანამდეც არსებობდა, მაგრამ მათ მიერ დატოვებულ ტოპონიმზე და ტომობრივ შემადგენლობაზე რაიმე ცნობები შემორჩენილი არ არის. ელი ტომები (ქართული ისტორიული საბუთები და ნარატიული წყაროები მათ „ელებს“ უწოდებს) ცენტრალური და სამხრეთ ირანიდან შემოვიდნენ. ირანიდან შემოყვანილი თურქულენოვანი ტომები ერთ ეროვნებას არ წარმოადგენდნენ. მათი ნაწილი თანდათან შეერწყა ახერბაიჯანელებს, ნაწილი თურქმანებს (ჯაფარიძე, 1999). ამ ტერიტორიაზე მოგვიანებით გამოჩნდნენ ყახახ-შამშადილუ-ღორელი ხანები. ჰერეთში კი ირანელებმა დაასახლეს „დემინი-ასლანუ“, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ თურქულ ტომს „ტარაკიამას“ (თარაკიამას) და ასევე მომთაბარეები იყვნენ (Horváth, 2011).

XVIII საუკუნის შუა წლებში ერეკლე II-ეს მუდანის ველიდან გადმოუსახლება სპარსეთისაგან შევიწროებული 250 თურქული ოჯახი და შეუქმნა სოფლები: მუდანლო, ყაფანახჩი და ყიზილ-ჰანჯილი (აკოფაშვილი, 1972).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „გურჯისტანის“ სახანოებად გადაქცევის გეგმა 1625 წელს, მარტყოფის ომის შემდგომ შეიცვალა, ხოლო თურქმანული ტომების ჩასახლების ცდა კახეთის აჯანყებამ შეაჩერა, რამაც გამოიწვია ის, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვიდრი მოსახლეობა რაოდენობრივად მეტი იყო, ვიდრე მომთაბარე მოსული. ელი მოსახლეობა ადგილობრივ ფეოდალურ ურთიერთობათა გარემოცვაში მოექცა. საქართველოში შემუშავდა „ელის დებულება“, რომელიც შევიდა დასტურლა-

მაღში. XVIII საუკუნიდან უკვე შესამჩნევი გახდა ელის მკვიდრ, ბინადრულ ცხოვრებაზე გადასვლის ტენდენცია (გარაყანიძე, 1990).

დასტურლამაღის მიხედვით ელის 76 თაბუნია (არაბულად –ჯგუფი, გუნდი ადამიანებისა) მითითებული: ალგეთში, ქციის ხეობაში, მდ. მტკვრის გაღმა მხარეს, სომხითში, დმანისის ხეობაში. ელები მარნეულის რ–ნში მდებარე ნაჯბადინამდე განსახლდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი საკუთრივ მარნეულში არ ასახელებს ელის მოსახლეობას (სონდულაშვილი, 1964). ყულარად წოდებული ელები ცხოვრობდნენ მდ. ქციისა და შულავერისწყლის შესართავთან. ელებით იყო დასახლებული მდ. მტკვრისა და ალგეთის შესართავი იაღლუჯის მთამდე (Еремян, 1952).

შამშადილუში დამკვიდრდნენ ყარაბახსა და ერევანში ადრე აქედან გაქცეული ელები (Еремян, 1952). ამავე დროს მეზობელი აზერბაიჯანიდან ჩამოსახლებულან მიგრანტები. მაგ. სოფ. ჯავშანიანის (ბოლნისის რ–ნი) მოსახლეობის წინაპრები აზერბაიჯანიდან მოსულან, ასევე, აზერბაიჯანიდან გადმოსულან სოფ. ვახტანგისის მცხოვრებთა ნაწილი (Еремян, 1952). ასევე იყო შიდამიგრაციული პროცესებიც. მაგ. წალკის რ–ნში არსებული რამდენიმე სოფლის (არჯევან–სარვანი, თედისი, გედაქლარი, მინსაზქენდი) აზერბაიჯანული მოსახლეობა მარნეულიდან არიან გადასახლებული; სოფელ ახყულას მცხოვრებნი (მარნეულის რ–ნი), გარდაბნის რ–ნიდან არიან გადმოსახლებულნი ჯერ სოფელ ოფრეთში, შემდეგ სოფელ ახყულაში. სოფ სიონში დასახლებული აზერბაიჯანელები შიდა მიგრანტები არიან.

აღნიშნულია, რომ ქვემო ქართლში დამკვიდრებული, აზერბაიჯანელებად წოდებული თურქულენოვანი მოსახლეობა მიგრანტთა ორ ნაკადს მიეკუთვნება: 1. XV–XVIII საუკუნეებში ჩამოსახლებულ თურქულენოვან მიგრანტებს; 2. ახალ გარემოს შეგუებული (აზერბაიჯანსა თუ ქვემო ქართლში), ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით ერთი ადგილიდან მეორეზე გადასულ მიგრანტებს.

როგორც ზემოთ გამოჩნდა, საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით, თუ ნებით დასახლებულ მიგრანტთა ეთნიკური შემადგენლობა არაერთგვაროვანი იყო. ისინი აზერბაიჯანელი ეთნოსის შემადგენლობაში მოგვიანებით შედიან, ისტორიული ატროპატენის და ალბანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი ტომების შერევის შედეგად. არ დაგვაიწყდეს ისიც, რომ ამ ტომებს, მხოლოდ 1826 წლის საყოველთაო აღწერის მასალებში ეწოდათ პირველად აზერბაიჯანელები. სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცით თუ რა დოზით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს დღესაც ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი შერწყმის პროცესი, მაგრამ უშუალოდ დღევანდელი საქართველოს ტერიტორია მათ გადმოსახლებამდე, ადგილობრივი ეთნიკური ელემენტით იყო დასახლებული (სავარაუდოდ ქართულ–კავკასიურთან ახლოს მყოფი) და ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მათ გარკვეულ ნაწილს განეცადა ასიმილაცია. მეორე მხრივ, ჩვენ არ გვაქვს ხელმოსაჭიდი ცნობები XVIII საუკუნეზე ადრინდელი საქართველოში მოსახლე ელი ტომების ვინაობის შესახებ. ამ მიმართულებით საკითხი უფრო ღრმა კვლევას მოითხოვს.

გენეტიკური კვლევის შედეგები

შესწავლილია კავკასიაში მცხოვრები 4 ეთნოსის (თუშები და ფერეიდნელები ქართველები არიან) სულ 130 ნიმუში: აზერბაიჯანელები, პონტოელი ბერძნები, სომხები, თუშები და ფერეიდნელი ქართველები, ასევე ქართველები განურჩევლად ადგილწარმოშობისა (ცხრ. 1) ყოველი გამოკვლეულ ინდივიდისაგან აღებული გენეტიკური მასალა შემოწმდა 17 ქრომოსომული STR (short tandem repeat, მიკროსატელიტები) მარკერის მიხედვით. მიკროსატელიტური პროფილების საფუძველზე, გათვლილი იყო ყველა ინდივიდის ჰაპლოჯგუფი. ჰაპლოჯგუფების განაწილება მოცემულია სურ. 1-ში.

ცხრილი 1. შესწავლილი ჯგუფები და მათში გამოკვლეულთა რაოდენობა

აზერბაიჯანელები	პონტიელი ბერძნები	სომხები	თუშები	ფერეიდნელები	ქართველები (გაერთიანებული)
8	12	10	13	9	78

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ჯგუფში შესწავლილ ინდივიდთა რაოდენობა მცირეა, ჰაპლოჯგუფების განაწილებამ რამდენიმე საინტერესო შედეგი გამოავლინა:


პონტოელ ბერძნებში გამოვლინდა ჰაპლოჯგუფი L-ის მაღალი შემცველობა, რომელიც ადრე დასავლეთში იყო შემჩნეული და შესაძლოა ახვენებდეს პონტოს მთების მოსახლეობის გენეტიკურ თავისებურებას;

ჰაპლოჯგუფების მსგავსი განაწილება გამოვლინდა თუშებში და ფერეიდნელ ქართველებში, რაც შეიძლება მეტყველებდეს თუშებისა და მე-17 საუკუნის გარე კახეთის მოსახლეობის გენეტიკურ მსგავსება - ნათესაობაზე. ორივე ჯგუფში მკვეთრად დომინირებს ჰაპლოჯგუფი J2.

შესწავლილ ქართველების პოპულაციაში დომინირებს ორი ჰაპლოჯგუფი, G2a J2, დამახასიათებელი შესაბამისად დასავლეთი და აღმოსავლეთი კავკასიონის მოსახლეობისთვის (Balanovsky et al., 2011; Tarkhishvili et al., 2014).

სომხები და, განსაკუთრებით, აზერბაიჯანელები Y ქრომოსომის ჰაპლოჯგუფების მიხედვით საკმაოდ მრავალფეროვანია; ორივეში წარმოდგენილია ჰაპლოჯგუფები J2, J1, R1b, თუმცა სომხებში ასევე გამოვლინდა ჰაპლოჯგუფები E1b1b და I2 (როგორც ჩანს, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირული წარმოშობის), ხოლო აზერბაიჯანელებში - R1a, T, და C - ირანული და შუაზიური წარმოშობისა.

ქვემოთ მოცემულია პოპულაციურ-გენეტიკური კვლევის შედეგები, რომელიც 5 პოპულაციის ანალიზს ეყრდნობა. ამ ანალიზში „დაუზუსტებელი“ ქართველები ჩართული არ არიან.



სურ. 1. ჰაპლოჯგუფების განაწილება შესწავლილ ჯგუფებში

გამოვიყენეთ AMOVA ალგორითმი (პროგრამა Arlequin 3.5), რომელიც გამოზრდილია არარეკომბინანტული გენების ცვალებადობის შესწავლისთვის. შედეგები ქვემოთაა მოცემული.

ცხრილი 2. შიდაპოპულაციური და პოპულაციებს შორის ცვალებადობა

ცვალებადობის წყარო	თავისუფლების ხარისხი	კვადრატების ჯამი	ვარიანსის კომპონენტი	c
პოპულაციათა შორის	4	124.350	1.34457 Va	7.24
შიდაპოპულაციური	47	809.112	17.21514 Vb	92.76
ჯამური	51	933.462	18.55971	
ფიქსაციის ინდექსი FST :	0.07245			

ცხრილი 2 აჩვენებს, რომ შიდაპოპულაციური ცვალებადობა მაღალია და აღემატება პოპულაციებს შორის ცვალებადობას, ხოლო სარწმუნოების ტესტი (1023 პერმუტაცია) ადასტურებს რომ არსებობს სარწმუნო განსხვავებები პოპულაციებს შორის და უდრის $P=0.00391$ (ანუ იმის ალბათობა, რომ განსხვავებები შემთხვევითია, 5%-ზე ნაკლებია).

ცხრილი 3. Fst ყოველ წვეთელ პოპულაციას შორის

	1	2	3	4	5
1.აზერბაიჯანელები	0.00000				
2.ბერძნები	0.06135	0.00000			
3.სომხები	-0.02498	0.02156	0.00000		
4.თუშები	0.14995	0.10787	0.08832	0.00000	
5.ფერეიდნელები	0.03911	0.11010	0.07893	0.09296	0.00000

ცხრილი 3 აჩვენებს წვეთელ F-სტატისტიკის მნიშვნელობებს. უარყოფითი მნიშვნელობები, რეალურად, ნულობრივ სტატისტიკაზე მეტყველებს.

ცხრილი 4. Fst მნიშვნელობის სარწმუნოება

	1	2	3	4	5
1.აზერბაიჯანელები	*				
2.ბერძნები	0.08108	*			
3.სომხები	0.51351	0.28829	*		
4.თუშები	0.00901	0.02703	0.02703	*	
5.ფერეიდნელები	0.25225	0.01802	0.13514	0.07207	*

ცხრილი 4-ში კი მოყვანილია ამ მნიშვნელობების სარწმუნოებები, ანუ ის, რამდენად სარწმუნოდ განსხვავდებიან ისინი ნოლისგან. ამ ცხრილიდან ჩანს რომ სარწმუნოდ ($P<0.05$) თუშები განსხვავდებიან სხვა სამი პოპულაციისაგან (სომხები, ბერძნები, აზერბაიჯანელები) მაგრამ არა ფერეიდნელებისგან. ფერეიდნელები არასარწმუნოდ განსხვავდებიან სამი სხვა პოპულაციისგან და სარწმუნოდ მხოლოდ ბერძნებისგან. ეს შედეგია, როგორც ჩანს, გამოკვლეულთა მცირე რაოდენობით. თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შედარებით მაღალი გენეტიკური განსხვავებები არსებობს თუშებსა და ოთხივე სხვა პოპულაციას შორის; ფერეიდნელებსა და სხვა პოპულაციებს შორის (თუმცა შედარებით მაღალია ფერეიდნელების და აზერბაიჯანელების მსგავსება); ბერძნებსა და აზერბაიჯანელებს შორის. მცირეა სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის სხვაობა, ისევე როგორც სომხებსა და ბერძნებს შორის. სხვა სიტყვებით, მსგავსება მეტ-ნაკლებად გეოგრაფიულ მდებარეობას ასახავს.

ქვემოთ მოყვანილია ცხრილები, სადაც მოცემულია 5 ჯგუფის გენეტიკური ცვალებადობის მახასიათებლები. ცხრილი 5 ვერ ავლენს მნიშვნელოვან განსხვავებას ჯგუფებს შორის.

ცხრილი 5. ძირითადი მახასიათებლები

statistic s.d.	აზერბაიჯან ლები	პონტოელი ბერძნები	სომ ხები	თუშები	ფერეიდნე ლები	საშუალო
No. of gene copies-2.074	8	12	10	13	9	10.4
No. of loci -0.0	17	17	17	17	17	17
No. of usable loci- 0.894	15	17	17	17	17	16.6
No. of polym. loci -0.837	15	17	16	16	15	15.8

ცხრილი 6. მოსალოდნელი პეტეროზიგოტულობა

Locus / Het	აზერბაი- ჯანლები	პონტოელი ბერძნები	სომხები	თუშები	ფერეიდ- ნელები	Mean	s.d.	total
1	0.59276	0.75000	0.16667	0.51111	0.73077	0.55556	0.54282	0.23500
2	0.46078	0.46429	0.68182	0.51111	0.38462	0.0000	0.40837	0.25288
3	0.67345	0.67857	0.53030	0.73333	0.65385	0.58333	0.63588	0.07992
4	0.73680	0.82143	0.72727	0.77778	0.76923	0.63889	0.74692	0.06903
5	0.77098	0.80952	0.75758	0.71111	0.67949	0.75000	0.74154	0.04931
6	0.49548	0.60714	0.62121	0.0000	0.53846	0.41667	0.43670	0.25718
7	0.78582	0.75000	0.63636	0.84444	0.53846	0.50000	0.65385	0.14393
8	0.78356	0.85714	0.84848	0.91111	0.51282	0.55559	0.73702	0.18732
9	0.58899	0.67857	0.75758	0.64444	0.38462	0.38889	0.57082	0.17297
10	0.27828	0.64286	0.43939	0.20000	0.0000	0.22222	0.30089	0.26649
11	0.59351	0.67857	0.71212	0.53333	0.38462	0.41667	0.54506	0.14841
12	0.78281	0.67857	0.84848	0.84444	0.66667	0.72222	0.75208	0.08862
13	0.47964	0.46429	0.77273	0.53333	0.38462	0.0000	0.43099	0.28119
14	0.73077	0.60714	0.77273	0.64444	0.65385	0.55556	0.64674	0.08033
15	0.66139	0.67857	0.62121	0.53333	0.53846	0.6667	0.60765	0.06893
16	0.68477	0.82143	0.68182	0.64444	0.65385	0.41667	0.64364	0.14551
17	0.67843	0.80952	0.78788	0.64444	0.46154	0.63889	0.66845	0.14002
mean								
	0,63401	0,69398	0,66845	0,60131	0,52564	0,47222	0,59232	0,09365
s.d	0,11632	0,16794	0,22845	0,18623	0,22244	0,18428	0,04554	0,14099

ცხრილი 7. Theta (H) ინდექსი

Locus	აზერბაიჯან- ნლები	პონტოელი ბერძნები	სომხები	თუშები	ფერეიდ- ნელები	Mean	s.d.
1	7.50000	0.22000	1.59194	6.39796	2.03125	3.54823	3.19933
2	1.24222	4.43878	1.59194	0.82031	N.A.	2.02331	1.64092
3	4.33951	1.766639	6.53125	3.67284	2.38000	3.73800	1.86412
4	15.18000	6.22222	9.625000	8.88889	3.33432	8.65009	4.41019
5	13.28125	8.00781	5.4912	4.36720	7.50000	7.72948	3.43757

6	2.73967	2.98480	N.A.	1.84722	0.96939	2.13527	0.91820
7	7.50000	3.28125	20.16327	1.84722	1.50000	6.85835	7.81107
8	24.00000	21.28000	62.78125	0.60665	2.03125	22.33983	24.90829
9	4.33951	8.00781	3.45508	0.82031	0.83884	3.49231	2.97024
10	3.42000	1.09094	0.28125	N.A.	0.32653	1.27968	1.47444
11	4.33951	5.53324	1.795592	0.82031	0.96939	2.69167	2.12488
12	4.33951	21.28000	20.16327	4.00000	5.98000	11.15255	8.77625
13	1.24222	9.18000	1.79582	0.82031	N.A.	3.25961	3.96709
14	2.73967	9.18000	3.45508	3.67284	2.03125	4.21577	2.84904
15	4.33951	2.98480	1.79592	1.84722	4.00000	2.99349	1.18036
16	15.18000	4.43878	3.45508	3.67284	0.96939	5.54322	5.54255
17	13.28125	10.61224	3.45508	1.22449	3.33432	6.38148	5.24285
Theta from Mean H	1.85435	1.75606	1.58562	1.50527	1.50619	1.64150	0.15686

ცხრილი 6-ის ქვედა ორი სტრიქონი აჩვენებს სხვადასხვა პოპულაციების ჰეტეროზიგოტულობის დონეს და შესაბამის სტატისტიკურ გადახრას. აშკარად თუშებში და, განსაკუთრებით, ფერეიდნელებში ჰეტეროზიგოტულობის დონე უფრო დაბალია, ვიდრე აზერბაიჯანელებში, სომხებსა და ბერძნებში.

იგივე (იხ. ცხრილი 7) ითქმის თეტა მაჩვენებელზე, რომელიც შებრუნებული ინბრიდინგის კოეფიციენტი. დაბალი თეტა (ანუ ინბრიდინგის მაღალი კოეფიციენტი) თუშებში და ფერეიდნელებში, ხოლო ყველაზე დაბალი - აზერბაიჯანელებში რომელთა შერევის დონე სხვებზე მაღალია.

აღელების რიცხვიც დაბალია თუშებში და ფერეიდნელებში.

საინტერესოა გარცა-ვილიამსონის ინდექსის მნიშვნელობა (იხილეთ ცხრილი ქვემოთ). ეს ინდექსი აჩვენებს აღელებს შორის მანძილსა და აღელების რიცხვის შეფარდებას. მისი დაბალი მნიშვნელობა მეტყველებს იმაზე, რომ ისტორიულად პოპულაციამ „ბოთლის ყელი“ გაიარა, ანუ იყო მომენტი როდესაც მასში ძალიან ცოტა მამაკაცი დარჩა და შემდეგ რაოდენობა ისევ გაიზარდა.

ცხრილი 8. აღელების რაოდენობა


Locus # Mean	Azerbaijan	Grek pont	Armenian	Tushi	Phereidan	Mean	S.D.	Tot.
1	5	3	2	3	5	3	3.200	1.095
2	3	3	3	3	2	1	2.400	0.894
3	4	3	3	4	3	4	3.400	0.548
4	4	4	4	4	4	3	3.800	0.447
5	4	4	4	4	4	4	4.000	0.000
6	3	3	3	1	2	3	2.400	0.894
7	7	3	4	5	2	2	3.200	1.304
8	9	5	6	7	3	3	4.800	1.789
9	5	3	5	4	2	2	3.200	1.304
10	4	4	3	2	1	2	2.400	1.140
11	4	3	4	2	2	3	2.800	0.837
12	6	3	5	5	3	3	3.800	1.095
13	6	3	4	4	2	1	2.800	1.304

14	4	3	4	3	3	3	3.200	0.447
15	3	3	3	2	2	3	2.600	0.548
16	5	4	4	4	3	3	3.600	0.548
17	5	4	5	3	2	3	3.400	1.140
Mean	4.882	3.412	3.882	3.529	2.647	3.529	3.235	0.539
s.d.	0.618	0.993	1.419	0.996	0.849	0.975	0.292	1.576

ცხრილი 9. Garza-Viliamson- ის ინდექსი

Locus	აზერბაიჯან- ნღები	პონტოელი ბერძნები	სომხები	თუშები	ფერეიდ- ნღები	Mean	s.d.
1	0.60000	0.40000	0.60000	1.00000	0.60000	0.64000	0.21909
2	1.00000	1.00000	1.00000	0.66667	0.33333	0.80000	0.29814
3	0.75000	0.75000	1.00000	0.75000	1.00000	0.85000	0.13693
4	1.00000	1.00000	1.00000	1.00000	0.75000	0.95000	0.11180
5	0.66667	0.66667	0.66667	0.66667	0.66667	0.66667	0.00000
6	1.00000	1.00000	0.33333	0.66667	1.00000	0.80000	0.29814
7	0.37500	0.50000	0.62500	0.25000	0.25000	0.40000	0.16298
8	0.50000	0.60000	0.70000	0.30000	0.30000	0.48000	0.17889
9	0.60000	1.00000	0.80000	0.40000	0.40000	0.64000	0.26077
10	1.00000	0.75000	0.50000	0.25000	0.50000	0.60000	0.28504
11	0.75000	1.00000	0.50000	0.50000	0.75000	0.70000	0.20917
12	0.50000	0.83333	0.83333	0.50000	0.50000	0.63333	0.18257
13	0.50000	0.66667	0.66667	0.33333	0.16667	0.46667	0.21731
14	0.75000	1.00000	0.75000	0.75000	0.75000	0.80000	0.11180
15	1.00000	1.00000	0.66667	0.66667	1.00000	0.86667	0.18257
16	0.66667	0.66667	0.66667	0.50000	0.50000	0.60000	0.09129
17	0.80000	1.00000	0.60000	0.40000	0.60000	0.68000	0.22804
Mean	0.73284	0.81373	0.70049	0.56471	0.59216	0.68078	0.10259
s.d	0.20872	0.20406	0.18452	0.2422	0.26128	0.21856	0.02973

როგორც ჩანს, ეს ინდექსი თუშებსა და ფერეიდნელებში შედარებით დაბალია, ხოლო განსაკუთრებით მაღალია პონტოელ ბერძნებში. შესწავლილი ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულება ასახულია ნახ.2-ზე.



ნახ.2-ზე წარმოდგენილია ჩატარებული კვლევის გრაფიკული სურათი

დასკვნები

კვლევაში, რომელიც საკმაოდ შეზღუდულ კონტინგენტზე ჩატარდა მოგვცა შედეგები, რომელიც ლიტერატურაში არსებულ მონაცემებთან წინააღმდეგობაში არ მოდის, თუმცა გვაძლევს სერიოზულ საფუძველს კრიტიკულად შევხედოთ ზოგიერთ თეზას და აუცილებლად მივიჩნევთ კვლევების არეალისა და გამოკვლეულთა რაოდენობის გაზრდას.

მოკლედ დასკვნები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

1. თუშების და ფერეიდნელების პოპულაციები უფრო ერთგვაროვანია სხვა შესწავლილ ჯგუფებთან შედარებით. ორივეში ჭარბობს ჰაპლოჯგუფი J2, თუმცა ასევე გვხვდება G2a. ეს ორი ჰაპლოჯგუფი ჭარბობს ზოგადად ქართველებში, თუმცა ცხადია ქართველების პოპულაცია გაცილებით მრავალფეროვანია გენეტიკურად. ორივე ეთნოგრაფიული ჯგუფის ქართულ გენეტიკურ სამყაროსთან კუთვნილება დასტურდება, თუმცა, ამავე დროს, მათი იზოლირებულად, პატრილოკალურად განვითარების ტენდენციის დანახვა შეიძლება.

ეს პოპულაციები ასევე ხასიათდება ჰეტეროზიგოტულობის დაბალი დონით, ალელების შედარებით მცირე რიცხვით და დაბალი გარცა-ვილიამსონის ინდექსით, რაც მიუთითებს, რომ მათ ისტორიის რაღაც ეტაპზე შესაძლოა „ბოთლის ყელი“ გაეწყოთ, ანუ ორივე პოპულაციაში კაცების რაოდენობა ისტორიის მანძილზე ერთხელ მაინც მნიშვნელოვნად (კრიტიკულად) უნდა შემცირებულიყო.

2. სომხების, აზერბაიჯანელების და ბერძნების პოპულაციები გაცილებით მრავალფეროვანია გენეტიკურად. ეს ადასტურებს ზემომოტანილ თეზას ამ ერებში მრავალჯერადი გენეტიკური შერევის შესახებ. კეძოდ: სომხებში იკვეთება კავკასია-ანატოლიის (შესაძლოა უფრო ფართო გეოგრაფიის წარმოდგენაც) უძველესი მოსახლეობისა და მოგვიანებით გამოჩენილი ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ეთნიკური ჯგუფებისა (ირანელები, ბერძნები) და გარკვეული დოზით, სემიტოზაციის (ასირიელები, არაბები, ებრაელები) კვალი. თავისი როლი უნდა ეთამაშა ალბანელთა სრულ ასიმილაციას, რამაც შესაბამისი ჰაპლოჯგუფები გააჩინა ზოგად სპექტრში. თუ რომელი კლემიდი ან სუბკლემიდა ეს, მხოლოდ უდიელების კვლევით დადგინდება.

3. დაახლოებით იგივე ითქმის აზერბაიჯანულ მოსახლეობასზეც, სადაც „სიჭრელეს“ უკვე თურქმანულ, ირანულ და შუაზიურ ნაკადებთან ერთად კვლავ კავკასიურ-ანატოლიურ-ხმელთაშუაზღვისპირული სუბსტრატი ჰქმნის, რაც, შესაძლოა, ისევ და ისევ, ალბანური წინარე მოსახლეობის ასიმილაციის შედეგი იყოს.

4. ასე რომ, ჩვენი აზრით, აღნიშნული ხუთივე პოპულაციის გენეტიკური სიახლოვე განპირობებული უნდა იყოს: ა) კავკასია-ანატოლიაში, ისტორიულ წარსულში, ერთიანი გენეტიკური სპექტრის მქონე მოსახლეობის ფენა, შესაძლო ენობრივი და კულტურული ერთობით; ბ) ალბანური მოსახლეობის გენეტიკური წველილი განსაკუთრებით აღმოსავლეთ კავკასიაში მცხოვრები მოსახლეობის გენოფონდის ფორმირებაში; გ) საერთო მიგრაციული პროცესების არსებობა; დ) ურთიერთშერევის პროცესი.

5. პონტოელ ბერძნებში L-ის ჰაპლოჯგუფის მაღალმა პროცენტმა გაამყარა სამხრეთ შავოზღვისპირეთში მცხოვრები ლაზებისა და საქართველოში გადმოსახლებული ბერძნების გენეტიკური ახლობლობის შესახებ, ანუ გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე (ან პერმანენტულად) ლაზების გარკვეული ნაწილის ელინიზაციის შესაძლებლობის შესახებ, რაც, ბიზანტიის ცნობილი იმპერიული პოლიტიკიდან გამომდინარე, წარმოუდგენელი არ უნდა იყოს. პონტოელ ბერძნებში განსაკუთრებით მაღალია გარცა-ვილიამსონის ინდექსი, რაც აჩვენებს, რომ არცთუ შორეულ ისტორიულ წარსულში ბერძნები საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყვნენ.

6. თუშების პოპულაცია განსაკუთრებით განზე დგას სხვა საკვლევი პოპულაციისგან. აქ, როგორც ჩანს, მიგრაციული პროცესები ნაკლებად მიმდინარეობდა და განვითარებაც (მამაკაცის ხაზი) იზოლაციურ ხასიათს ატარებდა. მასთან შედარებით, ოთხი დანარჩენი პოპულაცია ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებადაა განსხვავებული. მათგან

ფერეიდნელების გამოყოფა შეიძლება, რომლებიც მსგავსებას აზერბაიჯანელებთან ამჟღავნებენ, რაც შესაძლოა საერთო ალბანური ძირებითა და ურთიერთშერევით აიხსნას.

7. სომხების და აზერბაიჯანელების მამაკაცის ხაზები ფაქტიურად ვერ გაირჩევა, რაც საერთო ირანული, ალბანური და სემიტური გენეტიკური სუბსტრატით, დიდი ხნის მანძილზე მეზობლად ცხოვრებით, ურთიერთშერევით უნდა აიხსნას. სომხები ბერძნებთან ამჟღავნებენ ძლიერ სიახლოვეს, რაც ბოლო 3-4 ათასი წლის მანძილზე ანატოლიის ტოტალურ ინდო-ევროპეზაციას (ელინიზაციას) უნდა უკავშირდებოდეს. ასევე, ბერძნებსა და სომხებში საერთო წინარეველინური საერთო ძირების არსებობას.

კავკასიის (საქართველოს) მომავალი, მიზანმიმართული და კეთილსინდისიერი პოპულაციური და ფილოგენეტიკური კვლევა ბევრი სიახლის შემცველი უნდა იყოს, რომელიც არამარტო რეგიონული მასშტაბის კითხვებს გასცემს პასუხს.

ლიტერატურა:

1. Абдушлишвили М.Г. 1964. Антропология древнего и современного населения Грузии. Тбилиси, Мецნიერება.
2. Adler DS, Bar-Oz G, Belfer-Cohen A, Bar-Yosef O. 2006. Ahead of the game: Middle and Upper Paleolithic hunting behaviors in the Southern Caucasus. *Current Anthropology* 47:1: 89-118.
3. აკოფაშვილი გ., 1972. ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრები და მოსახლეობა „მყრელობა“ უკაცრიელი ადგილების დასახლება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., გვ. 521.
4. Algaze G. 1993. *The Uruk expansion: The dynamics of expansion of early Mesopotamian civilization*. Chicago: University of Chicago Press.
- 5 აღიაშვილი ლ., სპარსეთი და იქური ქართველები, (მგზავრის წერილები), ტფილისი, 1896, გვ. 192.
6. Balanovsky O., Dibirova K., Dybo A., Mudrak O., Frolova S., Pocheshkhova E., Haber M., Platt D., Schurr T.G., Haak W., Kuznetsova M., Radzhabov M., Balaganskaya O., Romanov A., Zakharova T., SoriaHernanz D.F., Zalloua P., Koshel S., Ruhlen M., Renfrew C., Wells RS., Tyler-Smith C., Balanovska E.. 2011. Parallel evolution of genes and languages in the Caucasus region. *Molecular Biological Evolution* 28(10): 2905–2920.
7. Barbujani G, Nasidze I, Whitehead GN. 1994. Genetic diversity in the Caucasus. *Human Biology* 66(4): 639-668.
8. Bar-Yosef O, Belfer-Cohen A, Adler DS. 2006. The implications of the Middle-Upper Paleolithic chronological boundary in the Caucasus to Eurasian prehistory. *Anthropologie* XLIV: 49-60.
9. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბ., 1973, გვ. 554; 552.; 555;
10. ბერძენიშვილი დ., 1979. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბ.
11. ბითაძე ლ., ჭითანავა დ., ლალიაშვილი შ., ყვავაძე ე., ზუბიაშვილი თ. 2011. ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ. წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით. თბ. გვ.850
12. Bramanti B, Thomas MG, Haak W, Unterlaender M, Jores P, Tambets K, Antanaitis-Jacobs I, Haidle MN, Jankauskas R, Kind CJ, Lueth F, Terberger T, Hiller J, Matsumura S, Forster P, Burger J. 2009. Genetic discontinuity between local hunter-gatherers and central Europe's first farmers. *Science* 326(5949): 137-40.
13. Bruch AA. 2012. Temporal corridors of migration in the Southern Caucasus during [the] Late Early Pleistocene. *Quaternary International* 279-280: 72-3.
14. Bulayeva K.B, Jorde LB, Ostler C, Watkins S. 2003b. Genetics and population history of Caucasus populations. *Human Biology* 75(6): 837-853.
15. ბურჭულაძე გ., შავსელიშვილი გ, 1993, „ქართლის“, „საქართველოს“ ადმინიშვნელ სიტყვათა თარბაზე ნახურ-დადესტნურ ენებში, საქართველოს და ქართველების ადმინიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., გვ. 325
16. ჭელიძე ა., 1951, ფერეიდნელი ქართველები, თბ., გვ. 56; 44-45; 102-104. Chelidze A., 1951, Georgians from Fereidani, Tb., გვ. 56; 44-45; 102-104.
17. ჭელიძე ა., 2011, ფერეიდნელი ქართველები, თბ., გვ. 99; 138.

18. ჩიქობავა ა., 1927, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, კრ. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, თბ., გვ. 196.
19. ჭიპაშვილი გ., 1963, ფერეიდნელი ქართველები, თბ., გვ. 7;11;11-12;10.
20. Дьяконов И.М. , 1968. Предыстория армянского народа. Ереван.
21. ეთნოსები საქართველოში, 2008. თბ., გვ. 129;132.
22. Еремян С.Т., 1952. К вопросу об этногенезе армян. Вопросы Истории №7.
23. გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI–XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 68;87.
24. გარაყანიძე ლ., 1990. საქართველოში ბერძენთა გადმოსახლების ისტორია (XVIII–XIXსს), კრ. ბერძენები საქართველოში, თბ., გვ. 40.
25. Gronenborn D. 1999. A variation on the basic theme: The transition to farming in southern central Europe. *Journal of World Prehistory* 2: 23-210.
26. გუგუშვილი პ., 1949. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX საუკუნეებში, თბ., ნაწ. I, გვ. 374.
27. Horváth C. 2011. Ethno Demographic Changes in the Caucasus 1860-1960. *South-East Europe – International Relations Quarterly* 2:6: 1-20.
28. Houwink Ten Cate PHL. 1995. Ethnic diversity and population movement in Anatolia. In: *Civilizations of the Ancient Near East*. Vol. I. Ed. by Sasson M, Baines J, Beckman G, Rubinson KS. New York: Scribner, pp. 259-270
29. ითონიშვილი ვ., 2007. კავკასია და კავკასიელები (ისტორიულ–ეთნოგრაფიული ცნობარი), თბ., გვ. 30–31;32;33-34;47;48.
30. Иваненко В.Н. 1901. Гражданское Управление Закавказьем. Тифлис.
31. ჯანიაშვილი ლ., ჯუკაშვილი ი., 1995, სომხები სამცხე-ჯავახეთში. აზერბაიჯანულ-ენოვანი მოსახლეობის ჩამოსახლება ქვემო ქართლში, თბ., გვ. 18;19;33
32. ჯაფარიძე ა., 1999, ლაზეთი–თრიალეთი, ქართველთა გაბერძენება, თბ., გვ. 10, 12.
34. ყაუხჩიშვილით., 1957. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., გვ.
35. ყაუხჩიშვილი ს., 1942. ბერძენების დასახლების ისტორია საქართველოში, კრ. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ქუთ. გვ. 219–220.
36. კომახია მ., 2006. ქვემო ქართლი–სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავება, 9, თბ., გვ. 38, 41.
37. Латишев В. В., 1890, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. СПб. ст. 239.
38. Layard A. H., *Early Adventures in Persia, Susiana and Babilonia*, London, 1887, gv. 300_301. ნაშრომი და ციტატა მითითებულია ზ. შარაშენიძის წიგნიდან – ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ, თბ., 1969, გვ. 9.
39. მაკალათია ს., თუშეთი, თბ., 1983, გვ. 9–10; 20–21; 19.
40. Metspalu E, Kivisild T, Kaldma K, Parik J, Reidla M, Tambets K, Villems R. 1999. The Trans-Caucasus and the expansion of the Caucasoid-specific human mitochondrial DNA. In: *Genomic diversity: Applications in human population genetics*. Ed. by Papiha SS, Deka R, Chakraborty R. New York: Kluwer Academic/Plenum Publishers, pp. 121-133.
41. მუსხელიშვილი დ., 1960. ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956-58) შედეგები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. თბ.
42. Nasidze I, Ling EY, Quinque D, Dupanloup I, Cordaux R, Rychkov S, Naumova O, Zhukova O, Sarraf-Zadegan N, Naderi GA, Asgary S, Sardas S, Farhud DD, Sarkisian T, Asadov C, Kerimov A, Stoneking M. 2004a. Mitochondrial DNA and Y-chromosome variation in the Caucasus. *Annals of Human Genetics* 68: 205-21.
43. Nasidze I. 2008 What can Genetics tell us about the origins of South and North Ossetians? *Bulletin of the Georgian Academy of Sciences* 2: 102-108.
44. Nasidze I, Salamatina N.M. 1996. Genetic characteristics of the Georgian population. *Gene Geography* 10: 105-112.
45. Пашаева Л. Б., 2008, Семья и семейный быт греков Цалкского района (по этнографическим материалам второй половины XIX-начала XX), Тб, gv. 12-13;46;16_20;50_55;56.
46. Пиотровский Б.Б., 1946, О происхождении армянского народа. Ереван.
47. ფხაკაძე მ., ბერძენიშვილი ნ., 1990. ბერძენთა საქართველოში განსახლების თანამედროვე მდგომარეობა და ტენდენციები, კრ. ბერძენები საქართველოში, თბ. გვ. 72.
48. Rootsi S, Myres NM, Lin AA, Järve M, King RJ, Kutuev I, Cabrera VM, Khusnutdinova EK, Varendi K, Sahakyan H, Behar DM, Khusainova R, Balanovsky O, Balanovska E, Rudan P,

- Yepiskoposyan L, Bahmanimehr A, Farjadian S, Kushniarevich A, Herrera RJ, Grugni V, Battaglia V, Nici C, Crobu F, Karachanak S, Hooshlar Kashani B, Houshmand M, Sanati MH, Toncheva D, Lisa A, Semino O, Chiaroni J, Di Cristofaro J, Villems R, Kivisild T, Underhill PA. 2012. Distinguishing the co-Ancestries of haplogroup G Y-chromosomes in the populations of Europe and the Caucasus. *European Journal of Human Genetics* 20(12): 1275-82.
49. შანიძე ა., 1970, თუშები (წარმოშობის ისტორიიდან), მნათობი, თბ., გვ. 47.
50. შარაშენიძე ზ., 1969, ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ, თბ., გვ. 3;6;14;7;12;8-10.
51. შენგელია რ., 2014. მზისა და ნაყოფიერების კულტი ქართულ ყოფასა და ტოპონიმიკაში. თბ. გვ. 91-97.
52. შენგელია რ. 2009. ქვაკუთხედი ანუ ქართლის ცხოვრების მისტერიები. თბ. გვ.49-54. Shengelia R., 2009.
53. სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. 2011., რედ. ლ. მელიქიშვილი, თბ., გვ. 58;46;47.
54. სონღულაშვილი ა., 1964 ბერძნები საქართველოში, თბ., გვ. 22.
55. Tarkhnishvili D, Gavashelishvili A, Murtskhvaladze M, Gabelaia M, Tevzadze G. 2014. Human paternal lineages, languages, and environment in the Caucasus. *Human Biology* 86(2): 113-30.
56. ცოცხანიძე გ., 1993. ტერმინები „თუშეთი“ და „თუშები“, საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., გვ. 539; 539–540, 544.
57. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 126
58. Yunusbaev B, Metspalu M, Järve M, Kutuev I, Rootsi S, Metspalu E, Behar DM, Varendi K, Sahakyan H, Khusainova R, Yepiskoposyan L, Khusnutdinova EK, Underhill PA, Kivisild T, Villems R. 2011. The Caucasus as an asymmetric semipermeable barrier to ancient human migrations. *Molecular Biology and Evolution* 29(1): 359-65.
59. Народы Мира. Народы Кавказа т. II, М. 1962, ст 37.
60. Zvelebil M & KV. 1988. Agricultural transition and Indo-European dispersals. *Antiquity* 62: 574-583.

**R. Shengelia, G. Andriadze, L. Bitadze, D. Chitanava,
N. Chokovani, E. Khmaladze, M. Kekelidze, Sh. Laliashvili**

*Ramaz Shengelia – Tbilisi State Medical University, Georgia
Liana Bitadze, David Chitanava, Shorena Laliashvili – Tbilisi Ivane Javakhishvili State University
Giorgi Andriadze – St. Andrew the First-Called Georgian University
Eka Khmaladze – National Center for Disease Control and Public Health
Merab Kekelidze – National Center for Disease Control and Public Health
Nino Chokovani – St. Andrew the First-Called Georgian University*

Comparative Genetic Study of the Population of East Georgia

Summary

The Georgians occupy the territory in the center of the Caucasus and adjoin many Caucasian nations and ethnic groups. In the north Georgia borders on Karachai, Circassians, Kabardians, Balkars, Ossetians, Chechens, Ingushs and Dagestani, in the East and South – Armenians, Azerbaijani and Turks. Besides, the Georgian population is unique regarding its ethnographical diversity, anthropogenic composition and multiethnicity.

Within the framework of the project we studied 136 males in different ethnographic groups of the Georgian population: Tushs, the Fereydanian Georgians, other Georgians without taking into consideration their ethnographic groups, also Azerbaijani, Armenians and so called Ottoman Greeks living in Georgia. Each patrimonial haplotype was distinguished by its 17-STR profile. Y-chromosome lines were determined as unique combinations of SNP and STR data presented in samples. The work for

the first time considers the density of the Y-chromosome haplo-groups according to the data in historical sources, their settlement time and areas in Georgia. Despite the fewness of the studied individuals there are some noteworthy results: genetic proximity of the five populations is caused by different factors – existence of a single genetic group with a possible common language and culture on the territory of the Caucasus-Anatolia in the historical past; genetic role of the Albanian population in the formation of the gene pool of the population in the East Caucasus; common migration and assimilation processes; high percentage of L haplo-group in the Black Sea coast Greeks strengthens the hypothesis on genetic proximity of the Laz ethnos living on the southern Black Sea coastline and the Greeks deported to Georgia, i.e. the possibility of Hellenization of some part of the Lazs at certain historical stages (or permanently).

The Caucasus is one of the most significant regions regarding the reconstruction of the ethnic history and ethnogeny of ancient and modern nations of Europe and Southwest Asia. Therefore, purposeful, scrupulous, complex anthropo-genetic and philo-genetic researches containing much innovation are the matter of the near future.

შოთა ვადაჭკორია

*ივ.ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი
მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველო
shota1951@gmail.com*

იატაკევეშეთის ანტისაბჭოური საქმიანობის გააქტიურების მცდელობა და ქართული ემიგრაცია 1925-1930 წლებში

საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოში 1924-1925 წლებში გატარებული უმკაცრესი რეპრესიები, ქართველთა ურჩი ეროვნული ცნობიერების დათრგუნვაზე იყო გათვლილი. დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, ჩეკა-ს მაღალჩინოსნები, საღად მოაზროვნე ინტელიგენციისა და არისტოკრატიული საგვარეულო წრის მოსყიდვაში, უკიდურეს შემთხვევაში ფიზიკურად განადგურებაში ხედავდნენ. ამ მიმართულებით, ადგილობრივი მოსახლეობის დასაშინებლად და გადასაბირებლად სხვადასხვა სახის აპრობირებულ მეთოდების მიმართავდნენ. საქართველოში იმ ეტაპზე შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მოსახლეობაში შესაბამისი სააგიტაციო-პროპაგანდისტული საქმიანობის არ გაგრძელება, ანტისაბჭოური მუხტის ჩაქრობის რეალურ საფრთხეს ქმნიდა. ეს საშიშროება, ემიგრაციული მთავრობის მესვეურებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, მათი ძალისხმევით, კვირაში ერთხელ არაღვეარულად გაზეთი “ჩვენი ერთობა” გამოდიოდა. იმავდროულად, საქართველოში პოლიტიკური ხასიათის ანტისაბჭოური ლიტერატურაც შემოქმნიდათ. ჩემს მიერ მიკვლეული საარქივო მასალებით დასტურდება, რომ საბჭოთა ხელისუფლების სამხილი ლიტერატურა, საქართველოშიაც იბეჭდებოდა. მისი გარკვეული ნაწილი სტამბოლში ჩაქონდათ და იქედან, ევროპის ქვეყნებში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებში ავრცელებდნენ. ასეთი საქმიანობის მიუხედავად, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, პოლიტიკური პარტიების კოორდინირებულ მოქმედებას საჭიროებდა. ამ მიმართულებით წარმატებული ნაბიჯი 1925 წლის 16 ნოემბერს გადაიდგა. მხედველობაში მაქვს 4 პოლიტიკური პარტიის (სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები) მიერ მიღებული “შეთანხმების დებულება”. ეს დოკუმენტი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღსადგენად და საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნას ითვალისწინებდა. იდეოლოგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ფაქტი უდიდეს წინადადებულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ გაერთიანებას, უდიდესი დარტყმა ეროვნული ფონტიდან რ. გაბაშვილის ჯგუფის ოფიციალურმა გასვლამ მიაყენა. ამ საკითხთან მიმართებაში, თავისი უარყოფითი პოზიცია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პასუხისმგებელ წევრთა 1929 წლის 28 აპრილის კრებამ (თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი) დააფიქსირა. მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმით იქნა მითითებული: “რ.გაბაშვილის ეს ფრიად საპასუხისმგებლო ნაბიჯი არღვევს ეროვნული ფრონტის მთლიანობას, არ შეეფერება არც პარტიულ პროგრამას, არც მის ტაქტიკას და ამავე დროს მოკლებულია ყოველ უფლებრივ საფუძველს...”

კრება აღნიშნავს, რომ... “გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიურო,” შემდგარი იყო 1925 წლის შეთანხმებით. ამ შეთანხმებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზღვარგარეთ მყოფი ყველა პასუხისმგებელი წევრი, ე. ი. დამფუძნებელი კრების, მთავარი კომიტეტის და ადგილობრივი კომიტეტის წევრები—სულ 15 კაცი და კოოპტაციით მოწვეული კიდევ ორი-სამი პირი. ეს შეთანხმება იყო აგებული უპირველეს ყოვლისა საერთო ეროვნული ფრონტის დაცვის და გაძლიერების პრინციპებზე. ესეა ეს შეთანხმება დაირღვა. იგი არ არსებობს, ვინაიდან სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზის გამო... ზოგიერთი წევრის მოღვაწეობის წყალობით ამ კომიტეტიდან გავიდნენ 11 (თერთმეტი) პირი, იმათ შორის თავმჯდომარეც. ცხადია, ის კომი-

ტეტი, რომელიც დაარსდა მხოლოდ შეთანხმებით და რომელსაც არ ქონდა და არ აქვს სხვა რაიმე საფუძველი თავისი არსებობისა... ამ შეთანხმებისა, ეხლა ამ შეთანხმების მოსპობით, მოისპო თვითონ. ეხლა... საზღვარგარეთ პარტიული ორგანოს შექმნის საჭიროება აუცილებელია. ასეთმა ორგანომ უნდა განახორციელოს პარტიული მუშაობა. განამტკიცოს მთლიანი ეროვნული ფრონტი და წინ გადაეღოს საქართველოს წინააღმდეგ ყოველ იერიშს. ასეთი ორგანო შეიძლება შეიქმნას მხოლოდ იმ პირობით ირგვლივ, რომლებიც მუშაობენ პარტიაში დღიდან მისი დაარსებისა...

მიიღო რა მხედველობაში ყველა ზემოაღნიშნული გარემოებანი, კრებამ დაადგინა: 1) განცხადება ბ. გაბაშვილისა მთლიანი ფრონტის დაშლის შესახებ, ჩაითვალოს ყოველ საფუძველ და ძალას მოკლებულად. ის არ არის სავალდებულო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებისათვის... 2) დაარსდეს ამ კრებაზე დამსწრე პარტიის პასუხისმგებელი წევრებისაგან... "საზღვარგარეთული კომიტეტი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა," და აღიარებული იქნას იგი როგორც ერთადერთი უმაღლესი ორგანო გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა, რომელმაც უნდა იქონიოს სათანადო კავშირი საქართველოსთან. 3) ყოველ წევრს დამფუძნებელი კრებისა და მთელი კომიტეტისა, თუ ის კიდევ არის პარტიის წევრი და იზიარებს მთლიანი ეროვნული ფრონტის პრინციპებს, უფლება აქვს გახდეს ამ კომიტეტის წევრი. 4) კრება ერთხმად ირჩევს კომიტეტის ბიუროს შემდეგი პირებისაგან: თავმჯდომარე-ივ. ზურაბიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე - გ. გვახავა, ხაზინადარი-დ. სხირტლაძე, მდივანი-იოსებ სარჯველაძე. წარმომადგენლებად ეროვნულ ფრონტში ივ. ზურაბიშვილი და გ. გვახავა. ხელს აწერენ: ე. თაყაიშვილი, ივ. ზურაბიშვილი, გ. გვახავა, პ.უმანიშვილი, დ. სხირტლაძე, ნ. ჯაყელი, ი. სარჯველაძე, დ. აფხაზი."

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რ.გაბაშვილის ჯგუფის მიერ ეროვნული ფრონტის დატოვება, იდეოლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით, ნებისთ თუ უნებლიედ საბჭოთა სპეცსამსახურების მიზნებისა და ამოცანების სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯის ტოლფას ქმედებას შეიცავდა. მითუმეტეს, დ. ვაჩნაძესთან ერთად დაარსებულ გაზეთ "სამშობლოში" დაბეჭდილ პუბლიკაციებში, საქართველოს პირველ რესპუბლიკასთან მიმართებაში ანტისახელმწიფოებრივ შეხედულებებს ანვითარებდა და საბჭოთა იდეოლოგიური პროპაგანდისთვის ხელშემწყობ საქმეს აკეთებდა. ამ ფაქტორმა განაპირობა ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი გვახავას გალაშქრება რ. გაბაშვილ-დ. ვაჩნაძის წინააღმდეგ. მხედველობაში მაქვს, გ. გვახავას ავტორობით 1929 წელს პარიზში დაბეჭდილი პატარა წიგნაკი "საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" (წერილი მესამე).

ამ ნაშრომში მოტანილი ფაქტები და მისი ანალიზი ადასტურებს, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში, რ. გაბაშვილისა და მისი ჯგუფის აზროვნება ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებს შეიცავდა და საბჭოთა ხელისუფლების მიზნებისა და ამოცანების თანხვედრი იყო. ჩემს მიერ მოპოვებული საარქივო მასალებით ირკვევა, რომ საბჭოთა ხელისუფლების შესაბამისი უწყებების ნომერ პირველ ამოცანას, საქართველოს ემიგრაციული მთავრობის გაუქმების პარალელურად, ეროვნული ფრონტის დარღვევა წარმოადგენდა. ეს არცაა გასაკვირი რადგან, საბჭოთა ხელისუფლების მეთაურები, საქართველოს ემიგრაციული მთავრობის ლიდერებს და ქართულ სოციალ-დემოკრატიას, ევროპის მასშტაბით ანტისაბჭოური საქმიანობის ფლაგმანად მოიაზრებდა.

რამდენადაც საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლება, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ლიდერებთან ურთიერთობის და საქართველოს დეოკუპაციის საკითხის ოფიციალურად სამთავრობო დონეზე დასმის ერთადერთ დასაყრდენს წარმოადგენდა. ამ საფეხურის მოშლის, მისი ნულამდე დაყვანის მცდელობისკენ იყო მიმართული ზემოაღნიშნული ოპოზიციური დაჯგუფების საქმიანობა.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა შორის არსებული დაპირისპირების საფუძველზე, მათი მხრიდან გაუმართლებელი ქმედებისადმი ღირსეულ პასუხს, საქართველოში არაღვარულად მოქმედი პოლიტიკური პარტიების ერთობლივი გადაწყვეტილება წარმოადგენდა. მხედველობაში მაქვს, სამი პოლიტიკური პარტიის (სოციალ-დემოკ-

რატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ- ფედერალისტები) არალეგარული კრების (1930 წლის 29 ივლისი) მიერ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მიღებული შეთანხმება. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს დოკუმენტი განსაკუთრებული ღირებულების მატარებელია. ამ 11 პუნქტიან დოკუმენტში კარგადაა განსაზღვრული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე, თითოეული პოლიტიკური პარტიის უფლებები და მათი პასუხისმგებლობა ქართველი ერის წინაშე. “საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა მიზანია- ვითხოვლობთ დოკუმენტში-რუსეთის ოკუპაციისაგან განთავისუფლება და საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. საქართველოში მოქმედი პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები: სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ- ფედერალისტები და ეროვნულ- დემოკრატები... თანხმდებიან შემდეგ საფუძვლებზე: 1)1922 წლის აპრილის შეთანხმება დადებული საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შორის ფაქტიურად გაუქმებულია დამკომის შეპყრობის შემდეგ; 2)საქართველოში მოქმედი ეს სამი პოლიტიკური პარტია აწარმოებს საორგანიზაციო და პოლიტიკურ მუშაობას დამოუკიდებლად; 3)ხოლო მოძრაობის სახელმძღვანელოდ და საინფორმაციო მიზნით ხსენებული პარტიები ქმნიან ეროვნულ ცენტრს სამი პირისგან შემდგარს. ცენტრის თავმჯდომარე იქნება სოციალ- დემოკრატების წარმომადგენელი; 4)ეროვნული ცენტრი მუშაობს პარტიათა ცენტრების დირექტივებით და ის კონტაქტშია უცხოეთში გახიზნულ ეროვნულ ცენტრთან; 5)ბოლშევიკური რეჟიმის ლიკვიდაციისას, ის აღგენს საქართველოს დროებით მთავრობას არსებული ძალთა განწყობილებების მიხედვით, თავმჯდომარე იქნება სოციალ- დემოკრატი; 6)დროებითი მთავრობის მიზანი იქნება წესრიგის აღდგენა და რესპუბლიკის საზღვრების დაცვა სანამ უცხოეთიდან დაბრუნდებოდეს საქართველოს კანონიერი მთავრობა, რომელიც შეგესებული იქნება შეთანხმებაში შემაჯავლი პარტიების წარმომადგენლებისგან; 7)რესპუბლიკაში სრული წესრიგის აღდგენის შემდეგ ხდება პარლამენტის არჩევნები, რომელსაც ანგარიშს აბარებს ჟორდანიას მთავრობა და გადადგება; 8)პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების კრება ადასტურებს უცხოეთში დადებულ ხელშეკრულებებს უცხოეთის ეროვნული ცენტრის შესაქმნელად და ამტკიცებს მის შემადგენლობას; 9)საოკუპაციო რეჟიმის გაუქმებამდე, ჟორდანიას მთავრობა კვლავ განაგრძობს ქართველი ერის სახელით დიპლომატიურ მუშაობას და მას ემორჩილება საქართველოს ყველა ოფიციალური და არაოფიციალური წარმომადგენლები; 10)საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები აღიარებენ რომ ქართველი ერი მთლიანად თავის კანონიერ მთავრობად თვლის უცხოეთში გახიზნულ ჟორდანიას მთავრობას და ვინც მას ებრძვის ის ქართველი ერის მოღალატეა; 11)პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები აღგენენ, რომ გაწვევტილი იქნას კავშირი ყველა იმ პარტიებთან და ჯგუფებთან, რომლებიც ებრძვიან ქართველი ერის მთლიან ეროვნულ ფრონტს და მოქმედებენ სეპარატულად.“

